# კვირის პალიტრა
## ყოველკვირეული გაზეთი

№ 43 (504) ◆ 25 – 31 ოქტომბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## ამ დაპირისპირებაში პრეზიდენტად გახდომის ფარული სურვილი დავინახე

არქიფო სეთურის „წაკიდების“ მეთოდი მაშინ ამართლებს, როდესაც სერიოზული საქმე არ არის საკეთებელი...

არ შეიძლება ხელისუფლებაში არსებული კონფლიქტური საკითხების საზოგადოების დასანახად განხილვა. არასწორი იყო განცხადება – ტელედებატები გავმართოთო. პრეზიდენტი მიხვდა, რომ ეს ძალზე წამგებიანი იქნებოდა და თქვა, – ჟვანიას ბურჯანაძე ტელედებატებში არ გამოუწვევიაო...

...ჟვანიამ მთავრობის სხდომები დახურა. მას მონიტორზე ველარ უყურებენ ჟურნალისტები, როგორც ეს შევარდნაძის დროს ხდებოდა. ამით პრემიერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჭკვიანი კაცია. გვ.7

## ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ექსპორტი სამხედრო თემაზე:

გვ.5,8,9



ექსკლუზივი

„თბილავიამშენმა“ პირველი „სკორპიონი“ 10 მლნ დოლარზე მეტად გაყიდა

ექსკლუზიური რეპორტაჟი „აქტეპეს“ სამხედრო-საჰაერო ბაზიდან

რა წამოიძახა განცვიფრებულმა თურქმენმა პილოტმა „სკორპიონის“ კაბინაში ჩახედვისთანავე...

## რა ეწერა ნაგვის ყუთის ამფეთქებლის გასაიდუმლოებულ წერილში?!

– მაქვს დიდი სიმძლავრის ბომბი(?!)

## ერგნეთის ბაზრობა მოკვდა... კონტრაბანდა?!

გვ.5,6




სპეცრეპორტაჟი ცხინვალის რეგიონიდან...

ახალი ხვრელები საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ



ამ ეტაპზე ბიუჯეტზე მნიშვნელოვანი საგადასახადო კოდექსია. ამან, სხვათა შორის, ბევრი რამ უნდა განსაზღვროს – ბიზნესმენების დამოკიდებულება თავ-თავიანთი საქმიანობისადმი, „თეთრი ბუღალტერიის“ დამკვიდრება და რაც მთავარია, საშუალო ფენის ჩამოყალიბება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის აღიარებელი და მსურველი სახელმწიფოს აშენებისთვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. გვ.3

## დავით აღმაშენებელს 30 მილიონი მოჰპარეს!..



ყველაზე ძვირი კვარცხლბეკების ქალაქი

კვარცხლბეკი, რომელიც მილიონ 330 ათასი ლარი დაჯდა(?!). გვ.6

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის აზრით, ძეგლის ღირებულება არც მეტი, არც ნაკლები 10.000 დოლარია(?!).

სად გაქრა 30 მილიონი ლარი, რომელიც დიდი ქართველი მეფის ძეგლის ასაგებად გაჭირვებულმა მოსახლეობამ თავისი ჯიბიდან გაიღო?..

ვერსია

## სიკვდილთან თამაში... ყვავის ფუზით

ქართველების მოსისხლე ქართველი მოსკოვში მოკლეს

მალე ომი დაიწყო... ქართველების განადგურება ახლა „საქებარი“ საქმე იყო და ეკა ახალაიაც მიწოდებული ინფორმაციების საფასურად სულ მადლობებს იღებდა აფხაზი ბოევიკებისაგან. მერე, როცა თავისიანებმა გაუგეს, ნიღაბი ჩამოიხსნა და აშკარად გადავიდა აფხაზთა მხარეს. ბევრი სისხლი დაღვარა, ბევრ ქართველ ქალს ჩააცვა შავი, ამით იკლავდა ბოღმას, ამით იმშვიდებდა თავს. თუმცა არა მარტო მამაკაცების, ოღონდ ქართველი ყოფილიყო და არც ქალების ხოცვაზე ამბობდა უარს... გვ.10



## იბეჭდება პირველად

გვ.16

„ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“

გსმენიათ ან წაგიკითხავთ ცისფერთვალა მგელზე? – მაშინ წაიკითხეთ ეს გასაოცარი ამბავი.

DURA LEX SED LEX

## სასამართლო ქრონიკა

გვერდი 17-20

## მამის მკვლელი მეფობას ვერა იქმს

1605 წლის 22 ოქტომბერს ბელაქნის წყალზე კახეთისა და მთელი საქართველოს ბედი გადაწყდა... გვ.12

## მალე გამოვჩნდები



დღეს რომ ისევ ლამის საინფორმაციოს გავუძღვე და იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ლამის ჩართულ უთოზეც კი ჩანან, გაუთავებლად ვესაუბრო, არა მგონია, მაყურებელს ძველებურად მოეწონოს...

ჩვენთან რატომღაც ეშინიათ გარეგნული და პროფესიული იმიჯის შეცვლა... გვ.22

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

C M Y K

## ქოჩარიანთან ერთად პუტინის გარეშე

ქართლოსისა და ჰაოსის შთამომავლებმა თბილისობა ერთად აღნიშნეს. დღესასწაულზე ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სომხეთიდან საპატიო სტუმრის სტატუსით ჩამოსულ კოლეგას, რობერტ ქოჩარიანს მასპინძლობდა. არადა, ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, მაშინ როცა მოსკოვში სტუმრად მყოფმა სააკაშვილმა მეგობრობის ხელი გაუწოდა რუს კოლეგას, თბილისში დარწმუნებული იყვნენ, რომ დღესასწაულზე ყველაზე მნიშვნელოვანი სტუმარი სწორედ ვლადიმირ პუტინი იქნებოდა. მაგრამ რუსი პრეზიდენტი საქართველოს არ სწვევია, სამაგიეროდ, კავკასიელ მეზობლებს სადღესასწაულოდ „საჩუქარი" მიართვა და ლარსის ჩაკეტილი „ალაყაფი" გაუხსნა. ვინ „დაუმადლა"? თბილისში სტუმრად მყოფმა ქოჩარიანმა, რომელიც ლარსის ბლოკადამ ისე დააზარალა, როგორც არავინ, პუტინის სამადლობელი სიტყვის თქმა ვერ გაბედა. სააკაშვილმა კი ტრადიციულად ჩააქარაგმა, არ გაალებდნენ და მაგათი აჯობებდა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ მარტო საქართველო დაზარალდა ამ ბლოკადით, ცდება, საქართველოს ყველაზე ნაკლები დანაკარგი აქვსო. როგორც ჩანს, რუსი კოლეგის „დანდობას" სააკაშვილი აღარ აპირებს, ჩრდილოელ მეზობელს მისთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკება და კატეგორიულად აფრთხილებს, რომ რუსეთიდან კონტრაბანდის შემოდინების შესაძლებლობა წარსულს ჩაჰბარდა. თუმცა, ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარება პრეზიდენტის განცხადებას ეჭვქვეშ აყენებს.

## ისევ არჩევნები

24 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შუალედური მაჟორიტარული საპარლამენტო არჩევნები ჩაატარა. საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების თანახმად, უბანში მხოლოდ ერთი ამომრჩეველიც რომ მისულიყო, არჩევნები მაინც ჩატარებულად გამოცხადდებოდა. შუალედური არჩევნები ოთხ საარჩევნო ოლქში — დიდუბეში, კრწანისში, გორსა და ზესტაფონში ჩატარდა.

განსაკუთრებული პომპეზური წინასაარჩევნო კამპანიით დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის ფავორიტი ჯუმბერ თავართქილაძე გამოირჩეოდა. იგი არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე თავდებით გაა თავისუფლეს პატიმრობიდან.

კულუარული ინფორმაციით, შუალედური მაჟორიტარული არჩევნები დარღვევების თანხლებით წარიმართა, რასაც ცესკო კატეგორიულად უარყოფს. „მასმედიით ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს მე დავაფიქსირე კარუსელების არსებობა ზოგიერთ უბანზე. ეს სიცრუეა და მიზანმიმართული ქმედება ცესკოს წინააღმდეგ", — განაცხადა ცესკოს თავმჯდომარემ.

24 ოქტომბერს არჩევნებზე პირველი ინციდენტი ზესტაფონში მოხდა. სოფელ სანახშირეს მოსახლეობამ გასულ წელს მომხდარი 18 წლის გიორგი მაღლაკელიძის მკვლელობის საქმის გახსნის მოთხოვნით არჩევნების მსვლელობა შეაფერხა. ოპოზიციის განცხადებით, სერიოზული დარღვევა დაფიქსირდა გორშიც. სოფელ ძეხთულეთის საარჩევნო უბანში მოქალაქეებს საარჩევნო ბიულეტენებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გარეშე აძლევდნენ, რაც ადგილობრივი საუბნო კომისიის თავმჯდომარემაც აღიარა.

არჩევნებთან დაკავშირებით პრეტენზიებს გამოთქვამს პარლამენტარი კობა დავითაშვილიც. მისი მტკიცებით, დიდუბის რამდენიმე საარჩევნო უბანში ე. წ. კარუსელი დაფიქსირდა, რაშიც იგი ნაციონალური მოძრაობის დიდუბისა და გლდანის რაიონულ ორგანიზაციებს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ „ახალი ხელისუფლება იმავე მეთოდებს იყენებს არჩევნების გაყალბებისათვის, რომლებსაც წინა ხელისუფლება იყენებდა".

შუალედური მაჟორიტარული არჩევნების საბოლოო შედეგები 26 ოქტომბერს გახდება ცნობილი.

## ქარიშხალი ჭიქაში

ბიუჯეტზე შენიშვნების გამოთქმის გამო პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის „ბუტიაობა" დასკვნით ფაზაში შედის და ალბათ უკვე კარგა ხანია მალულად უბრად მყოფ ბურჯანაძესა და ჟვანიას „ნეკი ნეკისას, შერიგებისას" პრეზიდენტი სააკაშვილი ათქმევინებს. მისმა განცხადებამ, არც მთავრობაა ჯაბანი და არც 200 კაცის თავი აზროვნებს რამდენიმე მინისტრის თავზე ნაკლებადო, ნაყოფი უკვე გამოიღო და საპარლამენტო უმრავლესობამ და მთავრობამ საერთო ენა გამონახეს. მინისტრები ჟვანიას ბელადობით პარლამენტართა შენიშვნებს გაითვალისწინებენ. პარლამენტარები კი თვალს არ დახუჭავენ, თუ მინისტრთა კაბინეტს „რაიმეს" შენიშნავენ.

„მოყვარეს პირში უძრახეს" მოტივი დაპირისპირებული მხარეების დასაშოშმინებლად თითქმის საკმარისი აღმოჩნდა. პარლამენტის თავმჯდომარემ კი ჟვანიას გამოწვევას ქარიშხალი ჭიქაში და გაუგებრობა უწოდა. „პარლამენტი დამოუკიდებელი ორგანოა და პრინციპული პოზიციის გამოხატვის უფლება აქვს. პარლამენტს ჰქონდა სერიოზული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინების გარეშე ბიუჯეტი არ იქნებოდა მისაღები მასში არსებული ხარვეზების გამო", — განაცხადა ბურჯანაძემ, რომელსაც კვლავაც ვერ გაუგია, რატომ გაუკვირდა „ვინმეს", ანუ ჟვანიას, პარლამენტის კრიტიკა და შენიშვნები.

## ვინ „შეეწირება" სნაიპერულ შაშხანას

ალბათ მალე გაირკვევა, ვინ შეეწირება სნაიპერულ შაშხანასა და „კალაშნიკოვ-74"-ის ტიპის ავტომატს, რომლებიც „აჭარა მიუზიკ-ჰოლში" ჯაზური მუსიკის კონცერტზე საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების მისვლამდე 1 საათით ადრე აღმოაჩინეს. რა მიზნით, საიდან და როგორ მოხვდა ტერორისტული აქტის განხორციელების შესანიშნავი საშუალება ღამის კლუბში?

უსიამოვნო აღმოჩენამ ააფორიაქა ძალოვნები, თუმცა პრეზიდენტები კონცერტზე მაინც მივიდნენ. „აჭარა მიუზიკ-ჰოლში" იარაღი უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ღამის კლუბის დირექტორის კაბინეტის გვერდით მდებარე საცავში აღმოაჩინეს. კლუბის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ იარაღის შეტანა ყველას შეეძლო, რადგან ოფისის კარი არ იკეტება. გამოძიება ალბათ დასკვნებს ადრე თუ გვიან გააკეთებს და იმედია, ყველაფერი გაირკვევა.

„აჭარა მიუზიკ-ჰოლში" მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ჟურნალისტების გაკვირვება გამოიწვია ირაკლი ოქრუაშვილის კომენტარმა — „არ მითხრათ ახლა იარაღი პოლიციამ ჩადოო. აქ მხოლოდ უშიშროების სამინისტრო მუშაობს"(!). გაუგებარია, რისი თქმა სურდა ამით მინისტრს?

## „პაემანი" შედგება

როგორც იქნა, გადაწყდა — საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ერთმანეთს 10 ნოემბერს, სოჭში შეხვდებიან. რას ეტყვის ჟვანია კოკოითს და როგორ „შეეყრებიან" ისინი ერთმანეთს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

როგორც ცხინვალის ხელისუფლების კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციით ირკვევა, კოკოითი ჟვანიასთან შეხვედრის გადაწყვეტილების მიღებამდე კარგა ხანს ყოყმანობდა. ამბობენ, ყოფილ სპორტსმენს, ახლა კი პრეზიდენტს პოლიტიკაში ჭიპმოჭრილ ჟვანიასთან შეხვედრის წინ ნერვები ღალატობსო. ეტყობა, სეპარატისტების ლიდერი ხვდება, რომ საპირისპირო მხარესთან „პოლიტიკურ წონაში" მოიკოჭლებს. იმედი გვაქვს, კოკოითი „აღარ გადაიფიქრებს", მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდება და გადაწყვეტილებებს არა რუსეთის და სეპარატისტი ოსების, არამედ სამაჩაბლოს რეგიონში მცხოვრები ოსების სასარგებლოდ გააკეთებს, აცხადებენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატში.

## ოსებს „ფუფუნების" შანსი გაუჩნდათ

საერთაშორისო ორგანიზაციები მზად არიან ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციის 10 მლნ ევროდ ღირებული პროექტი განახორციელონ, თუ საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად პოლიტიკურ მოლაპარაკებებში რეალურ შედეგს მიაღწევს.

კონფლიქტის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას განცხადებით, ევროპელები საქართველოს ხელისუფლებას განსაზღვრულ პირობებს უყენებენ. სარეაბილიტაციო პროგრამების ამუშავება იმისთვის იგეგმება, რომ პოლიტიკური მოლაპარაკებები გააქტიურდეს და ნაყოფი გამოიღოს. მისი თქმით, 2,5 მლნ ევროდ ღირებული კონკრეტული პროგრამა უკვე მზადაა ასამოქმედებლად, სამომავლოდ კი საერთაშორისო ორგანიზაციები ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციის 3-4-წლიანი პროგრამების 10 მილიონი ევროთი დაფინანსებას გეგმავენ. შეიძლება ითქვას, რომ ევროპელების ინიციატივამ უპირველესად ოსები უნდა მოიყვანოს ჭკუაზე, რეგიონის რეაბილიტაციის ასეთი რეალური შანსი მათ არასოდეს მიეცემათ.

## ასე საბავშვო ბაღშიც არ იქცევიან

24 ოქტომბერს დილით შინაგანი ჯარის ზუგდიდის ნაწილიდან ოთხი ჯარისკაცი გაიქცა. გაქცევის მიზეზი ძალზე უცნაურია — ჯარისკაცები თურმე უკმაყოფილო დარჩნენ სარდლობის გადაწყვეტილებით, რომლის თანახმად 50 ჯარისკაცი მუხროვანში ორკვირიან საარტილერიო კურსებზე გაემგზავრებოდა.

მომხდარის გამო აღშფოთებას ვერ მალავს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული გიგი უგულავა, რომელიც სამხედრო ნაწილში მივიდა და ურჩი „თანამებრძოლების" გამო დიდაქტიკური ლექცია წაუკითხა ჯარისკაცებს: „ეს არის ჯარი და მას აქვს თავისი წესები, თუ ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, მუხროვანში მივდივართ სავარჯიშოდ, უნდა წახვიდეთ. აქ ორი აზრი აღარ არსებობს. რას ნიშნავს „მე ზუგდიდელი ვარ და მუხროვანში არ წავალ", მაშინ წავა ციხეში", — ასეთია უგულავას აზრი.

## არძინბა „მუშაობს"

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ჯერ კიდევ პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა მგლოვიარედაა — 21 ოქტომბერს სოხუმის რაიონის სოფელ ეშერაში მამამისი, 86 წლის გრიგორი არძინბა გარდაიცვალა. არძინბასთვის სამგლოვიარო განწყობილებას ხელი არ შეუშლია და მეორე დღესვე საკადრო ცვლილებები მოახდინა. საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის ლიდერის, სერგეი ბაღაფშის მხარდაჭერისთვის თანამდებობიდან გადააყენა გენერალური პროკურორი რაულ კორუა. სანამ არძინბა „მუშაობს" და აფხაზეთში დაძაბული სიტუაციის გამო დროდადრო თბილისისთვის ბრალის დადებაც არ ავიწყდება, რეგიონში მდგომარეობა უკიდურესად მძიმდება. რაულ ხაჯიმბასა და სერგეი ბაღაფშის მხარდამჭერები არც ერთმანეთთან და არც რუსეთთან დათმობაზე წასვლას არ აპირებენ.

ექსპერტთა ვარაუდით, სულ ერთი წამიღაა დარჩენილი აფხაზეთში ტყვიის გავარდნამდე, რომელიც სამოქალაქო ომის გაჩაღებისა და აფხაზთა განადგურების მიზეზი გახდება. ახლა აფხაზები ბეწვის ხიდზე არიან და მათი გადარჩენა ისევ და ისევ მათ კეთილგონიერებაზე იქნება დამოკიდებული. ამასობაში კი აფხაზურმა სასამართლომ ხაჯიმბას სარჩელის განხილვა კიდევ ერთხელ გადადო. ეს იმის მანიშნებელია, რომ მოსკოვის ფავორიტის გამარჯვებისათვის დროს საგანგებოდ აჭიანურებენ.

## ხელმოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩათ...

გაცდენებისთვის არა მარტო სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტებს, არამედ პარლამენტარებსაც სჯიან. პარლამენტის სხდომების გაცდენისათვის 32 „შატალისტი" დეპუტატი მკაცრად დაჯარიმდება და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის ურთიერთდახმარების ფონდში გადარიცხავს ურჩი ხელქვეითებისთვის დაქვითულ ხელფასს, სულ 25.600 ლარს.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ცნობით, სექტემბერში 32 დეპუტატს პლენარულ სხდომათა ნახევარზე მეტი აქვს გაცდენილი. გამცდენ დეპუტატთა უმრავლესობა მაჟორიტარია.

მკაცრი სანქციის გამო დეპუტატები პროტესტს გამოთქვამენ და აცხადებენ, რომ პლენარულ სხდომებს საპატიო მიზეზით აცდენდნენ. ეს ამბავი უთუოდ გაგახსენებთ ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი ნაწარმოებიდან ერთ ეპიზოდს, რომლის მიხედვით პარლამენტში სიტუაცია ასე უნდა განვითარებულიყო: ბურჯანაძე კითხულობს დეპუტატთა სიას... ლევან გაჩეჩილაძე — არ არის, დარბაზში მსხდომები სპიკერს პასუხობენ — ავად არის და არჩემაშვილმა, ბობოხიძემ, გამყრელიძემ, გეგელაშვილმა, გელბახიანმა, გვარამაძემ, გიორგობიანმა, გოგიჩაიშვილმა, თორთლაძემ და კიდევ სხვებმა სახლში გააცილესო. ეჰ, გაჩეჩილაძეს ხელის მოსაკიდებელი ადგილი რომ დარჩენოდა, ხომ გააცილებდა მთელი პარლამენტი?

## მოლაშვილს წინასწარი პატიმრობა გაუგრძელეს

მოსამართლის გადაწყვეტილებამ არა მარტო კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი სულხან მოლაშვილის ახლობლები, თვით დეპუტატი ელენე თევდორაძეც კი შოკში ჩააგდო. იგი მომხდარს სამარცხვინოს უწოდებს.

23 ოქტომბერს გვიან ღამით უზენაესმა სასამართლომ მოლაშვილს წინასწარი პატიმრობა კიდევ ერთი თვით და 10 დღით გაუხანგრძლივა. მოსამართლემ გადაწყვეტილება ღამის 1-ელ საათზე გამოაცხადა, ამასთან ისე, რომ პროცესს დაკავებულის ადვოკატი არ დაასწრეს. ამ ფაქტს სახალხო დამცველის ოფისიც პროტესტით შეხვდა. იურისტების განცხადებით, მოსამართლეს გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა გამოეცხადებინა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე მომხდართან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარესაც შეხვდა და იმედოვნებს, რომ ბურჯანაძე სააკაშვილს აცნობებს მომხდარს. თევდორაძე ვარაუდობს, რომ პრეზიდენტმა არაფერი იცის მოსამართლეების უზნეო ქმედებათა შესახებ(?!).

„აღშფოთებული ვარ მომხდარით, ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ციხის საავადმყოფოში ღამის პირველ საათზე მისულიყო მოსამართლე და ადვოკატის და ბრალდებულის დაუსწრებლად ადმინისტრაციისთვის გაეცნო სასამართლოს გადაწყვეტილება. საბედნიეროდ, ჯერ არავის გაუუქმებია საჯაროობა და ვერც კანონის წინაშე უპასუხისმგებლობას ავიტან", — აცხადებს ელენე თევდორაძე.

## გარდაიცვალა ნანული შევარდნაძე

საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისთვის გასული წლის შემოდგომა და მიმდინარე წელი ალბათ ყველაზე მტკივნეულად მოსაგონარი იქნება. 20 ოქტომბერს მას მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე ტერორიზმის გლობალურ პრობლემაზე სიტყვით გამოსვლა არ დასცალდა — საქართველოდან მეუღლის გარდაცვალება აუწყეს. ედუარდ შევარდნაძის მეუღლე ნანული ცაგარეიშვილი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გერმანიიდან დროზე ადრე წამოსული შევარდნაძის მოხსენება მასპინძლებმა გერმანულ ენაზე წაიკითხეს. მოხსენებაში საქართველოს ექსპრეზიდენტი ტერორიზმის გაძლიერების საქმეში რუსეთის შეცდომებზე ამახვილებდა ყურადღებას.

ნანული ცაგარეიშვილი 24 ოქტომბერს, კრწანისის რეზიდენციის ეზოში დაკრძალეს. ექსპრეზიდენტს თანაგრძნობა გამოუცხადეს საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა და პარლამენტარებმა.

„კვირის პალიტრა" თანაუგრძნობს ნანული ცაგარეიშვილის ოჯახსა და ახლობლებს.

## ყარაბაღის დაბრუნებას სოღანლუღელები ითხოვენ

სოღანლუღელმა აზერბაიჯანელებმა ყველა აზერბაიჯანელზე დიდი პატრიოტიზმის დემონსტრირება გადაწყვიტეს და საამისოდ სომხეთის პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის თბილისში სტუმრობა გამოიყენეს. მათ საპროტესტო აქცია გამართეს და მართალია, გარეუბნიდან ცენტრში ხმას ვერ მიაწვდენდნენ, მაგრამ სომეხ პრეზიდენტს კატეგორიულად მოსთხოვეს მიტაცებული ტერიტორიის აზერბაიჯანისთვის დაბრუნება.

„მინდა მივმართო რობერტ ქოჩარიანს, — ყარაბაღი არ არის სომხეთი, არის აზერბაიჯანი, ისევე როგორც აფხაზეთი და სამაჩაბლო არის საქართველო", — აცხადებდა აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

## ოსური ნომრები აიკრძალა

შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების შს სამინისტროს მიერ გაცემული საავტომობილო სანომრე ნიშნებით მიმოსვლა აიკრძალა.

შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის უფროსის რევაზ კლდიაშვილის განცხადებით, სამართალდამცველები საპატრულო პოლიციასთან ერთად რამდენიმე თვის განმავლობაში აფრთხილებდნენ მძღოლებს, აეღოთ ქართული სანომრე ნიშნები, მაგრამ ამაოდ. ამიერიდან ოსური სანომრე ნიშნებით მოძრაობა უნომროდ გადაადგილებასთან გაიგივდება.

რეიდების შედეგად დაკავებულია 100-მდე ავტომანქანა, მძღოლებს აკრძალული სანომრე ნიშნები ჩამოერთვათ. ავტომანქანები დაილუქა. გორელი მძღოლებისგან პოლიციას წინააღმდეგობა არ შეხვედრია, უკმაყოფილებას ძირითადად დევნილი მძღოლები და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მცხოვრებლები გამოთქვამენ. ისინი, როგორც კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეები, ავტომანქანების საქართველოში რეგისტრაციაზე შეღავათებს მოითხოვენ და აცხადებენ, რომ უამისოდ ქართული ნომრების აღებას ვერ შეძლებენ.

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

*(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ნათხოვარი სიცოცხლე" — 111 ხმა
2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ჩვენი შვილების ჯანმრთელობას რამდენიმე ათეულ ლარად ყიდიან!.." — 48
3. **ეთერ ერაძე** — „ძველი მოყვარე თუ?.." — 32

მკითხველის სახელით პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **ვაჟა გავაშელს,** მეორე პრემია — 20 ლარი — **ზვიად ჩაკვეტაძეს,** ხოლო მესამე — 15 ლარი — **ეთერ ერაძეს.**

***მკითხველის პრემიის მფლობელები 330-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# „ჩემი აზრით, ბიუჯეტზე უფრო მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმა გახლავთ“

**კავკასიურ ურთიერთობებში საქართველოს აქვს ის ბერკეტები, რომლებითაც აზერბაიჯანის დაინტერესებაც შეიძლება და სომხეთისაც.**

**თავისთავად, დავა სხვადასხვა სახელისუფლებო შტოს შორის ცუდი სულაც არ არის**



გასული კვირის ბოლოს, ჩვეულებრივზე ხანგრძლივად გადაკეტილი ცენტრალური გამზირების გამო გაწვალებულ თბილისელ მძღოლებს ალბათ ვერანაირი „გეოპოლიტიკური ლოგიკა“ და მსჯელობა ვერ დაამშვიდებდა. თუმცა ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტი აქტიურად აგრძელებს კავკასიის რეგიონში წამოწყებულ „გეოპოლიტიკურ მანევრებს“. აზერბაიჯანის პრეზიდენტისთვის არაორდინარულ ვითარებაში ახსნილი სიყვარულის შემდეგ სომხეთის ჯერიც დადგა — ალბერტ ქოჩარიანის ვიზიტის მსვლელობისას არა მხოლოდ სომხეთის, ბევრი რამ რუსეთთან მიმართებაშიც საცნაური გახდა. როგორც ჩანს, უკანასკნელ პერიოდში, თბილისის მიმართ დაჭერილი, ვითომდაც გულგრილი პოზიციის მიუხედავად, კრემლისთვის საქართველო კავკასიაში კვლავაც გადამწყვეტი მნიშვნელობის სახელმწიფოდ რჩება, რომელთან ურთიერთობის მოგვარების გარეშეც მისთვის, სომხეთის სახით, კავკასიური პლაცდარმის არსებობას არანაირი აზრი არ ექნება. სანამ სააკაშვილი თბილისში, მაგრამ მაინც საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობდა, მის ქვეშევრდომებს დრო ფუჭად არ დაუკარგავთ: ჭეშმარიტად რევოლუციური შემართებით გაიხსნა უდიდესი შეთქმულება ქართული არმიის წინააღმდეგ — უშიშროების სამინისტროს ლოგიკის მიხედვით, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, ქართული სახელმწიფოებრიობის შესუსტების მიზნით, ძირგამომთხრელ საქმიანობას და საბრძოლველად ვარგისი მასალების განადგურებას ქართულ შპს „დელტასთან“ ერთად ევროპის უშიშროების კომისია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და თვით ნატო ეწეოდნენ. ამ ყველაფერს კი ფირზე ისეთი ტელეგიგანტები აღბეჭდავდნენ, როგორებიც „ბი-ბი-სი“ და „სი-ენ-ენია“... გაცილებით უარესად არის მოლაშვილის საქმე — „დელტასგან“ განსხვავებით, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს ცოცხალი თავით არ ეუბნებიან, რა დააშავა. ყოველ შემთხვევაში, თვეების მანძილზე მასთან დაკავშირებით სასამართლო მხოლოდ იმიტომ იმართება, რომ წინასწარი პატიმრობა კვლავ და კვლავ გაგრძელდეს და როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აცხადებენ, არცთუ სამართლებრივ საწყისებზე...

როგორც ჩანს, სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები გონს მოეგნენ და გამწვავებული ურთიერთობა მშვიდობიანად მოაწესრიგეს. როდემდე გაგრძელდება ზავი საპარლამენტო უმრავლესობის, ბურჯანაძის, ჟვანიას და მისი კაბინეტის წევრების მრავალწახნაგოვან კავშირურთიერთობებში, ძნელი სათქმელია. ის კი ფაქტია, რომ პოსტრევოლუციური მიძინების შემდეგ ქართულ მედიას სკანდალებით გამოცოცხლების შანსი მოულოდნელად წაერთვა. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ზავის ჩამოგდების შემდეგ, ქართველმა კანონმდებლებმა და ექსპერტებმა ბიუჯეტსა და საგადასახადო რეფორმებზე მსჯელობა გუდაურის ფეშენებელურ სასტუმროში არჩიეს. როგორც ჩანს, კანონების მიღებასაც სუფთა ჰაერი და მშვიდი გარემო სჭირდება. თუ რამდენად მშვიდი და სამართლიანი იქნება ქართველი საზოგადოების მომავალი, გვესაუბრება ქართული კანონმდებლობის ექსპერტი **ვახტანგ ხმალაძე**.

**— ჩვენ ხშირად ვიმეორებთ, რომ კანონის უზენაესობა დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი პრინციპია. რამდენად თავსდება ამ პრინციპებში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის მარადიული წინასწარპატიმრობა? გასული კვირის ბოლოს, სულხან მოლაშვილის მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში ადამიანის უფლებათა საკმაოდ უხეშ დარღვევებზეა ლაპარაკი. ლაპარაკია იმაზეც, რომ საქართველოს პოლიციურ, დიქტატურულ სახელმწიფოდ გადაქცევა ემუქრება. მისი ადვოკატები საქართველოში სამართლის ძებნას აღარც აპირებენ და საჩივარს სტრასბურგისთვის ამზადებენ... მრავლისმთქმელია ელენე თევდორაძის პროტესტიც**

— ის ფაქტი, რაც მოლაშვილს თავის განცხადებაში აქვს მოყვანილი — ვგულისხმობ წინასწარი პატიმრობის შესახებ განაჩენის გამოცხადების ადგილს და ფორმას, სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევაა. თუმცა, ოფიციალურად ასეთი დასკვნის გაკეთებამდე მომხდარის დეტალური გამოკვლევაა საჭირო და საერთაშორისო სასამართლოსაც მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიმართოს მოქალაქემ. ამაზე სახიფათო და საშიში, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ მოლაშვილის მსგავსი ინციდენტები უკანასკნელ ხანებში გახშირდა. ზოგ შემთხვევაში ქართველი სამართალდამცველები უფრო საჭიროების მიხედვით იქცევიან, ვიდრე კანონმდებლობის შესაბამისად. ეს ეხება ჩხრეკას, დაპატიმრებას, ბრალდების წარდგენას და სხვა უამრავ, უკვე განსაზღვრულ ნორმას. კანონი კი გამონაკლისების დაშვებას ძალიან მტკივნეულად განიცდის — წარმოვიდგინოთ, რომ ცოცხალი ორგანიზმია. რატომღაც, ჩვენში კანონსა და მის უზენაესობაზე დამახინჯებული წარმოდგენა არსებობს. იცით, რაში მდგომარეობს კანონის უზენაესობა? — არა მხოლოდ იმ ქაღალდის ხარისხში, რომელზეც ის არის დასტამბული ან მის პროცესუალურ სრულყოფილებაში. კანონი უზენაესი თითოეული ჩვენგანის გულსა და გონებაში უნდა იყოს. მაგრამ როდესაც რიგითი მოქალაქე ხედავს, რომ სხვადასხვა პირს ერთი და იმავე კანონის სხვადასხვა ინტერპრეტაციით ასამართლებენ, ბუნებრივია, ის კანონის უზენაესობას ვერ ირწმუნებს. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ყოველდღიური დარღვევით — როგორი რევოლუციური აუცილებლობითაც უნდა იყოს ეს გამოწვეული, ჩვენივე ხელით ვანგრევთ იმას, რისი აშენებაც ჯერ არ დაგვიწყია, თუმცა გასული წლის ნოემბრის შემდეგ მთელი მსოფლიოს გასაგონად ვაცხადებთ, რომ ქვეყნის აშენებას ვაპირებთ. თუ ხელისუფლება ყოველივე ამაზე არ დაფიქრდება, ძალიან ცუდ შედეგებს მივიღებთ.

> მომეჩვენა, რომ ბიუჯეტის პროექტში განზრახ იყო ჩადებული ისეთი პუნქტები, რომლებზეც აუცილებლად ატყდებოდა ხმაური, ანუ მათზე ყურადღების გადატანა მოხდებოდა. შემდეგ ხელისუფლება წავიდოდა კომპრომისზე და ამ პუნქტებს ამოიღებდნენ, სამაგიეროდ, სხვა, მათთვის საჭირო და სასურველ მუხლებს გააპარებდნენ. მთავრობას ხომ თავისი ამოცანები და მოვალეობები აქვს, ბუნებრივია, ის ყოველთვის ეცდება ბიუჯეტის პროექტში ჩადებული პუნქტებით ამ მოვალეობათა შესრულება გაიადვილოს. თუმცა ამჟამად საკმაოდ კონსტრუქციული მსჯელობა მიმდინარეობს და ვიმედოვნებ, რომ განხილვების შედეგად ისეთ ბიუჯეტს მივიღებთ, რომელიც ბურჯანაძის ან ჟვანიასათვის კი არა, ქვეყნისთვის იქნება სასურველი.

**— ყოველივე ამის შემდეგ, ადამიანი ერთგვარი დილემის წინაშეც კი დგება — ერთი მხრივ, რევოლუცია მოხდა იმიტომ, რომ აღმოფხვრილიყო კორუფცია, დამკვიდრებულიყო კანონის უზენაესობა და აგვეშენებინა ისეთი სახელმწიფო, სადაც დაცული იქნებოდა ადამიანის ელემენტარული უფლებები.**

> დღეს საქართველოში, ძალაუფლების თვალსაზრისით, ყველაზე მყარი და ძლიერი პოზიცია სააკაშვილს აქვს, შემდეგ მოდის ჟვანია და ყველაზე სუსტი ნინო ბურჯანაძეა. მიუხედავად იმისა, რომ ის ქვეყნის არჩევითი უმაღლესი ორგანოს, პარლამენტის თავმჯდომარეა, როგორც აღმოჩნდა, პარლამენტში საკუთარი ძლიერი და გავლენიანი გუნდი არ ჰყოლია. გამოდის, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს სიები წინასწარ, ხელისუფლებისთვის, უფრო სწორად კი სახელისუფლებო პარტიისთვის სასურველი იმ კანდიდატებით დაკომპლექტდა, რომლებიც პარლამენტში მოხვედრის შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლების სურვილებსა და დაკვეთებს ასრულებენ.

**ამ მიზნისკენ ისეთი რევოლუციური მონდომებით მივისწრაფვით, რომ ზემოთ ნახსენები პრინციპები „შემოგვეთელება“ ხოლმე–**

— მსგავსი პროცესები, ზოგადად, რევოლუციისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა უსასრულოდ არ უნდა გაგრძელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვაგვარ სურათს მივიღებთ. გამოდის, რომ კორუფციის აღმოფხვრა, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, ადამიანის უფლებათა დაცვა და ყველაფერი ის, რამაც ხალხი მასობრივად გამოიყვანა ქუჩაში, ზოგიერთისთვის მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის გზა იყო და არა დიადი იდეალებისთვის ბრძოლა. ეს ტენდენცია არა მხოლოდ ზოგადად — ხალხისთვის და სახელმწიფოს განვითარებისთვის არის სახიფათო — არამედ თავად ხელისუფლებაში მყოფი პირებისთვის. როცა მილიონობით ადამიანი ნდობას გამოგიცხადებს და საჭეს ჩაგაბარებს, მიზნის მისაღწევი უფრო მოკლე მარშრუტის ძებნაში ძნელია გზიდან არ გადაუხვიო. მაგრამ მსოფლიო ისტორიას ახსოვს მაგალითები, როდესაც ვერც (ან არც) ეს მარშრუტი უპოვიათ და გზის აბნევის შემდეგ ვეღარც ძველ, გრძელ გზაზე დაბრუნებულან...

> ამ ეტაპზე ბიუჯეტზე მნიშვნელოვანი საგადასახადო კოდექსია. ამან, სხვათა შორის, ბევრი რამ უნდა განსაზღვროს – ბიზნესმენების დამოკიდებულება თავ-თავიანთი საქმიანობისადმი, „თეთრი ბუღალტერიის“ დამკვიდრება და რაც მთავარია, საშუალო ფენის ჩამოყალიბება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის აღიარებელი და მსურველი სახელმწიფოს აშენებისთვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

**— ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტი ხშირად კრიტიკის სამიზნე ხდებოდა, იმის გამო, რომ ხმის მიმცემ მანქანად იყო ჩამოყალიბებული და არანაირ პლურალიზმს, ისევ და ისევ რევოლუციური ინტერესებიდან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონდა. ბიუჯეტთან დაკავშირებით ატეხილმა დავაკამათმა ეს წარმოდგენები ერთგვარად შეცვალა. თუმცა მალევე აღმოჩნდა, რომ ის, რასაც პარლამენტის პოზიციას უწოდებდნენ, პარლამენტის თავმჯდომარის პოზიცია იყო, საპარლამენტო უმრავლესობა კი მხარს თურმე, აღმასრულებელ ხელისუფლებას უჭერდა. თავის მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლებაც სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ზურაბ ჟვანია, ანუ ისევ ერთი პიროვნება. ამ ყველაფრის გამანეიტრალებლად კი პრეზიდენტი სააკაშვილი მოგვევლინა...**

— თავისთავად, დავა სხვადასხვა სახელისუფლებო შტოს შორის ცუდი სულაც არ არის, პირიქით, სახელმწიფო წონასწორობას ცივილიზებულ ქვეყნებში სწორედ ამ გზით ინარჩუნებს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, პარლამენტსაც და ხელისუფლებასაც ერთი ადამიანი წარმოადგენს და არანაირ პლურალიზმთან, აზრთა სხვადასხვაობასა და ჯანსაღ კამათთან საქმე არ გვაქვს. სხვათა შორის, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დღევანდელ პოლიტიკურ ანატომიაზეც შეიძლება მსჯელობა. როდესაც ლაპარაკი იყო პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაპირისპირებაზე, მართლაც, ბურჯანაძისა და ჟვანიას დაპირისპირება იგულისხმებოდა. დღეს საქართველოში, ძალაუფლების თვალსაზრისით, ყველაზე მყარი და ძლიერი პოზიცია სააკაშვილს აქვს, შემდეგ მოდის ჟვანია და ყველაზე სუსტი ნინო ბურჯანაძეა. მიუხედავად იმისა, რომ ის ქვეყნის არჩევითი უმაღლესი ორგანოს, პარლამენტის თავმჯდომარეა, როგორც აღმოჩნდა, პარლამენტში საკუთარი ძლიერი და გავლენიანი გუნდი არ ჰყოლია. გამოდის, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს სიები წინასწარ, ხელისუფლებისთვის, უფრო სწორად კი სახელისუფლებო პარტიისთვის სასურველი იმ კანდიდატებით დაკომპლექტდა, რომლებიც პარლამენტში მოხვედრის შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლების სურვილებსა და დაკვეთებს ასრულებენ. ასევე ხელისუფლების სურვილითა და დაკვეთით აირჩიეს თავმჯდომარის პოსტზე ნინო ბურჯანაძეც. ასე რომ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, პარლამენტის შემადგენლობის უმრავლესობამ მხარი არა თავის მიერ არჩეულ თავმჯდომარეს, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებას დაუჭირა ანუ მას, ვისი წყალობითაც მოხვდა პარლამენტში. წინა მოწვევის პარლამენტებშიც ანალოგიური სიტუაცია იყო თუ არ ჩავთვლით, გასული მოწვევის პარლამენტის ბოლო პერიოდს, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა ძალზე ხისტი იყო და ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციათა პოზიციები ხშირად ერთმანეთთან ვერ თავსდებოდა. რა არის მიზეზი?

— თუ ვინმე მშენებლობას პროექტის გარეშე დაიწყებს, მოუწევს მშენებლების შეცვლა, აშენებულის დანგრევა და ახლის დაწყება, რადგან ვერავინ მიხვდება, რა უნდა ააშენოს. ასეთი პროექტი კი, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, შეიძლება ითქვას, ქართულ სინამდვილეში უბრალოდ არ არსებობს. მეორე მხრივ, ძალიან კარგი პროექტიც რომ შეადგინოთ (აღარაფერს ვამბობ ცუდზე), თუ არ გეყოლებათ კარგი მშენებელი, რომელსაც მისი წაკითხვა ეცოდინება, ვერაფერს გააწყობთ. წაკითხვას ვინ ჩივის, წლების მანძილზე ეს „მშენებლები“ საშენ მასალას სახლში ეზიდებოდნენ... დღეს შესაძლოა, კორუფცია ისეთ დონეზე განვითარებული და ფესვგადგმული აღარ არის, მაგრამ ვითარება ანალოგიურია — ჩვენ ისევ არ ვიცით, რას ვაშენებთ და მოწვეულმა მშენებლებმა ისევ არ იციან შენება...

კონკრეტულად ბიუჯეტის შესახებ კამათისას ყველაზე კარგად ჩნდება სახელისუფლებო წრეების ინტერესები და მათი დამოკიდებულება სახელმწიფო მნიშვნელობის მოვლენებისადმი. მომეჩვენა, რომ ბიუჯეტის პროექტში განზრახ იყო ჩადებული ისეთი პუნქტები, რომლებზეც აუცილებლად ატყდებოდა ხმაური, ანუ მათზე ყურადღების გადატანა მოხდებოდა. შემდეგ ხელისუფლება წავიდოდა კომპრომისზე და ამ პუნქტებს ამოიღებდნენ, სამაგიეროდ, სხვა, მათთვის საჭირო და სასურველ მუხლებს გააპარებდნენ. მთავრობას ხომ თავისი ამოცანები და მოვალეობები აქვს, ბუნებრივია, ის ყოველთვის ეცდება ბიუჯეტის პროექტში ჩადებული პუნქტებით ამ მოვალეობათა შესრულება გაიადვილოს. თუმცა ამჟამად საკმაოდ კონსტრუქციული მსჯელობა მიმდინარეობს და ვიმედოვნებ, რომ განხილვების შედეგად ისეთ ბიუჯეტს მივიღებთ, რომელიც ბურჯანაძის ან ჟვანიასათვის კი არა, ქვეყნისთვის იქნება სასურველი და მისაღები. ბიუჯეტზე უფრო მნიშვნელოვანი კი ჩემი აზრით, საგადასახადო კოდექსის რეფორმა გახლავთ, რომელზეც ასევე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა და რომელიც, სხვათა შორის, სწორედ ახლად მიღებულ ბიუჯეტს უნდა დაედოს საფუძვლად. ასე რომ, ამ ეტაპზე ბიუჯეტზე მნიშვნელოვანი საგადასახადო კოდექსია. ამან, სხვათა შორის, ბევრი რამ უნდა განსაზღვროს — ბიზნესმენების დამოკიდებულება თავ-თავიანთი საქმიანობისადმი, „თეთრი ბუღალტერიის“ დამკვიდრება და რაც მთავარია, საშუალო ფენის ჩამოყალიბება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის აღიარებელი და მსურველი სახელმწიფოს აშენებისთვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ჩვენ სახელისუფლებო წრეებში არსებულ დაპირისპირებაზე ვისაუბრეთ, მაგრამ ეს სულაც არ არის მთავარი. პოლიტიკოსებს შეუძლიათ, ხელისუფლებისთვის იბრძოლონ, სხვადასხვა ინტრიგა გააბან, ერთმანეთს ეკამათონ — რასაკვირველია, ცივილიზებულ ფორმებს ვგულისხმობ — ეს ყველა ქვეყანაში არსებობს, მაგრამ ამავე დროს უბრალო ხალხი თავის საქმეს უნდა აკეთებდეს და დარწმუნებული იყოს, რომ მას კანონი იცავს. სწორედ ასეთი საზოგადოების დამკვიდრებაზე უნდა იმუშაოს ყველამ და არა იმაზე, თუ როგორ მოარგონ ესა თუ ის კანონი „დიადი მიზნების“ განხორციელებას. რაც არ უნდა კეთილშობილური იყოს ასეთი განზრახვა, კანონის ასეთ მორგებას, ასეთი მაგალითების შემთხვევაში, სხვაც ეცდება — ოღონდ უკვე არა დიადი, არამედ საკუთარი მიზნების მიღწევისათვის.

**— საქართველოს პრეზიდენტი სომეხ კოლეგას ისეთივე სითბოთი დახვდა, როგორითაც მცირე ხნის წინ უმცროს ალიევს. სადავო არ უნდა იყოს, რომ სომხეთი კავკასიის რეგიონში რუსეთის პლაცდარმად მოიაზრება. როგორც ჩანს, კრემლისა და თბილისის ურთიერთობა ახალ ფაზაში შედის.**

— რასაკვირველია, სომხეთს საქართველოსთან კარგი ურთიერთობა ჰაერივით სჭირდება — გნებავთ, ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეთ. ეს ფაქტორი რუსეთსაც აძლევს ხელს, რადგან ადრე თუ გვიან მას კავკასიასთან განშორება მოუწევს და ასეთ შემთხვევაში, სომხეთთან საგზაო-სატრანსპორტო კავშირის შენარჩუნება მხოლოდ საქართველოს მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

კავკასიურ ურთიერთობებში საქართველოს აქვს ის ბერკეტები, რომლებითაც აზერბაიჯანის დაინტერესებაც შეიძლება და სომხეთისაც.

***დაჩი გრძელიშვილი***

# თბილისობას სხვა ხიბლი აქვს


ძველი თბილისის ქუჩებში სახალხო სეირნობა გაიმართა

ძველი თბილისი, სირაჯხანები, დუქნები უკვე წარსულის კუთვნილებაა. თანამედროვეებს ნაკლებად გვახსოვს მოთქარუნე ეტლები, მეარღნეები, კინტო და ყარაჩოხელი... ძველთბილისური ეშხი შეერწყა და შეეთვისა თითქოს ახალ დროებას.

თბილისობის დღესასწაულსაც სხვა ხიბლი აქვს... წელიწადში ერთხელ, ერთად შეკრებილი თბილისელები ერთმანეთს სიყვარულში უტყდებიან...

ნათქვამია, ყველა დროს თავისი მოაქვსო, წლევანდელი თბილისობა ტრადიციულისგან მართლაც რომ განსხვავებული იყო. თუ ადრე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სარჩო-სანოვაგით ჩამოსულნი თავს იყრიდნენ რიყეზე, ძველი (და ახალი) თბილისის ქუჩებში თბილისელებს ათასგვარ საჭმელ-სასმელს სთავაზობდნენ და პარალელურად თავს იქცევდნენ ნაქეიფარი ქალაქელების ცქერით... დღეს იგი სრულიად განსხვავებულმა, გასართობმა ქართულ-ევროპულმა სანახაობებმა შეცვალეს.

ძველი თბილისის ქუჩებში სახალხო სეირნობა გაიმართა. გუდიაშვილის ქუჩაზე ხელოვნების მოყვარულთათვის მართლაც დღესასწაული მოაწყვეს. ნახატების გამოფენა-გაყიდვაზე ლადო გუდიაშვილის ორი სურათიც იყო გამოტანილი — „ტვინის ჭყლეტა" და „რეაქციული ცენზურის მემორიალის პროექტი".

იქვე, ახლოს, აქამდე მიტოვებულ ეზოში, საგანგებოდ თბილისობისათვის მხატვარ-კერამიკოსებმა ღუმელი ააგეს და მოზეიმეთა თვალწინ მოხატული თიხის ჭურჭლი გამოწვეს.


მხატვარ-კერამიკოსებმა ღუმელი ააგეს და თიხის ჭურჭელიც გამოწვეს

— ჩვენც არ ვიცით, როგორი სახის ჭურჭელს გამოვიტანთ ღუმელიდან — გვითხრა მხატვარმა *ნატა წიკლაურმა*, — ცეცხლი ყოველ ფიგურას თავისებურ ელფერს აძლევს.

**— რა ღირს თქვენი კერამიკული ჭურჭელი ან სუვენირები?**

— 15 ლარი და მეტი...

საუბარში მხატვარი *მალხაზ შველიძე* ჩაერთო:

— ღუმელი აქ არ მოიშლება. გვპირდებიან, ამ შენობასაც კერამიკოსებს გადმოგცემთო.

**— ვინ დაგპირდათ?**

— კეთილ ძიებს რა გამოლევს...

დღესასწაულმა არც წიგნის მოყვარულები „დაჩაგრა" — ძვირად ღირებული ლიტერატურა, რომელიც ფასის გამო მხოლოდ მაღაზიის თაროებზე შეიძლებოდა გენახათ, იმ დღეს 50-60%-ით იაფად იყიდებოდა. სახელდახელოდ გამართულ სცენაზე მუსიკოსები ყოველგვარი „ფონოტყუილის" გარეშე მღეროდნენ.


ერეკლეს ქუჩაზე ჭრელაჭრულა ქართულ-კავკასიური ხალიჩები გამოფინეს

...ერეკლესა და შარდენის ქუჩებზე ქართულ, კავკასიურ ხალიჩებს შორის დააბიჯებენ უცხოელები. ერთი თურქი მამაკაცი საყვირების გამყიდველს მიუახლოვდა, რომელსაც თავზე სასაცილო, ფერადყურებიანი ქუდი ჩამოეფხატა, ცხადია, ყმაწვილების ყურადღების მისაქცევად. უცხოელი აშკარად შესანიშნავ გუნებაზე იყო. საყვირებს ჩაბერა, მერე გამყიდველს, მხარზე ხელი დაჰკრა... თუმცა არაფერი უყიდია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, საყვირების გამყიდველი ერთადერთი არ არის ჩვენი თანამემამულეებისგან, ვისთვისაც ყოველი დღე, მათ შორის დღესასწაულიც, მხოლოდ თავის გადარჩენაზე, ოჯახის რჩენაზე ფიქრითაა სავსე.


საყვირების გამყიდველი ფერადყურებიანი ქუდით ცდილობდა გამვლელების ყურადღების მიქცევას

განსაკუთრებით ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა გამოფენას — XX-XX საუკუნის კავკასიური სახეები. ძველი, გაცრეცილი ფოტოები ისეთი სიმშვიდით დაგვყურებდნენ კედლებიდან, რომ ყოველდღიური ქაოსით ნერვებდაწყვეტილ თბილისელებს შეიძლება ზღაპრის გმირებადაც მოსჩვენებოდათ. ერთი ასაკოვანი ქალბატონი თავად გამოგველაპარაკა:

— ხედავთ, რა სახეები აქვთ? ასეთი იყო ბებიაჩემიც. მეზობელთან უჩიხტიკოპოდ არ წავიდოდა. თუ სტუმარს ველოდით, ზედ მარგალიტის შუბლის ქინძისთავს იმაგრებდა... აი, ნახეთ, რა ვაჟკაცია! როგორი აწკეპილი ულვაშები აქვს... მისი წელი „მუჭში" ჩაეტევა. ეჰ, ამათ დღევანდელები რომ ენახათ...

„დღევანდელები" ამაზე ფიქრის გარეშეც შესანიშნავად გრძნობდნენ თავს. ფეხის წვერებზე აწეულები უყურებდნენ შარდენის ქუჩაზე მოსეირნე მიხეილ სააკაშვილსა და სომხეთის თავკაცს ქოჩარიანს... საქართველოს პრეზიდენტი გულმოდგინედ ცდილობდა მთავრობის წევრებთან ერთად ხალხთან ახლოს მისულიყო.

ზურაბ ჭიაბერაშვილი სადღესასწაულო განწყობითა და ბახუსმორეული ტრამვაის საჭესთან შეხვდა თბილისობას. ეს დღე თავადაც დაამახსოვრდა და თბილისელ ბავშვებსაც დაამახსოვრა თავი.

როგორი იყო ძველი თბილისობა და როგორია წლევანდელი — ევროპული ელფერის მქონე? — იმ დღეს ეს კითხვა ბევრ თბილისელს გაუჩნდა.

*ნათია გურგენიძე*, 16 წლის: — თბილისობა ჩემთვის ზოგადი ცნებაა, არც მახსოვს, როგორი იყო ადრე. მთავარია, გავერთო და მოვილხინო.

*ირმა ნატროშვილი*, 30 წლის: — ეს დღე საშინლად მახსენდება. მახსოვს მწვადების როგორი ოხშივარი იდგა თბილისის ქუჩებში. ჩინოვნიკები როგორ ილიმებოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა შევარდნაძე გვერდით ჩაუვლიდა. ალბათ ყველა დროს თავისი მოაქვს...

*თინა მელაძე*, 70 წლის: იცით, ძალიან მსიამოვნებდა თბილისობა. მაშინ შეღავათიან ფასებში ვყიდულობდი სხვადასხვა პროდუქტს. თითქმის მთელი წლის მარაგი მქონდა. ჩემთვის კი ეს არის მთავარი. ისე, რაღა დროს ჩემი გართობაა.

კომპოზიტორმა *კახა ცაბაძემ* განსაკუთრებული სიხარულით გაიხსენა ძველი დროის თბილისობა, როცა მამამისი, გოგი ცაბაძე, მორის ფოცხიშვილი და ბუბა კიკაბიძე, თბილისის ძველ უბნებში ეტლით შემოდიოდნენ — „ნაღდი, ჭეშმარიტი ხელოვნება სწორედ მაშინდელ თბილისობაში გამოიხატებოდა. მამა დიდი სიხარულით ხვდებოდა ამ დღეს და თვლიდა, რომ იგი ამ მშვენიერი ქალაქის შვილი იყო. წელს გოგი ცაბაძეს 80 წელი შეუსრულდა.

თბილისელობა ამავდროულად დიდი წოდება, მოვალეობა და გარკვეულწილად პატივიც არის. ერთი სიტყვით, ცხოვრების წესია. ბედნიერი ვარ, რომ თბილისელი ვარ".

**ლელა ჯიყაშვილი**
**თეა ცაგურიშვილი**

# გემო ქართულ თიხას, წყალს და ჰაერს აქვს...


წვერგაუპარსავი მეპურე რომ დავინახო, მოვკვდები და იმის გამომცხვარ პურს არ შევჭამ

უხსოვარი დროიდან არსებობს ქართული თონეები, — გამძლე თიხით ნაგები. ქვით, წალმით, აგურითა თუ აყალოთი შემოღობილი... დედაქალაქმა ყველა კუთხის თონე „შემოიკრიბა" და თბილისში თონის მადლი და სურნელი ტრიალებს... არცთუ იშვიათად კი ახალგაზრდა მცხობელსაც შეხვდები, რაც მოულოდნელად კარგ ხასიათზე გაყენებს. ზოგან პური დალოცვილ ნაკვერჩხალზე ცხვება და ძველი მეპურეც თონესავით თბილად გისტუმრებს: — ამ პურივით დალოცვილმა იარეო...

მეც ხშირად დავდივარ ერთ ასეთ თონეში:

**— ბატონო ოთარ, როცა კი თქვენთან პური მიყიდია, ყოველთვის თბილი სიტყვა გამოაყოლეთ, სულ ასეთ ხასიათზე როგორ ხართ?**

— ცუდია, რო!.. იმდენი დარდი დააქვს ამ ხალხს, რა მოხდება, ერთიორი კეთილი სიტყვით გაახარო...

**— წარმომიდგენია, რამდენი ადამიანი გაგისტუმრებიათ კარგ ხასიათზე...**

— მაგას განა ვითვლი? დიდი ხანია პურს ვაცხობ. 14 წლიდან...

**— მაგ ხნისას თონე ვინ განდოთ?**

— თავად ვინდე. ბებია აცხობდა რაჭაში. სულ თონეში ვიყავი ჩაყუდებული. პურს რომ მოზელდა, გობთან არც მიმაკარებდა და იმას როგორ გავუბედავდი, გამომაცხობინე-მეთქი. ამიტომ ერთხელაც, სახლიდან შორს რომ გავიგულე, მოვათრიე ფიჩხი და თონეში ჩავყარე. მთელი ცხვირ-პირი ამეტრუსა, მაგრამ ცომი მაინც ყოჩაღად მოვზილე. ბებიაჩემს თონეში გადაკიდებული დავხვდი, უკვე პურს ვილებდი. ისე გაუხარდა, ნაკვერცხლებში რომ არ ჩავემხე, ხმა არ გაუღია.

**— რაჭველები კარგ მეპურეებად რატომ ითვლებით...**

— დინჯები ვართ და იმიტომ, პურს დინჯად უნდა გამოცხობა. ნახევარი წუთი რა არის, ეს ნახევარი წუთი რომ დააკლო, მორჩა. პური აღარ ვარგა, გემოს კარგავს!..

**— ნეტა, მაგ ნახევარ წუთს ვინ ითვლის...**

— კაცო, მეპურემ უნდა დათვალოს. ისედაც ფქვილი ისეთი აღარ არის, ადრე რომ იყო, რაც შეგიძლია, ის მაინც უნდა გააკეთო. კაცს აჭმევ, ცოდო არ არის?

**— თქვენსავით ყველა რომ ფიქრობდეს...**

— იცი, რას გეტყვი? კარგმა მეპურემ ცუდი ფქვილი არ უნდა მიიღოს. თუ დაკვირვებიხარ, ცუდი, წებოსავით პური ძირითადად ქარხნებში ცხვებოდა... ჯერ ერთი, თონე უვარგის ფქვილს ვერ იტანს, — პური კუტდება, მეორეც, მეთონეები მაინც სინდისიანი ხალხი ვართ... წესიერ კაცს ხომ გაუსკდებოდა გული საკუთარი ხელით ადამიანისთვის ამდენი შხამი რომ მიეცა... არ ვიღებდით ცუდ ფქვილს და მორჩა... ყველა ასე რომ მოქცეულიყო, არც შემოიტანდნენ, განა კარგი ფქვილი არ იშოვებოდა? — ფულის ჯიბეში ჩადებაზე იყო საქმე!..

**— შესახედავად თუ ეტყობა ფქვილს, როგორი პური გამოცხვება?**

— აბა რა! გახსნი თუ არა, მაშინვე მიხვდები! ახლა რაღაც ვიტამინების დამატება დაიწყეს ფქვილში — პურს გული რომ არ გამოუშრესო. რა ვიტამინი უნდა, მოზილე წესიერად და თუ გინდა, ერთი კვირა არ გახმება! ბებიაჩემი პურის ცხობას ერთი წუთით არ შეაჩერებდა, ქვეყანაც რომ დაქცეულიყო... ცომის მოზელის წინ ხელებს ნახევარი საათი იბანდა და თავზე სუფთა თავსაფარს იხურავდა, თითქოს წმინდა ადგილთან მიდისო... სხვანაირად არ შეიძლება, — პური ღვთის მოცემულია. ჭუჭყიან ტანსაცმელში გამოწყობილი ან წვერგაუპარსავი მეპურე რომ დავინახო, მოვკვდები და იმის გამომცხვარ პურს არ შევჭამ.

**— ამდენ ცომს ხელით როგორ ზელთ?**

— დამიჯერე, ვერც ერთი მანქანა ვერ გააკეთებს ისე ზუსტად და „გემრიელად" საქმეს, როგორც ხელი.

**— დღეში იმდენ კაცს ისტუმრებთ, დევის ძალა გქონიათ...**

— გამოცდილებაც მშველის. თუ იცი, როგორ უნდა მოზილო, აღარ გიჭირს. აბა, ცომი ხელზე თუ მოგეკრა და ველარ მოიცილე, დღეში ერთ სათონე ფქვილსაც ვერ მოზელ... ისე, როგორც მოზელის დრო, წყალიც წვეთობით უნდა იანგარიშო. გამოცდილი მეპურე თვალით ატყობს, რამდენი წყალი სჭირდება ფქვილს. პურის წონასაც ხელით ვხვდები. ერთ საპურე ცომში გრამს არ მოვეტყუვდები...

**— და რამდენი გრამი უნდა იყოს ლავაშის ცომი...**

— გამომცხვარი ლავაში 500 გრამს უნდა იწონიდეს. მაგრამ ცომიც რომ ამდენივე აიღო, 150 გრამს დაიკლებს. თუ სინდისი გაქვს, 650 გრამი უნდა ჩაჭრა, თუ არა — 500. ვერ შეგედავებიან, იტყვი, ზუსტი წონა გამოვაცხეო.

**— ტყუპისცალივით ერთი ფორმის შოთები როგორღა გამოგდით?**

— ეგეც ხელის საქმეა...

**— გამიგია, რომ უცხოეთში გახსნილ ქართულ თონეებში პური ისე გემრიელი არ გამოდის, როგორც ჩვენთან. რატომ?**

— არც გამოვა. იმიტომ, რომ გემო ქართულ თიხას აქვს, ქართულ წყალს და ჰაერს... იქ ამას სად იშოვიან.

**— თბილისში ძველი თონეები სად დარჩა?**

— თითო-ოროლა დარჩა ავლაბარსა და ორთაჭალაში...

**— გული არ გწყდებათ, ძველი მეპურეებივით კოლორიტული ბევრი რომ აღარ არის?**

— როგორ არ მწყდება! თუმცა კარგ მეპურეს რა გამოლევს. ერთი მეგობარი მყავს, საბურთალოზე თონეში პურს აცხობს, ახლა ღამღამობით გოჭებსაც წვავს. მთელი უბანი იცნობს, მიიტანენ გოჭს, მიაყოლებენ ღვინოს და ღამეს ერთმანეთის დღეგრძელობაში ათენებენ. ჰოდა, ამ ქეიფში რამდენჯერმე დაეწვა თურმე გოჭი, ერთხელ არ გადაახდევინეს! — გაჭირვების დროს შენგან იმდენი სიკეთე გვახსოვსო... მართლა, გული იცი, რაზე მწყდება? — ქართველები პურს პატივს ძველებურად აღარ ვცემთ... სადღა არ მინახავს პური დაყრილი. შე დალოცვილო, რას აგდებ ამ ნაშრომ-ნაწვალებს? ჩანთა ხომ გაქვს, აიღე, ჩადე და მემაწვნეს მაინც დაუგროვე, პირუტყვს აჭმევს. პური მადლია, მადლს ნუ დავკარგავთ, თორემ ჩვენც დავიკარგებით...

**ეთერ ერაძე**

# ერგნეთის ბაზრობა მოკვდა... კონტრაბანდა?!

## ახალი ხვრელები საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ

საქართველოს ხელისუფლება თავს იწონებს ერგნეთის ბაზრობის გაუქმებითა და ცხინვალიდან შემომავალი კონტრაბანდის აღკვეთით, თბილისის ბაზრები კი კონტრაბანდული საქონლით მაინც ივსება.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: განუბაჟებელი საქონელი ისევ ცხინვალის ტერიტორიიდან შემოდის, ოღონდ არა ერგნეთიდან. ამას სამართალდამცავი სტრუქტურებიც აღიარებენ. ისინი ამბობენ, რომ ამ რეგიონში კონტრაბანდის დამარცხებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ამ მოსაზრების მართებულებაში თბილისის ბაზრობებზე გასული კაცი იოლად დარწმუნდება. აქ, როგორც წინა ხელისუფლების დროს, ანუ ერგნეთული კონტრაბანდის გაფურჩქვნის ხანაში, იყიდებოდა სხვადასხვა სახის უაქციზო თუ რუსულაქციზიანი პროდუქცია, ისევ ისე იყიდება. ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გზების აფეთქების ტალღამ კონტრაბანდის ბიზნესს თავიდან გზა მოუჭრა, მაგრამ მავანთა გაუმაძღრობამ ახალი ხვრელების ძიებას დაუდო საფუძველი, მაშინ, როცა ქვეყნის




ერგნეთის ბაზრობაზე კაცის ჭაჭანებაც არ არის, მაგრამ...

მთავარი სტრატეგიული ამოცანა ცხინვალელი სეპარატისტებისათვის შემოსავლის გადაკეტვაა, ზოგიერთი ქვეყნის ინტერესებს არად დაგიდევს და ძველი დინებით მიდის... რედაქციას შეატყობინეს, რომ ცხინვალიდან კონტრაბანდა ისევ მოედინება.

რატომ ვერ ახერხებენ (ან არ ახერხებენ) სამართალდამცველები ცხინვალიდან გამოსული კონტრაბანდის სრულად დაჭერას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად „კვირის პალიტრა" ცხინვალის რეგიონს ეწვია. აქ მთელი სამი დღის მანძილზე ვცდილობდით კონტრაბანდისტების საქმიანობის ლაბირინთებში გარკვევას.

ჟურნალისტური მოკვლევის ჩასატარებლად ცხინვალის რეგიონი დღეს არცთუ ისე სახარბიელო ადგილია. როგორც კი გორიდან ცხინვალის მიმართულებით გადაუხვევთ, აქ შექმნილი დაძაბული ატმოსფერო მაშინვე იგრძნობა. გზაში ან ქართველი ჯარისკაცები გაჩერებენ, ან რუსი სამშვიდობოები და მგზავრობის მიზანს კითხულობენ. მარშრუტის ბოლო გაჩერება ცხინვალის მისადგომებია, იქ, სადაც ადრე ერგნეთის ბაზრობა იყო განთავსებული. ამის იქით წასვლა მხოლოდ სამთავრობო დელეგაციას თუ შეუძლია. რაც შეეხება ერგნეთის ბაზრობას, აქ სავაჭრო ჯიხურები როგორც იდგა, ისევ ისე დგას. ოღონდ იქ კაციშვილი არ ჭაჭანებს. მხოლოდ ორი ქალი ვაჭრობს სიგარეტებით, ოღონდ ისინი ქართულაქციზიანია, ანუ კონტრაბანდას არ წარმოადგენს. იქვე ორიოდე მამაკაცი უცხოური ვალუტით სპეკულაციას ეწევა. თუმცა, როგორც ჩანს, კლიენტები მაინცდამაინც არ აწუხებენ. ასე რომ, რამდენიმე გამყიდველი ბაზრობაზე ამინდს ვერ ქმნის. ერთი სიტყვით, ერგნეთის ბაზრობა მკვდარია. აქ მდგომი ქართველი პოლიციელების თქმით, კონტრაბანდის ძებნა ერგნეთში უაზრობაა, რადგან კონტრაბანდისტებმა სრულიად სხვა არხები აამუშავეს. „საამისოდ უამრავი გზა მაინც არსებობს, — ამბობს იქვე მყოფი ფინანსური პოლიციის წარმომადგენელი, — ზოგს ყაჩაღების გზა ჰქვია, ზოგს — ვაჭრებისა. ყველას თავისი სახელი აქვს. ერთმანეთთან კი ის აერთიანებთ, რომ ყველა ცხინვალიდან გამოდის და მათი სრულად გადაკეტვა ჯერჯერობით შეუძლებელია". „ვიდრე გზებს ააფეთქებდნენ, — გვითხრა ერთ-ერთმა პოლიციელმა, — კონტრაბანდისტებს სხვა გზები გაჰყავდათ, ტვირთი რომ გაეტარებინათ. მერე კი, როცა აფეთქებები დამთავრდა, ის ადგილებიც ამოავსეს. ასე რომ, შემოვლითი გზების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა..."

როგორც ირკვევა, კონტრაბანდის არსებობის მთავარ პირობად მაინც ადგილობრივი მცხოვრებლების განწყობა რჩება. ისინი, როგორც წესი, ამ საკითხს პრობლემად არ აღიქვამენ.

**გურამ იასაღაშვილი**, ადგილობრივი მცხოვრები: — კონტრაბანდა, კონტრაბანდაო, რომ გაიძახით, იმას რატომ არ წერთ, ეს კონტრაბანდა რომ არ იყოს, რით უნდა ვირჩინოთ თავი?

— **კი, მაგრამ კონტრაბანდის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება?**

— ცხოვრება როგორ არ შეიძლება, შვილო, მაგრამ ამას თბილისიდან უნდა მოხედვა. რა ქნას ამ ხალხმა? წელს ვაშლის მოსავალი მოვიდა ისეთი, ავ თვალს რომ არ დაენახვება. ჩემს ბაღში მარტო ერთ ხეზე მოწეული ვაშლი ნახევარ ბაზარს გაავსებს. ჯერაც არ მომიკრეფია. რომ მოვკრიფო, რა თავში ვიხალო? ადრე რუსეთში გაგვქონდა და კარგადაც ვცხოვრობდით. დღეს ეს გზა გადაიკეტა. ვაშლი თბილისში რომ ჩამოვიტანოთ, იმდენი დაჯდება, გაყიდვას აზრი აღარ ექნება. ისღა დაგვრჩენია, გადავყაროთ. ჰოდა, ადგა ეს ხალხი და ვაჭრობა დაიწყო.

— **ერგნეთის ბაზრობა ხომ დაიკეტა, სადღა ვაჭრობენ?**

— თქვენ თვითონ გაარკვიეთ. ძნელი არ იქნება.

კონტრაბანდის ძებნა ერგნეთში შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ დასახმარებლად გორში მცხოვრებ ნაცნობებს მივმართე. მათი თქმით, კონტრაბანდული ბიზნესი ცხინვალის რეგიონში უკიდურესად კონსპირაციულად მიმდინარეობს. თუმცა მისი გამოვლენა შესაძლებელია.

— **საიდან შემოდის ერგნეთის ბაზრობის დაკეტვის შემდეგ საქონელი?**

— მაგაზე ადვილი რა არის? ცხინვალს აქეთ განლაგებული ქართული სოფლების მცხოვრებლები ღამით გადადიან ცხინვალში და საქონელი გადმოაქვთ. აქვს ეს საქონელი არცევ-ელ ან ტყვიაველ კაცს შინ დაწყობილი და ნელ-ნელა ყიდის. ეს არის სულ ამ კონტრაბანდის ანაბანა. თუ გინდა, მიგიყვან და განახვებ, როგორ იყიდება საქონელი, ოღონდ ვითომ შენ თბილისიდან ჩამოსული ვაჭარი ხარ და მხოლოდ საქონელი გაინტერესებს...

მეორე დილით ცხინვალის ახლოს მდებარე სოფელ კარალეთს მივადექით (კონტრაბანდით მოვაჭრის სახელებს არ ვასახელებთ, რადგან როგორც აღმოჩნდა, აქ ამას მასობრივი ხასიათი აქვს და ერთი ადამიანის დასახელებით არაფერი შეიცვლება. — დ. დ.). უცხო სტუმარს მასპინძელი გამომცდელად მიყურებს, მაგრამ ჩემს თანმხლებთა დანახვაზე წყნარდება. თავს თბილისელ ვაჭრად ვაცნობ. მასპინძელი მეკითხება, რა საქონელი გაინტერესებსო, თუმცა რჩევასაც მაძლევს, — თუ პირველად ხარ ამ საქმეზე და გზები არ იცი, აუცილებლად ჩავარდები. მე უბრალოდ გაფრთხილებ. კიდეც რომ თქვა, ვისგან იყიდე, არ მეშინია. ისევ შენ დაზარალდები.

— **ვიცი და რამდენიმე გამცილებელიც მეყოლება. დღეს საქონლის საყიდლად არც მოვსულვარ. მაინტერესებს რა „ტავარის" შეძენაა აქ შესაძლებელი.**

— მე სიგარეტის და „კალბასების" შემოთავაზება შემიძლია. ისეთმა ხალხმა მოგიყვანა, დაგეხმარები. ჩემს მეზობლებსაც გაგაცნობ და მათთანაც ივაჭრებ.

— **მათ რა საქონელი აქვთ?**

— ყველაფერი, რაც ადრე იყო(?!). ოღონდ ეს არის, აქ ნარკოტიკებზე არავინ ვაჭრობს. არც შენ ჰგავხარ ამით დაინტერესებულ კაცს.

— **მაინც რისი ყიდვა შემიძლია?**

— სიგარეტის, პროდუქტისა და სპირტის. ბენზინის შოვნაც შეიძლება, მაგრამ წინასწარ უნდა გვითხრა, რომ გადავიდეთ და შემოვიტანოთ.

— **ანუ ჯერ დაკვეთებს იღებთ. შემდეგ გადადიხართ ცხინვალში და გადმოგაქვთ?**

— აბა, როგორ? შინ ცოტა საქონელს თუ ვიტოვებთ. ამიტომ გითხარი, თუ დაგიჭერენ, მე ვერაფერს დამაკლებენ-მეთქი.

— **მეც რომ გადამიყვანოთ ცხინვალში და ჩემი ხელით ამარჩევინოთ საქონელი, არ შეიძლება?**

ამ შეკითხვით, ფაქტობრივად, თავი გამოვიაშკარავე. რიგით მუშტარს ცხინვალში შესვლა არ უნდა აინტერესებდეს, მაგრამ ჩვენმა მასპინძელმა ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია:
— იქ უცხო ადამიანის შესვლა შეუძლებელია, გუბერნატორსაც კი ახვეწნინებენ ხოლმე.

— **აბა, თქვენ როგორღა გადადიხართ?**

— ჩვენ აქ დავიბადეთ და გავიზარდეთ. ოსებს ვიცნობთ და გვენდობიან. თანაც, ისინიც დაინტერესებული არიან, რომ ივაჭრონ, თორემ სული გასძვრებათ შიმშილით, ჩვენზე უარეს დღეში არიან. ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ, ოღონდ კონტრაბანდა არსებობდეს. თქვენ რომ დაგინახონ და რაიმე საეჭვოდ მოეჩვენოთ, შეიძლება მესროლონ კიდეც.

— **ბენზინი რომ ვიყიდო, რამდენის შოვნა შეგიძლიათ?**

— ბენზინით ვაჭრობას არ გირჩევთ. ძნელი კი არ არის — სამხიდიან „ზილის" დაიქირავებ და თუნდაც ლიახვის კალაპოტით გაიტან.

(გაგრძელება იხ. გვ. 6)

# ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ექსპორტი

## „თბილავიამშენმა" „სკორპიონი" 10 მლნ დოლარზე მეტად გაყიდა




„თბილავიამშენის" ხელმძღვანელობა და მასპინძელი მხარის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა თურქმენეთის ამოსაცნობ ფერებში გადაღებილი „სკორპიონის" ფონზე. სამხედრო ბაზა „აქტეპე", 2004 წლის 21 ოქტომბერი

„უჰ, შენი დედა!" — რუსულად წამოიძახა განცვიფრებულმა თურქმენმა პილოტმა „სკორპიონის" კაბინაში პირველად ჩახედვისთანავე...

ეს იყო თურქმენეთის კუთვნილი „სკორპიონი", რომელიც 20 ოქტომბერს, ქართველმა მფრინავმა „თბილავიამშენის" აეროდრომიდან ორიოდ საათში თურქმენეთის დედაქალაქ აშგაბატთან ახლოს, „აქტეპეს" საჰაერო ბაზაში ჩააფრინა.

„კვირის პალიტრას" მიეცა ექსკლუზიური შესაძლებლობა, ყოფილიყო ამ მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე — საქართველომ 21-ე საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული საექსპორტო გარიგება განახორციელა — ერთი თვითმფრინავი 10 მლნ დოლარზე მეტად გაყიდა (კომერციული საიდუმლოებიდან გამომდინარე, თავს შევიკავებთ ზუსტი თანხის დასახელებისგან, თუ რა ფასად შეიძინა თურქმენეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენისგან" „სკორპიონი").

იმის გამო, რომ ათიოდე წლის წინ, წამგებიანი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგად, საქართველოს დაუგროვდა თურქმენული გაზის ვალი — თითქმის 30 მლნ დოლარი, „თბილავიამშენი" მის დაფარვაზე მუშაობს და „სკორპიონის" სანაცვლოდ, რეალურ მილიონებს საქართველოს ბიუჯეტი ვერ მიიღებს. უფრო სწორად, მიიღებს ამ თანხას, მაგრამ იმავე დღეს უკან გადაურიცხავს თურქმენეთს, ხოლო „თბილავიამშენს" თავისი წილი საქართველოს ბიუჯეტიდან გამოეყოფა.

თვითმფრინავმშენებლობის განადგურებას საქართველოში ისევ ეს სჯობს, მით უმეტეს, რომ „თბილავიამშენის" ხელმძღვანელობამ მოახერხა თურქმენული მოიერიშეების კაპიტალური რემონტის შეკვეთის წამოღება. არადა ამ შეკვეთაზე გამალებით „ნადირობდნენ" უმუშევრად დარჩენილი რუსული და ბელორუსული საავიაციო ქარხნები.

ბოლო ორი წლის განმავლობაში „თბილავიამშენმა" 46 ცალი თურქმენული Су-25-დან 43 გაარემონტა, ამასთან, ქართველმა სპეციალისტებმა დაიწყეს თურქმენების საბრძოლო Ми-24-ებისა და სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 ტიპის შვეულმფრენების შეკეთებაც. კაპიტალურად გარემონტებული 6 შვეულმფრენი „თბილავიამშენიდან" უკვე გადაფრინდა თურქმენეთში.

„აქტეპეს" სამხედრო-საჰაერო ბაზაზე ყოფნისას ჩემი ყურადღება მიიქცია ამ აეროდრომზე დახვავებულმა საავიაციო ტექნიკამ, მათ შორის გამანადგურებელი — გზაგადამჭრელი МиГ-25-ები და გამანადგურებელი МиГ-23-ებიც იყვნენ. თუმცა საფუძვლიანი დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ისინი მხოლოდ ჯართად თუ ივარგებენ. ავღანეთიდან გამოსულმა საბჭოთა ჯარებმა მის მეზობელ თურქმენეთში ტექნიკის დიდი ნაწილი დატოვეს. ასე რომ, ამ ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაში 300-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავი და შვეულმფრენი დარჩა.



ფოტო ავტორისა

თურქმენმა აქსაკალმა თანამემამულე პილოტს „სკორპიონის" მშვიდობიანად ჩაყვანა მიულოცა, მაგრამ ეს მედიისთვის დადგმული სპექტაკლი გახლდათ, რადგან „სკორპიონი" თურქმენეთში სინამდვილეში ქართველმა პილოტმა ჩააფრინა

ამ ჯართად ქცეული თვითმფრინავების ფონზე ძალზე მომხიბვლელად გამოიყურებიან ახლად შეღებილი და გარემონტებული Су-25-ები, რომლებსაც გვერდი დაუმშვენა უახლესმა Су-25КМ „სკორპიონმაც". სულ რამდენიმე თვის წინ ეს „სკორპიონიც" იმ ნახსენებ ჯართს ჰგავდა.

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

მოისმინეთ ამერიკის ხმის
გადაცემები ქართულ ენაზე
ყოველდღიურად 19:30-დან 20:00
საათამდე "მთავარი რადიოს"
და "რადიო 2-ის" ტალღებზე
MORE >
www.VOAnews.com

# დავით აღმაშენებელს 30 მილიონი მოჰპარეს!..

## ყველაზე ძვირი კვარცხლბეკების ქალაქი



დავით აღმაშენებლის ქანდაკება, რომელიც ყველაზე ძვირად ღირებულია საქართველოში არსებულ ქანდაკებათა შორის, მრავალწლიანი დაპირისპირების, სასამართლო პროცესებზე მსჯელობის საგანი და, თქვენ წარმოიდგინეთ, კორუფციის წყარო აღმოჩნდა. დიდი ქართველი მეფის ძეგლი 4 მილიონი დოლარი დაჯდა(?!). აქედან ორი მილიონი მერაბ ბერძენიშვილის პირადი ჰონორარია. და კიდევ ერთი ნიუანსი: მიუხედავად იმისა, რომ ძეგლის ასაგებად ქართველმა ხალხმა საკუთარი ჯიბიდან მილიონობით ლარი გაიღო, „აღმაშენებლის“ საფასური მერიას ჯერაც არ გადაუხდია.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულებით, დავით აღმაშენებლის ძეგლის მშენებლობა სახალხო მშენებლობად გამოცხადდა. გადაწყდა, რომ ძეგლის ასაგებად საჭირო თანხები ამოღებულიყო რესპუბლიკის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან (5 პროცენტის ოდენობით). სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისთვის, რომლებიც ბიუჯეტთან ურთიერთობას ფიქსირებული გადასახადით ახორციელებდნენ, დროებით დაწესდა დამატებითი გადასახადები. ასევე, დამატებითი გადასახადები დაუწესდა თითქმის ყველა ობიექტს (დაკავებული ფართის გათვალისწინებით). „დავით აღმაშენებლის“ ფონდში ფულის ჩარიცხვა დაევალათ საცხოვრებელი ბინების წინ მოვაჭრეებს, მენაყინეებს, ტაქსების მძღოლებს. გადასახადი დაწესდა საცხოვრებელ ბინებში სავაჭროდ გამოჭრილ თითოეულ სარკმელზეც. ასეთი მასობრივი ღონისძიებების შედეგად საკმარისზე მეტი თანხა მოგროვდა, მაგრამ მის ასავალ-დასავალს დღემდე ვერავინ მიაკვლია. რადგან ძეგლის მშენებელთათვის მისაცემ თანხებს მერია დროულად ვერ ისტუმრებდა, ქანდაკების კომბინატის მუშებმა საქმის გასარკვევად პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს მიმართეს. ჩატარებული მოკვლევის მიუხედავად, ოფიციალური და ზუსტი პასუხის მიღება ვერ მოხერხდა. მოძიებული დოკუმენტაციის თანახმად, სულ მცირე 30 მლნ ლარი შეგროვდა. ამ თანხიდან მერიამ, როგორც მისი ჩინოვნიკები ირწმუნებოდნენ, 450 ათასი ლარი მიიღო, რაც მთლიანად გადაურიცხა კიდეც ქანდაკების კომბინატს. სად გაქრა 29 მილიონი ლარი, რომელიც დიდი ქართველი მეფის ძეგლის ასაგებად მაშინ უკვე გაჭირვებულმა მოსახლეობამ გაიღო, უცნობია. ამ საქმესთან დაკავშირებულ პირებს კი, რომელთაც წესით. თანხის ასავალ-დასავალი უნდა სცოდნოდათ, დროებითი „გულმავიწყობა“ დაემართათ და აღარაფერი ახსოვთ. უმეტესობა აცხადებს, რომ საქმესა და ფონდთან სრულიად არაფერი აკავშირებს. ბოროტი ენები კი ამბობენ, რომ ხსენებული თანხა მაშინდელ არჩევნებში დაიხარჯა, მმართველი პარტიის, „მოქკავშირის“ სასარგებლოდ. სად ან როგორ დაიხარჯა ეს ფული, შესაბამის ორგანოებს ჯერ კიდევ 7 წლის წინ უნდა გაერკვიათ, მაგრამ ამით თავი არავის შეუწუხებია და არც ახლა იწუხებენ(!). ქანდაკების კომბინატი, მერაბ ბერძენიშვილი და მერია კი ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს, რადგან მერია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებს დღემდე არ იხდის.

1995 წლის 6 დეკემბერს ქანდაკების კომბინატსა და მერიის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმის შესახებ. თავდაპირველად საორიენტაციო ღირებულება 1.989.838 აშშ დოლარით განისაზღვრა (მოქანდაკის ჰონორარის გარდა). ხელშეკრულებით სამუშაოს შესრულება ოთხ ეტაპად უნდა წარმართულიყო. პირველი სამი ეტაპი ხელშეკრულების შესაბამისად შესრულდა, მერიას თანხაზე უარი არ უთქვამს. რაც შეეხება მეოთხე ეტაპს (იგი ითვალისწინებდა ავტორისთვის და ქანდაკების კომბინატისთვის გაწეული მუშაობის საფასურის გადახდას, რაც ჰონორარის 20%-ს შეადგენდა), დამკვეთმა — თბილისის მერიამ უარი განაცხადა ძეგლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელის მოწერაზე და უარი თქვა თანხის ანაზღაურებაზე. სწორედ აქედან დაიწყო დაპირისპირება მერიასა და ძეგლის შემქმნელთა შორის, რომელიც აგერ უკვე მეშვიდე წელს ითვლის.

შეხლა-შემოხლის შემდეგ მერიაში მოულოდნელად ძეგლის მხატვრულ ღირსებებზე ალაპარაკდნენ. მერიის შესაბამისმა სამსახურებმა აღმოაჩინეს, რომ „ფეხმოკლე, უნალო, უაღვირო და თემურ წიკლაურს მიმსგავსებულ“ სკულპტურაში ამდენი ფულის გადახდა არც ღირდა და რომ მერიის ბიუჯეტი ასეთ ძვირ პროექტს უბრალოდ ვერ გასწვდებოდა. საინტერესოა, რომ მერიას ეს ფაქტი არ გახსენებია მაშინ, როცა ბერძენიშვილსა და თბილისის ქანდაკების კომბინატს ხელშეკრულებას უფორმებდა. ქალაქის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე კი დაჟინებით ამტკიცებდა, ძეგლის ღირებულება არც მეტი, არც ნაკლები, 10.000 დოლარი თუ იქნებაო. საინტერესო დეტალები იკვეთება კვარცხლბეკის ღირებულებაზეც. იგი ლამის ძეგლზე ძვირი — ერთი მილიონ 330 ათასი ლარი დაჯდა(?!). საინტერესოა ისიც, რომ მერიამ კვარცხლბეკის თანხა სასწრაფოდ აანაზღაურა — ძეგლისა კი დღემდე არ გადაუხდია (ისმის კითხვა: რატომ?). საქმე ის გახლავთ, რომ მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელობა კვარცხლბეკების ღირებულების განაწილებით თავადაც კარგად ხეირობდა, გამოყოფილი თანხის ნაწილი სწორედ მათ ჯიბეებში ილექებოდა. როგორც ირკვევა, ანალოგიური წინადადებით თავის დროზე ქანდაკების კომბინატსაც მიმართეს. იქ ასეთ გარიგებას არ დათანხმდნენ, სამაგიეროდ, კომბინატს თანხა დღემდე არ მიუღია. მეტიც, 2004 წლის თბილისის ბიუჯეტში ქანდაკების კომბინატისთვის გადასახდელი დავალიანება გათვალისწინებული არ არის და ეს მაშინ, როცა ბიუჯეტში ახალი ქანდაკებების მშენებლობაა დაგეგმილი(?!). მას შემდეგ, რაც მერიამ უარი განაცხადა თანხის გადახდაზე, კომბინატმა იჩივლა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მერიამ თანხა უნდა გადაიხადოს. გაცემულია კიდეც სააღსრულებო ფურცელი, მაგრამ აღსრულება გაურკვეველი მიზეზებით დღემდე შეჩერებულია. ამასობაში თბილისის კომბინატს იმდენი დავალიანება დაუგროვდა, რომ ეს ერთადერთი უნიკალური საწარმო დღეისთვის პარალიზებულია. შესაძლოა 2 მლნ დოლარი ისეთ გაჭირვებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მართლაც დიდი ფული იყოს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასს შემკვეთი და ავტორი შეთანხმებულად ადგენენ და არა ქანდაკების აზომვით.

საბოლოოდ, ოფიციალური დოკუმენტებით, დავით აღმაშენებლის ძეგლი (ბერძენიშვილის ჰონორარის გარეშე) 1 მლნ 853 ათასი ლარი დაჯდა, კვარცხლბეკი კი 1 მლნ 330 ათასი. თუკი მერიის სპეციალისტთა აზრით, ძეგლი 10 ათას დოლარზე მეტი არ ღირს თავისი საშემსრულებლო და მხატვრული ღირსებით, მაშინ 1 მლნ 330 ათასად შეფასებული კვარცხლბეკი რაღა უნდა ღირდეს?

აქვე საინტერესოა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე განთავსებული მემედ აბაშიძის ძეგლისა და მისი კვარცხლბეკის ისტორიაც. მემედ აბაშიძის ძეგლის ასაგები თანხა — 440 ათასი ლარი ედუარდ შევარდნაძემ საკუთარი ფონდიდან გამოყო. ქუთაისური ქვით შესრულებული კვარცხლბეკი 150 ათასი ლარი, თავად ძეგლი კი ათი ათასი ლარით ნაკლები დაჯდა. დანარჩენი თანხა ავტორის ჰონორარისთვის იყო განკუთვნილი.

ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია, რომ თურმე ამ კვარცხლბეკის დასადგმელად მთელი თბილისი გადაუთხრიათ, ჩაუკეტავთ ფეკალური წყლები, მუშებისთვის საათში 8 ლარი გადაუხდიათ(?!) და ა.შ. ერთი სიტყვით, კვარცხლბეკი ძეგლზე ძვირი აღმოჩნდა...

P. S. თბილისი ალბათ ერთადერთი (მიუხედავად გაჭირვებული პერიოდისა) და უნიკალური ქალაქია, სადაც კვარცხლბეკები ძეგლებზე ძვირია. ასეთი ძვირად ღირებული კვარცხლბეკების მქონე ქვეყანას კი ნამდვილად შეუძლია გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრაზე „პრეტენზიაც განაცხადოს“.

***ხათუნა პაიჭაძე***

# ერგნეთის ბაზრობა მოკვდა... კონტრაბანდა?!

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

უბრალოდ, ამ საქმეს გამოცდილება უნდა. ვინც ბენზინით ვაჭრობს, წლობით აქვს ეს „კანალი“ გაჭრილი.

ჩემს კონტრაბანდისტ მასპინძელს იმ პირობით დავშორდი, რომ რამდენიმე დღეში აუცილებლად ვეწვეოდი და სამას კოლოფ სიგარეტსა და ორმოცდაათ ლიტრ სპირტს ვიყიდდი. შეიძლება მკითხველის ეს რაოდენობა ძალიან მცირედ მოეჩვენოს, მაგრამ საქონლის სიმცირე კონსპირაციის ერთ-ერთი მეთოდია. ბოლოს და ბოლოს, ჩავარდნის შემთხვევაში დანაკარგი უმნიშვნელო იქნება და ბიზნესის გაგრძელებას ისევ შეძლებ, ანუ კონტრაბანდისტებმა კარგად იციან, როგორ დაიცვან თავი უსიამოვნებებისგან. ამ რეგიონში საბაჟო სამსახური აღარ მოქმედებს, რადგან რუსეთიდან საქართველოში არანაირი პროდუქტი აღარ შემოდის და ცხინვალიდან გამოსული ნებისმიერი სახის პროდუქცია ავტომატურად ითვლება კონტრაბანდად, რომლის აღმოჩენა ფინანსურ პოლიციას ევალება.

კონტრაბანდისტების მოდარაჯე ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები ერთდროულად რამდენიმე პრობლემაზე ლაპარაკობენ. მათ შორის, მთავარი დაუფინანსებლობაა, რაც ოპერატიულ საქმიანობას შეუძლებელს ხდის. — „არადა, ოპერატიულობის გაზრდა აუცილებელია, — ამბობს ფინანსური პოლიციის საგანგებო დავალებათა სამმართველოს უფროსის მოადგილე **ზაზა ხუციშვილი,** — როცა მეცოდინება, რომ ამა თუ იმ სოფლიდან კონტრაბანდული ტვირთი გამოდის და მარშრუტიც ცნობილია, მისი დაკავება ძნელი არ იქნება. ამისთვის ოპერთანამშრომელი უნდა „ჩასვა“ სოფლებში და ინფორმაციები უნდა შეაგროვო. როცა ვაშლით დატვირთული მანქანა მოდის, თუ არ გაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ ვაშლი უბრალოდ შესანიღბი საშუალებაა და კონტრაბანდულ სიგარეტს ან კონსერვებს აყრია, ვერ გააჩერებ და ვერ გაჩხრეკ. ასეთი ასობით მანქანა გადმოდის დღეში და ყველას გასინჯვა ფიზიკურად შეუძლებელია“.

მოახერხებენ თუ არა ფინანსურ პოლიციაში ოპერატიული საქმიანობის გააქტიურებას, ძნელი სათქმელია. თუმცა, საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, ამ საქმეში უშიშროების სამსახურმაც უნდა თქვას სიტყვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაბანდა მაინც ჩვენი ეკონომიკის აქილევსის ქუსლად დარჩება. თუმცა, როგორც კომპეტენტურ წრეებში მიაჩნიათ, კონტრაბანდის აღმოფხვრა საბოლოოდ მაინც პოლიტიკურ ამინდზე, ანუ სტაბილურ რეგიონზე არის დამოკიდებული.

**გიორგი დიაკონიძე**, სპეცსამსახურის ექსპერტი: — ვიდრე ცხინვალის რეგიონი, როგორც ექსტრემისტული კუთხე იარსებებს, კონტრაბანდის პრობლემა მოუგვარებელი იქნება. თუ გვინდა რუსეთიდან შემოსული ტვირთის გაკონტროლება, ეს როკის გვირაბის გამოსასვლელთან უნდა მოხდეს. ისე, ჯერ უნდა დავიბრუნოთ რეგიონი და კონტრაბანდაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

ცხინვალის პროდუქტებით მომარაგებას ერთგვარი ეკონომიკური დივერსიის სახე აქვს. რაც არ უნდა იყოს, კონტრაბანდა ნებისმიერი ქვეყნისთვის დამანგრეველი პრობლემაა. ამიტომ რუსეთი ყოველთვის ეცდება მის გამოყენებას.

**— თუკი რუსეთი ამ მიზნით აგზავნის პროდუქტებს თუ ბენზინს ცხინვალში, ე. ი. კონტრაბანდის შემოდინებას ორგანიზებული ხასიათი ჰქონია.**

— ასეც არის. ცხინვალში კონტრაბანდის უკან კოკოითის ძმა დგას. მის გარეშე ვერც ბენზინი შემოვა და ვერც სპირტი. კონტრაბანდას კოკოითების ოჯახი კურირებს. ისინი თან მდიდრდებიან, თან ეკონომიკურ დივერსიას ახორციელებენ ჩვენს წინააღმდეგ.

**— კონტრაბანდა ეკონომიკას მართლაც დიდ ზიანს აყენებს, მაგრამ აქ კიდევ ერთი გარემოებაა, — იქ მცხოვრები ხალხი სწორედ ამით ირჩენს თავს.**

— ამიტომ ვამბობ, რომ პრობლემას მაინც პოლიტიკის სუნი ასდის. ჯერ ეს რეგიონი უნდა დავიბრუნოთ და იქაურებს რაღაც ალტერნატივა შევთავაზოთ. ეს ძნელი იქნება, მაგრამ სხვა გზაც არ არსებობს...

***დავით დევიძე***

# პოლიციელებს ცელოფანის ძებნაში დაჭრილი ხელში ჩააკვდათ

## იქნებ დააწერინოთ, მაყაჩაღებდა და სროლაც ამიტომ აუტეხესო

მკვლელობის საქმე, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე უკვე დაიბეჭდა. თუმცა, საქმეში იმდენი ახალი საინტერესო გარემოება გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ თემას კვლავაც დავუბრუნდეთ.

არსებობს დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით არ ისჯება, მაგრამ ადამიანს, მით უმეტეს, პოლიციელს, იგი არ ეპატიება. შემთხვევა, რომელზეც ქვემოთ მოგითხრობთ, სისხლის სამართლისა და მორალური დანაშაულის ნაერთია. ძნელია გამართლება მოუნახო მკვლელ პოლიციელს, მაშინ როცა მისსავე ტყვიით დაჭრილი სულთმობრძავი (მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავეა იგი თუ არა) შველას ითხოვს, სამართალდამცველი კი „კლიონკას“ ეძებს, ემანდ, მანქანა არ დამესვაროსო.

2004 წლის 10 მარტს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციელები — ჭარბაძე, წერეთელი, კვიატოვსკი, ზაზიაშვილი და კაშია ე. წ. შემოვლაზე იყვნენ გასული. შემოვლა იმით დასრულდა, რომ ჭარბაძის ტაბელური იარაღიდან ნასროლმა ტყვიამ სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. პოლიციელთა მტკიცებით, 25 წლის ანტონ კუკულავა შეიარაღებული იყო. მან პირველმა აუტეხა სროლა სამართალდამცველებს, რის შედეგადაც მათ მოგერიების მიზნით საპასუხო ცეცხლი გახსნეს.

პოლიციელების ვერსიას ჩრდილი პირველად მაშინ მიადგა, როცა გაირკვა, რომ კუკულავას ტყვია ზურგში ჰქონდა მოხვედრილი. ამ ფაქტმა ერთბაშად გამორიცხა პოლიციელთა ვერსია ორმხრივი სროლისა და აუცილებელი მოგერიების შესახებ. სამედიცინო ექსპერტიზით ისიც დადგინდა, რომ კუკულავას არც იარაღთან შეხების შედეგად წარმოქმნილი ნიშნები აღენიშნებოდა და არც დენთის კვალი (რომელიც სროლის შემთხვევაში თითებზე უნდა ჰქონოდა). სროლის კვალი ვერ აღმოაჩინეს ექსპერტებმა იმ მანქანაზეც, რომელსაც კუკულავა თითქოსდა ესროდა.

სამაგიეროდ, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციელთა წინააღმდეგ ჩვენება მისცეს პოლიციის თანამშრომლებმა ცეზარ და ვალერი თავაძეებმა: „11 მარტს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლები ჩვენთან მოვიდნენ და გვთხოვეს, წუხელ ბიჭი დაგვეჭრა, მისი თანმხლები მეორე ბიჭი კი თქვენი უბნელია და იქნებ დააწერინოთ, მაყაჩაღებდა და პოლიციელებმა სროლა ამიტომაც ატეხესო“.

„შემოვლის“ ჯგუფის წევრებს ამაშიც არ „გაუმართლა“, რადგან „დაჭრილი“ ბიჭი თავაძეების ოჯახთან დაახლოებული პირი და ახლო მეზობელი აღმოჩნდა.

გარდაცვლილის მეგობრების განმარტებით, 11 მარტს კუკულავა ერთი თვით აპირებდა მონასტერში წასვლას და იმ ღამით მეგობრებს გამოემშვიდობა. მასთან ერთად იმყოფებოდა ამ „შეტაკების“ უშუალო თვითმხილველი, კუკულავას მეგობარი, კახა ბარამიძეც.

*კახა ბარამიძის ჩვენებიდან:* „მეგობრებს ღამის 1-2 საათისთვის დავცილდით. მალე ჩვენს ფეხებთან გაჩერდა მანქანა, საიდანაც სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ხალხი გადმოვიდა და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ფეხებში იარაღის ჯერი დაგვაყარა. რას გვერჩოდნენ და ვინ იყვნენ, ვერ მივხვდით, დავიბენით. მე გავჩერდი, ანტონი კი გაიქცა. პოლიციელებმა მე მანქანაში ჩამსვეს, ანტონის მისამართით კი სროლა განაგრძეს. განყოფილებაში მიყვანის შემდეგ მცემდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ დამეწერა, თითქოს იგი ჩემს დაყაჩაღებას ცდილობდა“.

პოლიციელებმა „შეტაკების“ შემდეგ დაჭრილ კუკულავას მალე მიაგნეს, თუმცა მისი საავადმყოფოში მიყვანა არ უჩქარიათ. მოსახლეობის მიერ შეთავაზებულ დახმარებაზე მათ უარი განაცხადეს, დაჭრილთან არავინ მიუშვეს, თავად კი ცელოფანის საძებნელად გაეშურნენ(!).

*ლია კაპანაძის ჩვენებიდან:* „დაახლოებით ღამის 1-2 საათზე მეუღლემ გამაღვიძა, მითხრა, ცუდად ვარ, მგონი წნევა მაქვსო. ავდექი, ციოდა და ბნელოდა. ჩავიცვი, მეუღლეს წნევა გავუზომე — მაღალი ჰქონდა, წამლები დავალევინე და მისი გამომჯობინების მოლოდინში სამზარეულოში გავედი. ამ დროს სროლის ხმა შემომესმა. მალე ვიღაცამ ფანჯარაზე მომიკაკუნა (ვინ იყო, სიბნელეში ვერ გავარჩიე), ლია დეიდა, მგონი ანტონი დაჭრესო. ანტონი ჩემი შვილის მეგობარი იყო, ამ უბანში გაიზარდა და ეს რომ გავიგე, თავზარი დამეცა. ვეცი ტელეფონს და ანტონთან სახლში დავრეკე. ანტონის დედამ მიპასუხა, ნუ ღელავ, ერთი საათის წინ დამირეკა, ალბათ მალე მოვაო. ამის შემდეგ უკვე ანტონის მობილურ ტელეფონზე დავიწყე რეკვა. რამდენიმე ზარის შემდეგ ტელეფონი ჩაირთო და გარკვევით გავიგე კვნესისა და ხვნეშის ხმა. ისმოდა, — ბიჭო, დაჭრილია, წადი „კლიონკა“ მოიტანე, მანქანა არ დაგვესვაროსო. ტელეფონი არ გამომირთავს... იმ „კლიონკის“ ძებნა დაახლოებით ოცი წუთი გრძელდებოდა“.

როცა პოლიციელებმა „კლიონკა“ იშოვეს და კუკულავა საავადმყოფოში მიიყვანეს, იგი უკვე გარდაცვლილი აღმოჩნდა. ექსპერტიზის დასკვნით, მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო არ ყოფილა, იგი მწვავე სისხლნაკლულობის შედეგად დაიღუპა.

ცეზარ და ვალერი თავაძეების, კახა ბარამიძისა და ლია კაპანაძის ჩვენებათა მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების მუხლით აღიძრა.

დაზარალებულ ოჯახს თვე-ნახევარი დასჭირდა იმისათვის, რომ საქმეს განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მისცემოდა, ათი თვე კი იმისათვის, რომ მკვლელ პოლიციელზე ძებნა გამოცხადებულიყო. ჭარბაძე ამჯერად ძებნილია, თუმცა კუკულავას ოჯახს აქვს ინფორმაცია, რომ მას ქალაქში თავისუფლად მოსეირნეს ნახულობენ.

*ეთერ კუკულავა (მოკლულის დედა):* „თუ უახლოეს მომავალში მის დასაპატიმრებლად არ გატარდება ქმედითი ღონისძიებები, მე განცხადებით მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს და მოვთხოვ, დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც ძებნილის დაკავება ევალებათ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჭარბაძე ჩვენი ოჯახის ახლობლებმა რამდენჯერმე ქალაქში ნახეს“.

გამოძიების ვერსიით, ჭარბაძის გარდა კიდევ ორი პოლიციელი ესროდა კუკულავას. გამოძიება მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასაც აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით დაუდგენელია იმ ორი პოლიციელის ვინაობა.

P. S. ჭარბაძის გარდა, ინციდენტის მონაწილე არც ერთი პოლიციელი ორგანოდან დათხოვნილი არ არის.

***მარიამ ეჯიბია***

# ამ დაპირისპირებაში პრეზიდენტად გახდომის ფარული სურვილი დავინახე

## არქიფო სეთურის „წაკიდების“ მეთოდი მაშინ ამართლებს, როდესაც სერიოზული საქმე არ არის საკეთებელი

ფსიქოანალიტიკოსები ამბობენ — სამკუთხედი ისეთი გეომეტრიული ფიგურაა, რომელიც თავის არსში დაპირისპირების მარცვალს შეიცავსო. ალბათ ამიტომაცაა, რომ ე. წ. „სამკუთხედები“ არც პირად ურთიერთობებში ამართლებს და არც პოლიტიკაში... საქართველოში შექმნილმა ტრიუმვირატმა (სახელისუფლებო სამკუთხედმა) რევოლუციის პერიოდში დადებითი როლი შეასრულა, თუმც მასში მოსალოდნელ დაპირისპირებაზე თავიდანვე წინასწარმეტყველებდნენ — მშვიდობიანობის ჟამს „სამთა კავშირი“ დაირღვევაო... და დღეს უკვე ამ რღვევის სიმპტომების მოწმენი ვხდებით. მართალია, ჯერჯერობით სამკუთხედის წვერი (პრეზიდენტი) ამ კავშირის შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ თუ მის საყრდენებს შორის დაპირისპირება მეტისმეტად გამწვავდა, ის იძულებული იქნება, სახიფათო და მორყეული მოიცილოს და ის უფრო მყარი საყრდენით შეცვალოს, რათა მთლიანად სახელისუფლებო სამკუთხედი გადაარჩინოს.

რა სიმპტომებს ხედავენ ამის მიღმა სპეციალისტები, რომელთაც ადამიანის სულისა და გონების მდგომარეობის, მისი ქცევის მოტივის ხედვა ძალუძთ?

ვესაუბრებით ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს **შოთა ნადირაშვილს**:

— ხელისუფლების სათავეში დღეს სამი კაცი დგას და მათი ურთიერთობა გარკვეული სტრუქტურის სამკუთხედს ქმნის. როდესაც „სამკუთხედის“ სამივე წევრს დადებითი ურთიერთგანწყობა აქვს, ამ დროს არაკონფლიქტური თავსებადი ვითარება იქმნება ხოლმე — სამივეს ერთნაირი სულისკვეთება აქვს, კარგად აკეთებენ თავიანთ საქმეს, ერთმანეთსაც ეხმარებიან და აძლიერებენ. მაგრამ ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზის გამო ტრიუმვირატი ირღვევა — ან ხელმძღვანელს (პრეზიდენტს) უჩნდება ერთ-ერთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ან შედარებით დაქვემდებარებულ პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის ჩნდება ბზარი.

როგორც არ უნდა შეეცადონ ამის მიჩქმალვას, ამბობენ და ვხედავთ კიდეც, რომ ბურჯანაძესა და ჟვანიას შორის უკვე არის დაპირისპირება. დაპირისპირების დროს კი (საზოგადოდ) ერთ-ერთი უფრო სწორია, მეორე კი უფრო დამნაშავე. ამიტომ პრეზიდენტი ორივეს მიმართ ერთნაირ დადებით დამოკიდებულებას ვერ გამოიჩენს. ეს ალოგიკურიც იქნება და



**არ შეიძლება ხელისუფლებაში არსებული კონფლიქტური საკითხების საზოგადოების დასანახად განხილვა. არასწორი იყო განცხადება — ტელედებატები გავმართოთო. პრეზიდენტი მიხვდა, რომ ეს ძალზე წამგებიანი იქნებოდა და თქვა, — ჟვანიას ბურჯანაძე ტელედებატებში არ გამოუწვევიაო**

არაბუნებრივიც. ის ერთ-ერთს, რომელსაც სწორად ჩათვლის, უნდა მიემხროს.

როდესაც ბურჯანაძე-ჟვანიამ ერთმანეთის მისამართით კრიტიკული განცხადებები გააკეთეს, პრეზიდენტმა სავსებით სწორად განაცხადა — სახელისუფლებო შტოებში დაპირისპირება არ არის, პარლამენტი ბიუჯეტს მიიღებსო. ეს იმას ნიშნავდა, რომ პრეზიდენტს სამკუთხედში ერთიანობის შენარჩუნება სურს, რადგან იცის — საქმის კეთებისას ეს აუცილებელია. თუკი პრეზიდენტის მოწოდებას ჟვანია და ბურჯანაძე არ შეისმენენ და დაპირისპირება გაგრძელდება, რაც საქვეყნო საქმესაც დააზარალებს, პრეზიდენტს არჩევანის გაკეთება მოუწევს. ის იძულებული გახდება ერთ-ერთი მათგანი განზე გაწიოს — ჩამოიცილოს.

როდესაც პირველზე დაქვემდებარებული ორი ფიგურა ერთმანეთთან დაპირისპირებულია, გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს ებრძვიან, ამავდროულად ცდილობენ პირველის მიმხრობას და მას ერთიმეორეზე ისეთ რამეს ეუბნებიან, რაც მისი მეტოქის მიმართ პირველის უარყოფით დამოკიდებულებას გაზრდის.

ორი დაპირისპირებული და ერთმანეთზე წაკიდებული მხარე ადვილია სამართავად, მაგრამ ასეთ დროს საქმის კეთებაა გაძნელებული. არქიფო სეთურის ვარიანტი მაშინ არის შედეგიანი, როდესაც სამკუთხედს სერიოზული საქმე არ აბარია. მაგრამ, როდესაც საქვეყნო საქმეა გასაკეთებელი, მაშინ ერთიანობა აუცილებელია. ეს წინა ხელისუფლებამ არ იცოდა, ამიტომ აირჩია „წაკიდების“ პოლიტიკაც და შედეგიც შესაბამისი მიიღო.

ამიტომაც პრეზიდენტმა შერიგებისკენ მოუწოდა ორივეს, ხელქვეითებს შორის დაპირისპირებას ქვეყნის პირველ პირთან უფრო ახლოს ყოფნის სურვილიც წარმოშობს ხოლმე. ბურჯანაძესა და ჟვანიას შორის ამაზეც მიდის ბრძოლა — ორივე ცდილობს დაანახვოს პრეზიდენტს, — ჩემი მეტოქე თქვენთვისაც და საქმისთვისაც უსარგებლოაო... შესაძლოა დაპირისპირებული მხარეები შეეცადონ სააკაშვილის მიმხრობას იმ იმედით, იქნებ პრეზიდენტმა მეტოქე გაუშვას და მის ადგილზე ჩემთვის მისაღები კაცი დანიშნოსო. ბურჯანაძისა და ჟვანიას დაპირისპირებას შესაძლოა ჰქონდეს სხვა მოტივიც. უფრო წარმატებული ადგილის დაკავების მცდელობა და პრეზიდენტად გახდომის ფარული სურვილიც.

**— მაგრამ ამ ეტაპზე არ ჩანს, რომელიმეს პრეზიდენტობის სურვილი ან რაიმე გამოკვეთილი ამბიცია, მით უმეტეს კი ჟვანიას, რომელსაც საქმეში ყელამდე ჩაფლული კაცის პოზა უჭირავს.**

— პრეზიდენტს ჟვანია სჭირდება და ეცდება ასეთი კაცი შეინარჩუნოს, მაგრამ მან ალბათ ფარულად ისიც იცის, ამ ორი ფიგურის მეთოდები — არ გამოხატონ პრეზიდენტის საწინააღმდეგო პოზიცია და კარგად იყვნენ მასთან, არის მზადება საიმისოდ, რომ ოდესმე სააკაშვილს ჩაენაცვლონ.

გამიკვირდა ჟვანიასგან ბურჯანაძის მიმართ ასეთი მკვეთრი განცხადებები. ტრიუმვირატისთვის საზარალოა დაპირისპირების სახალხოდ წარმოჩენა. ამ შემთხვევაში ორივე მხარე წააგებს, რაც საბოლოოდ, დააზარალებს პრეზიდენტსაც. არ შეიძლება ხელისუფლებაში არსებული კონფლიქტური საკითხების საზოგადოების დასანახად განხილვა. არასწორი იყო განცხადება — ტელედებატები გავმართოთო. პრეზიდენტი მიხვდა, რომ ეს ძალზე წამგებიანი იქნებოდა და თქვა, — ჟვანიას ბურჯანაძე ტელედებატებში არ გამოუწვევიაო.

დღესდღეობით პარლამენტის მიმართ დამოკიდებულება უარყოფითია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ იქ ქვეყნის დასანახად იმართებოდა დებატები და კამათი. პარლამენტის ავტორიტეტისთვის დამღუპველია, როდესაც იქ არსებული დაპირისპირებების მოწმე მთელი საზოგადოება ხდება. არ შეიძლება მისი სხდომების პირდაპირი ტელეტრანსლაცია. პარლამენტის იმიჯი დააზარალა ბოლო დროს გავრცელებულმა შეხედულებამ, — იქ არავინ არაფერი იცის, მხოლოდ ხელს იწევენ კენჭისყრებზეო.

ჟვანიამ მთავრობის სხდომები დახურა. მას მონიტორზე ველარ უყურებენ ჟურნალისტები, როგორც ეს შევარდნაძის დროს ხდებოდა. ამით პრემიერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჭკვიანი კაცია. იქ რაც ხდება, საზოგადოების თვალისთვის დაფარულია, კარგზე კი გამოდიან და ლაპარაკობენ.

ცოტა ხნის წინ ტელეკომპანიებიც დებატებს აწყობდნენ და პოლიტიკოსების ურთიერთდაპირისპირების მოწმე მთელი ქვეყანა ხდებოდა — ეს ორივე მათგანისთვის წამგებიანი იყო და საზოგადოებაშიც დაპირისპირებას ზრდიდა. საჯარო დებატებს ამერიკელები საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიმართავენ ხოლმე, იმიტომ, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა ამ გამოცდას უნდა გაუძლოს, თორემ როგორ შეიძლება საჯარო დებატებით საზოგადოების დაპირისპირება?

**— უკვე ლაპარაკობენ სააკაშვილისა და ჟვანიას კადრებზე და ხაზგასმით აღნიშნავენ, პრემიერს გაცილებით კომპეტენტური და გამოცდილი გუნდი ჰყავსო.**

— ეს ძალიან მომგებიანია ჟვანიასთვის და შესაძლოა მისი მომავალი წარმატების საწინდარიც გახდეს. ძლიერი გუნდის შეკრება, ბურჯანაძესთან დაპირისპირება — ისეთი სიმპტომებია, რაც მაფიქრებინებს, რომ ჟვანია პირველობისთვის ემზადება. პრეზიდენტს ორიენტაცია ახალგაზრდობაზე აქვს, რომლებიც მის პრიორიტეტს აღიარებენ. სააკაშვილი მათგან კი არ იღებს რაიმე წინადადებებს, არამედ განკარგულებებს იძლევა. მის გარშემო ისეთი ხალხი იყრის თავს, რომელიც ფიქრობს — მხოლოდ ის უნდა გავაკეთო, რასაც პრეზიდენტი მეტყვისო. ცოტა ხანში ეს უარყოფით შედეგს გამოიღებს. მის გუნდში არ იქნებიან ისეთი პირები, რომლებიც ხალხს გაუწევენ ანგარიშს. ასეთ გუნდს კი თავად პრეზიდენტიც აღარ გაუწევს ანგარიშს, იმიტომ, რომ ისინი ანგარიშგასაწევ აზრს ვერ მიაწვდიან მას. ჟვანია და მისი თანაგუნდელები კი საქმიანი ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ჟვანია უსმენს თანაგუნდელებს, ანგარიშს უწევს მათ. ჟვანიას ირგვლივ თავი მოიყარა ხალხმა, რომელსაც დღესვე კი არ უნდა წარმატება, არამედ სამომავლო წარმატებისთვის ემზადება.

სააკაშვილის ენერგია და იდეები ძალიან კარგი აღმოჩნდა რევოლუციისთვის, მაშინ, როდესაც ძველის ნგრევა იყო აუცილებელი. ახლა ნგრევის დრო წავიდა, შენებაა საჭირო. ამისთვის კი უნარიანი ადამიანების მოძებნა და საქმის გაკეთებაა აუცილებელი. ასეთ ვითარებაში თანდათანობით იზრდება ჟვანიას როლიც, რომელიც ისეთ ფიგურადაც გამოიკვეთა, რომელიც თავისიანს არასოდეს წირავს. ჟვანია კარგად მოთამაშე პოლიტიკოსია, კარგად თამაშობს საქმიანი, ჭკვიანი კაცის როლს, მაგრამ მასაც აქვს ნაკლი — მან ვერ შეძლო გულანთებული, პირდაპირი და გულუბრყვილო ადამიანის როლი ეთამაშა. მისთვის მთავარი პატიოსნება კი არა — პრაგმატულობაა.

**— პრეზიდენტის გუნდს ჩამოსცილდნენ ცნობილი სახეები — ეს იმიტომ ხომ არ მოხდა, რომ მათ პრეზიდენტის სტაბილური კეთილგანწყობის იმედი ნაკლებად ჰქონდათ?**

— სააკაშვილი პირდაპირი, სწორხაზოვანი პიროვნებაა. ის ანგარიშს არ უწევს იმ პატარა ნიუანსებს, რომელსაც საბოლოოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, რესპუბლიკელები ამბიციურები არიან და უყვართ მინიშნება ქართულ პოლიტიკაში თავიანთ როლზე, მაგრამ მათ ღირსებებს მიშას გარემოცვაში ანგარიში არ გაუწიეს. ისინი რიგით წევრებად მიაჩნდათ და ამით გაანაწყენეს. ჟვანიას მიუღებლობის გამო, არ იყო მართებული კობა დავითაშვილის წამოსვლა მმართველი ძალიდან. ცალკე ის ველარ შეეჭიდა ისეთ საქმეებს, რასაც სახელისუფლებო გუნდში ყოფნისას დაძლევდა. კარგია ადამიანის უფლებების დაცვისთვის ბრძოლა, მაგრამ დავითაშვილს გაცილებით მეტის გაკეთებაც შეეძლო. დღეს ოპოზიცია სუსტია და ასეთივედ დარჩება მანამ, სანამ ის ქვეყნის აღმშენებლობის საკითხში ხელისუფლებაზე უკეთეს გზას არ მოძებნის. მიშას ვერტიკალი არ აქვს არც საკუთარ გუნდში და არც ხელისუფლებაში. ის თვითონ არის ზემოთ და ყველა დანარჩენი ერთ სიბრტყეზეა. ამიტომაც არის, რომ ყველა მისგან ელის ელემენტარული საკითხების გადაწყვეტასაც კი. საზოგადოებაში დამკვიდრდა სტერეოტიპი — მხოლოდ მიშას შეუძლია ჩვენი მდგომარეობის შეცვლაო. აუცილებელია ხელისუფლებამ ქვედა საფეხურები შექმნას და ააშენოს ვერტიკალი, სადაც უნარიან ხალხს მიიყვანს. არ შეიძლება სახლის გადახურვის გამო პრეზიდენტთან მიდიოდეს ხალხი. პრეზიდენტის გარემოცვაში აღმოჩნდნენ პირველკლასელები, რომლებიც სხვადასხვა კლასში კი გადანაწილდნენ, მაგრამ პირველკლასელს მე-10 კლასში გადასვლით კომპეტენცია ხომ არ მოემატებოდა? ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურზე ერთნაირად გამოუცდელი კადრები არიან, მათ ყოფნას იმ ადგილზე ფასი არ აქვს და ამის გამო საზოგადოების ნდობაც დაკარგეს. პრეზიდენტის მიმართ ისევ აქვს მოსახლეობას დადებითი განწყობა და სიმპათია, თუმც მისგან მეტ ეფექტიანობას ელოდა. რევოლუციის დროს მან სასწაული მოახდინა. არც საგარეო ურთიერთობაში ეშლება რამე, თავის საქმეს კარგად აკეთებს, მაგრამ მას არ ჰყავს ისეთი კაცი, რომელიც ქვეყნის შიგნით გაუკეთებდა საქმეს.

უნარიანი მას ერთი ჟვანია ჰყავს, რომელიც ფარულად მაინც ცალკე დგას. მას სჭირდება ჟვანიასდარი უნარიანი რამდენიმე კაცი, რომლებიც განზე კი არ გადგებიან, არამედ მისი ერთგული მომხრეები იქნებიან. ამას რომ ხედავს პარლამენტის თავმჯდომარე, პრეზიდენტის მიმართ თავის ერთგულებას განგებ უსვამს ხაზს. მაგრამ მიუხედავად მრავალი ღირსებისა, ნინო ბურჯანაძეს სახელმწიფოს მართვის მექანიზმები, როდის რას უნდა დააჭიროს ხელი, ნაკლებად ესმის და ის ვერ შეასრულებს იმ როლს, რისი შესრულებაც ჟვანიას შეუძლია.

ხელისუფლებას აქვს სხვა, ძალზე სერიოზული პრობლემაც: მცდარი იყო ხელისუფლების გადაწყვეტილება — ერთგულების ნიშნით დაენიშნა ხალხი თანამდებობებზე. ერთგულების ნიშნით შეიძლება პარტია შექმნა, მაგრამ თანამდებობებზე პროფესიონალი უნდა დანიშნო. თუ თანამდებობებზე დაინიშნება ვინმე პრეზიდენტის ერთგული, მოადგილე მაინც უნდა ჰყავდეს გამოცდილი და საქმეში ჩახედული. არაპროფესიონალები კი ნელ-ნელა უნდა შეურიონ ხელისუფლებას. კომუნისტების დროს კომისრები დაინიშნენ თანამდებობებზე და 4-5 წელიწადში ისე უკან წავიდა საქმე, იძულებული გახდნენ ისევ გამოცდილი ხალხი დაენიშნათ მათ ადგილებზე. როგორ უნდა ავაღორძინოთ საქართველოს ეკონომიკა, თუ პროფესიონალი კადრები არ გვეყოლება? თუ კადრები სწორად შეირჩევა, ეს გაცილებით მალე მიგვიყვანს ეროვნული იდეის განხორციელებამდე. სწორი იყო კომუნისტების ლოზუნგი „კადრები ყველაფერს წყვეტენ“, თუმც ამის რეალურად განხორციელება გაუჭირდათ. თუ ჩვენ მისი განხორციელება შევძელით და მნიშვნელოვან თანამდებობებზე პროფესიონალი კადრები დავნიშნეთ, არც საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას დაუდგება წინ არაფერი და არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

***იზო რიკაძე***

# რა შეიცვალა ქართულ ენერგეტიკაში

## დენის ბაზარზე ისევ დიდი ფული კეთდება?

რაც დრო გადის, ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგიის დეფიციტი მით უფრო იგრძნობა. თუ ადრე დეფიციტის მიზეზი კორუმპირებული ხელისუფლება და მასზე არანაკლებ კორუმპირებული სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სისტემა იყო, დღეს ამას ახალ ხელმძღვანელობაზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. მაშ, რა ხდება, რატომ არ გვაქვს ელექტროენერგია? დეფიციტის მიზეზად მაღალი ძაბვის ხაზზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს ასახელებენ. ამ ხაზის საშუალებით დასავლეთ საქართველოში მდებარე ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია აღმოსავლეთ საქართველოს მიეწოდებოდა და გასაგებია დეფიციტის მიზეზიც, მაგრამ გაუგებარია, რატომ არის მაშინ დასავლეთ საქართველო ჩაბნელებული? მიზეზად ენერგეტიკოსი ხელმძღვანელები მოსახლეობის გადახდისუუნარობას ასახელებენ, მაგრამ იმავე რეგიონში უამრავ ოჯახს ე. წ. კომერციული დენის ხაზი აქვს გაყვანილი. მართალია, გაცილებით მეტს იხდის ერთ კილოვატსაათში, ვიდრე სახელმწიფო, უფრო სწორად, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მიერ მიწოდებული ელექტროენერგია ღირს, მაგრამ სამაგიეროდ შუქი მუდმივად აქვს. მოსახლეობა ამტკიცებს, რომ ელექტროენერგიის საფასურს პატიოსნად იხდის. გამოდის, საკითხავი ის არის, სად მიაქვთ ინკასატორებს თანხები.

ორ კვირაში მაინც მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი აღდგება, მაგრამ მთავრობა უკვე ოფიციალურად აცხადებს, — იმედი ნუ ექნებათ დედაქალაქის მცხოვრებლებს, რომ ელექტროენერგია უწყვეტად ექნებათო. რეგიონებისთვის ელექტროენერგიის თუნდაც გრაფიკით მიწოდებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. ზაფხულის ბოლოს გადაუღებელმა წვიმებმა ერთი სიკეთე მაინც მოგვიტანა — ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავები გაავსო. გარემონტებული და მუშა მდგომარეობაშია გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-9 ბლოკი. როგორც ენერგეტიკოსები გვიმტკიცებენ, უკვე აღარ იყიდება და მალულად აღარ გაედინება საზღვარგარეთ საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგია. რუსეთიდანაც და სომხეთიდანაც ხომ შემოდის ნაყიდი ელექტროენერგია, მაშ, რა ხდება? სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო კონკრეტულ პასუხს ვერ იძლევა. მხოლოდ გვპირდება, რომ წინა ზამთართან შედარებით, დედაქალაქში უკეთესი მდგომარეობა იქნება.

უფრო უარესი კი თურმე წინ გვაქვს — მომავალი წლის გაზაფხულიდან ენგურჰესის კაპიტალური რემონტია დაგეგმილი და იგი ისე არ გაკეთდება, თუ წყალსაცავი ერთიანად არ დაიცალა. ბუნებრივია, რემონტს წვიმების სეზონამდე ვერ დაამთავრებენ და საქართველოს ენერგეტიკული სისტემა შეიძლება უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდეს. უკეთეს მდგომარეობაში არც სხვა ჰიდროელექტროსადგურებია. წინა ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ ენერგოგენერაციის ეს ობიექტები მხოლოდ ქაღალდზე „შეაკეთა“. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ზამთარში საქართველოს ენერგეტიკის სისტემას ავარიის გამო რომელიმე ჰიდროელექტროსადგური გამოაკლდეს. ერთი სიტყვით, საქართველოს მოსახლეობას რამდენიმე წლის განმავლობაში კვლავ მცოცავი თუ მხოხავი გრაფიკის პირობებში მოუწევს ყოფნა.

ასეთ დღეში კი ნამდვილად არ ჩავვარდებოდით, წინა ხელისუფლებას (თუმცა ვერც ახალმა გამოიჩინა ფხა) ამერიკული კომპანია „ეი-ი-ეს თელასისთვის“ ზარალის ანაზღაურება რომ მოეთხოვა. რა ზარალზეა ლაპარაკიო, იკითხავს მკითხველი. საქმე ის არის, რომ სწორედ ამერიკული კომპანიის ბრალია, გარდაბნის თბოელექტროსადგურში რომ დღეს მხოლოდ მე-9 ენერგობლოკია მწყობრში. მე-10 ენერგობლოკმა კარგა ხანია ჩაილურის წყალი დალია — ბლოკზე დამონტაჟებულმა იაფმა, მაგრამ უხარისხო კომპიუტერულმა ტექნიკამ 2001 წლის 22 დეკემბერს ბლოკის აფეთქება გამოიწვია. ამის შედეგად საქართველომ სამუდამოდ დაკარგა 300 მეგავატის სიმძლავრის ენერგობლოკი. დღეს დედაქალაქს დღე-ღამეში მაქსიმუმ 280 მეგავატი სჭირდება. ქართველი ენერგეტიკოსები კულუარებში ამბობენ, რომ „ეი-ი-ეს თელასის“ საქართველოდან სასწრაფოდ გაქცევის მიზეზი სწორედ მე-10 ენერგობლოკის აფეთქება იყო. ნორმალურ სახელმწიფოში ნორმალური ხელისუფლება ამერიკულ კომპანიას ახალი ენერგობლოკის აშენებას მოსთხოვდა.

დღეს რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას ელექტროენერგიის დეფიციტის აღმოფხვრა უჭირს, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მაინც ამ სისტემაში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული კორუფციული გარიგებებია. ალბათ მკითხველს ახსოვს, ყოფილი ენერგოპაპები რა თავგამოდებით ირწმუნებოდნენ, რომ ელექტროენერგია საზღვარგარეთ არ იყიდებოდა. როგორც კი დედაქალაქის ენერგოკომპანიას „ეი-ი-ეს თელასი“ ჩაუდგა სათავეში, პირველივე ზამთარს თურქეთში ელექტროენერგიის საყიდლად წასული „ეი-ი-ეს თელასის“ გენერალური მენეჯერი მაიკლ სქოული თბილისში გაოგნებული დაბრუნდა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***

# ყველაზე დიდი ქართული ექსპორტი

## „თბილავიამშენმა“ „სკორპიონი“ 10 მლნ დოლარზე მეტად გაყიდა




(დასაწყისი იხ. გვ. 5)

„თბილავიამშენში“ მას, გარდა კაპიტალური რემონტისა, „სკორპიონის“ დონეზე მოდერნიზებაც ჩაუტარეს და თურქმენეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს დღეს გააჩნია ღამით და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოქმედი ისეთი მოიერიშე თვითმფრინავი, რომლის მსგავსსაც შუა აზიის ყველა პოსტსაბჭოური რესპუბლიკა ინატრებდა.

„სკორპიონს“ „აქტეპეს“ ბაზაზე მართლაც ბუკ-ნაღარით დახვდნენ, თურქმენეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ულრმესი მადლობა გადაუხადა „თბილავიამშენის“ სააქციო საზოგადოების პრეზიდენტს, ბატონ პანტიკო თორდიას მისი დროულად ჩამოყვანის გამო.

საქმე ის გახლავთ, რომ 27 ოქტომბერს თურქმენეთი დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს. სამხედრო აღლუმში ასობით სახმელეთო საბრძოლო ტექნიკასთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს 29 თვითმფრინავი და შვეულმფრენი.

მათ „სკორპიონი“ წარუძღვება წინ იმ შემთხვევაში, თუკი იქ მყოფი ქართველი პილოტი მოასწრებს ადგილობრივებისთვის თვითმფრინავის თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურის ანბანის ახსნას, ხოლო თუკი გაუჭირდათ ასე მოკლე დროში „სკორპიონის“ მართვის ათვისება, თურქმენბაშს დამოუკიდებლობის დღე შეიძლება ქართველმა პილოტმა „მიულოცოს“. ისე, თურმე თურქმენ სამხედროებსაც ჰყვარებიათ „მარიაჟობა“ — „სკორპიონის“ „აქტეპეში“ მშვიდობიანად დასმის შემდეგ, ქართველმა პილოტმა დატოვა მოიერიშის კაბინა და თავისი ჩაფხუტი იქვე მდგარ თურქმენ პილოტს გადასცა. ეს უკანასკნელი ჩაძვრა კაბინაში (განცვიფრებულს სწორედ მაშინ წამოსცდა ის სიტყვები, რითაც ეს სტატია დავიწყეთ) და... უმალ უკან გამოვიდა. გამოსვლის პროცესი თურქმენული ტელევიზიის ერთადერთმა ვიდეოკამერამ დააფიქსირა, რათა რამდენიმე საათში ტელემაყურებლისთვის ეჩვენებინა, თუ როგორ „ჩამოაფრინა“ თურქმენმა პილოტმა თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავი შორეული საქართველოდან.

ცალკე აღსანიშნავია „თბილავიამშენის“ იმ სპეციალისტთა მცირერიცხოვანი ბრიგადა, რომელიც თბილისში გარემონტებული მოიერიშეებისა და შვეულმფრენების ტექნიკურ საგარანტიო მომსახურებას ახორციელებს თურქმენეთის „აქტეპესა“ და „მარი-2“-ის სამხედრო-საჰაერო ბაზებზე. მათი წყალობით ჰყავს დღეს თურქმენეთს მოქმედი საბრძოლო ავიაცია, ყოველ შემთხვევაში, Су-25-ის ტიპის მოიერიშეების სახით მაინც.

თურმე რამდენიმე წლის წინ მეზობელი უზბეკეთის ტელევიზიას დაუცინია თურქმენეთისთვის — მწირი სამხედრო შესაძლებლობები აქვსო. ამის გამგონე გაბრაზებულ თურქმენბაშს სასწრაფოდ გადაუწყვეტია საჯართედ განწირული Су-25-ების ბედი — რადაც არ უნდა დამიჯდეს, ყველა მოიერიშე ჰაერში უნდა ავაფრინოო და დანაქადი „თბილავიამშენის“ დახმარებით აასრულა კიდეც.

თბილისში შეკეთებულ მოიერიშეებს ოფიციალური აშგაბატი რამდენიმე თვეა, იყენებს ფსიქოლოგიური „შეტევისთვის“ იმ ნარკოკურიერების წინააღმდეგ, რომლებიც გამუდმებით ცდილობენ ავღანეთ-თურქმენეთის მრავალკილომეტრიან საზღვარზე გადაიტანონ ნარკოტიკების დიდი პარტიები. როგორც კი თურქმენი მესაზღვრეები ასეთ ნარკოჯგუფებს მიაკვლევენ, დასახმარებლად სწორედ Су-25-ებს იძახებენ. მოიერიშეთა წყვილი კი ძალიან დაბალ სიმაღლეზე რამდენჯერმე გადაუფრენს მათ თავზე და თურქმენეთში შეღწევის ყოველგვარ სურვილს უკლავს. ავღანელებს ჯერ კიდევ ახსოვთ, თუ რა შავი დღე ელოდა ყველას, ვინც ავღანეთის ომის დროს იქ მოქმედი, თბილისში აწყობილი მოიერიშეების სამიზნეში აღმოჩნდებოდა.

„სკორპიონის“ გაყიდვით „თბილავიამშენმა“ მომგებიანი სვლა გააკეთა, რადგან თუ რომელიმე ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალები კიდევ დაინტერესდებიან „სკორპიონების“ შესყიდვით, მათ მაგალითად თურქმენეთი ექნებათ.

ეს პროცესი უფრო დაჩქარდებოდა, თავად საქართველოს საჰაერო ძალებს რომ მიეღოთ შეიარაღებაში „სკორპიონები“, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ ხდება — ის პირველი „სკორპიონი“, რომელიც მსოფლიომ ლე-ბურჟეს ავიაკოსმოსურ გამოფენაზე 2001 წელს იხილა, კვლავ ეულად დაფრინავს და „თბილავიამშენის“ საცდელ პროგრამას აგრძელებს.

ქართული საბრძოლო ავიაცია კი კვლავ რჩება იმ ეფექტიანი მოიერიშეების გარეშე, რომლებსაც დავალების შესრულება ღამითაც შეეძლებათ და თანაც დიდი სიზუსტით.

*სპეციალურად „კვირის პალიტრისთვის“ აშგაბატიდან, „აქტეპეს“ სამხედრო-საჰაერო ბაზიდან*

# ჩემი ბომბით საქართველოს მტრებს ავაფეთქებ

## რა ეწერა ნაგვის ყუთის ამფეთქებლის გასაიდუმლოებულ წერილში?!

თბილისში, გმირთა მოედანზე 21 ოქტომბერს მომხდარი აფეთქების შემდეგ ნაპოვნი იქნა საქართველოს პრეზიდენტის სახელზე დაწერილი ბარათი — „პრეზიდენტს, სასწრაფოდ“.

თავად აფეთქება არ უნდა ყოფილიყო დიდი ძალისა. სავარაუდოდ, თოფის საფანტით გაკეთებული ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა მიწისქვეშა გადასასვლელის კიბესთან მდგარ სანაგვე ურნაში. ინციდენტის ადგილი ახლოსაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალთან.

ეს ამბავი ყურადღებას ნაკლებად მიიქცევდა, რომ არა პრეზიდენტისადმი მიმართვა. მისი შინაარსი კი სპეცსამსახურებმა გაასაიდუმლოეს. შესაძლოა იგი სწორედ სანაგვის ამფეთქებელმა დაწერა. წერილი დაწერილია ნუსხა-ხუცურით.

„კვირის პალიტრამ“ მოახერხა ამ ბარათის დაახლოებითი შინაარსის გაგება. როგორც ამბობენ, ის საკმაოდ არასერიოზულია და შესაძლოა სულიერად გაუწონასწორებელი პიროვნების მიერაც იყოს დაწერილი. მაგრამ დამაფიქრებელია ის, რომ ავტორი აცხადებს, — მაქვს დიდი სიმძლავრის ბომბი, რომლითაც შემიძლია საქართველოს ყველა მტერს გავუსწორდე...

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად სპეცსამსახურები გამალებული მუშაობენ წერილისა და აფეთქების ავტორის ვინაობის დასადგენად.







# ᲓᲐᲕᲭᲠᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲭᲠᲐᲗ... ᲥᲕᲔᲛᲔᲮᲔᲑᲘ?!

## სახელმწიფო ინტერესები თუ ქვეყნის ღალატი...




*ჩვენი დოსიე: 100 მმ კალიბრიანი საზენიტო ქვემეხები KC-19 საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 1948 წელს გამოჩნდა, 1955 წელს კი გამოვიდა მისი მოდერნიზებული ვარიანტი — KC-19M. ოთხბორბლიან ლაფეტზე დაყენებული საზენიტო დანადგარის მასა 9,4 ტონას აღწევს და იგი განკუთვნილია 15კმ-მდე სიმაღლეზე არა უმეტეს 1000 კმ/სთ სიჩქარით მფრენი ობიექტის დასაზიანებლად. მიზნის მისაღწევად ქვემეხიდან ნასროლ 15,6 კგ-იან საზენიტო ჭურვს თითქმის 44 წმ სჭირდება.*

21 ოქტომბერს, შუადღისას, დედოფლისწყაროში, თავდაცვის სამინისტროს საუტილიზაციო ბაზასთან მოულოდნელად ორი შვეულმფრენი დაჯდა. იქიდან დესანტირებულმა შავნიღბიანმა სპეცრაზმელებმა თვალის დახამხამებაში აიღეს მთელი ბაზა; თუმცა ეს არც უნდა გასჭირვებოდათ, რადგან ამ ნაწილს სულ რამდენიმე ჯარისკაცი თუ იცავს.

ეს სპეცრაზმელები უცხო ქვეყნის დივერსანტები როდი იყვნენ, ისინი შინაგან ჯარებს ეკუთვნოდნენ. მათ ეს სპეცოპერაცია განახორციელეს იმ ინფორმაციის თანახმად, რომელიც ამ ბაზიდან ქვემეხების დაჭრილი ლულების აზერბაიჯანში გატანას იტყობინებოდა.

შინაგანი ჯარების სარდალი და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ტელეკამერების წინ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს პასუხს სთხოვდნენ ქვემეხებისთვის ლულების დაჭრისა და ჭურვების დაშლისთვის. რამდენიმე საათში თავდაცვის სამინისტროს რვა მოსამსახურეც დააკავეს ნიღბოსნებმა, მაგრამ მალე გამოუშვეს.

ამ ნახევრად დეტექტიურ შემთხვევას გაგრძელება მოჰყვა — ჯერ დაუსწრებელი ტელედებატების სახით, რომლებშიც ორივე მხარე თავის სიმართლეს ამტკიცებდა; ორიოდ დღეში კი დედოფლისწყაროში კომპლექსური საექსპერტო ჯგუფი გაიგზავნა ჭეშმარიტების დასადგენად — მართლა იყო თუ არა დასაჭრელი იქ შენახული 121 ცალი 100 მმ კალიბრიანი KC-19 ტიპის საზენიტო ქვემეხი.

შინაგანი ჯარების სარდალმა, გენერალ-მაიორმა გოგი თათუხაშვილმა, რომელიც შინაგანი ჯარებისა და თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების შერწყმის შემდეგ მალე ალბათ უკვე სახმელეთო ჯარების სარდალი გახდება, „კვირის პალიტრას" განუცხადა:

— ძველ სახლს ახლის აშენებამდე არ ანგრევენ, ჩვენ კი ისე მოვსპეთ ძველი ჰაერსაწინაალმდეგო თავდაცვის სისტემა, რომ ახალი არ შეგვიქმნია და დავრჩით „რაგატკების" იმედად. ვადაგასულ საბრძოლო ტექნიკას რესურსს უგრძელებენ, რადგან ახლის შეძენა ძალიან ძვირი ჯდება. რატომ ვიჩქარეთ KC-19-ების დაჭრა? თუ, როგორც ამბობენ, მოძველებულია და იმიტომ, მაშინ დასაჭრელი გვქონია რუსებისგან დარჩენილი T-55 ტიპის ტანკები და ამერიკელების ნაჩუქარი ვიეტნამის ომისდროინდელი „იროკეზებიც" კი. მოძველებული საბრძოლო ტექნიკა კი არ არის დასაჭრელი, არამედ ის მოძველებული კადრებია გასაშვები, რომლებიც ქართულ არმიას შეიარაღების გარეშე ტოვებენ. მათ უკვე დამუშავებული აქვთ მოქმედების პრინციპი: ჯერ შლიან ჭურვებს და მერე აცხადებენ, — რაღად გვინდა უჭურვო ქვემეხებიო და მათაც ჭრიან ან პირიქით. ამ საზენიტო ქვემეხებს მე ისევე აღვადგენ, როგორც უკვე გავარემონტეთ ის ჰაუბიცები და ტანკები, რომელთა ჯართში ჩაბარება ჰქონდა განზრახული თავდაცვის სამინისტროს.

შინაგანი ჯარების სარდლის სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია აქვთ გენერალურ შტაბში, ასევე სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში". ისინი მიიჩნევენ, რომ სტალინის დროს გამოშვებული KC-19 ტიპის საზენიტო-საქვემეხო კომპლექსები აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ისინი წლობით ცუდად ინახებოდა, იძარცვებოდა, ამიტომ მათი აღდგენა გაჭირდება და სასურველია, უტილიზებული იქნას.

***ჩვენი დოსიე:*** *დედოფლისწყაროს საუტილიზაციო ბაზის ტერიტორიაზე, რომელსაც „სოპკასაც" ეძახიან, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო განთავსებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის — ЗакВО-ს საჯარისო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შეიარაღების შენახვის ცენტრი. 1992 წელს ეს ნაწილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. იმ დროისთვის იქ იყო საზენიტო-სარაკეტო Круг-ის არანაკლებ 14 კომპლექსი და 150-მდე 100 მმ კალიბრიანი KC-19 ტიპის საზენიტო ქვემეხი, აგრეთვე დიდი რაოდენობის სხვა ტექნიკა, მათ შორის კონტეინერებში შენახული Круг-ის 216 რაკეტა.*

ღია ცის ქვეშ, წესების გარეშე შენახული საბრძოლო ტექნიკა, რომელიც ამასთანავე წლების განმავლობაში უმოწყალოდ იქურდებოდა, ნელ-ნელა მწყობრიდან გამოვიდა.



*ეს ბოლო ფოტოსურათია სწორედ იმ KC-19 ტიპის საზენიტო ქვემეხებისა, რომლებიც მალევე დაჭრეს*



*100 მმ კალიბრიანი საზენიტო ჭურვების უტილიზაცია ასე მიმდინარეობდა*

თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა იმ ზენორმატიული სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო მასალებისა და სამხედრო სპეცქონების ნუსხა, რომელიც ექვემდებარებოდა ან განადგურებას, ან უტილიზაციას, ან შესაძლო რეალიზაციას.

ეს ნუსხა ბოლო წლებში რამდენჯერმე იქნა განხილული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოზე და ყოველთვის მოწონებული იყო. რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ბოლოს იგი ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათშორისო კომისიის 2004 წლის 6 ივლისის სხდომაზეც გამოიტანეს და მასში საზენიტო ქვემეხების დაჭრასთან დაკავშირებით არავითარი ცვლილება არ შეუტანიათ.

ანუ, ამით იმის თქმა გვინდა, რომ თუკი ახალ ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ შევარდნაძის მთავრობამ არასწორად მიიღო გადაწყვეტილება ზემოხსენებული ქვემეხების დაჭრის შესახებ, მაშინ 6 ივლისის სხდომაზე ამის გამოსასწორებლად საუკეთესო შანსი არსებობდა და აღარ იქნებოდა საჭირო სპეცოპერაციის ჩატარება დედოფლისწყაროში.

შინაგანი ჯარების სარდალი იმიტომაა აღშფოთებული, რომ მისმა ქვეშევრდომებმა ვერ მოასწრეს გამოწერილი 12 საზენიტო ქვემეხის მიღება დედოფლისწყაროს ბაზიდან და ისინი სასწრაფოდ დაჭრეს. თავდაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ აგვისტოს შემდეგ შინაგან ჯარებს საკმაო დრო ჰქონდათ ამის გასაკეთებლად.

მაინც რად უნდა შინაგან ჯარებს საზენიტო ქვემეხები? ისინი ხომ 1-ელ ნოემბერს სახმელეთო ჯარებს უერთდებიან და არა ჰაერსაწინაალმდეგო თავდაცვის დანაყოფებს?

შინაგან ჯარებს უქმად მიგდებული და დასაჭრელად გამზადებული საზენიტო ქვემეხებისთვის ფუნქციის შეცვლა — სახმელეთო მიზნების დასაზიანებლად გადაკეთება — ჰქონდათ ჩაფიქრებული, რადგან KC-19-იდან ნასროლი ჭურვი 21 კმ-ის სიშორეზე მიდის.

***ჩვენი დოსიე:*** *KC-19-ის არასაზენიტო დანიშნულებისამებრ გამოყენების გამოცდილება ქართველმა არტილერისტებმა ჯერ კიდევ აფხაზეთის ომში მიიღეს. ჯავშანმატარებელზე 8 ცალი KC-19 ეყენა, რომლებიც საცეცხლე პოზიციებს სწრაფად იცვლიდნენ. ერთი ამგვარი საზენიტო დანადგარი კელასურთან იდგა, ერთიც — შუქურასთან. ესენი იმ დროისთვის ყველაზე შორსმსროლელ ქართულ ქვემეხებად ითვლებოდა.*

იბადება კითხვა: — რამდენად ეფექტიანი იქნება სახმელეთო პოზიციების დასაბომბად ის საზენიტო ჭურვები, რომლებიც მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ჰაერში დასაზიანებლადაა განკუთვნილი? თანაც არ უნდა დავივიწყოთ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ნიუანსი — KC-19-ით გასროლილი ჭურვის ამფეთქი მხოლოდ წინასწარ დაყენებული დროის გასვლის შემდეგ მოქმედებს, ანუ კომპლექსში შემავალი ცენტრალური რადიოლოკაციური სადგური ადგენს მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ფრენის „ჭერს" და ჭურვების ამფეთქებიც დგება ამოქმედების იმდენ წამზე, რა დროც სჭირდება ნასროლ ჭურვს, თვითმფრინავების ფრენის სიმაღლეს რომ მიაღწიოს. სახმელეთო სამიზნეზე მოხვედრისას იგი მაშინვე არ აფეთქდება, რადგან ჭურვის ამფეთქს არ აქვს კონტაქტური მუშაობის პრინციპი.

შინაგან ჯარებში გამოსავალს იმაში ხედავენ, რომ ამ ჭურვების ამფეთქებს მცირე მოდერნიზაციას ჩაუტარებენ (როგორც ეს აფხაზეთის ომში ხდებოდა) და ჭურვები მიწაზე დაცემის დროსაც აფეთქდება.

საზენიტო ჭურვების ამფეთქებლების გადაკეთება ცოტა არ იყოს, სარისკო საქმეა, რადგან აფეთქება შეიძლება ჰაერში ფრენის ტრაექტორიაზე მაშინაც მოხდეს, როდესაც ჭურვი ჯერ კიდევ საკუთარი პოზიციების თავზე იმყოფება. როგორც ამბობენ, ამის რამდენიმე შემთხვევა აფხაზეთის ომში და ახლაც — ცხინვალის მოვლენების დროსაც ყოფილა.

არსებობს ერთი გამოსავალი: საზენიტო ჭურვების ნაცვლად სახმელეთო მიზნების დასაზიანებლად KC-19-დან სასროლად გამოყენებული იქნეს იგივე ჭურვები, რასაც 100 მმ კალიბრიანი Д-10 ტიპის ის ქვემეხები ისვრიან, რომლებიც T-55 ტიპის ტანკებზე აყენია.

თუ მაინცდამაინც 100 მმ კალიბრიანი ჭურვების სროლა გინდათ, რაღა KC-19-დან ვისროლოთ, T-55-ებსაც შეუძლიათ დახურული პოზიციიდან სროლა, — მიაჩნიათ თავდაცვის სამინისტროში.

საზენიტო ჭურვების დაშლასთან და ქვემეხების დაჭრასთან დაკავშირებით ცალკე დაინტერესებულ მხარედ გამოდის ეუთო, რომლის წარმომადგენელმა ჯერ კიდევ 2003 წლის 30 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და „დელტასთან" ერთად ხელი მოაწერა დედოფლისწყაროში ვადაგასული ჭურვების უტილიზაციის ხელშეკრულებას.

2003-04 წლებში ამ პროგრამით დედოფლისწყაროში უტილიზირებული იქნა 5.852 ცალი 100 მმ კალიბრიანი (KC-19 საზენიტო ქვემეხებისთვის) და 5.000 ცალი 122 მმ კალიბრიანი (M-30 ტიპის ჰაუბიცებისთვის) ჭურვი. ამისთვის ეუთომ, საერთო ჯამში, თითქმის ნახევარი მილიონი ევრო გამოყო. უტილიზაციის შედეგად დაგროვდა 51 ტონა ლითონის ჯართი, საიდანაც შპს „გამა-ცენტრმა" რეალიზება გაუკეთა მხოლოდ ნაწილს (თითბრისგან დამზადებულ ჭურვის პილზებს უფრო იბარებენ, ვიდრე რკინისას) — შემოსულმა თანხამ დღგ-ის გარეშე 19 555 ლარი შეადგინა. უტილიზებული ჭურვებიდან მოგროვილი და გადამუშავებული 160 ტონა დენთი მიჰყიდეს „მადნეულს" და სხვა სამთო საწარმოებს. აქედან მიღებულია 62 919 ლარი დღგ-ის გარეშე. „გამა-ცენტრის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნით ეს თანხები დაიხარჯა სხვადასხვა ქვედანაყოფის ინფრასტრუქტურების აღდგენა-მოწესრიგებაში.

გასაგებია, რომ ეუთო, ისე როგორც აშშ, დაინტერესებულია, რომ საქართველოში რამდენიმე ჯარისკაცის იმედად არ ინახებოდეს აუარებელი რაოდენობის ჭურვი და დენთი, რომელთა გამოყენება შეიძლება ათასი ჯურის ტერორისტებმა სცადონ თუნდაც მათივე ტერიტორიაზე. ამიტომაც გასაგებია დასავლეთის ინტერესები, რაც შეიძლება მალე განადგურდეს ვადაგასული და ცუდად შენახული ქართული შეიარაღება და საბრძოლო მასალა.

ისიცაა ხაზგასასმელი, რომ ეუთოსთან ერთად დაწყებული უტილიზაციის პროგრამა არ ითვალისწინებდა 121 ცალი საზენიტო KC-19-ის დაჭრას, ეს უკვე თავდაცვის სამინისტროს ინიციატივაა, რომელსაც მხარი დაუჭირა ეროვნული უშიშროების საბჭომ და შეასრულა „გამა-ცენტრმა".

ეს ამბავი მაღალ ეშელონებში ჩუმად, მაგიდასთან უნდა მოგვარებულიყო და არა ნიღბიანი სპეცრაზმელების მონაწილეობით, რადგან ხელებგადაგრეხილი დაბალი ჩინის ოფიცრების საქვეყნოდ, ტელევიზიით ჩვენება, რომლებსაც არავითარი ბრალი არ მიუძღვით, არანაკლები დანაშაულია.

ორ ათეულამდე KC-19 კიდევ რჩება, ეს კი საკმარისია ექსპერიმენტის ჩასატარებლად — რამდენად გამოდგება ის საზენიტო ქვემეხები სახმელეთო სამიზნეების ზუსტად და ეფექტიანად დასაზიანებლად.

*რუბრიკა მოამზადა*
*ირაკლი ალადაშვილმა*



# სიკვდილთან თამაში... ყვავის ტუზით

## ქართველების მოსისხლე ქართველი მოსკოვში მოკლეს

*„19 ოქტომბერს მოსკოვში მოკლეს აფხაზი ბოევიკი ქალი, წარმოშობით ქართველი, ეკა ახალაია. მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. ეკა ახალაია ვლადიმირ ბუთბას დანაშაულებრივი დაჯგუფების სნაიპერი, შემდეგში კი სოხუმის აფხაზური პოლიციის თანამშრომელი იყო.“*

*რადიო „ფორტუნა“*



**მალე ომი დაიწყო... ქართველების განადგურება ახლა საქებარი საქმე იყო და ეკა ახალაიაც მიწოდებული ინფორმაციების საფასურად სულ მადლობებს იღებდა აფხაზი ბოევიკებისაგან. მერე, როცა თავისიანებმა გაუგეს, ნიღაბი ჩამოიხსნა და აშკარად გადავიდა აფხაზთა მხარეს. ბევრი სისხლი დაღვარა, ბევრ ქართველ ქალს ჩააცვა შავი, ამით იკლავდა ბოღმას, ამით იმშვიდებდა თავს. თუმცა არა მარტო მამაკაცების, ოღონდ ქართველი ყოფილიყო და არც ქალების ხოცვაზე ამბობდა უარს...**

### ბერეგის, კატა მოდის დატენილი!

სოფლის საფიხვნოზე ხანდაზმულები თუ უხუცესები მხოლოდ საღამოს გადიოდნენ. მანამდე აქ ახალგაზრდები იკრიბებოდნენ და ცოტა ხნით „ბირჟად“ გადაიქცეოდა მოხუცების საყვარელი ადგილი, თუმცა ამის გამო საყვედური ერთხელაც არავის წამოსცდენია. საფიხვნო ერთგვარად სოფლის კულტურული ცენტრი იყო და აქ ყალიბდებოდნენ პიროვნებებად უწვერული ჭაბუკები. სოფელში ვერავინ გაიხსენებდა თუნდაც ერთ ისეთ ეპიზოდს, ჩრდილს რომ მიაყენებდა ამ საკრებულოს მანამ, ვიდრე ახალაიების თავხედი გოგო მოევლინებოდა აქაურობას. აი, მას მერე კი, რაც ამ ბრტყელსახიანმა და ფეხებმოღრეცილმა არსებამ სოფლის ბოლოდან აქეთ გადმოინაცვლა, ნელ-ნელა აირია მონასტერი. ჯერ თექვსმეტისაც არ იყო და სულში ისეთი ეშმაკი ეჯდა, იმდენ ბოღმას დაატარებდა მკერდის შიგნით, რომ მშობლები საფიხვნოზე გასვლას უკრძალავდნენ. მაგრამ სად უნდა წასულიყვნენ ახალგაზრდები, როცა სოფელში სხვა არაფერი იყო ერთი ნახევრად დანგრეული კლუბის გარდა, რომელშიც კვირაში ერთხელ თუ უჩვენებდნენ კინოფილმს. აქ იყო მათი კულტურის სახლიც, დასასვენებელი პარკიც და თუ გნებავთ, წარმოსახვითი თეატრიც, რომლის რეჟისორობა, რაც მართალია მართალია, შესანიშნავად გამოსდიოდა ეკას. არაფრისგან ისეთ სანახაობას წარმოადგენდა, სიცილით ჩააბჟირებდა ადამიანს. იმ დღეს, მაგალითად, კვერცხი დააძრო უბიდან და გამოაცხადა — თვალები ამიხვიეთ და კვერცხი დამალეთ. თუ ვერ მივაგნებ, ამ საღამოს კინოს ბილეთები ჩემზე იქნებაო და დაქალს, თინა ჯოლოგუას შეაჩეჩა ხელში ამ საქმისათვის სახლიდან საგანგებოდ წამოღებული დედამისის ხილაბანდი. თინამ გულდასმით შეასრულა ეკას მითითება (და როგორც შემდეგ გაირკვა, არა მხოლოდ ეს) — თვალები საგულდაგულოდ აუხვია, მერე კვერცხის გადამალვას შეეცადა, ხან ერთს მიაბარა, ხან მეორეს, მაგრამ თითქოს ვერც ერთს ვერ ენდო. თუმცა, როცა ეკამ დააჩქარა, — ამდენ ხანს ერთი კვერცხი როგორ ვერ გადამალეო, იქვე მჯდომ ბირკუსს შინნაქსოვი ქუდი მოხადა, კვერცხი შიგ მოათავსა და კვლავ მის პატრონს ჩამოაცვა თავზე. პირდაფჩენილი ბირკუსი ყურადღების ცენტრში მოექცა და დიდადაც გაიხარა. ხუმრობა ხომ არ იყო, აქამდე თუ არავინ არაფრად აგდებდა, ახლა ის თამაშის უშუალო მონაწილე ხდებოდა. დარწმუნებული იყო, ეკა სამალავს ვერ მიაგნებდა და უფასო კინოს ბილეთიც განაღდებული ჰქონდა. რაკი კვერცხი „საიმედო ადგილას“ დაიგულა თინამ, ახლა ჯერი ეკაზე მიდგა. ეკამ ჯერ ყველა შეათვალიერა, მერე შეკრებილთა შორის ჩამოიარა და თითოეულს თვალებში ჩახედა. დაფიქრებული ქვედა ტუჩს იკვნეტდა და თავისთვის რაღაცას ითვლიდა. საკმაოდ გაჭიანურდა კვერცხის ძებნა და ის იყო, ყველამ ხელი ჩაიქნია, ეკას ფოკუსი არ გამოუვიდაო, გოგომ თითქოს ვიღაც ამოიღო მიზანში, მაგრამ გზად ქვაზე ჩამომჯდარი ბირკუსი შეეფეთა. ერთი ლაზათიანად შეუკურთხა, შენ რაღა სულ ფეხებში მედებიო და თითქოს გაგულისებულმა თავში ისე წამოარტყა ხელი, რომ კვერცხი გატყდა და საცოდავ ბიჭს ცხვირ-პირსა და ყურებზე ჩამოეღვენთა. ბირკუსის გარდა ყველა მიხვდა, რომ ეს წინასწარ ჩაფიქრებული ოინი იყო და სწორედ ამგვარ დასასრულს ისახავდა მიზნად. ლაყე კვერცხიც სპეციალურად შეარჩია ამ გოგომ, — მას ხომ უბოროტო ხუმრობაც კი არ შეეძლო? ისე კი, სიცილით ბევრი იცინეს, თუმცა, ყველა კიცხავდა ეკას — ბირკუსს თავისი ჭკუასუსტობაც ეყოფა, ამას რაღა დაცინვა უნდაო. ეკასთვის კი მთავარი იყო სხვების ყურადღება მიექცია. იცოდა, რომ თავისი გარეგნობით ვერავის მოხიბლავდა. ჰოდა, ისიც რას აღარ აკეთებდა — ხან მობალახე ძროხებს კუდზე დიდ ქვას ჩამოჰკიდებდა და საცოდავი პირუტყვი მთელი დღე გიჟივით დაძუნძულებდა. ხან ეზოს ძაღლებს კარბიდის ნატეხს ჩაუდებდა პირში და მერე გოგო-ბიჭებს ეპატიჟებოდა სულთმობრძავი ცხოველის საცქერლად. თუმცა ასეთ რამეებზე უკვე აღარავის ეცინებოდა და ეკას თანატოლთა წრეც ნელ-ნელა ისე შემცირდა, რომ ბოლოს თინა ჯოლოგუაღა შემორჩა, თუმცა დღეს თუ ხვალ თინაც უგანებდა ამ ბოროტ გოგოს. ეკა კი თვითდამკვიდრებისათვის იბრძოდა და ახალ-ახალ გასართობს იგონებდა. იმ დღეს მეზობელი პირტაიების ხვადი კატა დაეჭირა, მუცელზე დინამიტი მიება და თანატოლებს გამოუცხადა — ახალ ფოკუსს გაჩვენებთ, ცოცხალი კატა აფეთქდებაო. მართალია, გულზე აღარ ეხატებოდათ, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლიათ და მთელი საფიხვნო (თუ „ბირჟა“) სასეიროდ მოემზადა. ეკამ ბოხჩიდან საცოდავი კატა ამოაძვრინა, სანთებელას ჩამოჰკრა, კატის უკან გამოჩრილ ფითილს (ბიკფორდის ზონარს) მოუკიდა და ცხოველმაც ისკუპა.

— ბერეგის, კატა მოდის დატენილი! — იყვირა ბირკუსმა და უკეთ რომ დაენახა, მესერზე შეხტა. კატამ ჯერ მოსეირეებს შემოურბინა, მერე კი არც აცია, არც აცხელა და თავისი პატრონის თივით გამოტენილ საბძელში დურთა თავი. ცოტაც და ჰაერში მიფრინავდა საბძლის კედლები, სახურავი თუ კრამიტი. იმ ადგილას კი, სადაც რამდენიმე წამის წინ საბძელი იდგა, ახლა თივას გაუდიოდა გიზგიზი. ცეცხლი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ წყლის მისხმაც აღარავის უცდია.

— ვინ დამღუპა, ვინ? რას ერჩოდით ჩემისთანა გაჭირვებულს? — მოთქვამდა ყავარჯნებზე დაყრდნობილი ევგენი პირტაია და მეზობლებს ემუდარებოდა, დამეხმარეთ, ცეცხლი სახლზე არ გადავიდესო. სასაცილო აღარაფერი იყო, ყველა ნანობდა, რომ კატის მუცელზე აკრული დინამიტი ვერ შეამჩნიეს, თორემ ამის ნებას არ მისცემდნენ ამ სცენის დამდგმელ რეჟისორს. ეკას დაუწყეს ძებნა, მაგრამ ის აფეთქებისთანავე გაპარულიყო.

### ყვავის ტუზი

— შეგატყვე, მერაბი ჩაგვარდნია გულში. ისე უყურებდი, შემეცოდე, — თანაგრძნობით უთხრა თინამ ეკას.

— საცოდავი მე კი არა, ცირაა, იმ ბიჭს რომ ეტორღიალება. ვაი მაგის პატრონს, თუ ჰგონია, რომ მერაბს დავუთმობ.

— შენ არ დაუთმობ, მაგრამ მერაბი თვითონ ეწებება.

— რამდენიც უნდა, იმდენი მიეწებოს... ჯერჯერობით... მერე კი ვნახოთ, ვინ გაჭრის კარტს! — წაისისინა ეკამ.

— კარტსო? იცი, ცირა შესანიშნავად მკითხაობს კარტზე. ისეთი რამეები მითხრა, რაც მარტო მე ვიცოდი. სასწაულია პირდაპირ...

— ჰოდა, თუ ასეა, ხვალ მე მიმკითხაოს. ვნახოთ, თუ გამოიცნობს, რა სიურპრიზს ვუმზადებ.

მეორე დღეს, საღამოს, ცირა მკვდარი იპოვეს კელასურის სანაპიროზე, ლელიანში, სადაც სოფლის გოგონები დადიოდნენ ხოლმე საბანაოდ. თუმცა ცირას რატომღაც ბანაობა მარტოს ერჩივნა და ეს მთელმა სოფელმა იცოდა. არც არაფრისა ეშინოდა. იცოდა, მერაბის შეყვარებულს ვერავინ ვერაფერს ჰკადრებდა. ერთადერთი ჭრილობა ჰქონდა საფეთქელთან, მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ესროლათ. მკვლელს ვერავინ მიაგნო და ეს საქმეც თაროზე შემოდეს. მასში მხოლოდ რამდენიმე კაცის დაკითხვის ოქმები და ერთი დასტა კარტი იყო, რომელსაც მხოლოდ ყვავის ტუზი აკლდა. გამოძიებამ მხოლოდ ის დაადგინა, რომ ცირა მებონია ამ კარტით მკითხაობდა ხოლმე... მხოლოდ და მხოლოდ თავის გასართობად.

მერაბს პირველმა ეკა ახალაიამ მიუსამძიმრა. ბიჭს ყურმოკრული ჰქონდა, რომ ამ მახინჯ გოგოს გული შევარდნოდა მასზე და თუ ადრე ამაზე ეცინებოდა, ახლა ზიზღი ვერ დაიოკა. წყრომა ვერ დამალა და ზურგი უჩვენა „საჭირისუფლოდ“ მოსულს.

— რაო, ახლა მაინც ვერ შეგამჩნია მერაბმა? — ცოტა არ იყოს, აგდებით ჰკითხა თინამ ეკას.

— ქართველი კაცები ბრმები არიან. სამაგიეროდ, აფხაზები მამჩნევენ და ერთმანეთსაც ეცილებიან ჩემს თავს. ვალერი ბუჟბას ხომ იცნობ? სწორედ გუშინ მთხოვა, ერთად ვივახშმოთო.

— მერე აქ, აბჟაყვაში სად უნდა ივახშმოთ, სოფელში ერთი პატარა კაფეც კი არ გვაქვს. გარდა ამისა, ვალერი მაინცდამაინც კარგი სახელით ვერ დაიკვეხნის.

— სოხუმი აქვე არ არის? იქ წავალთ.

— წახვალთ და იქიდან მუცელგამობერილი დაბრუნდები. ისიც ნუ დაგავიწყდება, სოფელში რომ ხმები დადის, აფხაზები იარაღს აგროვებენ ქართველებთან საომრად და ამ საქმეს ვალერი ბუჟბა ხელმძღვანელობსო, — ხმას აუწია თინამ.

— მერე მე რაში მეკითხება, ვინ ვისთან იომებს, ქართველებმა რა ხეირი დამაყარეს, აფხაზებს რომ არ ვენდო? — თავის მხრივ გაკერპდა ეკა.

— როგორც გინდა. მე კი მგონია, ქართველებზე გასაბრაზებელი შენ არაფერი გაქვს. სხვას ვის მოუთმენდნენ იმდენს, რაც შენ შენიანებმა მოგითმინეს. იმის გამო, მერაბ გუნავამ რატომ არ შემიყვარაო, მთელი ერი როგორ უნდა მოიძულო? სხვათა შორის, გუშინწინ ისიც გავიგონე, ანრი სართანიამ რომ თქვა, — ვიცი, ვინც მოკლა ცირა მებონია და ამ დღეებში გამომძიებელს ვეტყვიო, — ეს თქვა თინამ და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა უეცრად გაფითრებულ ეკას. თინამ სიტყვის თქმა აღარ აცალა ამხანაგს, მაშინვე მოსცილდა.

მეორე დილით საკუთარ ეზოში მკვდარი იპოვეს ანრი სართანია. საცოდავისთვის ბოსლის წინ მიესწრო ტყვიას. ეტყობა, იქ ჩაუსაფრდნენ გამთენიისას, როცა საქონლის გამოსარეკად მიდიოდა. მკვლელს ამჯერადაც მცირეკალიბრიანი შაშხანა გამოეყენებინა. იმავე დღეს მიცვალებული ექსპერტიზის ჩასატარებლად მორგში გადაასვენეს. უკან რომ დააბრუნეს, გვამს ცალი თვალი აღარ ჰქონდა — საავადმყოფოში ამოეთხარა ვიღაცას.

— რა ღვთის რისხვაა, ნიკოლოზ, ჯერ კაცი მოკლეს, მერე მიცვალებულს თვალს თხრიან, გაგონილა? ხალხი დავბერდით და ამნაირი არაფერი გვსმენია? — საღამოს საფიხვნოზე თქვა სოფლის უხუცესმა გრიგოლ ქანთარიამ.

— არც მაგგვარი რამ გამიგონია და არც ის, რაც დღეს გავიგე. აგერ, ჩვენი მეზობელი, ვალერი ბუჟბა რომაა, მისი ცალთვალა ძმისთვის ჩაუსვამთ თვალი გუშინ სოხუმის საავადმყოფოში. ჩემმა რძალმა მითხრა ამ დილით.

— ამას რომ ჩაუსვეს, კარგია, მაგრამ იმას რომ ამოაცალეს, ეს როგორ გავიგოთ, მაგალითად?

— მთავრობამ ვერ გაიგო, გამოძიებამ ვერ გაიგო და ახლა ამას უნდა გაიგოს, რა ხდება, — მეზობელს გაეპასუხა ნიკოლოზი.

### წიწოლა ქალის კაბაში

— ჩვენ ასე არ გავრიგებულვართ, ვალერი... მთელმა სოფელმა იცის, საავადმყოფოს მორგში ანრი სართანიას ცხედარს თვალი რომ ამოსთხარეს. ისიც გაიგეს, რომ იმავე ღამეს შენს ძმას ჩაუსვეს თვალი. რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რაც მოხდა? — ეკა ახალაია ერთიანად ცახცახებდა, ოღონდ ვერ იტყოდით, ამის მიზეზი შიში იყო თუ სიბრაზე.

— მე ექიმებს თვალი ვთხოვე ჩემი ძმისთვის, მაგრამ ის არ მითქვამს, ანრის გვამს არ ამოსთხაროთ-მეთქი. რა ვიცოდი, თუ ანრი იმ დღეს უნდა მოგეკლა? შენ რა გაქვს სანერვიულო, ახლა ყველა ჩემზე მოიტანს ეჭვს, მაგრამ ბევრს ვერაფერს დამაკლებენ — ამ დღეებში ძალაუფლებას აფხაზები ავიღებთ ხელში და ამაში შენც უნდა დაგვეხმარო.

— ხომ გადმოგეცი იმ ქართველების სია, ვინც შეიძლება იომოს.

— კარგია, მაგრამ მეტი უნდა გააკეთო. ვიცი, რომ სროლა გეხერხება. ეს საქმითაც დაამტკიცე. მეტი მონდომებით ივარჯიშე — სნაიპერები დაგვჭირდება. მანამდე კი ქართველებთან დარჩები და მათ ყველა ჩანაფიქრს შეგვატყობინებ...

მალე ომი დაიწყო. ვისღა ახსოვდა ცირა მებონიასა და ანრი სართანიას მკვლელები? ქართველების განადგურება ახლა საქებარი საქმე იყო და ეკა ახალაიაც მიწოდებული ინფორმაციების საფასურად სულ მადლობებს იღებდა აფხაზი ბოევიკებისაგან. მერე, როცა თავისიანებმა გაუგეს, ნიღაბი ჩამოიხსნა და აშკარად გადავიდა აფხაზთა მხარეს. ბევრი სისხლი დაღვარა, ბევრ ქართველ ქალს ჩააცვა შავი, ამით იკლავდა ბოღმას, ამით იმშვიდებდა თავს. თუმცა არა მარტო მამაკაცების, ოღონდ ქართველი ყოფილიყო და არც ქალების ხოცვაზე ამბობდა უარს — აი, თქვენი ტურფები, ახლა ნახეთ რა ლამაზები არიან. თქვენი დედა, მაშ, მე არ მოგწონდით, არა?

იმ დღეს დიდხანს გაგრძელდა სროლა სოფელ შრომის მისადგომებთან. ქართველები რამდენჯერმე გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ მერე რატომღაც უკან დაიხიეს(!). სოფლის კოლმეურნეობის კანტორის სახურავზე შემომჯდარი ეკა გულდინჯად ისროდა ქართველი ბიჭებისკენ. ისე გაერთო, არც გაუგია, როგორ დაიხიეს მისიანებმა უკან. მერე ერთბაშად იხუვლეს ქართველებმა და სოფელს დაეპატრონნენ. ეკა გაიტრუნა, სუნთქვაც შეწყვიტა თითქოს. იცოდა, ცოტა უნდა მოეთმინა, აფხაზებს რუსები მიეშველებოდნენ და კვლავ დაიბრუნებდნენ დაკარგულს. ან ქართველები თავიანთი უფროსების „ბედოვლათობის“ წყალობით თვითონ დათმობდნენ მოპოვებულს. ამასობაში ეტყობა ვიღაცამ შენიშნა და ახლა სახურავზე რამდენიმე კაცი ამოდის. სროლას აზრი არ აქვს. ერთი-ორს კი მოკლავს, მაგრამ არც მას დაინდობენ, ისევ ტყვედ ჩაბარება ჯობს და ისიც ნებდება, მაგრამ ქართველთაგან ვიღაცა აღმუვლდება — ამ „ახვარმა“ ორიოდე წუთის წინ ძმა მომიკლაო და პისტოლეტის ჯერი მიუშვა ქალის მიმართულებით.

— რას შვრები, გაბო? ის უკვე ტყვეა და თანაც ქალი, არ გეკადრება შენ ეს! — იარაღს ხელი აუკრა და ეკას გადაეფარა მერაბ გუნავა, რომელმაც უკვე იცოდა, ვინც იყო ტყვე. როცა ყველაფერი მიწყნარდა, გაირკვა, რომ ქალი მხარში იყო დაჭრილი და შველა სჭირდებოდა, თორემ სისხლისგან დაიცლებოდა. ამასობაში მოწინააღმდეგემ ზურგიდან ისეთი ცეცხლი გახსნა, იქ გაჩერება სახიფათო იყო. ეს ქალი იმად არ ღირდა, რომ მისთვის თავი გაეწირა. მერაბი იქაურობას გაეცალა.

— რატომ არ მოკალი, მერაბ, ხომ ნახე რა ბიჭები დაგვიხოცა? — დაუფარავი ზიზღით ჰკითხა თანამებრძოლმა.

— ქალის მოკვლა, თუნდაც ასეთის, კაცს სახელს ვერ მოუტანს. ეგეც არ იყოს, მარჯვენა მხარი ისე აქვს გაგლეჯილი, დიდხანს ვეღარ აიღებს ხელში იარაღს. არ გვეკადრება ქართველებს ქალის მოკვლა, თანაც ქართველი ქალისა, მიუხედავად იმისა, რომ თავისიანებზე ნადირობს... — ყველას გასაგონად თქვა მერაბმა. თუმცა, იმავე წუთს აეკვიატა ფიქრი ცირას კარტის დასტიდან გამქრალ ყვავის ტუზზე, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რა საერთო ჰქონდა ნანახსა და ნაფიქრალს.

### ბოლოთქმა

მხარგახვრეტილი სნაიპერი ქალი აღარაფერში სჭირდებოდათ აფხაზებს. სამაგიეროდ, სოხუმის მილიციაში მოუნახეს ადგილი და ქართველთა ოჯახებს აწიოკებდნენ. მერე, როცა სოხუმის მიმართულებით ნარკოტიკების ქარავანი დაიძრა, ეკა ახალაია ყაზახეთში გაგზავნეს. რაღა სხვებს შევაჩერდეთ ხელში, ჩვენც მოვითბოთ ხელი ამ ბიზნესითო და დაავალეს: ნარკოტიკების დიდი პარტიებით მოემარაგებინა მაღალჩინოსან მილიციელთა სალარო. ეკაც მალე გაუშინაურდა ყაზახ ნარკოდილერებს და იმდენი იჩალიჩა, რომ ყველაზე იაფ ნარკოსაამქროებზე გავიდა, რომლებსაც, მისდა გასაკვირად, ყაზახეთში თურქები განაგებდნენ. საამქროები ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის ნარჩენებისგან ამზადებდა იაფფასიან ნარკოტიკს, კრეკს. ყოფილი სნაიპერი დროდადრო კრეკის დიდ პარტიებს ოპიუმის შეკვრებსაც ზედ ურთავდა. გავიდა რამდენიმე წელი და დიდი ფული მოუტყუა თავის პატრონებს. რუსეთს შეაფარა თავი. ფულის პატრონებმა გამოაცხადეს — ასი ათასი დოლარით დავაჯილდოებთ იმას, ვინც ეკას გვაპოვნინებსო და ამ საქმეს ეკას ძველმა საყვარელმა, ვალერი ბუჟბამ მოჰკიდა ხელი. კაზაკთა ერთ სტანიცაში იპოვა ქალი, მაგრამ იმხანად რაღაც ეშმაკად გადაუღებლად წვიმდა და რომ მოეკლა, უგზოობის გამო სტანიციდან გამოსვლა გაუჭირდებოდა. აქაური უბნის ინსპექტორი კი პირველს, როგორც კავკასიელს, მას ჩაავლებდა ხელს. გარდა ამისა, ეკა ისე უნდა მოეკლა, რომ ეს ამბავი გახმაურებულიყო. სხვანაირად ჯილდოს ვერ მიიღებდა. ხერხი იხმარა, ა.წ. 19 ოქტომბერს მოსკოვში დაპატიჟა ქალი და იქ გამოასალმა სიცოცხლეს.

ეს ამბავი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მოედო. თუმცა არაფერი თქმულა იმის შესახებ, რომ მკვლელმა ეკას ჩანთაში სხვა ნივთებთან ერთად ყვავის ტუზიც აღმოაჩინა და ვერაფრით გაიგო, რაში სჭირდებოდა ყოფილ სნაიპერს ერთადერთი კარტი. ან როგორ უნდა გაეგო, მან ხომ არ იცოდა, რომ ცირა მებონიას მკვლელი ეკა ახალაია იყო!

**ვაჟა გავაშელი**

# ცინიზმს საზღვარი არ გააჩნია?!

„კვირის პალიტრის“ ამა წლის 18-24 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში შპს სადეზინფექციო სპეციალიზებული ეპიდზედამხედველობის ცენტრის დირექტორის, ბატონ გურამ ლიპარტელიანის მისამართით ვწერდით: „აი, ზღვარგადასული ცინიზმი და უსაზღვრო უსინდისობის შესანიშნავი მაგალითი“. თურმე ჯერ სად ვყოფილვართ! ვისგან და გურამ ლიპარტელიანისაგან მაინც არ ველოდით, რომ რედაქციაში წერილს მოიტანდა, რომელსაც სხვას ვერაფერს უწოდებს კაცი, თუ არა თავის მართლების უსუსურ მცდელობას. ჩვენ ველოდით, რომ ის ღირსეულად აღიარებდა დანაშაულს, მაგრამ ამაოდ. თურმე, ცინიზმსაც არ ჰქონია საზღვარი.

დიდხანს ვფიქრობდით, გაგვეკეთებინა თუ არა ამ წერილისათვის კომენტარი, მაგრამ რადგან შესაძლოა ბატონმა ლიპარტელიანმა თავისი წერილით მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს, ამიტომ მკითხველს და ბატონ გურამ ლიპარტელიანს შევახსენებთ, რომ არარსებული სკოლა „ბურატინოს“ სასწავლო ნაწილის გამგემ, სინამდვილეში კი ჟურნალისტმა, მას რამდენჯერმე და გასაგებად გაუმეორა, რომ სკოლას 800 კვმ ფართობი უჭირავს და არა — 600კვმ, როგორც თავის წერილში მიუთითებს ბატონი ლიპარტელიანი. სასურველი კლიენტი რომ არ დაეკარგა, არარსებული სკოლა „ბურატინოს“ „სასწავლო ნაწილის გამგეს“ თვითონვე შესთავაზა, რომ სკოლის ფართობს 600 კვმ-მდე შეამცირებდა და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების დამადასტურებელ ყალბ ცნობას „შეღავათიანად“, 156 ლარად მოგვცემდა. ვთქვათ, ბატონი ლიპარტელიანი მართლაც აპირებდა სკოლაში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებას (როგორც თავის წერილში აღნიშნავს — ზ. ჩ.), მაგრამ დარჩენილ 200 კვმ-ს რაღას უპირებდა? მისივე რჩევით, ხომ მხოლოდ 600 კვმ-ზე უნდა ჩატარებულიყო სადეზინფექციო სამუშაოები? ჩვენი შვილებისთვის რა მნიშვნელობა აქვს, სკოლის რა ფართობზე შეეყრება ბავშვს ვირუსი?

ბატონ გურამ ლიპარტელიანის მტკიცება იმის შესახებ, რომ მან წინააღმდეგობა ვერ გაუწია ქალბატონის დაჟინებულ თხოვნას, რომ ძველი რიცხვით მიეცათ მისთვის ცნობა, სიცრუეა. ჟურნალისტმა, ანუ სკოლის „სასწავლო ნაწილის გამგემ“, მხოლოდ ერთადერთხელ თქვა, რომ მას „მხოლოდ ცნობა სჭირდება“ და თან „წინა შაბათ-კვირის რიცხვით“. ეპიდზედამხედველობის ცენტრის დირექტორმა კი მარჯვე შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და ძველი თარიღით, კერძოდ კი 9 ოქტომბრით გასცა ყალბი ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლაში ცენტრის თანამშრომლებმა თითქოს უკვე ჩაატარეს სადეზინფექციო სამუშაოები. სხვათა შორის, ჩვენ შეგვიძლია დაინტერესებულ პირებს ამ გარიგების აუდიოჩანაწერიც წარვუდგინოთ.

ბატონო გურამ, თუ ცამდე მართალი ხართ (როგორც თქვენსავე წერილში ამტკიცებთ), მაშ, რატომღა დაგჭირდათ ჩემთან, ე. ი. სტატიის ავტორთან, ნაცნობი ჟურნალისტებისა თუ ნათესავების მოგზავნა და დაპირება, რომ თუ სტატიაში მოყვანილ ფაქტებს უარვყოფდი, „ნაწყენს“ არ დამტოვებდით(?!).

დასასრულ, ერთ რჩევას მოგცემთ: რაც უფრო დაჟინებით გააგრძელებთ აბსურდულ თავის მართლებას, მერწმუნეთ, თქვენს დანაშაულს ერთიორად დაამძიმებთ.

*პატივისცემით,*
*ზვიად ჩაკვეტაძე*

# ისე არასოდეს წვიმს — როგორც ქუხს!

გაზეთ „კვირის პალიტრის“ მ.წ. 18-24 ოქტომბრის №42-ში დაიბეჭდა სტატია სათაურით „ჩვენი შვილების ჯანმრთელობას რამდენიმე ათეულ ლარად ყიდიან“ — იგი ისეა შეთხზული, წამკითხველი უეჭველად იფიქრებს, რომ ჩვენი სამსახური ის დაწესებულებაა, სადაც ყალბი ცნობის გაცემა გარკვეული თანხის გადახდის შემთხვევაში — შესაძლებელია, არა და, „ბურატინოს“ ყალბმა ისტორიამ ჩვენი ორგანიზაცია ცრუ ბრალდების წინაშე დააყენა. საქმე იმაშია, რომ მ.წ. 12 ოქტომბერს შპს „დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციის და სტერილიზაციის სპეციალიზებული ეპიდზედამხედველობის ცენტრის“ დირექტორს გურამ ლიპარტელიანს დამირეკა უცნობმა მამაკაცმა, თავი გამაცნო არასახელმწიფო, საერო სკოლის „ბურატინოს“ დირექტორად და მთხოვა მათ სკოლაში ჩაგვეტარებინა სადეზინფექციო სამუშაოები და გაგვეცა ამაზე სათანადო ცნობა. მეორე დღეს მან მართლაც გამოგზავნა ქალბატონი, რომელიც „ბურატინოს“ სასწავლო ნაწილის გამგედ გამეცნო, გვითხრა დასამუშავებელი ფართობის მოცულობა (600კვმ), სკოლის მისამართი, ასევე დაზუსტდა მასთან შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება — 156 ლარი, ეს სწორედ ის თანხაა, რომელიც ზემოთ აღნიშნულ სტატიაში რამოდენიმეჯერ არის ნახსენები — როგორც ამაოდ გადახდილი, არა და, მინდა განვმარტო, რომ ეს თანხა ზუსტად არის გათვლილი 600კვმ. ფართობის დასამუშავებლად, რადგან 1 ლიტრი კონცენტრატი 7 ლარი და 20 თეთრი ღირს (სულ საჭირო იყო 18 ლიტრი), რომელიც შემოტანილი იქნა 15 ოქტომბერს. დაწესებულებას ხარჯებისთვის რჩება 26 ლარი და 40 თეთრი.



ხავსის მოჭიდებას ჰგავს ორგანიზაცია თანხის მითვისებაში დაადანაშაულო მაშინ, როცა სადეზინფექციო სამუშაოების ღირებულებისათვის საჭირო თანხა დროულად იქნა შეტანილი ჩვენს ანგარიშზე გ.ქ.ბ. №7 ფილიალში, ხოლო სალაროს გასავლის ორდერი სახეზეა, სალაროს შემოსავლის ორდერი და გაცემული ანგარიშ-ფაქტურა ხელზე მიიღო დამკვეთმა. ასე რომ, ლოგიკურობა მოითხოვს ითქვას, რომ ფულის ე.წ. „ლევად გამოყენება“ შეუძლებელი იყო. რაც შეეხება 16 ოქტომბერს, შეთანხმებისამებრ, სადეზინფექციო ბრიგადა სკოლა „ბურატინოს“ აღნიშნულ მისამართზე ამაოდ ეძებდა, რამოდენიმეჯერ დავრეკეთ იმ ქალბატონთანაც, ვინც ლ. სარიად „ბურატინოს“ სასწავლო ნაწილის გამგედ გაგვეცნო, მის მიერ დატოვებული ტელეფონის ნომერი, საერთოდ არ პასუხობდა ჩემს ნომერს, ანუ ჩვენი ნაკისრი ვალდებულების შესრულების საშუალება არ მოგვეცა.

ობიექტურობის მიზნით, სჯობდა, ქალბატონს მიეთითებინა არსებული რომელიმე სკოლა და თუ იქ არ ჩატარდებოდა დეზინფექცია, მაშინ დაწერილიყო აღნიშნული სტატია და მტყუან-მართალსაც ნათელი მოეფინებოდა.

სასწავლო დაწესებულებებიდან და განსაკუთრებით სკოლიდან იმდენად იშვიათია მომართვა დეზინფექციისათვის, რომ სამუშაოს შესასრულებელი თანხის წინასწარ, სრულად გადახდა და ქალბატონის დაჟინებული თხოვნა უმოკლეს ვადაში ჩაგვეტარებინა დეზინფექცია, თანაც მაინცდამაინც არასამუშაო დღეს (რაც დასტურდება ქალბატონის წერილობით თხოვნაში), ეს ეჭვს არანაირად იწვევდა ცნობის წინასწარ გასაცემად. აღნიშნული თანხა 156 ლარი მოხმარდება პირველივე სასწავლო დაწესებულებას, რომელიც მოგვმართავს თხოვნით სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებაზე და ზუსტ მისამართს მიგვითითებს.

P.S. ძვირფასო მკითხველო, ზემოთ აღნიშნული ფაქტებიდან ჭეშმარიტების დადგენა თქვენთვის მომინდვია.

**პატივისცემით, გ. ლიპარტელიანი**
**20.10.2004**

R

# აბსურდების სამყაროში

## ანუ ქვეყანა, სადაც ქვემდგომი ზემდგომის გადაწყვეტილებას აუქმებს



ქართული კანონმდებლობის ლაბირინთებში გარკვევა ხშირად ყველაზე გამოცდილ იურისტებსაც უჭირთ. „შავი ხვრელები“, რომლებიც ქართულ კანონმდებლობაში არსებობს, ხშირად კანონიერებისა და სამართლიანობის ცნებებს თავდაყირა აყენებს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ისეთი უცნაურობაც კი დასაშვებია, როგორიც, მაგალითად, ქვემდგომი ინსტანციის მიერ ზემდგომის გადაწყვეტილების გაუქმებაა. მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა, რომელიც ქობულეთის ქუჩაზე მიმდინარეობს, ამგვარი აბსურდული სიტუაციების ნათელი მაგალითია. ამ მშენებლობის შესახებ არსებობს მერიის შესაბამისი სამსახურების ექსპერტების უარყოფითი დასკვნა, ქალაქის მერის, ზურაბ ჭიაბერაშვილის მითითება მშენებლობის შეჩერების თაობაზე და რაც მთავარია, სასამართლოს განჩინება. თუმცაღა, მენაშენეთა ამხანაგობა „კასკადისთვის“ არც ერთი ეს დოკუმენტი მშენებლობის გასაგრძელებლად დამაბრკოლებელი არ აღმოჩნდა. მრავალსართულიანი მშენებარე კორპუსი, ზედმეტი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, ქარჩავას 2000 წელს აშენებულ სახლთან ისეა „ჩაწნული“, რომ ძნელი გასარკვევია, სახლი ერთია თუ ორი. სახლებს შორის დაშორება სულ რაღაც 10-15 სმ-ია, მაშინ, როცა საყოველთაოდ აღიარებული ნორმები 5-6 მეტრს მაინც ითვალისწინებს.

მრავალსართულიანი სახლის მშენებლობაზე პროტესტი გამოთქვეს ქარჩავამ და კიდევ 22-მა მობინადრემ, რადგან მშენებლობა, როგორც ვთქვით, არათუ დედაქალაქის არქიტექტურულ ნორმებში, არამედ არაცივილიზებული სამყაროს მოწყობის პრინციპებშიც არ ჯდება.

მკითხველს იმის მოყოლით, თუ რამდენი ინსტანცია მოიარა ამ საქმემ, აღარ გადავღლით. ორივე მხარის სასამართლოდან სასამართლოში სირბილი იმით დასრულდა, რომ საოლქო სასამართლომ მშენებლობის შეჩერების განჩინება გამოიტანა, სადაც მიუთითა, რომ განჩინება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა! მშენებლობის შეჩერების უზრუნველყოფის მიზნით, ამ განჩინების საფუძველზე გაიცა კიდეც სააღსრულებო ფურცელი, თუმცაღა მას აღსრულება არ ეწერა.

„კასკადმა“ ამჯერად ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში იჩივლა სააღსრულებო ფურცლის გაბათილების მოთხოვნით, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა კიდეც (როგორც მეორე მხარე ამბობს, გადაწყვეტილებას სამი თვე ელოდნენ, მაშინ როცა „კასკადის“ თავმჯდომარემ სააღსრულებო ფურცლის გაუქმება ერთ დღეში მოახერხა). ამით, ფაქტობრივად, შეჩერდა ზემდგომი ინსტანციის — საოლქო სასამართლოს — იმ განჩინების მოქმედება, რომელიც წესით, გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

როგორც ხედავთ, ამ აბსურდულ სიტუაციაში გარკვევა არც ისე ადვილია. მით უმეტეს მაშინ, თუ ვიტყვით, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლეს თურმე ქართული კანონმდებლობა არ დაურღვევია! მაგრამ (პარადოქსიც სწორედ ამაში მდგომარეობს) ზემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება მაინც გაუქმებულია. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს კანონმდებლობის ლაბირინთებში გარკვევა არც ისე ადვილია. მას შემდეგ, რაც სასამართლო ხელისუფლებას აღსრულების ფუნქცია ჩამოართვეს, მოსამართლე უბრალოდ მწერლად იქცა. დაინტერესებულ პირს კანონით მინიჭებული აქვს უფლება, თვით უზენაესი სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილებაც კი ფარატინა ფურცლად აქციოს. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ნოზაძე, რომელმაც სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს, რომ მას ამგვარი ქმედების სრული უფლება ჰქონდა, რადგან „კასკადის“ თავმჯდომარემ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება კი არ გაასაჩივრა, არამედ სააღსრულებო ბიუროს უჩივლა... გამოდის, რომ ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას ქვემდგომი ინსტანცია კანონის სრული დაცვით და უმტკივნეულოდ აუქმებს... რა ჰქვია ამას თუ არა აბსურდი? ჩვენი ქვეყნის სააღსრულებო სისტემაში არსებულ სრულ ქაოსსა და განუკითხაობაზე მალე ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო იმსჯელებს.

**ლია მუხაშავრია,** იურისტი: „იმის გამო, რომ აღსრულება აღმასრულებელ ხელისუფლებას დაუქვემდებარეს, მოსამართლეები ხელ-ფეხშეკრული აღმოჩნდნენ. ამით მართლმსაჯულება და აღსრულება ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებები აღმოჩნდა. ყველაფერი ეს განზრახ, გამიზნულად გაკეთდა. მაგრამ არსებობს ევროკონვენცია, რომელიც საქართველოზეც ვრცელდება და თავის გამართლება ქართული კანონმდებლობის იწილობიწილოთი არ მოხერხდება. ყველა მოსამართლემ უნდა იცოდეს, რომ ევროკონვენციას სავალდებულო ძალა აქვს — კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლებას აქვს როგორც მართლმსაჯულების განხორციელების, ასევე გადაწყვეტილების აღსრულების პრეროგატივაც“.

P.S. ამას წინათ ჩემმა მეზობელმა ბინის თაობაზე არსებული ათწლიანი დავა უზენაეს სასამართლოში, როგორც იქნა, მოიგო. როცა საქმე აღსრულებაზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ სააღსრულებო ფურცელი რაიონულ სასამართლოს უკვე გაებათილებინა(?!). გამოდის, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას არანაირი ძალა არ ჰქონია. სამწუხაროდ, მსგავსი პრეცედენტები ქართულ რეალობაში იშვიათი არ გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის ამგვარი „შავი ხვრელები“ მოსამართლის უკანონო ქმედებაზე საუბარს შეუძლებელს ხდის, არსებობს მოსამართლის შინაგანი რწმენა, რომელმაც მას საჭირო მომენტში არ უნდა უღალატოს.

***ხათუნა პაიჭაძე***





# რესტორანი-პიცერია-ბარი «იტალია»

**ახალი თევზის, მაცარელას, გამბერონის, კალამბარის გარდა ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ კიდევ ბევრი სხვა ნამდვილი იტალიური კერძი.**

**დღეიდან ბიზნესლანჩზე — 12.00-დან 16.00-მდე ვაწესებთ 20%-იან შეღავათს. ყველა ქალბატონი, ვინც მარტო გვესტუმრება, აგრეთვე 25 ასაკამდე მამაკაცი ისარგებლებენ 25%-იანი შეღავათით. წინადადება ძალაში რჩება 31 ოქტომბრამდე.**

**ჩვენს რესტორანს ახალი მზარეული ჰყავს — მიშელი, რომელიც ვენეციის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში მუშაობდა.**

**მენეჯერი ჯუზეპე სიამოვნებით გაცნობებთ, რომ თქვენ გელით ახალი მენიუ საინტერესო ფასებით.**

| მენიუ: | ლარი |
|---|---|
| Pizza con mozzarella | 6.50 |
| Spagetti carbonara | 11.00 |
| Penne al pesto | 8.50 |
| Gnocchi 4 formagi | 12.00 |
| Fegato veneziana | 11.50 |
| Cappuccino | 5.50 |
| Tiramisu' originale | 8.00 |
| Salad bar | 5.50 |

ჯუზეპე და მიშელი გელიან „იტალიაში“ კარგ დროს ტარებას გისურვებთ.

თბილისი, ვირსალაძის №7



# „მამის მკვლელი მეფობას ვერა იქმს...“

*XV საუკუნის დასაწყისი...*

*საქართველო 3 სამეფოდ და 5 სამთავროდაა დაშლილ-დაჩეხილი. აურაცხელი მტრის შემოსევებით სისხლდაწრეტილი ქვეყნის შვილები ცალ-ცალკე ეომებიან ბედისწერას და ყველაფერს აკეთებენ, რომ... არ გაერთიანდნენ...*

*და ეს იმ დროს, როდესაც ქართულ სამანეებში ლახვარივით შემოჭრილა მუსლიმანური გველეშაპი და შთანთქმას უპირებს საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილ ქართველ მეფე-მთავრებს. თურქეთს თითქმის გადაუყლაპავს შოთას აკვანი — მესხეთი და ძირძველ-ქართული მიწა თავის სანჯაყად უქცევია. მათივე მარწუხებში ლაფავს სულს იმერეთი, ოდიშ-აფხაზეთი, აჭარა, გურია... ოსმალთა საკუთრებად ქცეულა ქართლის გული — თბილისი. თვით ირანის დიდი ნაწილიც მათი მბრძანებლობის ქვეშაა მოქცეული...*

*...და თითქოს ეს არ ეყოფოდა პატარა საქართველოს, ირანის ტახტზე აბრძანებულა შაჰ-აბას , ქართულ-მესხური და თურქმან-ყიზილბაშური ნაჯვარი სისხლით გაჟღენთილი მძლავრი დესპოტი, აბრძანებულა და ავი თვალი დაუდგამს საქართველოსთვის...*




## 1605 წლის 22 ოქტომბერს ბელაქნის წყალზე კახეთისა და მთელი საქართველოს ბედი გადაწყდა

### ქართველებმა შაჰ-აბასი ომის უნახავი გახადეს

...და მაინც, ყველაზე მშვიდად იმ შფოთიან წლებში კახეთი ცხოვრობს, გრემის ტახტზე ზის ალექსანდრე , რომელიც მოქნილი პოლიტიკის წყალობით, ომის საფრთხეს აცილებს ალაზნის ველზე გაშლილ ღვთაებრივ კუთხეს. კახთა მეფეს რუსეთისკენაც გაუწვდენია დიპლომატიური ხელი და ერთმორწმუნე თეთრ ხელმწიფეს მფარველობას ეაჯება. რუსეთი ერთგულების ფიცს ითხოვს. ერთხელ, მეორედ... მეათედ. ალექსანდრეს ელჩები ძაგემ-მოსკოვის გაუთავებელ გზაზე ამაოდ ტკეპნიან ფუჭ იმედებს, ყურის ძირში სამტროდ ჩაბუდებული ირანის გეგმებში კი სულაც არ ზის რუსული ჩექმის „შებრახუნება“ ვაზისა და ღვინის სამშობლოში.

...და ამოქმედდა შაჰ-აბას , თურქეთის ელჩს „საუკუნო“ ზავის ეტრატი თავზე გადაახია და კავკასიის დაპყრობას შეუდგა. ირანის ცბიერ ხელმწიფეს მთავარ დამრტყმელ ძალად ჰყავს გათათრებულ ქართველთა მუდმივი ჯარი, რომლის მთავარსარდლად გაუმწესებია ალავერდი-ხან უნდილაძე. სწორედ იგია შაჰის პირველი მრჩეველიც, მისი გვარდიის დამაარსებელიც და პირველი ვეზირიც. კარგად იცის აბას -მა ქართველთა ძალა. ამიერკავკასიის სისხლისმღვრელი ომების სასწორი ნელ-ნელა ირანისაკენ იხრება. აბასმა თურქებს რამდენიმე ძლიერი ქალაქი დააგდებინა და ერევანთან დასცა ბანაკი იქ გამაგრებულ თურქთა შესამუსრავად. ცხრა თვის მანძილზე ასკდებოდა სომხეთის მთავარი ქალაქის კედლებს ირანელთა ურდო და ვერ მოეხერხებინა ციხის აღება. ალავერდი-ხან უნდილაძე ამ დროს თავისი ჯარით ირანის სამხრეთულ კარიბჭეებს იბრუნებდა და ამაგრებდა. ქართველები სჭირდებოდა შაჰს და დაიბარა ერევნის ბანაკში ალექსანდრე და ქართლის მეფე გიორგი X, „თქვენის ჯარებით მომეშველენითო...“ გიორგი წავიდა ქართლის ჯარით, ალექსანდრე კი აგვიანებდა. „ბებერი მგლის“ სახელით ცნობილი მეფე ჯერჯერობით ახერხებდა, რომ სისხლდაუდენლად გამოეყვანა კახეთი საერთო საომარი თალპიონიდან, მაგრამ ველარას გახდა და თავისი ჯარით ერევნის ბანაკში ეახლა შაჰს. გამოიდარა ირანის ხელმწიფემ. იმდროინდელი აზია-ევროპის ყველაზე მძლავრი საომარი ძალა მისი დროშის ქვეშ იყო შეყრილი. ჯერ არსად ენახა ირანის ხელმწიფეს ნამდვილ-ქართული ომი, გაგონილი კი ჰქონდა, მაგრამ...

ცხრა თვის გაჭიანურებული ალყა ერთ დღეში დალეწეს ქართველებმა. გამოუხტნენ თურქები ერევნის ციხიდან „ალლაჰ-ილალლაჰის“ ბღავილით, სასტიკი ჩეხით უკან გააბრუნეს ქართველებმა და შეჰყვნენ ქალაქში. შებინდებისას ყველაფერი მოთავებული იყო. უკვე აღებულ ციხეში ყიზილბაშებიც შეცვივდნენ და რადგან საომარი აღარაფერი დახვდათ, იქ თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს...

ომის უნახავი გახდა იმ დღეს მრავალომგადანახადი შაჰ-აბას . კარავში იწვია ქართველი მეფენი, უხვად დააჯილდოვა და სამაგიეროდ „მცირე სათხოვარი“ აღუვლინა: გიორგის დებედის ხეობა და ალექსანდრეს კაკ-ენისელი „სთხოვა“ საჩუქრად. საქართველოს სამუდამოდ წაუვიდა ხელიდან ლორეს ხეობა და დიდი ქართული მხარე — საინგილო...

...და განუტევა ქართველი მეფენი მშვიდობით, თუ ამას მშვიდობა ერქვა. ალექსანდრეს კი თან გააყოლა ირანის კარზე მძევლობაში აღზრდილი მისივე ნაბოლარა ვაჟი კონსტანტინე, შაჰის ბრძანებით შირვანის ბეგლარბეგად ახალაღზევებული... სუსხიანი თებერვალი იდგა, ღვიძლჩამწვარი ალექსანდრე ნამძევლარი კონსტანტინეს თვალებში ეძებდა სითბოს ნატამალს, მის მზერაში კი ყინვა ლივლივებდა, ქრისტიანი მამა ქურდული ცრემლით გლოვობდა გათათრებული შვილის გაყინულ გრძნობას. მკაცრი ზამთარი ელოდა კახეთს...

### სისხლიანი დარბაზობა

კახეთის საზღვარზე ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი შეეგება მამას და თოთხმეტი წლის უნახავ ძმას. ხარ-ირემივით დაეწაფა მოხუცი მეფე ალაზანს და შვილების „ტკბილ“ შეყრას ჰკიდა ნისლიანი მზერა. შორიახლო რუსთა ელჩები ელოდებოდნენ კახთა მეფის აუდიენციას. და აცნობეს ჩრდილო ქვეყნის ემისრებმა ალექსანდრეს და გიორგის: — შევიტყვეთ, რომ კონსტანტინე-მირზა, შაჰის დავალებით, შეპყრობას და სიკვდილს გიმზადებთ, ამიტომ ჩვენი რჩევაა, ყიზილბაშებს მოერიდოთო...

არ დაიჯერეს კონსტანტინეს მუხანათობა მამა-შვილმა, ჯარი დაშალეს და რუსთა ელჩები ძაგემს დაიბარეს. ყიზილბაშებმა ჯარი საზღვარზე დატოვეს. არ ასვენებდა მუხთალი ფიქრი ალექსანდრეს, მაგრამ მაინც არ ემეტებოდა კონსტანტინე გულიდან ამოსაგლეჯად...




ძაგემს (დღევანდელ საინგილოშია) კი სიკვდილის აჩრდილი წამოჰფაფროდა...

გათენდა 12 მარტი, 1605 წლისა. დილაადრიან ალექსანდრეს კონსტანტინე ეწვია ყიზილბაში სარდლების თანხლებით, დარბაზში ჯიქურ შელაგდნენ და ხალიჩაზე მოირთხეს ფეხი იარაღის ჟღრიალით. სასახლის წინა მოედანზე მოულოდნელად ყიზილბაშთა ჯარიც შემოთქარუნდა...

ხმლის ვადას აწვალებდა კონსტანტინე და ეტევებოდა კახეთის მეფეს: — თუ მართლა შაჰის მოღალატე არა ხარ, დაუყოვნებლივ უნდა შეჰყარო კახთა ჯარი და შირვანს სალაშქროდ მომაშველოო...

ალექსანდრე ფეხს ითრევდა, შვილის გონს მოყვანას ცდილობდა. ნანობდა, ჯარი რომ დაშალა, ახლა ველარაფრით დააბამდა ყიზილბაშებს. იქნებ შვილით? თუნდაც გათათრებული, მაგრამ მაინც ღვიძლი შვილით?..

ვაგლახ, რომ ნაბოლარა შვილი სულიერად დაჰკარგვოდა ალექსანდრეს...

ავად წაუცდა ხელი მოხუცი მეფისკენ კონსტანტინე-მირზას. გიორგი ჩადგა შუაში. ხმალი იშიშვლა გათათრებულმა და შემოჰკრა ქრისტიან ძმას. უსულოდ დაეცა ბატონიშვილი. მომხდარით შეძრული მეფე შიშველი ხელებით გაექანა გიორგის საშველად.

ხმლების არული ჩავარდა სისხლიან დარბაზში...

ალი-ხან მოვაფეყმა და შაჰმირხანმა ასჩეხეს მეფე კახეთისა ალექსანდრე , ნაბოლარა შვილის გაუგონარი ჯალათობით ისედაც სულჩაკლული და გრძნობაშერყეული...

არ იკმარა მამისა და ძმის დახოცვა კონსტანტინემ, საკუთარი ხელით თავები დაჰკვეთა და აღმზრდელ მამობილს ძვირფას ფეშქაშად გაუგზავნა ისპაჰანს...

შაჰ-აბასის ჭანგა ულვაშებს ძაგემის სასაკლაოდან ერთიანად „აეხვეტა“ ალექსანდრეს ამდენი ხნის ნაჯაფარ-ნაამაგარი იმედები. მეტი რაღა უნდოდა გველისა და იქედნეს ნაშობს, ალაზნის ტურფა მხარისთვის თავი წარეკვეთა და კახეთის ჯალათიც მისი ნებისა და მზაკვრული მიზნების მონამორჩილი იყო. ახლა უნდა დაწყებულიყო კახეთის სრული გათათრება და ირანის სახანოდ გადაქცევა...

### იმ დღეს წყდებოდა კახეთისა და საქართველოს ბედი

ქიზიყიდან სცადა დაწყება მამისა და ძმის ჯალათმა, მაგრამ მიხვდა, აქაური ხალხი სიკვდილს უფრო იოლად შეურიგდებოდა, ვიდრე რჯულის შეცვლას. გრემში მობრუნდა, ქრისტიანთა დევნა-შევიწროება აკრძალა და კახთა ჯარი საშირვანოდ გაიმარაგა. შირვანს ლაშქრობაზე უარის თქმა შაჰ-აბასის წინააღმდეგ აშკარა აჯანყებას ნიშნავდა და კახელებმა ჯერჯერობით დათმეს. 10 ათასი კახელი მეომარი ყიზილბაშურ ჯარს გვერდით დაუყენა კონსტანტინემ და შირვანისაკენ გაქუსლა. დაუხვდა იქაური ბეგლარბეგი მაჰმუდ ფაშა დიდი მხედრობით. კახელებმა გადაწყვიტეს ბრძოლის ბედი, მტერი გადათელეს და ჯერ შაქის ციხე აიღეს, მერე კი შირვანის მთავარ ქალაქს — შემახას შემოადგნენ ალყად...

კონსტანტინეს უკვე თავისი ერთგული ეგონა კახთა ჯარი, მაგრამ შურისმგებლურ მახვილს ლესავდნენ ქართველები. ერთ ღამეს კონსტანტინეს კარავში შეუცვივდნენ, დარაჯები დაასამარეს, მაგრამ ფეხად გაასწრო ჯალათმა, კარვის უკანა კალთა ხმლით ჩახია და ბანაკში განგაში გამოაცხადა. კახელები ამხედრდნენ და სამშობლოსკენ გამოუტიეს...

დაქირავებული ჯარი მიამატა თავის მხედრობას კონსტანტინემ და წამოვიდა კახეთის ასაოხრებლად. მთელი კახეთი აღდგა მტერთან საომრად. ქეთევან დედოფალი მოუძღოდა ჯალაბობით მომავალ ლაშქარს. მოვიდნენ ბელაქნის წყალზე, მაღლობზე კახეთის დროშა აღმართეს, ქალები და ბავშვებიც იქ დააბანაკეს და მტერს დაელოდნენ...

იდგა 1605 წლის 22 ოქტომბერი, ამ დღეს წყდებოდა მთელი კახეთის და სრულიად საქართველოს ბედი(!).

ეკვეთნენ რიცხვით უმრავლეს მტერს ქართველები, ზურგს უკან ცოლ-შვილის ლოცვა მოსდევდათ და გულსრულად უტევდნენ ყიზილბაშებს. ბოლოს გატეხეს კახელებმა მტრის მარჯვენა ფლანგი, კონსტანმირზას ერთგული ღულამი ყარჩიხა სულთანი მიასიკვდილეს და მისი ჯარი აკაფეს. კონსტანტინემ გაქცეულთა შეჩერება სცადა, მაგრამ ზურგიდან გზა ჩაუჭრეს, სამი სარდალი მიეჭრა საქართველოს გამყიდველს — დავით ჯანდიერი, თამაზ და ბებურ ვაჩნაძენი, შუბები აძგერეს...

არ შეეპუვნენ ყიზილბაშები სარდლის სიკვდილს და ბრძოლა განაგრძეს, მაგრამ ქართველების შეჩერება აღარ შეიძლებოდა. მომხდურთა უმეტესობამ ბელაქნის წყალზე პოვა სიკვდილი...

### არც ისე იოლი ჩანდა ქართველების გათათრება

თავრიზში „მიახარეს“ შაჰ-აბასს კონსტანტინესა და ყიზილბაშთა ჯარის განადგურების ამბავი. ქეთევან დედოფლისაგან წარმოგზავნილი კახელი ელჩებიც ეახლნენ, სპარსთა ლაშქრის განადგურებისთვის ბოდიშს იხდიდნენ კახნი, კონსტანტინეს აბრალებდნენ ყველაფერს და მის ნაცვლად კახეთის ტახტზე შაჰის კარზე გაზრდილი თეიმურაზ ბატონიშვილის დანიშვნას სთხოვდნენ...

პასუხად ესღა მოაყოლა აბასმა: — ხელიმც შერჩების მოღალატის მკვლელს... მამის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქმს, კიდევაც იქმნას, ექვს თვეს ვერ გადაამეტებსო...

მოაყვანინა 16 წლის თეიმურაზ ბატონიშვილი, ქრისტიანი და რწმენა შეურყეველი, დაადგინა კახეთის მეფედ და უხვად დაჯილდოებული სამშობლოში გამოისტუმრა...

საგონებელში ჩავარდნილიყო შაჰ-აბას ...

არც ისე იოლი ჩანდა ქართველების გათათრება და საქართველოს სახანოდ გადაქცევა...

გავა დრო, მთელ თავის ძალას, სიმდიდრეს და გველურ მზაკვრობას ამ პატარა, ქრისტიანული ქვეყნის დამორჩილებას შეალევს მთელ აზიაში ძლევამოსილი შაჰ-აბას , მაგრამ ისე ჩავა სამარეში, რომ ცოდვით დამძიმებული სულიდან ეგრეც ვერ მოიშორებს მტანჯველ კითხვას — რა ძალა ასულდგმულებდა ამ ერთ მუჭა ხალხს ასეთი, რომ ვერანაირი ხერხით ვერ შეძლო მათი ამოძირკვა და გათათრება?!.

ეს სატანჯველი კი იქიდან ექცა მოურჩენელ ბოლმად ირანის კაცთმოძულე მმართველს, როცა ქართველებს პირველად დაუპირა მონობის უღლის დადგმა, 1605 წლის 22 ოქტომბერს, ბელაქნის წყალზე...

იქ, სადაც პირველად ნახა კახეთისა და საქართველოს უკვდავი სულის ზეიმი!...

***მოამზადა ზვიად სეხნიაშვილმა***

№9, ოქტომბერი, 2004 ფასი 80 თეთრი

მართლმადიდებლური ჟურნალი

გამოვიდა ოქტომბრის ნომერი



## რას გვეტყვი, მამაო?

**— ხშირად ადამიანები ერთმანეთს განიკითხავენ და ამტკიცებენ, რომ ეს ცოდვა კი არა, მხილებაა. რით განვასხვავოთ განკითხვა და მხილება?**

— მხილება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. პირველ რიგში საკუთარი თავის მხილება უნდა ვისწავლოთ და მერე ვამხილოთ სხვები. საჭიროა ეს სიყვარულითა და გულისტკივილით გავაკეთოთ. სანამ ვინმეს ვამხელდეთ, უნდა დავრწმუნდეთ, ნამდვილად სცოდავს თუ არა, სასარგებლო იქნება თუ არა მხილება მისი სულისთვის.

თუკი ამაში დავრწმუნდებით, უფალს ჯერ ლოცვით უნდა ვთხოვოთ შემწეობა მისთვის, ხოლო შემდეგ პირისპირ ვუთხრათ, რატომ გვტკივა მასზე გული. თუკი მან იგივე გაიმეორა, შეგვიძლია ორი-სამი კაცის თანდასწრებით ვამხილოთ. კვლავ შეცოდების შემთხვევაში უკვე შეიძლება — საჯაროდაც. თუ მაინც არაფერი არ შეისმინა, თავი გავანებოთ.

ჩვენ კი ასე იშვიათად ვიქცევით. ისე ვამხელთ ერთმანეთს, თითქოს სხვისი შეცდომა გვახარებს, ადამიანი ამას გრძნობს და რასაკვირველია, მხილებაც კეთილ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

**— მინდა პანაშვიდი გადავუხადო ჩემს შორეულ წინაპრებს, რომელთა სახელები არ ვიცი. შეიძლება თუ არა ეს...**

— შეიძლება, თუ თქვენ იცით, რომ ისინი მართლმადიდებლები იყვნენ.

ჩვენს გარდაცვლილ წინაპრებს, რომელთა სახელებიც არ ვიცით, საქართველოს ეკლესია ისედაც მოიხსენიებს წირვა-ლოცვის დროს ასეთი სიტყვებით: „წინაპართა სანატრელთა პირველგარდაცვალებულთა მამათა და ძმათა ჩვენთა“. ბუნებრივია, აქ თქვენი წინაპრებიც იგულისხმებიან. თუ პანაშვიდს გადაუხდით, მოძღვარიც ასევე მოიხსენიებს.

მათთვის შეგიძლიათ ყოველთვის ევედროთ უფალს დილის ლოცვებში. იქ წერია: „მოიხსენე, უფალო, სულნი გარდაცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა, მშობელთა ჩემთა, და ყოველთა მონათესავეთა ჩემთა (სახელები) და სასოებით მკვდრეთით აღდგომასა და საუკუნოსა ცხოვრებისა ზედა გარდაცვალებულთა მამათა, ძმათა და დათა“.

**— რატომ არ დაიშვებიან მშობლები შვილის ნათლობის საიდუმლოს აღსრულებაზე?**

— არანაირი საეკლესიო აკრძალვა იმის შესახებ, რომ ნათლობის საიდუმლოს აღსრულებაზე ბავშვის მშობლები არ დაიშვებიან, არ არსებობს. უბრალოდ, ამ დროს პატარები ხშირად ტირიან, მშობლები ღელავენ და ცდილობენ ბავშვი დააწყნარონ. მოძღვარს კი ხელი ეშლება ნათლობის საიდუმლოს აღსრულებაში.

თუ მშობელს სურვილი აქვს შვილის სულიერ დაბადებას დაესწროს, მას ამაში ხელს არავინ შეუშლის, ოღონდ თვითონაც არ უნდა შეუშალოს ხელი ღვთისმსახურს.

**— ჩემს შვილს ჰქვია ლევანი. გთხოვთ განმიმარტოთ, რომელ დღეს მოიხსენიება მისი მფარველი წმინდა ლევანი?**

— თქვენი შვილის მფარველი წმინდა ლევანი მოიხსენიება 24 დეკემბერს, როცა საქართველოს ეკლესია საქართველოში წამებულ და ღირს მამათა და დედათა სახელებს მოიხსენიებს.

**— მალე იქნება თუ არა სამყაროს აღსასრული, ღირს თუ არა სწავლა და, საერთოდ, რაიმეს, თუნდაც ცხოვრების მოწყობა?**

— არავინ იცის ქრისტეს მეორედ მოსვლის დღე და საათი. გამუდმებით საჭიროა შრომა, სწავლა, მუშაობა, საკუთარი თავის სრულყოფა. ჯერჯერობით ღმერთი გვაძლევს დროს. საჭიროა ბრძოლა საკუთარ ცოდვილ მიდრეკილებებთან, სულიდან ყოველგვარი ბოროტების, ცუდის, უსარგებლოს გამოდევნა. უნდა გვახსოვდეს რომ იქნება სამყაროს დასასრული და ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ მასთან შესახვედრად. ამიტომ გადამეტებულად არ უნდა მივეცეთ მიწიერ სიამოვნებებს. ფხიზლად და სწორად უნდა ვიცხოვროთ.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# რა შეიცვალა ქართულ ენერგეტიკაში



## დენის ბაზარზე ისევ დიდი ფული კეთდება?

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

როდესაც ის თურქეთში ელექტროენერგიას ეძებდა თბილისისთვის, საქენერგოს ყოფილი გენერალური დირექტორი ემზარ ჩაჩხიანი თურქეთში საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის, რაც შეიძლება მომგებიან ფასად გასაყიდად იყო ჩაბრძანებული. მაიკლ სქოულმა მაშინ ჩაჩხიანი ამხილა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ცუდი მაგალითი გადამდებიაო და სქოულმა „ეი-ი-ეს თელასთან“ შვილობილი კომპანია „ტრანსენერჯი“ ჩამოაყალიბა და მანაც დაიწყო საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყიდვა. ერთი სიტყვით, გარეულიც და შინაურიც ხელს ითბობდა. ქართველ ენერგოპაპებს ელექტროენერგიის გაყიდვით შემოსულ თანხებზე კონტროლი რომ დაეწესებინათ, ე. წ. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი შექმნეს. ჩემს არქივში ჰიდროელექტროსადგურის სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრის ინტერვიუ ინახება, იგი აცხადებს: „ჩვენ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია საბითუმო ბაზარს მიაქვს, მაგრამ საფასურის გადახდაზე არ ფიქრობს. თითქმის ყოველდღე ვზივარ საბითუმო ბაზარში მთავარ ბუღალტერთან ერთად, მაგრამ კაპიკიც ვერ მიგვაქვს. გვეუბნებიან, ფული არ გვაქვს, მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურს არ იხდისო. გვატყუებენ, მაგრამ რა ვქნათ. იძულებული ვართ, სხვადასხვა მაქინაციას მივმართოთ. მაგალითად, ჩვენი ჰიდროელექტროსადგურის ენერგობლოკებს დღე-ღამის განმავლობაში, ვთქვათ, 50 მეგავატი ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია. ოფიციალურად მხოლოდ 20 მეგავატს ვაჩვენებთ, დანარჩენ 30-ს „ლევად“ ვყიდით ელექტროენერგიის მსხვილ მომხმარებელზე. ჰიდროელექტროსადგურს ელექტროენერგიის დამოუკიდებლად გაყიდვა საბითუმო ბაზართან შეუთანხმებლად არ შეუძლია, მაგრამ ამ საქმეში სააქციო საზოგადოება „ელექტროგადაცემა“ გვეხმარება. მას ჩვენ მიერ მოპარული ელექტროენერგია მალულად მიაქვს მსხვილ მომხმარებლამდე, მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნამდე. ქარხანაც დიდი სიამოვნებით იღებს, რადგან გაცილებით იაფი უჯდება, ვიდრე საბითუმო ბაზრიდან ოფიციალურად მიღებული და სხვადასხვა გადასახადით დაბეგრილი. ერთხელ ქართველმა ენერგომაფიოზებმა მომგებიანი ხელშეკრულება დადეს თურქებთან ელექტროენერგიის მიწოდებაზე. მიწოდება გაზაფხულზე უნდა დაწყებულიყო. ვარაუდობდნენ, რომ იმ დროისთვის თოვლი მთაში დნობას დაიწყებდა, მდინარეები ადიდდებოდა და ჰიდროელექტროსადგურებს კაშხლებში წყალი ექნებოდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. იმ პერიოდში საქართველოში ძალიან აცივდა და მდინარეებში წყლის მატებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ხელშეკრულებას ჩაშლა დაემუქრა, ამ შემთხვევაში ქართველებს დიდი ჯარიმა ელოდებოდათ, ადგნენ და სომხეთიდან და რუსეთიდან შემოტანილი ელექტროენერგიის გატანა დაიწყეს თურქეთში. ხალხს კი უთხრეს, თითქოს ჯერ მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზი „კავკასიონი“ დაზიანდა, მერე მეორე ხაზი — „იმერეთი“ და ამას დააბრალეს ენერგოდეფიციტი“.

საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის 2002 წლის დეკემბრის დადგენილებაში ვკითხულობთ: „მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა ენერგეტიკის სფეროში. რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის ტრანზიტი და მოცულობა არ აღირიცხება, რადგან ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“ მრიცხველით აღჭურვილი არ არის. საბაჟო ორგანოები არ ახორციელებენ თურქეთში მიმავალი ენერგიის რაოდენობის მუდმივ კონტროლს. აღრიცხვის არარსებობის გამო შეუძლებელია დადგინდეს, ვისი კუთვნილი 16,6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია გაიტანა თურქეთში სააქციო საზოგადოება „ელექტროგადაცემამ“(!).

დღეს ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს, რომ „ენგურჰესიდან“ აფხაზ სეპარატისტებს იმდენივე ელექტროენერგია მიაქვთ, რამდენიც ქართველებს. ან შეცდომაში არიან შეყვანილი ხელისუფლების მაღალი რანგის პირები ან სხვა რაღაც ხდება! საქმე ის არის, რომ აფხაზეთის მიმართულებით 110-კილოვატიანი ხაზია ექსპლუატაციაში და მისი საშუალებით აფხაზეთში მხოლოდ მცირე ოდენობით ელექტროენერგიის მიწოდებაა შესაძლებელი. მაშ, სად „იკარგება“ „ენგურჰესის“ მიერ გამომუშავებული ენერგია, რომელიც თითქოს აფხაზებს მიაქვთ?

საქართველოს დამოუკიდებელი ენერგეტიკის სექტორის განვითარებისთვის მეგობარმა ქვეყნებმა გრანტებისა და კრედიტების სახით რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი გაიღეს. ენერგეტიკოსების მტკიცებით, ამ თანხის მხოლოდ 10% თუ მოხმარდა გენერაციის ობიექტებს, დანარჩენი ენერგომაფიოზებმა ჩაიჯიბეს. შესაბამისი დოკუმენტებიც შეითითხნა მითვისებული თანხის ჩამოსაწერად. ასეთ ისტორიას გავიხსენებ: რამდენიმე წლის წინ „ენგურჰესის“ სადერივაციო გვირაბის სარემონტო სამუშაოები მხოლოდ ხუთას მეტრზე შესრულდა, არადა, გვირაბი თითქმის თოთხმეტკილომეტრიანია, მაგრამ ამაზე არავის უფიქრია, მთავარი საზრუნავი სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხების მითვისება იყო. ადგნენ და ყალბი ცნობა გააკეთეს, რომ მდინარე ენგურის სანაპიროს ქვიშა და ღორღი ბეტონის მოსაზელად გამოუსადეგარი იყო და ვითომ საჩხერიდან ჩამოიტანეს ყვითელი ქვიშა. ამხელა კაშხალი ხომ რუსთავის ცემენტისა და ენგურის მიერ ჩამოტანილი ქვიშისგან არის აშენებული? მაშინ თუ მიიღეს ამ ქვიშისგან და რუსთავის ცემენტისაგან ბეტონის მდგრადი ნარევი, ახლა რაღა დაემართათ? უბრალოდ, ეს იმისთვის დასჭირდათ, რომ ხარჯთაღრიცხვა ხელოვნურად გაეზარდათ. თანდათან ისე გაუტკბათ გამოყოფილი თანხების „ათვისება“, რომ მუშების სახელფასო თანხაც შემოეჭამათ და თითქმის ორ წელიწადს ელოდა ხელფასს ხალხი.

საქართველოს უშიშროების ამჟამინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი საქართველოს ენერგეტიკის თაობაზე დაახლოებით სამი წლის წინ აცხადებდა: „ის თანხა, რაც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე გამოეყო ქართულ ენერგეტიკას, სრულიად საკმარისი იყო ქვეყნის იმ ჰიდროელექტროსადგურების საფუძვლიანი რეაბილიტაციისათვის, რომლებიც დღეს რეალურად არსებული სიმძლავრეების მხოლოდ 30%-ს გამოიმუშავებენ. სხვა სიმძლავრეების შეკეთება მხოლოდ ქაღალდზე განხორციელდა. გამოყოფილი თანხებით თავისუფლად შეიძლებოდა ენერგოგანაწილების სისტემების გამართულად ამუშავება და ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მოწესრიგება. რაც შეეხება ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს — დღემდე ასე იყო და ახლაც ასეა — აქ დიდი ფული კეთდება. არსებობდა ე. წ. „ვაზვრატების“ და ფულის გამოძალვის სისტემები. პოლიტიკოსების ზეწოლის გამო, რომლებიც ამა თუ იმ საწარმოს ლობირებდნენ, საბითუმო ბაზარი უფასოდ აძლევდა საწარმოებს ელექტროენერგიას. ხშირად ელექტროენერგიას გასცემდნენ არგადამხდელ საწარმოებზეც, თუ პირადი ფინანსური დაინტერესება ექნებოდათ. ცალკე საუბრის თემაა ე. წ. შეწონილი ტარიფი (როცა ელექტროენერგიის საბითუმო ტარიფი განისაზღვრება ჰესების მიერ გამომუშავებული იაფი ელექტროენერგიისა და თბოელექტროსადგურების მიერ ნაწარმოები შედარებით ძვირი ენერგიის საშუალო არითმეტიკულით). საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელმა კომისიამ ჯერ კიდევ 1999 წელს მიანიჭა უფლება „ეი-ი-ეს თელასს“, საბითუმო ბაზრის გვერდის ავლით ელექტროენერგია სადაც სურდა, იქ ეყიდა. აქედან გამომდინარე, „ეი-ი-ეს თელასი“ ცდილობდა ენგურჰესისგან შეესყიდა იაფი ელექტროენერგია. ამ უკანასკნელსაც აძლევდა ხელს თანამშრომლობა იმ კომპანიასთან, რომელიც ფულს დროულად გადაუხდიდა და არა ე.წ. „ატკატკით“. რას ნიშნავს ეს? ვთქვათ, ჰიდროელექტროსადგურმა გამოიმუშავა 3 მილიონი ლარის ელექტროენერგია. მისი მოხმარების შემდეგ ეს თანხა შევიდა საბითუმო ბაზრის სალაროში, რომელმაც თავის მხრივ თანხა უკან უნდა დაუბრუნოს ელექტროენერგიის გამომმუშავებელ ჰესს. საბითუმო ბაზარი იწვევს ჰესის ხელმძღვანელობას და სთავაზობს — თუ გსურთ ფულის დროულად დაბრუნება, მაშინ მაღარიჩის სახით განსაზღვრული პროცენტი საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობას უნდა დარჩესო. მაღარიჩის პროცენტი კი წარმოუდგენლად მაღალია — დაახლოებით 60%. 20%-ს კი ჰიდროელექტროსადგურის დირექტორი იჯიბავს, ხოლო ჰესს (ანუ სახელმწიფოს) სულ რაღაც 20% რჩება და ხშირად ისიც კი არა, რადგან ელექტროენერგიის საფასურის ასპროცენტიანი ამოღება საქართველოში ჯერჯერობით არ ხდება.“

იმავე წელს, როდესაც ბატონმა ვანო მერაბიშვილმა ეს განცხადება გააკეთა, „კვირის პალიტრამ“ მოიპოვა შპს „ზ და ზ“-ს დირექტორის, ზურაბ კუჭუხიძის ე. წ. აღიარება-წერილი. გთავაზობთ წერილიდან მცირე ამონარიდს: „სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ნდობით აღჭურვილი პირების მეშვეობით პოულობს „პადსტავნოი“ ხალხს და ისეთი დებილების, როგორიც მე ვარ, და ჩემნაირების სახელით სახელმწიფოსგან იღებენ დიდ თანხებს და ითვისებენ. ჰესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ჩემი ფირმის მეშვეობით თანხები საბითუმო ბაზრიდან უშუალოდ მისი უფროსის დახმარებით გამოდიოდა, შემდეგ კი მთლიანად მიჰქონდათ ის თანხები ყაჩაღებს. მაგალითად, ჩემი ფირმის მეშვეობით გაფორმდებოდა ხელშეკრულება ერთ-ერთ ჰესთან. განსაზღვრული თანხის ჩამორიცხვის შემდეგ შედგებოდა დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირდებოდა, რომ მე თითქოს სადგურში სხვადასხვა დანადგარი შევიტანე. ჩამორიცხული თანხიდან მე 10% მეკუთვნოდა.

ერთ მაგალითსაც მოგიყვანთ. 2000 წლის 15 სექტემბერს დავდეთ ხელშეკრულება „ლაჯანურჰესთან“, მისთვის თითქოს ტრანსფორმატორების მიწოდებაზე. ერთ თვეში ჩემს ანგარიშზე 19 ათასი ლარი ჩაირიცხა. 2000 წლის მიწურულს კი „შაორჰესთან“ დავდეთ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე „შაორჰესს“ ჩემთვის 300 ათასი ლარი უნდა გადმოერიცხა. ჩემს ფირმას კი სადგურში ელექტრომოწყობილობები და საცხებ-საპოხი მასალები უნდა შეეტანა. ვიშოვე ერთი ძველი ტრანსფორმატორი, რომლის რეალური ღირებულება 5 ათას ლარს არ აჭარბებდა. სხვადასხვა მაქინაციის საშუალებით საბუღალტრო საბუთებში მისი ღირებულება 300 ათას ლარად დავაფიქსირეთ და „ლაჯანურჰესმაც“ დაიწყო ფულის გადმორიცხვა. ასე ხდებოდა ჰიდროელექტროსადგურებიდან სოლიდური თანხების მითვისება“.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობა ცდილობს სისტემაში კორუფციული გარიგებები აღმოფხვრას, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და ზოგიერთები, თუ მარჯვე შემთხვევა მიეცათ, კორუფციულ გარიგებაზე უარს კვლავაც არ ამბობენ. თუნდაც ის, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არის ე. წ. კომერციული დენი, მრავლისმეტყველია. ნურავინ იფიქრებს, რომ დღეს რომელიმე მსხვილი მომხმარებელი მოპარული ელექტროენერგიის მიღებაზე უარს იტყვის. ასევე, რატომღაც არავინ ლაპარაკობს ელექტროენერგიის იმ ე. წ. კომერციულ დანაკარგებზე, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემაში არსებობს. ექსპერტების დათვლით, საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მესამედი იკარგება. იკარგება კი?

P. S. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას დიდი გარჯა დასჭირდება, რომ სისტემაში წლების განმავლობაში ფეხმოკიდებულ კორუფციას თუნდაც ძვრა უყოს. მანამდე კი, ქართული ენერგეტიკის გაჯანსაღებამდე გრძელი გზაა გასავლელი. დღეს კი ენერგოპაპების ნაჭამი ტყემალი შვილიშვილებს კვეთს „კიჭებს“.

***ზვიად ჩაკვეტაძე***


# ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ — ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘᲐ!

ოსტეოქონდროზი, ოსტეოართროზი და სახსრებისა და ხერხემლის სხვა პათოლოგიები ფართოდ არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში. ყოველი ადამიანისთვის ეს დაავადებები ასოცირებულია ტკივილის შეგრძნებასთან, მოძრაობის შეზღუდვასთან და საბოლოო ჯამში სიცოცხლის ხარისხის გაუარესებასთან.

ᲥᲝᲜᲓᲠᲝᲞᲠᲝᲢᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲣᲓᲐᲕᲝᲓ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲐ
სახსრების დაავადებებისა და ტრავმების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის

ᲢᲔᲠᲐᲤᲚᲔᲥᲡᲘ (THERAFLEX) ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲝᲜᲓᲠᲝᲞᲠᲝᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘᲐ




1 კაფსულა ტერაფლექსი შეიცავს:
**გლუკოზამინის ჰიდროქლორიდს — 500მგ**
**ნატრიუმის ქონდროიტინის სულფატს — 400მგ**
**ბენზოკაინს — 10,3%**

ამ კომპონენტთა ურთიერთქმედება უზრუნველყოფს რეგენერაციულ (აღმდგენ), ანთებისსაწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს.

ᲢᲔᲠᲐᲤᲚᲔᲥᲡᲘ

- ახდენს სახსრის ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას;
- აქრობს ანთებით პროცესს სახსარში;
- ამცირებს ტკივილის ინტენსივობას სახსრებსა და ხერხემალში;
- აუმჯობესებს სახსრების მოქნილობას;
- მოტეხილობების დროს აჩქარებს შეხორცების ძვლოვანი კორძის წარმოქმნას;
- აქვეითებს (ან ზღუდავს) მოთხოვნილებას არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებებზე;
- აუმჯობესებს პაციენტის სიცოცხლის ხარისხს.

რეკომენდებული მინიმალური თერაპიული კურსი შეადგენს 6 თვეს.
პრეპარატის მიღებამდე გულდასმით გაეცანით ანოტაციას.

ᲢᲔᲠᲐᲤᲚᲔᲥᲡᲘ — ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ!

„საგმელ“-ი თქვენ და თქვენს ახლობლებს გისურვებთ ჯანმრთელობას და აქტიურ სრულფასოვან ცხოვრებას.




ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ

SM სე



ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲞᲔ-ᲔᲡ-ᲞᲔ“
PSP ᲞᲡᲞ
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲡ

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ:
- ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ.
- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ (ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ 5 ᲬᲚᲘᲡ) ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ.
- ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ (ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ).
- ᲡᲐᲝᲤᲘᲡᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲦᲐᲚᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ.

ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

**განაცხადი მიიღება 3 ნოემბრამდე**

ᲐᲜᲙᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲕᲡᲔᲑᲐᲓ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ:
თბილისი, ალმაშენებლის გამზ. 148/III.
ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
Tel : + 940414; 942314; 253433

# პუტინის ორმაგი სტანდარტები

რუსეთის მიმართ გახშირებული ტერორისტული თავდასხმების გამო პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა არაერთხელ დაგმო დასავლეთის პოლიტიკა, რომელიც მან „ორმაგ სტანდარტებად" მონათლა. იგი აცხადებს, რომ ამერიკელები და ევროპელები მათ წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებს ყოველთვის მკაცრად პასუხობენ. თავად პუტინიც ასე იქცევა და ჩვენს მხარდაჭერასაც მოელის.

რფ-ის პრეზიდენტი მართალია, როცა ამბობს, მსურს სხვა ქვეყნებიც ისევე მიზანდასახულად ქვეყანა, რუმინეთი და თურქეთი. აშშ-ის ამ მოკავშირე ქვეყნებს, შესაძლოა, იმის მტკიცება (გარკვეულწილად, სამართლიანად) დაეწყოთ, რომ მათ ამ ტერიტორიებთან ისტორიული და ეთნიკური კავშირები აქვთ; გაყვანილი სამხედრო ბაზების დასაბინავებლად საკუთარ ტერიტორიაზე შესაბამისი ადგილი ვერ იპოვეს. შესაძლოა, ისიც ეთქვათ, რომ ჯარების გამოყვანა მათ ეროვნულ სიამაყეს შელახავდა. როგორ ფიქრობთ, ამათგან რომელიმე გამოდგებოდა დამაჯერებელ მიზეზად?




ებრძოდნენ ტერორიზმს, როგორც ჩვენო. თუმცა ცდება, რუსეთს ორმაგი სტანდარტების მსხვერპლად რომ მიიჩნევს. პირიქითაა — რუსეთი მომგებიან მდგომარეობაშია. პუტინის კონტრტერორისტულ ძალისხმევას უფრო შემწყნარებლურად უყურებენ, ვიდრე სხვა ქვეყნებისას, რის გამოც მისი და ჩვენი ქვეყნების მოქალაქეები ნაკლებად არიან დაცული.

თუ ეს დაუჯერებლად გეჩვენებათ, მარტივი აზრობრივი ექსპერიმენტი ჩავატაროთ: დავუშვათ, ის ორი თვითმფრინავი, რომელიც აგვისტოს მიწურულს მოსკოვის აეროპორტიდან აფრენის შემდეგ აფეთქდა, მოსკოვის ნაცვლად აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოდან გამოფრინდა. წარმოიდგინეთ საერთაშორისო მღელვარება, როდესაც შევიტყობდით, კამიკაძეებმა თვითმფრინავამდე გზა ქრთამით გაიკვლიესო. ამ შემთხვევაში აზერბაიჯანზე ძლიერი ზემოქმედება განხორციელდებოდა, მოსთხოვდნენ ამ სერიოზული ინსტიტუციური შეცდომის გამოსწორებას და დამტკიცებას, რომ ის არ არის წარუმატებელი სახელმწიფო.

ან კიდევ: დავუშვათ, რომ უკრაინის ერთ-ერთ პატარა ქალაქში ტერორისტებმა მოსწავლეები მძევლად აიყვანეს. სახელმწიფოს მიერ რამდენიმე დღის განმავლობაში გაკეთებული ყალბი განცხადებების შემდეგ კი, ინციდენტი ტერორისტებისა და ნახევრად მომზადებული ადგილობრივი პოლიციის ხელჩართული ბრძოლით დასრულდა — ასობით ბავშვი დაიღუპა. ბუნებრივია, სხვა სახელმწიფოები თანაგრძნობას გულწრფელად გამოუცხადებდნენ უკრაინას და დაჟინებით დაიწყებდნენ მტკიცებას, რომ მსგავსი ფიასკო გარდაუვალი იქნებოდა უკრაინის კორუმპირებული, სასტიკი და არაკომპეტენტური სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის განხორციელებამდე...

ქვეყანა, რომელიც ამგვარად უმკლავდება საკუთარ პრობლემებს, მეზობელ ქვეყნებსაც საფრთხეს უქმნის. ცხადია, სხვა ქვეყანაში რეფორმების განხორციელების მოთხოვნა ამ ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვას ნიშნავს. ეს კი რუსეთისთვის ისევე მიუღებელია, როგორც ჩვენთვის. რუსეთს ასეთი პოზიცია აქვს: ჩვენ ჩვენს ქვეყანაში შევებრძოლებით უკანონობას, თქვენ კი თქვენსას მიხედეთო. თუმცა, ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, საქართველო და მოლდავეთი, რუსეთს მათი სუვერენიტეტის უფრო უხეშ დარღვევაში ადანაშაულებს. ამ ქვეყნების წინააღმდეგობის მიუხედავად, მათ ტერიტორიებზე რუსეთს განლაგებული აქვს სამხედრო ბაზები და მფარველობს იმ სეპარატისტულ დაჯგუფებებს, რომლებიც ორივე ქვეყანაში გარკვეულ რეგიონებს განაგებენ. საქართველო და მოლდავეთი აცხადებენ, რომ ეს რეგიონები კონტრაბანდის, იარაღის არალეგალურად ვაჭრობის, ადამიანთა ტრეფიკინგისა და ნარკოტიკების გასაღების კერად იქცა. ამ უკანონო, გაუკონტროლებელ ზონებს კი, ჩვენ ტერორიზმის პოტენციურ ბუდეებად მივიჩნევთ. მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად, საკუთარი ტერიტორიებიდან რუსი სამხედროების გაყვანა ვერც საქართველომ მოახერხა და ვერც მოლდავეთმა.

რუსეთის უცნაურ პოზიციაში უკეთ გასარკვევად კიდევ ერთი შედარება გავაკეთოთ: დავუშვათ, რომ მოლდავეთსა და საქართველოში მყოფ სეპარატისტებს მხარს უჭერს ორი მეზობელი

ვერც რუმინეთი და ვერც თურქეთი ვერ დაარღვევდა მეზობელი ქვეყნის უფლებებს ისე, რომ სერიოზული დარტყმა არ მიეყენებინა საკუთარი მდგომარეობისთვის საერთაშორისო არენაზე. ეს რომ რუმინეთს გაეკეთებინა, შარშან მას NATO-ში არ მიიღებდნენ, არც თურქეთს მიიწვევდნენ ამ თვის დამდეგს ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასაწყებად. პუტინს უნდა უკვირდეს, რომ იგი მარტო ახერხებს მხარი დაუჭიროს სეპარატიზმს მეზობელ ქვეყანაში (თანაც ამაზე პასუხს არავინ სთხოვს) და, ამავე დროს, შეუძლია „ორმაგ სტანდარტებზე" დაიჩივლოს.

ორმაგი სტანდარტებით სარგებლობის ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ პუტინი იმ საკითხებთან მიმართებაში ცდება, რომლებიც მას ყველაზე მეტად აწუხებს. მისი მცდელობა, დაეძლია ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგობა, მარცხით დასრულდა. საპასუხოდ კი, ჩეჩნები ცდილობენ დარტყმები რუსეთის შიგნით განახორციელონ. ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, აკონტროლოს საკუთარი ტერიტორია და ამის დასტურია ის, რომ ჩეჩნეთში, ათწლიანი ძალადობის პერიოდში, რუსეთის უფლებები არც აშშ-ს და არც რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

აზრობრივი ექსპერიმენტი აქაც დაგვეხმარება. დავუშვათ, რომ სხვა რომელიმე მთავრობამ მსგავსი დაუნდობელი და დამანგრეველი საომარი მოქმედებები წამოიწყო იმ მეამბოხეთა წინააღმდეგ, რომლებსაც დამოუკიდებელი სამშობლო სურთ. თანაც, ათიათასობით დაღუპულის, ასიათასობით ლტოლვილის, მრავალი ქალაქისა და სოფლის მიწასთან გასწორების მიუხედავად, ისიც გამოაცხადოს, რომ ტერორისტული თავდასხმების საფრთხე გაიზარდა. როგორი რეაქცია ექნებოდათ ამაზე სხვა სახელმწიფოებს?

ბევრს, შესაძლოა, ეფიქრა, რომ ეს წარუმატებელი მცდელობა საბოლოოდ მათაც შეუქმნიდა საფრთხეს. ზოგიც, ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად, საერთაშორისო „გზამკვლევის" შექმნაზე დაფიქრდებოდა — აუცილებლად მოითხოვდნენ ადგილობრივი გარდაქმნების რეალური გეგმის შემუშავებას და მისი განხორციელებისთვის გარე მეთვალყურეებსაც მოიხმობდნენ. მეთვალყურეები კი, ეჭვქვეშ დააყენებდნენ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დაპირისპირებულ მხარესთან მოლაპარაკება შეუძლებელია. ზოგიერთი მათგანი კონტაქტის დამყარებას მოწინააღმდეგე მხარის იმ წევრებთანაც შეეცდებოდა, რომლებსაც ტერორიზმთან საერთო არაფერი აქვთ. შესაძლოა, მათთვის მცირე ტექნიკური დახმარების შეთავაზებაზეც ეფიქრათ.

ჩეჩნეთში ამის გაკეთება სასარგებლო და გონივრული ვერ იქნებოდა. ჩვენი ქმედებები სიფრთხილეს უნდა ეფუძნებოდეს და არა იმის შიშს, რომ განსაცდელში მყოფი მეგობრის მიმართ ორმაგ სტანდარტებს უსამართლოდ ვიყენებთ.

რუსეთი განსაცდელში მყოფი მეგობარია და მართებული არ იქნებოდა, რომ ეს დიდი ერი მხოლოდ განსაკუთრებულ შეწყალებაზე იყოს დამოკიდებული. თუმცა ჩვენ რუსეთს, როგორც პრეზიდენტმა ბუშმა სხვა კონტექსტში თქვა, „მცირე მოლოდინით" ვუდგებით...

***ვაშინგტონ პოსტი, აშშ***

# კოფი ანანი თბილისს და სოხუმს მოუწოდებს...

გაეროს გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს წარუდგინა მოხსენება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ „დარეგულირების პროცესი ჩიხს მიუახლოვდა: ამა წლის ივლისიდან მხარეებს არავითარი პოლიტიკური კონტაქტი არ ჰქონიათ. სამშვიდობო პროცესის წინ წაწევა მხოლოდ მათი მოლაპარაკებით არის შესაძლებელი. საბოლოოდ უნდა გადაწყდეს კონფლიქტის მთავარი პრობლემა, კერძოდ, განისაზღვროს აფხაზეთის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში".

კოფი ანანს იმედი აქვს, აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევის შემდეგ სოხუმი პოლიტიკურ ნებას გამოიჩენს და ყოველგვარი ულტიმატუმის გარეშე მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდება. ამასთან, ხაზი გაუსვა, რომ თბილისმა შინაპოლიტიკური და აფხაზური კონფლიქტების დარეგულირება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოახერხოს.

***ლენტა რუ***

# რუსეთს ერთიანი საქართველო სჭირდება

რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე ***მიხაილ მარგელოვი*** აცხადებს, რომ რუსეთის მთავრობას მშვენიერი ურთიერთობა აქვს დსთ-ის ქვეყნებთან, მათ შორის, აზერბაიჯანთან და სომხეთთან, ხოლო საქართველოსთან ურთიერთობა ძნელად ვითარდება, მაგრამ იმედი აქვს, აქაც გამოკეთდება მდგომარეობა.

*— რახან რუსეთმა არასწორი ტონი აირჩია საქართველოსთან ურთიერთობაში, ხომ არ გგონიათ, რომ სააკაშვილთან ჩვენი კონტაქტები ისეთსავე ჩიხში აღმოჩნდება, როგორც შევარდნაძესთან ურთიერთობისას?*

— არა მგონია, ეს მოხდეს. სააკაშვილს მძიმე მემკვიდრეობა ერგო შევარდნაძისაგან. სწორედ ამით ვხსნი იმას, რომ ასე ძნელად ვითარდება ჩვენი ურთიერთობა. შევარდნაძე საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობით ვაჭრობდა, თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გარდა, ყველაფერზე ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი, ეროვნული ინტერესი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა იყოს. ჩვენ, როგორც ფედერაციულ სახელმწიფოს, ხელს გვაძლევს საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, მრავალეროვნული, თუ გნებავთ, ფედერაციული სახელმწიფოს არსებობა. ხოლო ის, რომ პოლიტიკოსები, საქართველოშიც და რუსეთშიც, ხანდახან ემოციური, მკაცრი რიტორიკის უფლებას აძლევენ თავს, არაფერია, აბა, რისი პოლიტიკოსები არიან...

თუმცა უკვე დღეს ვთანამშრომლობთ სამხედრო, სპეცსამსახურების, სასაზღვრო დარგებში, გლობალური ურთიერთკავშირია დამყარებული ეკონომიკაშიც. ახლა საჭიროა წყნარად, ემოციების გარეშე, ნელ-ნელა მოვშალოთ ის ბარიერები, რომლებიც ამ ბოლო, 14 წლის მანძილზე დაგროვდა. საუბრის ტონიც უნდა შევარბილოთ. მთავარია მოსკოვსა და თბილისში შეიგნონ: ჩვენ ერთიანი სტრატეგიული მიზანი გვაქვს.

***იზვესტია***

# „ჩვენ ბრიყვულად ვიქცევით"...

**რაულ ხაჯიმბას დამარცხებამ კრემლი პრობლემების წინაშე დააყენა: რა უნდა იღონოს მოსკოვმა აფხაზეთში კრიზისული სიტუაციის გამოსასწორებლად? ამ კითხვაზე პასუხობენ ცნობილი პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები.**

**სერგეი მარკოვი, პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი:** — კრემლმა, უპირველესად, კინწისკვრით უნდა გაყაროს ყველა, ვინც ხაჯიმბას ლობირებდა და პრეზიდენტსაც ეს კანდიდატურა შეაჩეჩა ხელთ. არა მგონია, ეს მხოლოდ შეცდომა იყოს, უთუოდ კომერციული ინტერესები ამოძრავებდათ.

მეორე: უნდა გაირკვეს, განსხვავდება თუ არა სხვა პოლიტიკოსებისაგან სერგეი ბაღაფში? უბრალოდ, აკრიტიკებს ხელისუფლებას, თუ მართლა აქვს კავშირი ქართველებთან და შეიძლება აფხაზეთისთვის ტროას ცხენის როლიც ითამაშოს? ამბობენ, რომ მას გალის რაიონის ქართველებმა მისცეს ხმა, რომ ცოლი ქართველი ჰყავს, რომ თბილისის ხელისუფლება დიდ სიფრთხილეს იჩენს, რათა მას არაფრით ავნოს.

მთავარია, კრემლმა არ დაუშვას სიტუაციის სამოქალაქო ომში გადაზრდა. მოსკოვმა უმაღლესი არბიტრის როლი უნდა იკისროს. შეიძლება ბაღაფშის მხარდაჭერა ღირდეს, ხოლო თუ ის მართლა ქართული სპეცსამსახურების აგენტი და ტროას ცხენია — ყველაფერი ვიღონოთ, მისი გაპრეზიდენტებისთვის ხელის შესაშლელად.

**სტანისლავ ბელკოვსკი, ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტის დირექტორი:** — მოსკოვმა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა აფხაზეთში არჩევნების პოლიტტექნოლოგიაში ჩაერია. ახლა ისე უნდა მოაწყოს, რომ სერგეი ბაღაფში თავის გამარჯვებას კრემლს უმადლოდეს. საჭიროა, სასწრაფოდ მოვილაპარაკოთ არჩევნების ფავორიტთან. თუ რუსეთი ამას მოახერხებს და გადამწყვეტ როლს ითამაშებს ბაღაფშის გამარჯვების ლეგალიზებაში, მაშინ ის, რასაკვირველია, დავალებული იქნება რუსეთის წინაშე და აფხაზეთში სიტუაცია მართვადი გახდება.

**კონსტანტინ ზატულინი, დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი:** — დღეს რუსეთმა შუამავლობა უნდა იკისროს და აფხაზეთი კონფრონტაციისგან გადაარჩინოს, ამისათვის საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ არჩევნების მეორე ტური ჩატარდება — რასაკვირველია, ბაღაფშისა და ხაჯიმბას მონაწილეობით; რადგან ბაღაფშის გამარჯვების აღიარება აფხაზეთის საზოგადოებრიობას უსათუოდ გახლეჩს.

**ირინა ხაკამადა, პოლიტიკოსი:** — რუსეთის მიერ აღებული გეზი თავისი გავლენის განსამტკიცებლად, ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირი ჩარევა, კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანს. ჯერ ერთი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მდგომარეობის დესტაბილიზაციას იწვევს, მათ შორის, აფხაზეთშიც; მეორე, ის აფხაზებიც კი დავაშინეთ, რომლებსაც რუსეთში ცხოვრება უნდოდათ. დავანახვეთ, თუ როგორ შევძელით ხალხით მანიპულირება და მათი ნების იგნორირება; მესამე, თუ საქართველო ბრძნულად



იქცევა — არ ცნობს არჩევნების ლეგიტიმურობას, მაგრამ მაინც თანახმაა გამარჯვებულთან მოლაპარაკებების გამართვაზე, ჩვენ კი სულ არ გვაინტერესებს საქართველოს ერთიანობა და ამას არც ვმალავთ. წესიერი თუ უწესო გზებით ვიბრძვით აფხაზეთში ჩვენი კაცის დასაყენებლად. თუმცა ამ საქმეში არც პირველი ვართ და არც უკანასკნელი — თავის დროზე ამერიკაც ასევე იქცეოდა სუსტი რეჟიმების ქვეყნებში, ჩვენ თითქოს ამის წინააღმდეგი ვიყავით, სინამდვილეში კი იმავეს ვიმეორებთ, ოღონდ არაეფექტიანად, ბრიყვულად. ჩვენი პოლიტიკა უნდა შეიცვალოს, ეს გარდაუვალია.

***ნეზავისიმაია გაზეტა***

*გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*

**მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ გამოსცა**

***სახელმძღვანელო სათემო ორგანიზაციებისათვის***

სათემო ორგანიზაციები და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, ადგილობრივი გადასახადები, საერთო სარგებლობის მიწებისა და ბუნებრივი რესურსების მართვა, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, მედიაცია და კერძო არბიტრაჟი — *თქვენთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაცია.*

წიგნს უფასოდ მიიღებთ ასოციაციის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებში:

თბილისი, გაგარინის I შესახვევი №8. 8 (22) 912 159, 931 969.
ელფოსტა: offise@aplr.org; www. aplr.org

ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ. №7. 8 (231) 4 14 60
899 587 094, მერაბ ბარათაშვილი

გურჯაანი, რუსთაველის ქ. №4. 8 (253) 2 21 67
899 271 912, სოსო სულაშვილი

ახალციხე, რუსთაველის ქ. №26. 8 (265) 2 12 23
899 584 879, თემურ ალთუნაშვილი

ბათუმი, ლერმონტოვის ქ.№14, მე-2 სართული, ბინა 7.
8(88 222) 3 08 26, 899 506 858 ჯემალ ცეცხლაძე

თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. №12.
899 532 096 კარლო ონიანი



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გენიოსები

პატარა **ნიკამ** ეზოში მიხეილ სააკაშვილის სურათი დაინახა და მამას ეძახის:

— მამა, მოდი, მიშა განახო.

— ვინ მიშა?

— ველ იცანი, მამა? სანდლას ქმალი.

***

პატარა **ნიკუშა გრძელიშვილი** ძილის წინ ლოცულობს:

— ღმერთო, დიდი ბიჭი გამზარდე, ჩემი დაიკო სულ კარგად იყოს... მერე დაფიქრდა...

— დედიკო, შენზე რა ვუთხრა?

***

ძილის წინ პატარა **ილიკოს** დედა ეუბნება:

— დაიძინე, ილიკო, დაიძინე. უკვე ყველას სძინავს.

— ატმებსაც? — იკითხა ბიჭმა და თვალი შეავლო მაგიდაზე დადებულ რამდენიმე ატამს.

— კი, ატმებსაც სძინავთ.

— მერე ატმებს თვალები რომ არა აქვთ, როგორ დახუჭეს და დაიძინეს?

## ვიტვიტა და ბათურა

**ზღაპარი**

ერთ ეზოში ცხოვრობდნენ იხვის ჭუჭული ვიტვიტა და ლეკვი ბათურა. ერთხელ ვიტვიტას წუწკი ფისო შესაჭმელად გამოუდგა.

— მიშველე, ბათურა! — აყვირდა ვიტვიტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა.

— ჰამ, ჰამ, აი, შე საძაგელო! — შეუყეფა ბათურამ ფისოს. ფისო შეშინდა და თავის გადასარჩენად ხეზე ახტა.

— გმადლობ, ბათურა, ახლა კი წავიდეთ და ვიბანაოთ, — უთხრა ვიტვიტამ ბათურას და მდინარისკენ სიმღერით გაეშურნენ:

მდინარესთან რომ მივიდნენ, ვიტვიტა მაშინვე წყალში გადაეშვა.

— ვახ, ვახ, რა კარგია, ჩამოდი! — დაუძახა ბათურას.

ბათურა დიდ ქვაზე შედგა.

— ერთი, ორი, სამი, ჰოპ! — წამოიძახა და ისიც წყალში გადახტა.

ამ დროს ვიტვიტამ თევზი შეამჩნია, დასაჭერად გამოუდგა და ჩაყვინთა.

ბათურამ მოიხედა, მეგობარი რომ ვერ დაინახა, შეეშინდა, ხომ არ დაიხრჩოო და დაუძახა:

— ვიტვიტა!..

მაგრამ ვიტვიტა არსად ჩანდა.

დაღონებულმა ბათურამ ტირილი დაიწყო.

— ის არ სჯობდა, მე შემეჭამა, ვიდრე წყალში დამხრჩვალიყო, — შემოესმა ბათურას ფისოს ხმა.

ბათურამ ზევით აიხედა და დაინახა: ფისო ტირიფზე ასულიყო და ტოტზე არხეინად გაწოლილი ჩამოსცქეროდა.

უცბად მდინარიდან თავი ამოყო ვიტვიტამ, რომელსაც მოფართქალე თევზი ეჭირა პირში. ვიტვიტა ნაპირზე გამოვიდა, თევზი ნისკარტით შუაზე გაყო და ბათურას უთხრა:

— მიირთვი, ძმობილო, ბანაობის შემდეგ საუზმე მეტად გემრიელია.

— გმადლობ, მეგობარო! — მიუგო გახარებულმა ბათურამ.

მეგობრები მადიანად შეექცნენ საუზმეს.

ფისო ხარბად იცქირებოდა ქვევით და ფიქრობდა:

— აფსუს! მაგათი მეგობარი რომ ვიყო, საუზმეს მეც ხომ გამინაწილებდნენო!

საუზმის შემდეგ ვიტვიტამ და ბათურამ შინისკენ გასწიეს. გზაში ასე მიიმღეროდნენ:

*ჰამ, ჰამ, ვახ, ვახ, რა კარგია,*
*რა ნიავი ქრისო,*
*ფისო დარჩა მშიერი,*
*თვალზე ცრემლი სდისო,*

*ვახ, ვახ, ჰამ, ჰამ, მოვდივართ,*
*შინ ვიქნებით მალე,*
*კარგი მეგობრები ვართ,*
*დივლი-დალალე...*

**ქუკური გოგიაშვილი**

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„რძის ნაწარმია ერთი, მჟავე არის და თეთრი".**




**II იპოვე ორი ზუსტად ერთნაირი სახლი**



**III ანა, გამოიცანი**

**1) ვის მიუძღვნა ლადო ასათიანმა ლექსი „კრწანისის ყაყაჩოები"?**

ა) ცხრა ძმა ხერხეულიძეს; ბ) დავით ალმაშენებელს; გ) სამას არაგველს; დ) გიორგი სააკაძეს.

**2) რომელია ზედმეტი?**

ა) ჩერჩეტი; ბ) ბრძენი; გ) შტერი; დ) ყეყეჩი.

**3) ვინ იყო გიორგი ბრწყინვალის მამა?**

ა) ვახტანგ II; ბ) დემეტრე II; გ) დავით VII; დ) დავით IX.

**4) რას ნიშნავს აშშ-ის დროშაზე ვარსკვლავები?**

ა) დაარსების თარიღს; ბ) შტატების რაოდენობას; გ) პრეზიდენტების რიცხვს; დ) სენატორთა რაოდენობას.

**5) ამათგან რომელი ბრუნავს დედამიწის გარშემო?**

ა) მარსი; ბ) ვენერა; გ) მთვარე; დ) მზე.

**იპოვე 9 განსხვავება**



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



**იბეჭდება პირველად**

**ბატონი ოტია იოსელიანი რედაქციაში „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრებით“ გვეწვია და კიდევ ერთხელ გაგვაოცა თავისი მწერლური ოსტატობით.**

**გსმენიათ ან წაგიკითხავთ ცისფერთვალა მგელზე? — მაშინ წაიკითხეთ ეს გასაოცარი ამბავი.**

**დანარჩენ, ჯერ არგამოუქვეყნებელ საკვირველ ზღაპრებს კი ჩვენს ახალ ჟურნალში — „ლიტერატურული პალიტრის“ მე-2, ნოემბრის ნომერში შემოგთავაზებთ. იქვე შეიტყობთ, თუ რატომ არის ეს ზღაპრები ზღაპრადაც გაუგონარი.**




## ოტია იოსელიანი

იყო და არა იყო რა. უღრან ტყეში ცხოვრობდნენ ძუ და ხვადი მგელი. ერთ მშვენიერ დღეს (რა თქმა უნდა, მანამდე ძუ მაკედ იყო), ეყოლათ ოთხი ლეკვი. მგლებისთვის ორი და სამი ლეკვიც დიდი სიხარულია და ოთხი რაღა იქნებოდა!

სანამ ლეკვები თვალს აახელდნენ, არაფერი, მხოლოდ ეს იყო, რომ ძუს დიდი პატივი სჭირდებოდა, ხუმრობა ხომ არ იყო, ოთხი ლეკვი ძუძუზე ეკიდა... მეცხრე დღეს ლეკვებს თვალები აეხილათ და, აი, სასწაული — ერთი ცისფერთვალა აღმოჩნდა.

ზღაპარში გაუგონარი ზღაპარი!..

ფეხზე დადგა მთელი სამგლეთი: მგელი და კამკამა, ცისფერი თვალები! გინდ დაიჯერე, გინდ არა, გამჭვირვალე, ფირუზისფერ თვალებს აფახულებს! კარგი, თუ გინდა ძუს ღალატი დასწამე, მაგრამ სად იშოვა ცისფერთვალება ხვადი მგელი, როცა სამგლეთში არათუ უნახავთ, არც გაუგონიათ.

მამა, რა თქმა უნდა, აიმრიზა, მაგრამ ძუს, მით უმეტეს, სანამ ლეკვები ჰყავს, აგრე იოლად ხელს ვერ წამოჰკრავ. სხვებს რა ენაღვლებოდათ და ყველა თავის მგლურ, საგლეჯ-საავაზაკო გზას დაადგა, მაგრამ ეს კი თქვეს: მგელს ცისფერი თვალები და ჩიტის გული კარგს არაფერს უქადისო.

ეს დედა მგელსაც ემწუთხა, მაგრამ დედის გული ხომ იცით, კოჭლი და ბრუციანი შვილი ვის გადაუგდია, პირიქით, უფრო მეტად უყვართ. ძუმ რომ შეატყო, მისი შვილი აითვალწუნეს და და-ძმებიც დაჩაგვრას უპირებდნენ, თითო-თითო ყველას წაუთაქა. სანამ ცისფერთვალა არ დანაყრდებოდა, სხვებს ახლოს არ იკარებდა. მამას ნანადირევი მოჰქონდა, დაბოღმილს ძილი მაინც არ ეკარებოდა, ხან ირემს ჩაუსაფრდებოდა, ხან შველს. მოიგდებდა ზურგზე და მოათრევდა, თითქოს ამით ძუს ეუბნებოდა: ჩემისთანა მგლის ხელში რა გაგიჭირდა, რომ ვიღაც უცხო ტომის ცისფერთვალაში გამცვალეო. თვითონ, ცისფერთვალა ლეკვი, რა ექნა, თორემ, დასანახავად სძულდა.

— თუ მგელი ხარ, ნუ სულელობ. გაგცვალე არა, ის... ეს ხვადები ყველა ერთნირი მგლები ხართ.

— არა, მე არაფერს ვამბობ...

— ოჰ, რა თქმა მინდა, ვერ ვხედავ?

— თუ ხედავ, ცისფერი თვალები?..

— ოჰ, ეს, ალბათ, ჩემი ოცნების ნაყოფია. ახალგაზრდობაში ოცნება მიყვარდა. ახლაც, ზოგჯერ, მთაზე რომ ავალ, დავჯდები კუდზე, ცას მივაშტერდები და შევყმუი: რატომ მგლად გამაჩინე-მეთქი.

— მგლად რომ არ ჩნდებიან, ისინი სწავლობენ ჩვენგან მგლობას, ერთმანეთს არ ინდობენ და შენ მგელი ხარ და კიდევ რა ჯანდაბა გინდოდა.

— რა ვიცი. რაცა ხარ, რაცა გაქვს, ყოველთვის მოგწონს? ან, იმაზე მეტი არ გინდა? და უფრო ლამაზზე და მშვენიერზე არ ოცნებობ?

— ვთქვათ, მასეა, მაგრამ ოცნებას რომ მგელი დაემაკებინოს, რაღაც არ გამიგონია.

ამაზე კარგა მაგრად დაეტაკნენ ერთმანეთს და ხვადს მოუწია იმ ღამეს ბუნაგის გარეთ გათევა.

ასე იყო თუ ისე, ამ ჩხუბსა და დავიდარაბაში ლეკვები წამოიზარდნენ. საჭიროა აწი თანდათან დაიგეშონ, ლუკმა-ხორცი გაიჩინონ, თავის რჩენა შეიძლონ. ხვადს ის სამი კი და, ეს მეოთხე სანადიროდ არასოდეს მიჰყავს თან: სხვა მგლები შემხვდებიან და მაშინვე იმას იტყვიან, ეს რა მშვენიერია, ეს რა ცისფერთვალაა, მთლად მამას ჰგავსო...

ნადირობა ძუმ ხვადზე ნაკლებად როდი იცოდა, თავისი ოცნების ლეკვს თვითონ წაუძღვა. ყელგამოღადრული ცხოველების მეტი ლეკვებს რა ენახათ, დაბოღმილი მამა მგელი ყველაფერს მუსრს ავლებდა, მაგრამ მთის ფერდობზე შეფენილი ფარა რომ დედამ მეორე მთის წვერიდან დაანახვა, ცისფერთვალა ლეკვს ცრემლები მოერია, დედას გამოუტყდა:

— დედილო, მე ამ თეთრი ღრუბლებივით ცხვარს არ შევჭამ.

— ცხვარს არ შეჭამ?!. — დასცეცხლა დედას.

— არა, დედილო.

— შვილო, გაგიჟდი?! ცხვარს და თხას თუ არ შეჭამ, აბა, რით აპირებ ცხოვრებას?!

— არ ვიცი, დედილო, მაგრამ ცხვარს და თხას არ შევჭამ, არც კი ვიცი, როგორ უნდა დავესხა თავს!

— შვილო, დაფიქრდი! — შეიცხადა დედამ.

— ჰო, რომ დავფიქრდი, იმიტომ გეუბნები. არის თავისთვის, კეთილი, უწყინარი, მშვენიერი. არავის არაფერს უშავებს, როგორ ვეცე და ყელი გამოვღადრო?!

— კი მაგრამ, არსებობა ხომ გინდა, კარგად დაფიქრდი, შვილო!

— ჰო, კარგად რომ დავფიქრდი, იმიტომ გეუბნები. ცხვარს არ უნდა არსებობა? ვკითხოთ, თუ არ უნდა, და მერე შევჭამოთ.

— ახლა, ასე რომ ვკითხოთ, მარტო ცხვარმა კი არა, იქნებ თხამაც მოინდომოს ცხოვრება და დღეგრძელობა.

— აქვთ კიდეც ამის უფლება, ისინი მხოლოდ ბალახს წიწკნიან და ნეკერს კვნეტენ. აი, თაგვები რაა და, თაგვებს მაინც რომ ჭამდნენ, იქნებ ის მაინც მეთქვა, რას ერჩით, როგორ გაბედეთ-მეთქი და შემეჭამა.

— შვილო, მამაშენს ისედაც არ ეხატები გულზე და როგორ გგონია, როდემდე გარჩენს?

— არ ვიცი, დედილო, და ამის გარდა, არც ვაპირებ თქვენს კისერზე ჯდომას.

— აბა, შენ გგონია, შენი ცისფერი თვალების გამო ხროვის ბელადად აგირჩევენ და თავიანთ ნანადირევს მოგართმევენ?

— არა, დედილო, ხომ ვიცი ხროვის ბელადობა მგელმა რის ფასად უნდა მოიპოვოს. ბელადობის გაგონებაც კი არ მინდა.

— შიმშილით თავს იკლავ? შენს თავზე თუ არა, ჩემზე იფიქრე, დედა ვარ...

— რატომ ვიკლავ, ერთი კვირის წინ ჩვენს ბუნაგთან დათვმა ჩამოიარა, შენ, დედილო, არ ჩანდი, მე ძალიან მომეწონა. ის, ეტყობა, მგლებზე ძლიერიც იქნება. ვკითხე, რაკი ჩვენზე ღონიერი ჩანხარ, მგლებს ხომ არ ჭამ-მეთქი. ისეთი იღრიალა, გული გამიხეთქა: მყრალ მგელს და აქოთებულ ტურას რა მაჭმევს, მთელი ზამთარი ვშიმშილობ: ზაფხულში ხილით ვიკვებებიო. მეც მასწავლე რა ხილით-მეთქი. დამაკვირდა: ასეთი მგელი არ მინახავსო და გადაიხორხოცა:

— ცისფერი თვალები?!. სასწაულია, სასწაულიო! — და მასწავლა, როგორ უნდა გამოვარჩიო ბუძგურა წაბლი. ქაცვის ნაყოფი, მართალია, მჟავეა და ხვავსაც ვერ დაატან, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დათვის იმოდენა ფაშვს თუ რაიმე აძლებს, მე რა ღმერთი გამიწყრება!

— ზამთარში მგლებს რა დაგვაძინებს, შვილო, სიცივე და შიმშილი რომ შეგვაწუხებს, ერთმანეთს არ ვინდობთ.

— ზამთარში ვნახოთ, დედილო, ჯერ ხომ ზამთარი არაა.

მოხდა ზღაპარში გაუგონარი ამბავი, მგელმა დაიწყო კენკრის, მოცვის, თხილის, წაბლის და შინდის ჭამა. არც მგლებს ეკარება მაინცდამაინც. შველები და ირმები თვითონ არ იკარებენ და კისრისტეხით გარბიან. დადის, შეჰყურებს ცას, ღამით ხან ერთი მთის წვერზე წამოჯდება, ხან მეორეზე და მთვარით და ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას რომ მიშტერებია, დილა ისე წამოეპარება, ვერ იგებს.

— რა ჰქენი, შვილო, არ დაიწყე ნადირობა? — მოძებნის დედამისი და შავი ცრემლით ტირის, მაგრამ, ცისფერთვალა ამშვიდებს.

— არა, დედილო, ხილითაც იოლას გავდივარ, ჩემზე არ იდარდოთ.

— კი, მაგრამ, შვილო, რომ დაზამთრდება, რას აპირებ?

— არ ვიცი, დედა, იქნებ ძილი შევძლო.

მაგრამ მოვიდა ზამთარი და ძილი ღამით კი არა, დღისითაც არ წაეკარა. ჩამოცვივდა ხილი, დაათოვა, გაყინა. მონადირე მგლებიც დაიმშნენ. ფოთოლგაცვენილ ტყეში ლუკმა-ხორცის შოვნა გაჭირდა. ამ დროს მგლები ჯგუფურ ნადირობას იწყებენ. დაუვლიან თავს ირმების, ან შველების ჯოგებს, გასასვლელ ყელებში თავიანთ ძმებს ჩაისაფრებენ, მორეკავენ დამფრთხალ მსხვერპლს და ავლებენ მუსრს. რა თქმა უნდა, ცისფერთვალა ასეთ ჟლეტაში არ მონაწილეობდა, მაგრამ ერთხელ თვითონ მოჰყვა სარეკში და თანდათან ალყა რომ დაავიწროეს და თვალებდანთებული მშიერი მგლები შემოცვივდნენ, მისი ცისფერი თვალების საყურებლად ვის ეცალა: იქით, ხევისპირზე ჩაუდექიო, დაუღმუვლეს. კი წავიდა და ჩადგა, მაგრამ დამფრთხალი ჯოგი აქეთ-იქით რომ მიაწყდა და ყველა გზა მოჭრილი შეექნა, ხევში გადაშვება მოინდომეს. არ დაილუპონ, მართლა არ გადაცვივდნენო და ბილიკზე ჩასასვლელი გაათავისუფლა. დაეშვნენ ქვევით შვლები, სულ სკუპსკუპით ჩაირბინეს ხევი. მოცვივდნენ პირზე დორბლმომდგარი მგლები, ჰგონიათ ჯოგი ჩაჩეხეს და ხორცი თავზე საყრელადაა. აგერ, ხევის გაღმა კედელზე მიკუნტრუშობს მათი ნანადირევი.

ის იყო და ის. დადგა ცისფერთვალას აღსასრული.

შავდღიანმა, ვითომ თავი იმართლა, რა ვქნა, რომ კეთილი ვარო. ეს მაინც არ ეთქვა: მგელი რომ კეთილი და პატიოსანი იქნება, ამაზე დიდი დანაშაული რა უნდა ჩაიდინოს?!






# სასამართლო ქრონიკა

DURA LEX SED LEX

ყოველთვიური ჩანართი

N40 25.10.2004




**მოქალაქეებისათვის ნარკოტიკული ნივთიერებების „ჩადება“, პოლიციელების მიერ ფულის გამოძალვა და შანტაჟი, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, – ეს ის დანაშაულებია, რომელთა მხილება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲫᲘᲡ განცხადებით, მათი სამსახურის გასული თვის უმთავრესი პრიორიტეტი იყო. მანვე „სასამართლო ქრონიკას“ გააცნო რამდენიმე დანაშაულებრივი ფაქტი, რომელთა ჩადენაში შსს-ს თანამშრომლები იყვნენ მხილებულნი:**

# შსს გენერალური ინსპექციის ქრონიკა

## ფაქტი 1

7 ოქტომბერს შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ტელეფონით დაუკავშირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ლექტორი მერაბ რაფავა, რომელმაც განაცხადა, რომ უნივერსიტეტში შეიჭრნენ პოლიციელები და ძალის გამოყენებით ცდილობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტების დაკავებას, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ბრალდებით.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები თავად გახდნენ იმის თვითმხილველები, თუ როგორ ჩაარტყა პოლიციელმა იარაღის ტარი სტუდენტს.

გენერალურმა ინსპექციამ იმავე დღეს დააკავა ვაკე-საბურთალოს სისხლის სამართლის სამძებროს მე-2 განყოფილების ინსპექტორი იოსებ ქარსევანიძე. ექსპერტიზის ცნობაზე დაყრდნობით, არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ პოლიციელი თავად იმყოფებოდა ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ.

ამ ფაქტზე სამსახურებრივი მოკვლევა დასრულდა და საქმე გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

## ფაქტი 2

სამსახურებრივი მოკვლევის შედეგად, ინსპექციის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისის შსს მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ საკანდელიძე.

მოკვლეული მასალების თანახმად, იგი ეჭვმიტანილია მოქალაქე ნიკა ს-სთვის ნივთიერება „ჰეროინის“ ჩაგდებასა და ამის საფუძველზე მის დაკავებაში.

საქმე გადაგზავნილია გენერალურ პროკურატურაში.

## ფაქტი 3

შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას განცხადებით მიმართა მოქალაქემ, რომლის განმარტებით 2004 წლის 30 აგვისტოს მისი მეუღლის ბინიდან, იარაღის მუქარით გაიტაცეს მისი ნათესავი. მოქალაქემ განაცხადა, რომ პოლიციამ დააკავა გამტაცებლები, თუმცა 50.000 აშშ დოლარის აღების შემდეგ, ისინი გაუშვა.

სამსახურებრივი მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს პოლიციელთა მხრიდან.

პოლიციელებმა ჩხრეკა კანონის უხეში დარღვევით ჩაატარეს, ჩხრეკის შედეგად ამოღებული იარაღი საქმიდან „გაქრა“, ხოლო დაკავებული გამტაცებლები, პროკურატურის გამომძიებლის სიტყვიერი მითითების საფუძველზე, წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გაუშვეს.

ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებულები არიან ეჭვმიტანილები: მცხეთის შსს სამმართველოს უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა პარკაული, კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ივანე დგებუაძე და სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ელგუჯა გოჩიაშვილი.

მათ აღკვეთის ღონისძიების სახით, სამი თვის პატიმრობა მიესაჯათ.

საქმეს იძიებს გენერალური პროკურატურა.

---

სასამართლო დარბაზებში

**მნიშვნელოვანი ნოვაცია, რომელიც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონმა დაამკვიდრა, არის ის, რომ მოხდა ცილისწამების დეკრიმინალიზაცია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, კანონის ამოქმედების შედეგად ცილისწამება სისხლისსამართლებრივი რეგულირების ნაცვლად, სამოქალაქო რეგულირებას ექვემდებარება.**

**ამ მნიშვნელოვანი დემოკრატიული ნორმის ამოქმედება, ცხადია, პირველ რიგში, დამოკიდებულია სასამართლო პრაქტიკაზე. ქვემოთ გთავაზობთ სასამართლო დავას, რომლის გადაწყვეტისას კასპის რაიონულმა სასამართლომ სწორედ ახალი კანონის საფუძველზე არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ჟურნალისტის წინააღმდეგ.**

# მამუკა ნოზაძე დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგ

**საჩივარი:** 2004 წლის 2 მარტს გორის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა მამუკა ნოზაძემ და მოითხოვა ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის მიმართ სსკ-ის 148-ე მუხლით, კერძო ბრალდების სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

განცხადება თანდართული მასალებით გორის რაიონული სასამართლოდან აცილების წესით გადაიგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოში. აცილების წესითვე საოლქო სასამართლოდან საქმე კასპის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნა.

საჩივრის თანახმად, გაზეთ „თრიალეთის“ 2004 წლის 8 მარტის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის სტატია, სათაურით „ადვოკატი მოსამართლეს შანტაჟს უწყობს“ და ქვესათაურით „დიდი სამეული“ იშლება, ინტრიგები და ხლართები“. განმცხადებლის აზრით, აღნიშნული პუბლიკაცია თავისი მყვირალა და აჟიტირებული სათაურით შეურაცხმყოფელია მისი პიროვნებისათვის და არის ცილისმწამებლური, რადგანაც მას ბრალს სდებს მოსამართლისათვის ფულის გამოძალვაში.

მამუკა ნოზაძის აზრით, პუბლიკაციაში გადმოცემული ფაქტები და მოვლენები არ შეესაბამება სინამდვილეს, ჟურნალისტი ავრცელებს მონაჭორს, არარსებულ ინფორმაციას მისი დანაშაულში მონაწილეობის შესახებ, მოსარჩლის პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვის ან სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით.

განმცხადებელი ასევე უთითებს საბა წიწიკაშვილის სტატიაზე „ადვოკატი ჟურნალისტის გასვრას შეეცადა“ და მოჰყავს ციტატა ხსენებული პუბლიკაციიდან: „ადვოკატ ნოზაძეს ძალიან სურდა მის მიერ მოთხრობილი ბრალდებები მარიამიძისთვის არ წარმედგინა, მან ისიც კარგად იცოდა, რომ მოსამართლე კომენტარებს არ აკეთებს და იფიქრა, ჟურნალისტმაც არაფერი იცის, არ წავა საოლქო სასამართლოში, ხუთივე სს საქმეს ვერ გაეცნობა და შესაბამისად დასკვნებსაც ვერ გააკეთებსო, შემდგომში მისთვის ცნობილი გახდა, რომ მე ყველა სს საქმის მოკვლევა დავიწყე, ნოზაძე დამიკავშირდა და ხმამაღალი ტონით მითხრა, „რაღა მასალები გინდა, მე ხომ მოგაწოდე... შენ აგენტი ხარ, ყველაფერი რომ ჩაუკაკლე მარიამიძეს. კოტეტიშვილს შეკვეთილ წერილებს აწერინებ... შენ გასვრილი ხარ“. ნოზაძე თავად ცდილობდა ჟურნალისტის გასვრას, კერძოდ, მოსამართლე გოჩიტაშვილი მიაგზავნა მარიამიძესთან, 500 დოლარი მომცეს, თორემ ჟურნალისტს წერილს დავაწერინებთო. ნოზაძემ მარიამიძეს გოჩიტაშვილის პირით ისიც შეუთვალა, რომ ფულს თუ გადამიხდის, ჟურნალისტს /საბა წიწიკაშვილს/ დავურეკავ, წერილს „დავაბლოკინებ“ და პრობლემა აღარაფერი იქნება, ფაქტს გოჩიტაშვილი უარყოფს, ვისგან ჰქონდა გარანტია მამუკა ნოზაძეს, რომ წერილი მისი ბრძანებით „დაიბლოკებოდა?“ ხომ არ ფიქრობდა ადვოკატი, რომ თუკი მარიამიძე „შანტაჟს“ დაემორჩილებოდა და ფულს გადაუხდიდა, იმ თანხიდან უკვე დაწერილი სტატიის „დასაბლოკად“, წილს მომცემდა? შესაძლებელია, „ჟმოტობა“ გამოეჩინა და „მეგობრულად“ ეთხოვა, წერილი არ გაუშვაო“...

მამუკა ნოზაძის აზრით, სტატიაში მოყვანილ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია და მხოლოდ ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. განმცხადებელმა ხსენებული სტატიაც ცილისწამებად მიიჩნია და ჟურნალისტის მიმართ სსკ-ის 148-ე მუხლის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში საბა წიწიკაშვილის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ ჟურნალისტი შეხვდა როგორც ადვოკატ მამუკა ნოზაძეს, ასევე მეორე მხარესაც, მოსამართლეებს – ა. მირიანაშვილსა და ქ. სულაბერიძეს. საბა წიწიკაშვილის მტკიცებით, საგაზეთო პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტები და გარემოებები არ წარმოადგენს მონაჭორს, არამედ ეფუძნება ზემოთ ხსენებული პირების მონათხრობს.

ჟურნალისტმა ასევე მიუთითა 8-15 მარტის გაზეთ „თრიალეთში“ გამოქვეყნებულ მისსავე სტატიაზე „ვინ ლახავს გამარჯვებული პარტიის ავტორიტეტს“. ხსენებული სტატია შეეხებოდა მამუკა ნოზაძის მიერ საბა წიწიკაშვილის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას და სხვა საკითხებს. სტატიაში ჟურნალისტმა მოსთხოვა პროკურატურას, სისხლის სამართლის საქმე აღეძრა მამუკა ნოზაძის წინააღმდეგ იმ შანტაჟისათვის, რომელსაც ის მოსამართლე ალექსი მარიამიძეს უწყობდა, ანუ ამ უკანასკნელს 500 დოლარს სძალავდა.

**გადაწყვეტილება:** კასპის რაიონის მოსამართლე გ. მილაძემ 2004 წლის – ივნისის გადაწყვეტილებით, არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის მიმართ.

**მოტივაცია:** სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის დისპოზიცია არის შემდეგი: „ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით“. აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

სასამართლოს აზრით, ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის განზრახვა მიმართული იყო არა შეგნებულად ცრუინფორმაციის გავრცელებისაკენ, არამედ მის მიზანს წარმოადგენდა, ადვოკატ მ. ნოზაძის მხილება დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც მისი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, ე. ი. არ არსებობს სსკ-ის 148-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

სასამართლომ ჟურნალისტის ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ არ მიიჩნია.

დასასრული მე-18 გვერდზე

# მონიტორინგის ჯგუფის მონაცემები

სახალხო დამცველისა და თავისუფლების ინსტიტუტის მონიტორინგის ჯგუფის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 9 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრამდე წინასწარი დაკავების საკანში სულ 37 ადამიანია გადაყვანილი. მათგან 15 მოქალაქეს სხეულის მძიმე დაზიანებები აღენიშნებოდა.

## წამება „კაპეზეში“

13 ოქტომბერს, თბილისში პოლიციამ ფულის გამოძალვის ბრალდებით დააკავა გიორგი ს-ძე და დავით გ-ლი. დაკავებულები თბილისის პოლიციის სამმართველოში დაახლოებით დღის პირველ საათზე მიიყვანეს, საიდანაც მხოლოდ სამი საათის შემდეგ გადაიყვანეს წინასწარი დაკავების საკანში. ორივე დაკავებული სასტიკადაა ნაცემი. მთელი ამ ხნის განმავლობაში, დაკავებულებთან ადვოკატს არ უშვებდნენ.

იმავე დღეს, საღამოს ათი საათისთვის ე.წ. „კაპეზეში“ დაკავებულები სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა, თავისუფლების ინსტიტუტის რეგიონალურმა ომბუდსმენმა თეა თუთბერიძემ და სახალხო დამცველის ოფისის სხვა თანამშრომლებმა მოინახულეს. დაკავებულებთან ადვოკატი შეიყვანეს. სახალხო დამცველის მოთხოვნით მათ სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდებათ.

დაკავებულების ადვოკატთან საუბრისას გაირკვა, რომ დავით გ-ლი უსაფუძვლობის გამო, როგორც ეჭვმიტანილი გათავისუფლებულია, ხოლო გიორგი ს-ძეს შეფარდებული აქვს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა. ადვოკატის განცხადებით, სულაქველიძეს ქალაქის სამმართველოში ნარკოტიკი „ჩაუდეს“, რაც მის მდგომარეობას ამძიმებს.

—

## თავისუფლების ინსტიტუტი გორის პროკურორის თანამდებობიდან გადაყენებას და დასჯას მოითხოვს

თავისუფლების ინსტიტუტი გორის რაიონის პროკურორის არჩილ ბაბაჯანაშვილის თანამდებობიდან გადაყენებას და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს. სამხარეო პოლიციის მიერ დაკავებული გიორგი მ-ული პროკურორმა სასტიკად აწამა.

ამის შესახებ სახალხო დამცველის ოფისისათვის გახდა ცნობილი. დაკავებულის სანახავად სახალხო დამცველის მოადგილე, გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი და თავისუფლების ინსტიტუტის წევრები გორში ჩავიდნენ.

„დაკავებულს სხეულზე სერიოზული დაზიანებები აღენიშნებოდა და ჩვენი მოთხოვნით, იგი წინასწარი დაკავების იზოლატორიდან ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა იგი „კაპეზეში“ უკანონოდ იმყოფებოდა, რადგან მას აღმკვეთი ღონისძიება ჰქონდა შეფარდებული და კანონის თანახმად, ციხეში უნდა ყოფილიყო. წინასწარი დაკავების იზოლატორში უკანონოდ მყოფი კიდევ სამი პიროვნება აღმოვაჩინეთ“, – აცხადებს თავისუფლების ინსტიტუტის წევრი თეა თუთბერიძე.

სახალხო დამცველის სახელზე დაწერილ განცხადებაში მ-ული განმარტავს, რომ იგი 9 ოქტომბერს დააკავეს და რაიონულ პროკურატურაში გადაიყვანეს, სადაც ბაბაჯანაშვილმა იარაღითა და წიხლებით სასტიკად სცემა და იარაღისა და ნარკოტიკების ჩადებით დაემუქრა, თუ მისთვის სასურველ ჩვენებას არ დაწერდა, ხოლო დაწერის შემთხვევაში გათავისუფლებას დაჰპირდა. მისი განმარტებით, ბაბაჯანაშვილი მას ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა და ანთებული სიგარეტი 4-ჯერ ჩააწვა მუცლის არეში. დაკავებულის განცხადებით, ბაბაჯანაშვილი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.



როგორც მ-ულმა განმარტა, იგი პროკურატურიდან პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს, სადაც ათი-თერთმეტი საათის შემდეგ გამომძიებელი ბუბუტიშვილი მასთან მივიდა და ყალბ ჩვენებაზე ხელის მოწერა სთხოვა.

„დაკავებულის ცემისა და წამებისთვის რაიონის პროკურორი ბაბაჯანაშვილი სასწრაფოდ უნდა იქნეს თანამდებობიდან გადაყენებული, ასევე მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას,“ – ასეთია თავისუფლების ინსტიტუტის პოზიცია.



# ვის მხარეზეა ადვოკატი?

მასწავლებელი, ექიმი და ვექილი ყველა ეპოქასა და ყველა ქვეყანაში საზოგადოების განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. პატივისცემით იმიტომ, რომ სამივე პროფესია, პირველ რიგში, საზოგადოებრივი საქმიანობაა და მხოლოდ ამის შემდეგაა სამსახური.

მასწავლებელმა ცოდნა უნდა მისცეს ბავშვს, ექიმმა უნდა უმკურნალოს პაციენტს, ხოლო ადვოკატის ვალია, დაიცვას მოქალაქე უსამართლობისაგან. ანუ, ამ პროფესიის წარმომადგენელთა მიმართ საზოგადოების აპრიორულ პატივისცემას განსაზღვრავდა და განსაზღვრავს მათი საზოგადოებრივი ფუნქცია. მხოლოდ ამის შემდეგ ერთვება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კერძო განათლება, კერძო სამედიცინო პრაქტიკა და კერძო ადვოკატურა.

თუ ადვოკატმა ერთხელ იტვირთა მოქალაქის (მოქალაქეების ან რაიმე კორპორაციული ჯგუფის) ინტერესების დაცვა, მისი მორალური ვალია, ყველა შემთხვევაში ამ ვალდებულების ერთგული დარჩეს და მას არა აქვს უფლება, მომავალში მათ წინააღმდეგ იმოქმედოს. უფრო მეტიც, ამას ადვოკატს არა მარტო მორალი, არამედ კანონიც ავალდებულებს.

ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ბანალური ჭეშმარიტებაა და ამას ნებისმიერი იურისტიც დაგიდასტურებთ, თუმცა პრაქტიკა რომ ხშირად საპირისპიროს გვიჩვენებს, ესეც ფაქტია. ჩვენ არ ვაპირებთ ისეთი დრამატული მაგალითების მოყვანას, რომელიც საბჭოურ, ტოტალიტარულ პრაქტიკას ახასიათებდა. მაგალითად, როდესაც საბჭოთა ადვოკატი სასამართლო პროცესზე საჯაროდ აცხადებდა უარს კლიენტის დაცვაზე და „ხალხის მტრის“ სამაგალითო დასჯას მოითხოვდა. მაშინ განსასჯელი, მისი განმსჯელიცა და დამცველიც სისტემის მძევლები იყვნენ და აქ რაიმე მორალურ პასუხისმგებლობაზე საუბარიც ზედმეტი იყო.

ჩვენ არც იმ ოდიოზურ „ადვოკატ-პოლიტიკოსებზე“ ვსაუბრობთ, რომლებიც თამბაქოს ჯერ ერთ მაგნატს იცავენ სასამართლოში და შემდეგ უფრო დიდ ჰონორარზე მის კონკურენტ მაგნატებს ურიგდებიან.

ამ შემთხვევაში საუბარია უაღრესად მარტივ ყოველდღიურობაზე, როდესაც ადვოკატი იწყებს პროცესს, როგორც მოქალაქის ინტერესების დამცველი და შემდგომ ინსტანციაში უკვე საკუთარი კლიენტის მოწინააღმდეგეთა ადვოკატად ევლინება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, „სასამართლო ქრონიკის“ რედაქციაში ასეთი ფაქტებით შეწუხებულ მოქალაქეთა წერილებმა და სატელეფონო ზარებმა, რეგულარული ხასიათი მიიღო.

ასე მაგალითად, რედაქციას თბილისში, თარხნიშვილის ქუჩა № 3-ში მცხოვრებმა მოქალაქეებმა მოგვმართეს და წარმოგვიდგინეს საბუთები იმის დასტურად, რომ ერთ-ერთი საადვოკატო ფირმის იურისტებმა დაარღვიეს მათთან დადებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ და საოლქო სასამართლოში პროცესის დასრულების შემდგომ, ამ ჯგუფის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვა დაიწყეს.

მართალია, მოქალაქე ნარგიზა წულუკიანს ადვოკატთან არავითარი ფორმალური ხელშეკრულება არ გაუფორმებია, მაგრამ როგორც თავად აცხადებს, ჰონორარი გადაუხადა და საოჯახო დავა, პირველ ინსტანციაში მოიგო კიდეც. რაოდენ დიდი იყო მისი გაკვირვება, როდესაც საოლქო სასამართლოში მისი ყოფილი ადვოკატი უკვე მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდა და თავგამოდებით იცავდა იმათ სიმართლეს, ვისაც საქმე რამდენიმე თვით ადრე, რაიონულ სასამართლოში მოუგო.

უცნაურ ვითარებაში აღმოჩნდა მოქალაქე ვალერიან ბერიძეც, რომელსაც მისი ვაჟის სისხლის სამართლის საქმეზე კონსულტაციისათვის ერთ-ერთი ადვოკატისათვის მიუმართავს და შემდგომ ამ საქმის წარმართვაზე შეთანხმებია კიდეც. მას დაწვრილებით უამბნია საქმის ვითარება და მისი ვაჟის სასარგებლო არგუმენტებიც გაუცნია. მოგვიანებით ადვოკატს მისი ვაჟის დაცვაზე უარი განუცხადებია და სასამართლოზე მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დამცველად მოვლინებია ბატონ ვალერიანს.

ჩვენ არ ვასახელებთ იმ ადვოკატების გვარებს, რომელთა შესახებაც პრეტენზიებით მოგვმართეს, რადგან ვერ მოხერხდა მათთან დაკავშირება და მათი განმარტებების მოსმენა. თუმცა პრობლემა პრობლემად რჩება და ეს რამდენიმე ფაქტიც ერთეული შემთხვევა არ არის.

არსებობს თუ არა მოქალაქისა და ადვოკატის ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმატიული საკანონმდებლო აქტი და რა უფლება-მოვალეობები აქვთ ადვოკატებს, – ამ საკითხის კომენტირება ჩვენ **ფონდ ALPE-ს დირექტორს ზურაბ გუნცაძეს** ვთხოვეთ:

– საქართველოს კანონი „ადვოკატურის შესახებ“ მკაფიოდ აყალიბებს ადვოკატისა და კლიენტის უფლება-მოვალეობებს. ამ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ.“

ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი დროა გასული. **ადვოკატს არა აქვს უფლება, კლიენტის თანხმობის გარეშე გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.**

კანონის მე-8 მუხლი კიდევ უფრო აზუსტებს ადვოკატის ინტერესთა შეუთავსებლობის კრიტერიუმებს და ადგენს: ადვოკატი ვალდებულია, არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კი პირდაპირ არის ნათქვამი, რომ **„ადვოკატს არა აქვს უფლება შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ“.**

ეს რაც შეეხება კანონს, თუმცა პრაქტიკა რომ ასევე მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ არის, ამას თქვენ მიერ შემოთავაზებული წერილები და ბევრი სხვა ფაქტიც ცხადყოფს. მე ვთვლი, რომ თავისუფალი ადვოკატურა და მედია ჩვენი დროის უმთავრესი მონაპოვარია და ნებისმიერი პრობლემა, რომელიც ამ სფეროში წარმოიშობა, საზოგადოების განსაკუთრებული მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. მჯერა, რომ ადვოკატების ტესტირება და შემდგომ ადვოკატთა ნამდვილი კოლეგიისა თუ ასოციაციის ჩამოყალიბება, რეალური ინსტრუმენტი იქნება ქართული ადვოკატურის ფორმირების საქმეში.

# მამუკა ნოზაძე დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგ

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

**აპელაცია:** კასპის რაიონული სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება კერძო სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მამუკა ნოზაძემ. თბილისის საოლქო სასამართლომ 2004 წლის 21 ივლისის განჩინებით გააუქმა გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნა კასპის რაიონულ სასამართლოს.

**გადაწყვეტილება:** კასპის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსამართლე მ. ენუქიძემ ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა.

**მოტივაცია:** სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის დანაშაულის დაბრალებით. სისხლის სამართლის კოდექსში 2004 წლის 24 ივნისს შეტანილი ცვლილებების თანახმად, აღნიშნული მუხლი კოდექსიდან ამოღებულია, რაც იმაც ნიშნავს, რომ კანონმა გააუქმა ამ ქმედების დანაშაულობა.

სსსკ-ის 28 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ ახალი კანონი აუქმებს დანაშაულობას. მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსი აღარ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე არ უნდა აღიძრას.

**8 ოქტომბერი**

# ერთი ომბუდსმენი ბევრს... გვპირდება

გადმობეჭდილია ჟურნალიდან „თავისუფლება“ N9(33)



**სახალხო დამცველის ინსტიტუტს საქართველოში აქამდე ეფექტურად არ უმუშავია. მიზეზების ძიება, ცხადია, შესაძლებელია, როგორც ინსტიტუციონალურ, ასევე პერსონალურ დონეზე. თუმცა წარსულში ქექვას ჩვენ ახალდამტკიცებულ ომბუდსმენთან სახალხო დამცველის ინსტიტუტის სამომავლო სახეზე საუბარი ვამჯობინეთ. სოზარ სუბარი, რომელიც არასამთავრობო სექტორიდან მივიდა სახალხო დამცველის ოფისში, ამ უწყების რეორგანიზაციის აუცილებლობას რამდენიმე მიზეზით ხსნის:**

პირველი, საჭიროა ოფისის ოპტიმიზაცია მრავალი კუთხით, რადგან პრაქტიკულად ნორმალურად მას არასდროს არ უმუშავია, – **განაცხადა სოზარ სუბარმა,** – ერთ-ერთი პრიორიტეტულია, რბილად რომ ვთქვათ, კადრების გადახალისების საკითხი. რადგან დღესდღეობით სახალხო დამცველის ოფისში მუშაობს ბევრი ადამიანი, რომლებიც მონიტორინგის ჩატარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ნაცვლად, სხვადასხვა საეჭვო გარიგებებზე მიდიოდნენ ხელისუფლებასთან და ცხადია, ასეთ შემთხვევებში გამოსავალი მხოლოდ ძირეული ცვლილებებია.

აბსოლუტურად აბსურდული ვითარებაა შიდასტრუქტურული თვალსაზრისით: ორმოცდაათამდე თანამშრომლის არსებობის პირობებში, ოფისში არის 32 სტრუქტურული ერთეული და იურიდიულად არარსებული და არარეგისტრირებული სტრუქტურა, სადაც დანარჩენი თანამშრომლები არიან დაკავებულნი. თანაც 32 სტრუქტურულ ერთეულში არ შედიან დარაჯები, თავად სახალხო დამცველი, მოადგილე და ა.შ. – გამოდის, რომ კაცზე ერთი სტრუქტურა მოდის! ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად არის, მაგალითად, საჩივრებზე პასუხის გაცემის და რეაგირების დეპარტამენტის თანამშრომელი და იმავე დროს, რომელიმე ცენტრის, მაგალითად, ბავშვთა ცენტრის ხელმძღვანელი.

ვაპირებთ დავნერგოთ ბევრ ქვეყანაში გამოცდილი და აპრობირებული, ერთი სტრუქტურის შიგნით არსებული რამდენიმე ომბუდსმენის ინსტიტუტი. მაგალითად, **მართლმსაჯულების ომბუდსმენი**, განახორციელებს მონიტორინგს და ზედამხედველობას შინაგან საქმეთა სამინისტროზე, პოლიციაზე, პროკურატურაზე, სასამართლოებზე, უშიშროებაზე და ა.შ. არის **თავისუფლებისა და თანასწორობის ომბუდსმენი**, რომელიც დაიცავს სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებს, იქნება ეს სიტყვის, პრესის, აღმსარებლობის თავისუფლება, უმცირესობათა უფლებები, მიტინგებისა და მანიფესტაციების თავისუფლება, სამართლიანი არჩევნების უფლება თუ სხვა. გათვალისწინებულია **სოციალური სფეროს ომბუდსმენიც**, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: დევნილები, უმწეოები, შრომითი უფლებები. ალბათ, აქვე შევა, თუმცა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ვართ, ბიზნესმენთა უფლებები და საგადასახადო საქმიანობის მონიტორინგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღის წესრიგში მოხელეებისაგან ბიზნესის დაცვის აუცილებლობაც დგას. ცალკე გამოიყოფა და შესაბამისი ომბუდსმენი ეყოლება **ჯარის მიმართულებას**. მართალია, რევოლუციის შემდეგ გარკვეულწილად გამოსწორდა ვითარება ქართულ არმიაში — ჯარისკაცებს აღარ შიათ და აცვიათ კიდეც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შიგნით პრობლემები მოიხსნა. საუბარია **ადმინისტრაციულ საქმეთა ომბუდსმენზეც**, რომელიც განახორციელებს ადმინისტრაციის, ადგილობრივი მმართველობებისა და თვითმმართველობების მონიტორინგს და მისი ერთ-ერთი ამოცანა ქვეყნის მართვაში სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობა იქნება. საჩივრებზე რეაგირებას მოახდენს **კანცელარია**, რომელიც მიიღებს და გაანაწილებს საჩივრებს მიმართულების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეგიონული ოფისები აქამდე რეალურად არ ფუნქციონირებდა. მხოლოდ ორ რეგიონში გვყავს შტატიანი თანამშრომლები, დანარჩენებს აქვთ სახალხო დამცველის ოფისის საბუთები, მაგრამ რეალურად ისინი არ არიან ჩვენი წარმომადგენლები, გაურკვეველია მათი დაფინანსებაც, სტრუქტურაც და ა.შ. ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, შეიცვლება, ჩამოყალიბდება და განისაზღვრება დებულებით. ადრე სახალხო დამცველს ბათუმში არ ჰყავდა წარმომადგენელი, იყო ცალკე — აჭარის სახალხო დამცველი, რომელსაც ნიშნავდა და ათავისუფლებდა ასლან აბაშიძე. ამჟამად ის ძველი, ასლან აბაშიძის დროინდელი სტრუ-ქტურა გაუქმებულია და მალე ბათუმში გვეყოლება სახალხო დამცველი, რომელიც იქნება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი. ჯერჯერობით ცალკე არის ასევე აფხაზეთის სახალხო დამცველი და ალბათ ეს საკითხიც ცალკე მსჯელობის საგანია.

ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ცვლილებები, ალბათ, იმის წინაპირობა იქნება, რომ ამ ინსტიტუტის მუშაობა საქართველოში გაცილებით ეფექტური გახდება. სახალხო დამცველი იქნება აბსოლუტურად უკომპრომისო ნებისმიერი დარღვევის მიმართ და იმავეს მოითხოვს ყველა თანამშრომლისგან.

**ჩაიწერა**
**გვანცა ლიპარტელიანმა**


## ფონდი Alpe

**მსოფლიო ბანკის სასამართლო რეფორმის პროექტის ფორმატში**

## აცხადებს კონკურსს რეგიონალური ტელემაუწყებლებისათვის

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა რეგიონალური ტელეკომპანიების რედაქციებმა, შემოქმედებითმა ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ 2004 წელს ეთერში გასული ან საგანგებოდ ამ კონკურსისათვის მომზადებული სიუჟეტები, რომელთა არსი მიესადაგება კონკურსის თემას **„ადამიანი სამართლის ძიებაში“**. სასურველია სიუჟეტში აისახოს რეგიონში მომხდარი რეალური სამართლებრივი კოლიზია, კონკრეტული მოქმედი გმირითა და ამ საქმის მიმდინარეობით პოლიციის, პროკურატურის, სასამართლო დონეზე (ან თუნდაც რომელიმე ერთ უწყებაში).

**წარმოდგენილი სიუჟეტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

- **რამდენად აქტუალური და პრეცედენტულია სიუჟეტში აღწერილი ამბავი**
- **რამდენად დაბალანსებულად და სრულად არის წარმოდგენილი მხარეთა პოზიციები**
- **რამდენად ლაკონიური და გასაგებია ამბის გადმოცემის სტილი**

სიუჟეტის ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.
სიუჟეტი უნდა წარმოადგინოთ VHS ფორმატში.

წარმოდგენილ ნამუშევრებს განიხილავს საგანგებოდ შექმნილი ჟიური. კონკურსში გამარჯვებული სიუჟეტის ავტორები დაჯილდოვდებიან საგანგებო სერტიფიკატითა და ფულადი პრემიით, 500 ლარის ოდენობით. კონკურსში გამარჯვებული სიუჟეტი გადაიცემა საერთო ნაციონალური ფორმატით სამაუწყებლო ტელეკომპანიის ეთერით.

**სიუჟეტების წარდგენის ბოლო ვადა: 2004 წლის 25 ნოემბერი.**

**მისამართი: ალექსანდრე ჭავჭავაძის ქ. 8-33**
**ტელ.: 922914, ფაქსი: 920596**

## მატიანე

მოამზადა სოფო ბუკიამ, მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი



# ფეხის თითები 120 ათასად

ნიუ-იორკში ამას წინად მომკვდარა ერთი მათხოვარა, ვილაც ბოუერი, რომელსაც მათხოვრობით დაგროვილი 120 ათასი მანეთი დარჩენია. ბოუერს ანდერძი არ დაუტოვებია და არც ნათესავები ჰყოლია, ამიტომ პირველ ხანს არ იცოდნენ, ვისთვის გადაეცათ ფული. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოცხადდა თურმე ვილაც ჯონ ბოერსი და თავისი თავი მემკვიდრედ გამოაცხადა. შედგა სასამართლო, ბოერსს არავითარი საბუთი არ ჰქონია ნათესაობის დასამტკიცებლად და მოსამართლისთვის უთქვამს ფეხის თითები კანითა მაქვს ერთმანეთზე გადაზრდილი ისევე, როგორც განსვენებულს ჰქონდაო. სასამართლომ ამოათხრევინა ბოუერის გვამი და მართლაც თითები ბატივით გადაბმული ჰქონია. სასამართლოს ეს საბუთი საკმაოდ უცვნია და ბოუერის მემკვიდრედ ბოერსი დაუმტკიცებია.

„ივერია“ №166, 1901 წელი



# უტვინო მამების ამბავი

სერინიოლაში (იტალია) ამას წინათ ორ პატარა ბავშვს – 10 წლის მორ ლა-რანგოსა და 8 წლის რაფაელ ლაზერტის დუელი ჰქონდათ. ბავშვები ამხანაგები ყოფილან, თამაშობის დროს რაღაც სათამაშოზედ ლაპარაკი მოსვლიათ, რისთვისაც იმავე დღეს ლა-რანგოს ორი სეკუნდანტი გაუგზავნია ლაზერტისთვის და დუელში გაუწვევია. დუელის ამბავი ამ ბავშვების მამებსაც სცოდნიათ, შვილების მამაცობა მოუწონებიათ და დუელის დროს იქვე იდგნენ და თავთავიანთ შვილებს გულშემატკივრობდნენ თურმე. დუელი 24 ივლისს მომხდარა, დილით, ერთ ბაღში. იარაღად დანები აურჩევიათ. ლა-რანგო ძალიან საშიშად დაჭრილა, მაგრამ გადარჩენილა, ლაზერტი კი ტყეში დამალულა. მათ მაგივრად პოლიციას ამ ბავშვების უტვინო მამები შეუპყრია. მათთვის სასამართლოს სამი წლით პატიმრობა გადაუწყვეტია.

„ივერია“ №160, 1901 წელი



# ეშმაკების კანტორა

შმულევიზში, ვარშავას მახლობლად არსებობს თურმე „ეშმაკების კანტორა“, რომლის პატრონი ბლიმ ფრენკელია. აი გაზეთი „ვარშავის დღიური“ რას გადმოგვცემს ამ უცნაური კანტორის შესახებ: ამას წინათ ეს პატრონი დაჰპირებია ვიღაც შიმანსკის, ეშმაკებს მიუსევ იმ მოსამართლეს, რომელმაც შენი საქმე უნდა განიხილოსო და ამისთვის ერთი თუმანი გამოურთმევია. ეშმაკებს, რიცხვით ექვსს, ქაღალდები უნდა აერივნათ სასამართლოში ისე, რომ მოსამართლეს არაფერი შეეტყო და შიმანსკი გაემართლებინა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ეშმაკებმა შიმანსკის ნაცვლად სხვა ვიღაც კაცის საქმე არიეს და შიმანსკის საქმე ეგრე ხელუხლებლად მიუვიდა მოსამართლეს. შიმანსკის სასამართლომ საპყრობილე გადაუწყვიტა და იმან კიდევ სასამართლოს „ეშმაკების კანტორის“ ამბავი უამბო. სასწრაფოდ შეიპყრეს „ეშმაკების კანტორის“ პატრონი ბლიმ ფრენკელი. აი, რა გაარკვია სასამართლომ: თურმე კარგა ხანია ვაჟბატონი ფრენკელი ხალხში ხმას ავრცელებს, რომ ეშმაკების უფროსთან, ყველაზე მთავარ ეშმაკთან პირობა შევკარი, რომლის ძალითაც ნება მაქვს კანტორა გავხსნა და ეშმაკები ვიყოლიოო. ეშმაკების უფროსი ყოველ თვე საკმაო რიცხვ ეშმაკებს მიგზავნის და ეს ეშმაკები კიდევ უბადლოდ ეხმარებიან იმათ, ვისაც შურისძიება სწყურია, განქორწინება უნდა ან სხვა რამ ამგვარი საქმე აქვსო, მოუყვა ფრენკელი სასამართლოს. როგორც სასამართლოს გაურკვევია, ფრენკელის კანტორაში მომუშავე ადამიან-ეშმაკებს არაერთი საქმე აურევიათ სასამართლოში და ბევრი სხვა უმსგავსი საქმე ჩაუდენიათ.

„ივერია“ №239, 1901 წელი

ჩანართი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.

ჩანართში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და მათი შინაარსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

ფონდი ALPE

მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33

ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

R

# ბერზე ექვიანობამ ცოლ-ქმარი დააშორა



რედაქციაში ქალბატონი მესტუმრა...

ჩვეულებრივი ამბავი მოვისმინე-მეთქი, — ვერ ვიტყვი.

აი, რა მიამბო ქეთევან მ-ძემ:

— ჩემი და გოგის სიყვარული ბავშვობაში, სკოლის მერხიდან დაიწყო. დედაჩემი თბილისელი გახლდათ. ინსტიტუტის დამთავრების მერე გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გაამწესეს მასწავლებლად. იქ მამაჩემი გაიცნო, შეუყვარდათ ერთმანეთი და ცოლადაც გაჰყვა. მერე გავჩნდით მე და ჩემი უმცროსი და-ძმა. დედა ხშირად ამბობდა ხოლმე: — მამაშენს ასე რომ არ ვუყვარდე, აქ ერთი დღეც არ გავჩერდებოდიო. ერთი სიტყვით, დედაჩემს უჭირდა იქ ყოფნა, ვერა და ვერ ეგუებოდა სოფლურ ცხოვრებას, ამიტომ, რაც წამოვიზარდეთ, სულ ჩაგვჩიჩინებდა: დათუნას (ძმას) რა უჭირს, კაცია და სადაც უნდა, იქ იცხოვრებს, თქვენ კი (მე და ჩემს დას მოგვმართავდა) არ გირჩევთ აქაურზე გათხოვებასო. როცა გაიგო, ჩემი თანაკლასელი გოგი მიყვარდა, გამიბრაზდა. თანდათან გადავეჩვიე დედასთან გულახდილობას, ბევრ რამეს ვუმალავდი, ის კი არა, მოვატყუე, აღარ მიყვარს, ვიჩხუბეთ და არ ველაპარაკები-მეთქი. ცოტათი დამშვიდდა, თუმცა მაინც გაფაციცებული იყო.

...მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი. ერთ საღამოს გოგიმ მეგობარი გამომიგზავნა — ახლავე უნდა შემხვდეო. რა თქმა უნდა, შევხვდი. ისეთი სიტუაცია შეიქნა, რომ იძულებული გავხდი, გავყოლოდი. შემებრალა, საშინელ დღეში იყო. გული მიგრძნობს, შენიანები არ დათანხმდებიან ჩემს სიძეობაზე და დაგვაშორებენო. აბა, რა უნდა მექნა? მე ხომ ის ძალიან მიყვარდა. სწორედ იმ ხანებში მამა დაწინაურებას ელოდა. ჩემს გაპარვაზე ერთი ამბავი ატყდა. დედამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ახლა შინ წამოდი, ინსტიტუტში ჩააბარე და მერე ჩემი ხელით მიგიყვან გოგისთანო. გოგი უარზე დადგა, მაგრამ დედაჩემს ხათრი ვერ გაუტეხე, მჯეროდა, სიტყვას არ გატეხდა. დავბრუნდი შინ. მამამ თბილისში დაიწყო სამსახური, მალე ბინაც მოგვცეს და 17 წლის მერე აუსრულდა დედას ნაოცნებარი — თბილისში დავბინავდით.

გოგის უყურადღებობით განაწყენებულმა მშობლებს დავუჯერე და მათ სასურველ სასიძოს ცოლობაზე დავთანხმდი. ეს იყო დაუფიქრებელი ნაბიჯი, რომელიც თითქმის მაშინვე, ხელის მოწერისთანავე ვინანე. სამაგიეროდ, ჩემი მშობლები იყვნენ მეცხრე ცაზე. ხელი ჩავიქნიე და მივყევი ცხოვრების დინებას. მე და ჩემი ქმარი ვერ ვუგებდით ერთმანეთს. როცა ხელით შემეხო, დავკარი ფეხი და წამოვედი. ცოტნე (ჩემი შვილი) მაშინ ოთხი წლისა იყო. რამდენჯერმე მოვიდა შესარიგებლად, მაგრამ მისი დანახვაც აღარ მინდოდა, თუმცა ბავშვის ნახვაზე უარი არასოდეს მითქვამს.

გოგიმ მალევე გაიგო ჩემი ამბავი. ჩამოვიდა, მინახულა და მთხოვა, მეფიქრა ჩვენს ერთად ყოფნაზე.

მე გოგი ძალიან მიყვარდა და უზომოდ გამახარა მისმა შემოთავაზებამ. პასუხს ვერ ვაძლევდი. მშობლებს ვთხოვე რჩევა. დედაჩემმა კვლავ ცივი უარი მითხრა: არაფრის მაქნისი არაა ეგ შენი გოგი, გალოთებულია და დღე-ღამეს სმაში ატარებსო. ეგ მეც მქონდა გაგონილი, მაგრამ გოგის გალოთებას ყველა ჩემს გათხოვებას უკავშირებდა. უფრო ამიტომაც გადავწყვიტე, ცოლად გავყოლოდი. პირველ ხანებში ყველაფერი კარგად იყო. გოგი აღარ სვამდა, ბედნიერი ჩანდა, ყველა სურვილს მისრულებდა. ჯერ გოგონა შეგვეძინა, მერე ვაჟი... თქვენი ერთი რესპონდენტი რომ ამბობდა, გერი ვის ჰყვარებიაო (ალბათ ქეთევანმა პუტინის დედა იგულისხმა. — მ.ბ.), სრული სიმართლეა...

*— ასეთი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. ბევრს ვიცნობ, რომელიც ღვიძლი შვილებიდან არ არჩევს გერს. უფრო მეტიც, შვილზე წინ ხშირად გერს აყენებს, რათა ბავშვს გული არ ეტკინოს, — ვეუბნები ჩემს აღელვებულ რესპონდენტს.*

— საკუთარი მაგალითით ისე ვარ გულდაწყვეტილი, რომ აღარ მჯერა არც სიყვარულის, არც სხვის შვილზე გაწეული ამაგის... ვინ იფიქრებდა, რომ გოგის შესძულდებოდა ჩემი შვილი.

*— იქნებ ცოტა მძაფრად გეჩვენებოდათ მამინაცვალ-გერის ურთიერთობა?*

— მომისმინეთ და თავად განსაჯეთ, რა მეჩვენებოდა და რა — არა. საკუთარი შვილების გაჩენის მერე, აშკარად გაუცივდა გული ცოტნეს მიმართ, მაგრამ საკუთარ თავს ვარწმუნებდი, ეს მხოლოდ დედის ეჭვებია-მეთქი. მერე სმას უმატა. ეს საქმეში ხელის მოცარვას დავაბრალე. ერთხელ შინ გვიან დაბრუნდა, კვლავინდებურად მთვრალი იყო. პატარებს ეძინათ, მე კი ცოტნეს ვამეცადინებდი მათემატიკაში. გოგი შორიდან გვითვალთვალებდა. ყურადღება არ მიმიქცევია. ბიჭმა ისე კარგად გამოიყვანა მაგალითები, აღფრთოვანებულმა შევაქე, ისიც გახარებული გადამეხვია და გადამკოცნა. ამის დანახვამ ლამის შეშალა: ახლავე უთხარი ამ ნაბიჭვარს, შენი ხვევნა-კოცნა შეწყვიტოს, დაეგდოს და დაიძინოს, სანამ მიცემიაო. კინაღამ გავგიჟდი. ცოტნეს ცრემლები რომ დავინახე, დასაბმელი გავხდი. ეტყობა, არ ელოდა ამას, ერთბაშად გამოფხიზლდა და გამეცალა. ის ღამე ნათესავთან გაათენა. მეორე დღეს დარცხვენილი მოვიდა: ვერ მოვზომე, მთვრალი ვიყავი და მაპატიეო... ცოტნე რომ გეხვეოდა, ასე მეგონა, მამამისი გეხებოდა და იმიტომ შევიშალე ჭკუიდანო. აღარაფერი მითქვამს, ვაპატიე, მაგრამ პირველი ბზარი მაშინ გაჩნდა ჩვენს ურთიერთობაში.

მალე ჩემი და გათხოვდა. ბიზნესმენს გაჰყვა ცოლად. ჩემმა სიძემ გოგიც ჩააბა საქმეში და ასე თუ ისე, ოჯახს აღარაფერი აკლდა. ერთ წელიწადში ჩვენც თბილისში გადმოვბარგდით, ზაფხულობით კი ხან სოფელში მივდიოდით, ხან ჩემი დის აგარაკზე, ქობულეთში. მალე მესამე შვილიც გაგვიჩნდა, გოგონა.

ერთხელ, ცოტნეს კლასი ექსკურსიაზე წასასვლელად მოემზადა. ჩემი უმცროსი შვილებისა და ნაბოლარას გამო ხშირად ვერ ვახერხებდი ცოტნეს ამხანაგების მშობლებთან ურთიერთობას. ამჯერად ბიჭმა მთხოვა, ერთხელ გამომყევი ექსკურსიაზე, შენც გაგიცნონ სხვა დედებმაო. გული მომეწურა. აშკარად აკლდა ჩემი ხელი სიყრმის შვილს. ჩემებს ვთხოვე, უმცროსები დაეტოვებინათ. გოგი ჩემს სიძესთან ერთად თურქეთში იყო წასული, ასე რომ, კიდევ სამი დღე არ ველოდი. მე კი ექსკურსიისთვის მზადება დავიწყე... ეს ამბავი შარშან მოხდა. ცოტნე მეექვსე კლასში იყო. ქუთაისში ორდღიანი ექსკურსია გამოგვივიდა. ერთ-ერთი ბავშვის მშობელი ქუთაისელი იყო და მშვენიერი დრო გავატარეთ, მის სახლში გავათენეთ ღამე, მოვინახულეთ გელათი, სათაფლია, მოწამეთა და მესამე დღეს უზომოდ კმაყოფილი დავბრუნდით შინ. გოგი ახალი ჩამოსული დამხვდა. გაეგო ჩვენი წასვლის ამბავი და ცოფებს ყრიდა. ამჯერად სრულიად ფხიზელი მლანძღავდა: უნამუსო ქალი ხარ, უფროსი შვილისთვის გინდა ყველაფერი, რადგან „ის კაცი“ ვერ დაივიწყე, ჩემი შვილები კი ფეხებზე გკიდიაო. გადაწყვიტე, ან მე და ჩემი სამი შვილი, ან ეგ ნაბიჭვარიო. თუკი მთვრალს ვაპატიე, ფხიზელის ნათქვამმა საბოლოოდ გადამაწყვეტინა, რომ გოგის გავყროდი და სრულიად მშვიდად, მაგრამ კატეგორიულად ვუთხარი: დაფიქრება აღარ მინდა, უკვე გადავწყვიტე, რომ მე, ცოტნე და ბავშვები ერთად ვიცხოვრებთ, შენ კი, სადაც გინდა, იქ იყავი-მეთქი. არ მოელოდა ამას... გინახავთ კაცის ისტერიკა? თუ არა, ღმერთმა არ განახვოთ. საშინელებაა, ერთ დროს საყვარელი ადამიანი ღირსებადაკარგული რომ დგას და გეჩხუბება. მეორე დღესვე განქორწინებაზე შევიტანე განცხადება. გოგიმ ისე ინერვიულა, ინფარქტი მოუვიდა, მაგრამ მე ვერც ამან დამაბრუნა მასთან. ჩემი და და სიძე მოსკოვში გადავიდნენ საცხოვრებლად. წასვლისას შემომთავაზეს, თუ გინდა, ცოტნესაც წავიყვანთ, ცივ ნიავს არ მივაკარებთო, მაგრამ უარი ვუთხარი. მინდოდა ჩემი შვილი, რომლის გამოც ამხელა ალიაქოთი ატყდა, ჩემთან ყოფილიყო.

ჩემს სიძესთან თანამშრომლობა გოგიმ აღარ მოისურვა (აღარც სიძეს უნდოდა მის გვერდით ყოფნა), სოფელში დაბრუნდა და სამივე ბავშვი თან წაიყვანა. ამან უფრო გამაცოფა. ისე მართავდა შვილებს, გეგონება, უწესო ქალი ვიყავი. ჩავედი სოფელში, მამაჩემი და სიძეც გამომყვნენ. არაო, — უთხრა კაცებს, — ამ ქალს(?!) შვილებს არ გავატან, თუ ძალით წაიყვანთ, ან მაგას მოვკლავ, ან თავს ავუტეხ რამესო. მამამ და სიძემ მთხოვეს, ამჯერად დამეთმო — ხომ ხედავ, გონზე არ არის და ღმერთმა უწყის, რას ჩაიდენსო. გადავწყვიტეთ, კანონიერად გვემოქმედა. ერთი თვის მანძილზე ისე მენატრებოდა ბავშვები (განსაკუთრებით უმცროსი გოგონა, ის ხომ ორი წლისაც არ იყო), ადგილს ვერ ვპოულობდი, სულ მოთქმით ვტიროდი და ვწყევლიდი იმ დღეს, როცა გოგის ცოლად გავყევი. ცოტნესაც გადაედო ჩემი განცდები, ნევროზი დაემართა, ღამღამობით ვეღარ იძინებდა. ნევროპათოლოგთან მკურნალობა დასჭირდა.

სასამართლო რაიონში გაიმართა, მაგრამ პროცესზე ვერ მოვიდა გოგი. მისმა დამ გამაგებინა, ხელმეორედ დაემართა ინფარქტიო. მეულთანაც და დედამთილ-მამამთილთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. ვთხოვე, ბავშვები გამოეტანებინათ ჩემთვის. დამთანხმდნენ, ოღონდ მთხოვეს: ცოტა ხნით წაიყვანე. უფროსებს თუ მალევე დააბრუნებ, კარგი იქნება, გოგი მათ გარეშე ვერ ძლებს და მისი გამოჯანმრთელება გართულდება. ნინი (ნაბოლარა) შენთან გყავდეს, რადგან ძალიან პატარაა და უდედობა გაუჭირდებაო. პირობა მივეცი, რომ უფროსებს ორ კვირაში მივუყვანდი. მართლაც ასე მოვიქეცი. საბოლოოდ, ბავშვებმაც თანხმობა განაცხადეს, რომ მამის ოჯახში ეცხოვრათ. გული საშინლად ჩამწყდა, მაგრამ ვერაფერი ვთქვი. ისინი იქ დაიბადნენ და გაიზარდნენ. გოგის და მისიანებს მართლაც დიდი ამაგი ჰქონდათ მათზე და ბავშვებმა მათთან ყოფნა ირჩიეს. ცოტნე უკვე სამ თვეზე მეტია ჩემს დასთან და სიძესთან ცხოვრობს მოსკოვში. მე და ნინიც წასასვლელად ვემზადებით.

*— გოგისთან შერიგებაზე ხომ არ იფიქრებდით?*

— არასოდეს. გარდა იმისა, რომ თავისი ავყიობით განხეთქილება ჩამოაგდო ოჯახში და ნათესავებს შორის, ჩემს შვილს გული ატკინა, მე კი სული გამიბზარა, ერთადერთ სიყვარულზეც დამიკარგა წარმოდგენა. ვნანობ, რომ შევცდი. არ უნდა გავყოლოდი ცოლად, მაგრამ მე ხომ ის სკოლის მერხიდან მიყვარდა უანგაროდ და თავდავიწყებით. ახლა მე და ნინი მივემგზავრებით. ჩემი გული აქ რჩება, აქ ხომ ორ შვილს და ახლობლებს ვტოვებ. ვიცი, გამომეხმაურება მკითხველი. ნუთუ გამამტყუნებენ, ნუთუ გოგის საქციელს ცოტათი მაინც თუ გაამართლებენ?

*— სამუდამოდ ხომ არ დარჩებით მოსკოვში? ალბათ შვილების სანახავად ჩამოხვალთ ხოლმე.*

— თუ ყველაფერი ისე ავაწყვეთ, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, სამ თვეში ერთხელ მაინც ჩამოვალ, მაგრამ ამ სამ თვესაც ხომ გაძლება უნდა. სამუდამოდ რა გამაჩერებს უცხოეთში, მაგრამ ახლა აქ ყოფნაც სატანჯველია. მაინც იმედი მაქვს მომავლისა. მჯერა, რომ დრო სასიკეთოდ შეცვლის ბევრ რამეს. ყველაფერი გამიგია, მაგრამ შვილების „დანაწილება“ — არა.

ბედნიერი ვერასოდეს ვიქნები ჩემი შვილების გარეშე...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# რას არ გაიგებ ნობელის ბავშვები

წლევანდელი ნობელის კვირეულმა მსოფლიოს სიურპრიზი შესთავაზა: ავტორიტეტულმა ჟიურიმ ერთდროულად ორ ქალბატონს მიანიჭა ნობელის პრემია, ეს კი იშვიათი მოვლენაა.

ლიტერატურის დარგში ეს მაღალი ჯილდო ავსტრიელმა მწერალმა, ელფრიდა ელინეკმა დაიმსახურა, ხოლო კენიელი ეკოლოგი ვანგარი მაატაი მშვიდობის პრემიის მფლობელი გახდა.

გაგიკვირდებათ, მაგრამ ნობელის პრემია გამარჯვებულს დიდებისა და ფულის გარდა... შთამომავლობასაც სძენს. თურმე მსოფლიოში ნობელის ლაურეატთა სპერმის შესანახი რამდენიმე ბანკი არსებობს. რამდენიმე წლის წინ სწორედ ასეთი ბანკით ისარგებლა ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჯუდი ფოსტერმა და მშვენიერი ბიჭუნაც გააჩინა. ნობელის ლაურეტთაგან რომელია მისი ვაჟის მამა — საიდუმლოა, თავად ჯუდიმაც არ იცის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ დონორი არა მარტო ჭკვიანია, ტანადი და ლამაზიც არის.

***ტვ პარკი №43***

# ათიდან ათივე ათიანში გავარტყი

***ოდითგან ქართველები თურმე საბრძოლო ხელოვნებას არა მარტო ვაჟებს, გოგონებსაც ასწავლიდნენ. ეტყობა, ეს წესი თუ მოვალეობა ქართველ მანდილოსნებს გენეტიკურ თვისებად გადაექცათ. დღესაც ზოგიერთ მათგანს იმდენად ხიბლავს საბრძოლო ხელოვნება, რომ ოჯახის დიდი მცდელობის მიუხედავად, გულისწადილს მაინც ისრულებენ — ქალბატონ ჯარისკაცებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ სამშობლოს წინაშე ვალის მხედრულად მოხდა. ისინი გარეგნულად სულაც არ ჰგვანან „ფილმ-ბოევიკის“ გმირ კუნთებდაბერილ ქალებს, არც ამორძალებივით უგიზგიზებთ თვალები და არც მკერდს იშანთავენ. ძალიან გაწონასწორებულები და გონიერნი არიან...***

*მარიკა ომგამოვლილია. აფხაზეთიდან დევნილი. მიუხედავად ძლიერი ხასიათისა, გაგრის და სოხუმის დაცემის დღეების გახსენება არ სურს.*

**მარიკა:** — ჭუბერის გადმოვლისას ალთქმა დავდე, რომ აღარასოდეს გავიხსენებდი იმას, რამაც მთელი ჩემი განვლილი დღეები გაიყოლა, ცეცხლსა და ტყვეობის მორევში შთანთქა. მომავლის იმედით ვცხოვრობ, ყველაფერს გავაკეთებ, რათა რაც შეიძლება მალე დავბრუნდე ჩემს სახლში. მინდა ჩემმა დევნილობაში გაჩენილმა შვილმა თავისი მშობლიური კუთხე ნახოს და მიხვდეს, რისთვის შეეწირა სამშობლოს მამამისი, რომელიც მის დაბადებამდე 4 თვით ადრე სადისტურად მოკლეს გადამთიელებმა. უკვე 6 წელია ჯარისკაცი ვარ. სამსახური ვერსად ვიშოვე. მერე იმ ბატალიონში მივედი, სადაც ჩემი ქმარი მსახურობდა და რიხიანად გამოვაცხადე — ჯარისკაცობა მინდა-მეთქი. ერთბაშად ვერ მითხრეს უარი. შემომაპარეს — სხვა საქმეს მოგიძებნითო. ვიუარე და აი, ახლა მეც სამხედრო პირი ვარ. ჩემმა ერთადერთმა შვილმაც იცის, რომ ჯარისკაცი უნდა გახდეს და სამშობლოს სადარაჯოზე დადგეს დღედაღამ. ისე, სამხედრო ხელოვნება ერთი-ორჯერ სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილსაც ძალიან გამომადგა ქუჩის ხულიგნებთან ბრძოლისას. ერთხელ, მეტროს შესასვლელთან გამომტაცეს ჩანთა. ხელფასი ახალი აღებული მქონდა. უცებ ფეხსაცმელი გავიხადე და გაქცეულ მოძალადეს ვესროლე კეფაში. მიზანში გავარტყი. მოწყვეტილივით დაეცა... მეორედ სადარბაზოში დამესხნენ თავს, ორნი იყვნენ. ჩანთა მხარზე მეკიდა. ხელში სანოვაგით სავსე პარკები მეჭირა. სამბოს ილეთებით დავაგდე ორივე მძარცველი ძირს. რაც მე დავაკელი, შემოსწრებულმა მეზობელმა ბიჭებმა დაუმატეს...



*ნანა სამი შვილის დედაა, ქმარიც სამხედრო პირი ჰყავს, მამამთილიც, დედამთილიც. თვითონაც, სადაც შესულა, იქაური „ქუდი დაუხურავს“...*

**ნანა:** — ჩემს ქმართან ზნეც შევიცვალე და ფერიც, სულ მას დავემსგავსე. ჯარში სამსახური სიყვარულმა გადამაწყვეტინა. მინდოდა, სულ მის გვერდით მეტრიალა. ერთი საფიქრალი გვქონოდა, როგორც ოჯახისა, ისე სამსახურისა. ჩემმა დედამთილმა განზრახვა რომ გამიგო, გაგიჟდა — შენლა გვაკლდიო, მაგრამ ვერაფერს გახდა. 21 წლის ვიყავი, ჯარში რომ დავიწყე სამსახური. უკვე ოფიცერი ვარ და ძალიან მინდა ისე გავისარჯო, რომ ჩინი მომემატოს. თავიდან დილით ადრე ადგომა მიჭირდა, მაგრამ ჩემი მეუღლის დახმარებით ამასაც ვძლიე. საომარი ნათლობა ახლახან სამაჩაბლოში მივიღე. ბრძოლის წინა ხაზზე მაინც არ გამიშვეს — ჯერ შენთვის ადრეაო...

*ლელა 24 წლისაა, ჯერ რიგითია. არც ქმარ-შვილი ჰყავს და თურმე არც შეყვარებული. ჯარში წასვლა ბავშვობიდან სურდა.*

**ლელა:** — მე ხევსური ვარ, მამა ბავშვობიდან ისე მზრდიდა, როგორც ჩემს ძმებს. ფარიკაობა ვიცი ისეთი, რომ მართლა სატრაბახო. ჩემს თანამებრძოლ ბიჭებსაც ვასწავლე. არც დანის სროლაში მყავს ბადალი. 16 წლის ვიყავი. ძალიან მინდოდა ლამაზი ყელსაბამის ყიდვა. ძვირი ღირდა. მამიდასთან ვიყავი სტუმრად თბილისში. ჩემმა მამიდაშვილმა მისი მეგობრები გამაცნო და უთხრა, — ლელა მაგარი დანის მსროლელია, მიზანს არ აცდენსო. აბა, გვაჩვენოს, რა შეუძლიაო. ფულს თუ გადაიხდით, კი-მეთქი, — ვუთხარი უეცრად. ათიდან თუ რვას მიზანში მოვახვედრებდი, გვარიან თანხას მიხდიდნენ. ათიდან ათივე ათიანში მოვარტყი. საპრიზო თანხა გამიორმაგეს ბიჭებმა. მაშინ პირველად გამიჩნდა საკუთარი ფული, ყელსაბამიც ვიყიდე და საოცნებო ჯინსებიც. მერეც ხშირად მისარგებლია ჩემი ოსტატობით, ცარიელი ჯიბეც შემივსია და ოცნებაც ამისრულებია. ახლა ასე აღარ ვცუღლუტობ, მაგრამ თუ დამჭირდა...

***ეკა ლომიძე***

# „მალე გამოვჩნდები...“



## ეკა ბერიძეს პოლიტიკა მოჰბეზრდა

ქართულ სატელევიზიო სივრცეში ბოლო დროს წარმოქმნილმა „გაუგებრობებმა“ ცნობილი, მაგრამ კარგა ხნით ეკრანიდან გამქრალი ტელეწამყვანი ეკა ბერიძეც დააზარალა. გასართობი არხისთვის გამზადებული პროექტი ჩაეშალა და ხასიათგაფუჭებული სატელეფონო ზარებსაც კი არ ეხმიანებაო, — ამბობენ სატელევიზიო კულუარებში. ერთი სიტყვით, იმდენი რამ ითქვა ეკას შესახებ, რომ ტყუილ-მართლის გადამოწმება თავად მასთან ვცადეთ. **ეკა ბერიძე** არც სატელეფონო ზარებს გაურბის და არც კითხვებზე პასუხის გაცემას, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, გაურბის პოლიტიკას...

**— ეკა, იმდენი ხანია, ეკრანზე არ გამოჩენილხარ, რომ ქალაქში უამრავი ჭორი დადის. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ტელევიზიაში მუშაობას თავს დაანებებ.**

— სიცრუეა... მალე გამოვჩნდები.

**— მაგრამ ალბათ არა „რუსთავი +“-ზე. ითქვა, რომ ეს არხი ეთერში აღარ გავა. როგორც ვიცი, საგანგებოდ ამ არხისთვის გადაცემა მოგიმზადებია...**

— დიახ, მართლაც მქონდა გასართობი პროგრამის პროექტი მომზადებული. თუმცა, ჩემი ეთერში დაბრუნება სულაც არ იყო „რუსთავი +“-ზე დამოკიდებული. შესაძლოა, სულ სხვა არხზე და სრულიად სხვა პროექტით გამოვჩნდე. ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვებ პროექტის შინაარსს. ეკრანზე ახალ წლამდე მიხილავს მაყურებელი, ახლა კი მოლაპარაკება მიმდინარეობს.

**— „რუსთავი 2“-ში ხომ არ აპირებ დაბრუნებას? მას შემდეგ, რაც ნიკა ტაბატაძე დაინიშნა გენერალურ დირექტორად, ხმა გავრცელდა, რომ მან ტელეკომპანიაში მუშაობა შემოგთავაზა.**

— ო, ეს მართლაც უსაფუძვლო ჭორია. სამწუხაროდ, ნიკა საქართველოში დაბრუნების შემდეგ არც მინახავს. სიამოვნებით შევხვდებოდი, რადგან ძალიან მენატრება.

**— იმასაც ამბობენ, რომ პირველი არხის მარკეტინგის სამსახურის უფროსად გნიშნავენ.**

— (ეცინება) ძალიან ორიგინალური ჭორია. არა, არა, ამ სამსახურს ძალიან კარგი ხელმძღვანელი, ქეთი ანჯაფარიძე ჰყავს, სხვათა შორის, ჩემი მეუღლის ნასტუდენტარი და ძალზე ნიჭიერი კადრი... ჩემთვის მარკეტინგის სამსახური იგივეა, ქარხნის დირექტორად რომ გამიშვა... მსგავსს არაფერს ვაპირებ. უკვე დავამთავრე მუშაობა ორ სატელევიზიო პროექტზე. ერთი გასართობი იყო და ახლა არ ვიცი, რა ბედი ეწევა, მეორე კი სხვა სახის პროექტია, რომელიც ნებისმიერ არხზე შეიძლება გავიდეს.

**— შენ პოლიტიკურ ჟურნალისტად გთვლიან. ამ დროს კი ამპლუას იცვლი და სხვა ჟანრის პროექტზე მუშაობ. რამ განაპირობა ასეთი ცვლილება?**

— პოლიტიკური კი არა, ჩვეულებრივი ჟურნალისტი ვარ. როცა საჭირო იყო, პოლიტიკურ თემებზეც ვმუშაობდი. ჩემთვის დიდი სიამოვნებაა ეთერში ყოფნა, გადაცემის წაყვანა და სულაც არ მაქვს აკვიატებული, რომ აუცილებლად პოლიტიკურ გადაცემაზე ვიმუშაო. ამჟერად მინდა სხვა სფეროშიც მოვსინჯო ძალა. ალბათ შეამჩნევდით: ამერიკაში თუ ევროპაში ჟურნალისტები, ტელეწამყვანები, მსახიობები და მომღერლები ათწლეულობით ინარჩუნებენ რეიტინგს. საქართველოში კი ძალიან სწრაფად ქრებიან. ჩვენთან რატომღაც ეშინიათ როგორც გარეგნული, ასევე პროფესიული იმიჯის შეცვლა. როდესაც ჟურნალისტი ამბობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ჟურნალისტია, მის კარიერას ხანმოკლე სიცოცხლე უწერია. რატომ არის ალა პუგაჩოვა დღემდე პირველი მომღერალი? იმიტომ, რომ რუსულ ესტრადას და ასევე დროს, თვითონ კარნახობს კანონებს. არაერთხელ შეიცვალა მისი სიმღერის სტილი, იგი გამუდმებით მუშაობს. არც მე მინდა პოლიტიკურ ჟურნალისტიკას გადავყვე... დღეს რომ ისევ ლამის საინფორმაციოს გავუძღვე და იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ლამის ჩართულ უთოზეც კი ჩანან, გაუთავებლად ვესაუბრო, არა მგონია, მაყურებელს ძველებურად მოეწონოს. თავადაც აღარ მომწონს ჩემი თავი ამ ამპლუაში და როგორ შეიძლება იმავეს გაგრძელება?




ვინ არ იცის, რომ უცხოელებს ქართული ტრადიციები, ჩვენებური სტუმართმოყვარეობა და კაცთმოყვარეობა ხიბლავთ და აოცებთ. ქართველები ამას შევეჩვიეთ და აღარ გვიკვირს. ჩემდა გასაოცრად კი ახლახან ისეთი ქართველები ვნახე, რომელთაც სხვისი კაცთმოყვარეობა, ჰუმანურობა და სათნოება აოცებთ. ეს სხვა კი ჩვენივე სისხლი და ხორცია, ოღონდ საქართველოდან შორს მყოფი.

ქართველი მუჰაჯირების შთამომავალმა, „თურქეთის მარგალიტად“ წოდებულმა მომღერალმა **ბაიარ შაჰინ გუნდარიძემ** მართლაც გამაოცა. იგი ამას წინათ თავის ისტორიულ სამშობლოს ესტუმრა. საოცარი კაცია ბაიარი, მასთან ხანმოკლე გასაუბრებაც საკმარისია, რომ მიხვდე, რამხელა სიყვარულს დაატარებს გულით. როცა მას კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტის გამართვა სთხოვეს, თურქეთში გაზრდილი, მაგრამ სულით ხორცამდე ქართველი აღელდა:

— თუ საქართველომ მიმიღო როგორც მომღერალი, მაშინ მსოფლიოს წინაშეც თამამად წარვდგები. მაგრამ, როგორ გავაკვირვებ ვინმეს სიმღერით აქ, სადაც ლამის უსულო საგნებიც კი მღერიან.

**— ბაიარ, ხომ არ გავიწყდებათ, რომ თქვენ თურქეთში მღერით ქართულ ხალხურ სიმღერებს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია. ამბობენ, რომ სწორედ ქართულმა სიმღერებმა მოგიტანათ პოპულარობა.**

— დიახ, მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ დღეს იქაური ქართველები ამაყობენ, რომ ქართულად ვმღერი. 30 წლის წინ ეს წარმოუდგენელი იყო. თურქეთში სირცხვილად ითვლებოდა სხვა ენაზე ლაპარაკიც და, მით უმეტეს, სიმღერა. საბედნიეროდ, ახლა ყველას შეუძლია თავისი კულტურული მემკვიდრეობის წარმოდგენა და მეც ვცდილობ წვლილი შევიტანო ამ საქმეში. ერთი სურვილი მაქვს და უნდა ავისრულო — იავნანა უნდა ვისწავლო და თურქეთში, ჩვენს ქალებს შევაყვარო ეს სიმღერა. დედაჩემმა ქართული იავნანა არ იცოდა და ვერ გვიმღეროდა... იცით, როცა ქართულ ხალხურ სიმღერებს ვმღერი, თითქოს ხელმეორედ ვიბადები. თითქოს წლები უძლურია ჩემ წინაშე.

**— ქართული სიმღერა ალბათ ბავშვობაში ისწავლეთ?**

— არა. დედაჩემი კი მღეროდა რაღაცებს, მაგრამ ყოველივე ქართულის მიმართ ინტერესი ახმედ მელაშვილის წიგნმა „ჩვენებურები“ გამიჩინა. თითქმის დახეული წიგნი ჩამივარდა ხელთ. მაშინ შევიტყვე, რომ თურქეთშიც და სხვაგანაც უამრავი ქართველი ცხოვრობს. დავიწყე მათი მოძიება, გაცნობა, მათი სიმღერების ჩაწერა. მერე ახმედის შვილი — იბერია გავიცანი, ისიც ამ საქმით იყო დაკავებული. დავდიოდით ჩამწერი სტუდიის აპარატურით, ვპოულობდით თურქეთში გაბნეულ ქართველებს და ვიწერდით უძველეს ქართულ ჰანგებს... სიმღერებს მარგალიტებივით ვაგროვებდით.

**— თქვენ მიერ შეგროვებულ ფოლკლორულ ნიმუშებს თუ ჩამოიტანთ საქართველოში?**

— დიახ, ამაზე უკვე ვისაუბრე ანზორ ერქომაიშვილთან და სხვებთან. იქ, თურქეთში, ანსამბლიც გვქონდა მე და იბერიას, „კავთა“, ანუ „კავკასიის მთა“ დავარქვით. 1994 წელს პირველად ჩამოვედით საქართველოში ამ ანსამბლით. მახსოვს, კინაღამ დავმუნჯდი თბილისში — ყოველი მხრიდან ისტორია და დიდებული კულტურა შემოგვყურებდა. ეს თურქეთში არავინ იცოდა. უკან რომ დავბრუნდი, სოფელ-სოფელ დავდიოდი და ყველას ვუამბობდი, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. მე ყველაფერ ქართულს პოპულარიზაციას ვუწევდი ქართველებში. უძველესი ფოლკლორული ნიმუშებით კი ქართული კულტურული საგანძურის გამდიდრება მსურდა.

## „კინაღამ დავმუნჯდი თბილისში ჩამოსვლისას...“



# საქართველოს მუსიკალური ელჩი თურქეთში

**— თქვენ მიერ შესრულებული ულამაზესი სიმღერა „გელანი“ უკვე ბევრმა ქართველმა შეიყვარა.**

— მინდა საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობები სიმღერამ, საზოგადოდ, კულტურამ განამტკიცოს. იქ, სადაც სიმღერაა ხიდად, არავინ ისვრის, რადგან სიმღერა სიყვარულია.

**— ე. ი. საქართველოს მუსიკალური ელჩი ხართ თურქეთში?**

— (ეღიმება) რაც გინდათ დამარქვით. ჩემთვის მთავარია, საქართველო მალე დადგეს ფეხზე და რაც მასზე საზღვარგარეთ ცუდი თქმულა, განქარდეს. ყველაფერი ეს თავისით და ერთბაშად არ გაკეთდება, გარჯა უნდა. ამიტომაც ვოცნებობ საქართველოს მოქალაქეობაზეც, — მეც მინდა ერთი პატარა საყრდენი შევუდგა მეგობრობის ხიდს. ხომ გინახავთ საქართველოს მთებზე შეფენილი ყვავილები, მათ სხვადასხვა სუნი, ფერი, ფორმა აქვთ, მაგრამ მშვიდობიან თანაცხოვრებაში არაფერი უშლით ხელს. მინდა ქართველებიც ასე ცხოვრობდნენ!

*ეკა ლომიძე*

# თბილისური ამბები

რეჟისორი გიორგი კიკალიშვილი, იგივე „კიკალა“, მალე ახალგაზრდული სერიალის, „თბილისური ამბების“ (სცენარი ლაშა ბუღაძეს ეკუთვნის) გადაღებას განაახლებს. სერიალი გასულ წელს „მეცხრე არხზე“ გადიოდა. მთავარ როლებს სოსო თოლორაია და მოდელი თაკო ჩხეიძე ასრულებდნენ. ეპიზოდებში კი რუსი მსახიობი, ნიკოლაი კარაჩენცევი და მომღერალი ვალერი სიუტკინიც ვიხილეთ. ამიერიდან სერიალი ახალ მუსიკალურ არხზე („მეხუთე არხი“) გავა, რომლის პრეზენტაცია 5 ნოემბერსაა დაგეგმილი.

სერიალი თბილისურ ამბებზე იქნება აგებული. გადამღებ ჯგუფში შეუცვლელი მხოლოდ რეჟისორი, ახლა კი უკვე „მეხუთე არხის“ სამხატვრო ხელმძღვანელი „კიკალაა“. სოსო თოლორაიას ამჟერად ძმა — კოტე შეცვლის, რომელიც არტისტიზმით სოსოს არ ჩამოუვარდება. ცნობილი ტელეწამყვანების გარდა სერიალში ყოფილი „ქუჩის ბიჭი“, ირაკლი ნოზაძე („პიკასო“), აჩი ფურცელაძე და სხვა ბევრი პოპულარული სახე მიიღებს მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორი გიორგი კიკალიშვილი სერიალზე საუბარს ჯერჯერობით თავს არიდებს, ჩვენ მაინც ბევრი რამ გავიგეთ — რაც მთავარია (და გასაიდუმლოებულიც), სერიალში მაყურებელი ზურაბ ქიაბერაშვილს, ნინო ბურჯანაძეს, ზურაბ ჟვანიასა და ირინა სარიშვილსაც იხილავს, თანაც უჩვეულო ამპლუაში.

*ეველინა მენთეშაშვილი*

მაკროკომი
MACROCOM
8–13
კავშირი მსოფლიოსთან
თბილისი, კოსტავას 1. 68ა
ტელ.: 33 33 01; ფაქსი: (995 32) 33 50 80
E-mail: info@macrocom.ge
www.macrocom.ge
ნამდვილი ელვისება მაღალი ხარისხი
დაბალი ფასები

## ორშაბათი 25 ოქტომბერი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი09.40 მულტსერიალი10.00 „იმღერე რამე"10.30 მხ. ფილმი „ძახილი„12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"13.00 კონცერტი - „ქუჩის ბიჭები„14.00 მოამბე ოსურ ენაზე14.25 დოკ. ფილმი 15.20 „ფორტუნა"16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 1-ლი ს.16.30 ფრაგმენტები სურათისთვის17.00 მულტსერიალი17.25 ჩემი მშვენიერი ლედი18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „კარიბის გული" 1-ლი ს.19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ21.05 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"22.00 თბილისობა 00.00 ღამის მატარებელი 01.00 მხ. ფილმი „დიდი ოჯახები„ (U)

19.00 სერიალი „უშიშრები"19.50 მულტსერიალი20.15 „იმღერე რამე"20.45 ბასტი-ბუბუ21.00 კონცერტი22.25 მხ. ფილმი „ჩემებრ ლამაზი გოგო„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეტიპუცები" 10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები"13.30 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები"15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი"16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები"17.25 პრეკრიოსტოკი 18.20 „რობოტი და რობოტუნა"18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები"22.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი"23.00 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი)00.00 მხ. ფილმი „ტურბულენტობა-3: ჰევი მეტალი" (18) (კრეგ შეფერი) 02.00 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა08.05 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი"08.25 „იმედის" დილა09.20 „დუბლიორი"10.05 სერიალი „ტყუპები"11.15 დროება12.40, 14.25, 02.05 ტვ-მარკეტი13.15 სერიალი „კლონი„14.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები"15.00 ფეხბურთი. „თბილისი" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი)15.45, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.55 ქრონიკა17.25 ვაკაჭი-ნიუსი18.05 სერიალი „ტყუპები"19.55 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ჭავა და ლუდი"22.50 საქმე N23.20 „არ დაიდარდო"00.35 სპ. პროგრამა „გოლი"01.00 სერიალი „ნეშ ბრიჯესი„02.35 იმედის მელოდიები

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა"11.10 სერიალი „ვუჰი"11.35 ერთი ჟურნალისტის მზერა.12.05 ტელეჟურნალი „დები ტრევისის საოცარი სახლი"13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 ტელეჟურნალი „სცენა"19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „ვუჰი"21.45 კრიმ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "ცდუნება„ (15) (ლეტიცია კასტა)

18.00 მინისერიალი „ლიცეუმი" 1-ლი ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.15 მხ. ფილმი „სისხლის მოგონება„ (15)

11.00 ვარსკვლავები გვამცნობენ13.00 საბავშვო პროგრამა „ინკოგნიტო"14.00 ინდ. მხ. ფილმი „ცხოვრებაში ყველაფერი ხდება" (U)17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი21.00 ქართული მუსიკა22.30 „საქმე და ეკონომიკა"23.00, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 მხ. ფილმი „ფავორიტი„11.35 მუსიკა11.50 მხ. ფილმი „რანი"13.25 დოკ. ფილმი14.30, 17.30, 20.30. 23.30 საინფორმაციო გამოშვება14.45 კომედია „გამოუსწორებელი თაღლითები"16.35 მულტფილმი18.55 სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე"22.10 დოკ. ფილმი00.00 თრილერი „გოთიკა„

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Харрисон Форд в фильме "ИСКАТЕЛИ ПОТЕРЯННОГО КОВЧЕГА". 11.30 Смехопанорама 12.10 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20 Синди Уильямс в фильме "ДИКАЯ СОБАКА БИНГО" 15.20 "Угадай мелодию" 15.50 "Последний герой". Суперигра. 17.00 "Пять вечеров". Понедельник. 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. 19.00 Сериал "КЛОН". 20.00 Жди меня. 21.00, 23.30 Время. 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 22.40 Спецрасследование. "Королевы красоты". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Искатели. "Рязанский стоунхендж". 00.40 "Подводный мир Андрея Макаревича". 01.10 Патрик Суэйзи в фильме "ЛУЛУ НАВСЕГДА" 02.40 Стивен Болдуин в триллере "ЗЛО" 04.20 Джулия Кристи в фильме "ЗА ОТДЕЛЬНЫМИ СТОЛИКАМИ"

## სამშაბათი 26 ოქტომბერი

07.30 ალიონი09.40 მულტსერიალი 10.00 „იმღერე რამე"10.30 მხ. ფილმი „დიდი ოჯახები„ (U)12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"13.00 „მატარებელი„14.00 მოამბე ოსურ ენაზე14.15 ლერერის შოუ15.20 „ანშლაგი"16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს"16.30 ისტორიანი17.00 მულტსერიალი17.25 „ამბობენ"18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „კარიბის გული"19.00 „იმღერე რამე"19.40 ბასტი-ბუბუ21.05 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 22.00 ქიმერიონი00.00 მხ. ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს„ (U) 1-ლი ს.

19.00 სერიალი „უშიშრები" 19.50 მულტსერიალი20.15 „იმღერე რამე"20.45 ბასტი-ბუბუ21.00 ლერერის შოუ21.40 ფრაგმენტები სურათისთვის22.10 მხ. ფილმი„სპირალი„ (U) 1-ლი ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეტიპუცები"10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი"12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45 კურიერი12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები"13.30 მხ. ფილმი „ტურბულენტობა-3"15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი"16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები"17.25 „ტელეტიპუცები"18.20 „რობოტი და რობოტუნა"18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები"22.00 ღამის შოუ23.00 დოკ. ფილმი (ნ. ქავჯარაძე)23.45 მხ. ფილმი „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები". მთ. რ-ში: ნინო მანფრედი (18)02.05 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი"08.25 „იმედის" დილა09.20 „დუბლიორი"10.05 სერიალი „ტყუპები"11.15 სერიალი „ჭავა და ლუდი"12.20, 14.40, 03.30 იმედის მელოდიები12.40, 16.25, 03.00 ტვ-მარკეტი13.15 „არ იდარდო"15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.50 ქრონიკა15.20 სერიალი „კლონი„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" 1-ლი ს.17.25 სპ. პროგრამა „გოლი"18.05 სერიალი „ტყუპები"19.55 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ჭავა და ლუდი" მე-1ს.22.45 „პირველები"23.25 მხ. ფილმი „დიდი ფული" (15) (პ. ხალკი)01.00 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"01.55 „გოლი - სერია „ა" (იტალიის ჩემპიონატი)

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა"11.10 სერიალი „ვუჰი"11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"12.05 ტელეჟურნალი „სცენა"13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 ტელეჟურნალი „მოდა"19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „ვუჰი"21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "გვირაბი„ (18) (ჰაინო ფერხი)

18.00 მინისერიალი „ლიცეუმი" მე-2 ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.15 მხ. ფილმი „ხაფანგი„ (15)

14.00 ქართული მუსიკა16.00 „საქმე და ეკონომიკა"17.00, 19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა „დღეს"17.15 სერიალი „მილედი"19.20 სპექტრი21.00 მხ. ფილმი „ოქროს საყურეები"22.30 „საქმე და ეკონომიკა"23.00, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 კომედია „საოჯახო ბიზნესი"10.50 მუსიკა11.00 ისტ. ფილმი „ფესალიელი გოლიათი"12.25 დოკ. ფილმი12.55 მელოდრამა „ის მშვენიერია"14.30, 17.30, 20.30. 23.30საინფორმაციო გამოშვება14.45 დეტექტივი „8 ქალი"16.30 მულტფილმი17.45 დრამა „ყველაფერი დედაჩემის შესახებ"19.20 დოკ. ფილმი19.40 კომედია „გამარჯობათ მე თქვენი დეიდა ვარ"21.00 ფრაგმენტები ლ. შენგელიას კონცერტიდან21.30 თრილერი „ძარცვა„23.20 მუსიკა00.00მელოდრამა „სიყვარული წესებით და წესების გარეშე"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 "Шутка за шуткой". 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". 13.50 Приключенческий сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Сериал "СТИЛЕТ". 17.00 "Пять вечеров". Вторник. 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 Время. 22.40 Тайны века. "Москва бандитская". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 "Звезды эфира". Валентина Леонтьева. 00.40 Док. фильм "Генетический паспорт". 01.10 Савелий Крамаров в комедии "МОСКВА НА ГУДЗОНЕ". 03.20 Джек Леммон в комедии "ПАПОЧКА".

## ოთხშაბათი 27 ოქტომბერი

07.30 ალიონი09.40 მულტსერიალი 10.05 „იმღერე რამე"10.35 მხ. ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს„12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"13.05 ქიმერიონი14.00 მოამბე ოსურ ენაზე14.15 დოკ. ფილმი „ცეკვის ენა"15.20 „საღამოს საუბრები"16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს"16.30 „ეძიე ქალი"17.00 მულტსერიალი17.25 „ძველი აფიშა"18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „კარიბის გული"19.00 „იმღერე რამე"19.40 ბასტი-ბუბუ21.05 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 22.00 „მიამბეთ თქვენზე"00.00 მხ. ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს„ მე-2ს.

19.00 სერიალი „უშიშრები" 19.50 მულტსერიალი20.15 „იმღერე რამე"20.45 ბასტი-ბუბუ21.00 დოკ. სერიალი „ცეკვის ენა"21.50 „ეძიე ქალი„22.05 მხ. ფილმი„სპირალი„ (U) მე-2ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეტიპუცები"10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 „ღამის შოუ"12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები"13.30 მხ. ფილმი „უცხო, თეთრი, ჭრელი"15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი"16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები"17.25 „ტელეტიპუცები"18.20 „სპაიდერ მენი"18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები"22.00 ხალხის პირისპირ23.00 დოკ. ფილმი „ბუდას ცხოვრება" (ბი-ბი-სი)23.45 მხ. ფილმი „მონსტრების კუნძული". მთ. რ-ში: კარმენ ელექტრა (18)02.00 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი"08.25 „იმედის" დილა09.20 „დუბლიორი"10.05 სერიალი „ტყუპები"11.15 სერიალი „ჭავა და ლუდი"12.20, 14.30, 02.55 იმედის მელოდიები12.40, 16.25, 02.25 ტვ-მარკეტი13.15 მხ. ფილმი „ტრუფალდინო ბერგამოდან" (U) 1-ლი ს. 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.15 ქრონიკა15.20 სერიალი „კლონი„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები"17.25 საქმე N18.05 სერიალი „ტყუპები"19.55 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ჭავა და ლუდი"22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი00.20 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა"11.10 სერიალი „ვუჰი"11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"12.05 ტელეჟურნალი „მოდა"13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 შემეცნ. გასართობი პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი"19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „ვუჰი"21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "ცეკვები ცისფერ იგუანაში„ (18) (ჯენიფერ ტილი)

18.00 მინისერიალი „ლიცეუმი" მე-3 ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.15 მხ. ფილმი „ფობია„ (15)

14.00 ქართული მუსიკა15.00 მხ. ფილმი „ოქროს საყურეები"17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"17.20 სერიალი „მილედი"19.20 სპექტრი21.00 მხ. ფილმი „ორჯერ მოვკვდები მაგრამ მაინც მიყვარხარ"00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 მხ. ფილმი „დუნი ტიუნზი კვლავ საქმეშია„10.50 მუსიკა11.00 ისტ. ფილმი „იულიუს კეისარი" 1-ლი ს.12.30 დოკ. ფილმი12.55 ბოევიკი „ვეფხვების ქვეყანა"14.30, 17.30, 20.30. 23.30 საინფორმაციო გამოშვება14.45 კომედია „ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი"16.20 დოკ. ფილმი17.45 დრამა „ქარაფშუტობა"19.25 დოკ. ფილმი 19.40 კომედია „გამარჯობათ მე თქვენი დეიდა ვარ"21.00 პანტომიმის თეატრის მინიატურები21.30 ფანტასტიკა „გატაკა„23.10 მუსიკა00.00 მხ. ფილმი „მოკვდი ოღონდ ახლა არა"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 Док. детектив. "Дубровский Ростовского уезда". Дело 2001 года. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Лило и Стич". 13.50 Приключенческий сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20 "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем. 15.50 Сериал "СТИЛЕТ". 17.00 "Пять вечеров". Среда. 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 Время. 22.40 Секретное досье. "Кошмар президента Никсона". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Сканер. "Как делать деньги". 00.40 "Гении и злодеи". Пьер де Кубертен. 01.10 Теория невероятности. "Дети индиго". 00.40 Сканер. "Как сохранить молодость". 01.10 Кармен Электра в комедии "БРАЧНЫЕ ИГРЫ ЗЕМЛЯН"

## ხუთშაბათი 28 ოქტომბერი

07.30 ალიონი09.40 მულტსერიალი 10.05 „იმღერე რამე"10.35 მხ. ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს„12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"13.00 მიამბეთ თქვენზე14.00 მოამბე ოსურ ენაზე14.15 დოკ. ფილმი 15.20 პოლიტიკური მკვლელობები16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს"16.30 „მრავალჟამიერ"-ზარები17.00 მულტსერიალი17.30 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე"18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „კარიბის გული"19.00 „იმღერე რამე"19.40 ბასტი-ბუბუ21.05 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"22.00 ღამის მატარებელი00.00 მხ. ფილმი „დღე„ (U)

19.00 სერიალი „უშიშრები" 19.50 მულტსერიალი20.15 „იმღერე რამე" 20.45 ბასტი-ბუბუ21.00 მრავალჟამიერ21.25 პოლიტიკური მკვლელობები22.10 მხ. ფილმი„სპირალი„ (U) მე-3ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეტიპუცები"10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 „ხალხის პირისპირ"12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები"13.30 მხ. ფილმი „კურიერი"15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი"16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები"17.25 „ტელეტიპუცები"18.20 „სპაიდერ მენი"18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები"22.00 „ვის უნდა 50 ათასი"23.00 დოკ. ფილმი „ლუისი და ბორდელი„ (ბი-ბი-სი)00.00 მხ. ფილმი „ორნი ქალაქში". მთ. რ-ში: ალენ დელონი (15).02.00 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი"08.25 „იმედის" დილა09.20 „დუბლიორი"10.05 სერიალი „ტყუპები"11.15 სერიალი „ჭავა და ლუდი"12.20, 14.30, 03.35 იმედის მელოდიები12.40, 16.25, 03.05 ტვ-მარკეტი13.15 მხ. ფილმი „ტრუფალდინო ბერგამოდან" (U) მე-2 ს. 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 02.55 ქრონიკა15.20 სერიალი „კლონი„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები"17.25 თამაში „ათასიდან ერთი შანსი"18.05 სერიალი „ტყუპები"19.55 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ჭავა და ლუდი"22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი00.20 მხ. ფილმი „მშვიდობისმყოფელი" (U) (დ. ლუნდგრენი)02.00 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა"11.10 სერიალი „ვუჰი"11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"12.30 შემეცნ. გასართობი პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი"13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 „ჰოლივუდი დღეს„19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „ვუჰი"21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "ჭექა-ქუხილი„ (U) (ჟან გაბენი)

18.00 მინისერიალი „ლიცეუმი" მე-4 ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.10 მხ. ფილმი „უნებლიე მკვლელობა„ (15)

14.00 ქართული მუსიკა15.00 მხ. ფილმი „ორჯერ მოვკვდები მაგრამ მაინც მიყვარხარ"17.00, 19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა „დღეს"17.20 სერიალი „მილედი"19.20, 21.00 სპექტრი22.00 მხ. ფილმი „ალი-ბაბა და 40 ყაჩაღი" (U)00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 მხ. ფილმი „ციხესიმაგრე„10.50 მუსიკა11.00 ისტ. ფილმი „იულიუს კეისარი" მე-2 ს.12.25 დოკ. ფილმი13.00 მელოდრამა „ცეკვები ლუნაზის დროს"14.30, 17.30, 20.30. 23.30საინფორმაციო გამოშვება14.45 მხ. ფილმი „სასიკვდილო გატაცება"16.25 მულტფილმი17.45 მხ. ფილმი „რამდენიმე დოლარით მეტი"19.55 დოკ. ფილმი21.00 გიორგი ცაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო21.45 ფანტასტიკა „ძიება წარსულში„23.20 მუსიკა00.00მხ. ფილმი „პელიკანების საქმე"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 "Звезды эфира". Валентина Леонтьева. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Утиные истории". 13.50 Приключенческий сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Сериал "СТИЛЕТ-2". 17.00 "Пять вечеров". Четверг. 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 Время. 22.40 "Человек и закон" 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Ударная сила. "Псы войны". 00.40 Максим Никулин в программе "Форганг". 01.10 Сериал "ИСЧЕЗНОВЕНИЕ". 02.40 Данте Баско в фильме "ДЕБЮТ" 04.20 Сериал "СВИДЕТЕЛЬ ПРОТИВ МАФИИ".

## პარასკევი 29 ოქტომბერი

07.30 ალიონი09.40 მულტსერიალი10.00 „იმღერე რამე"10.30 მხ. ფილმი „დღე„ (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"14.00 მოამბე ოსურ ენაზე14.15 დოკ. ფილმი15.15 „ასე ვცხოვრობთ"16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.05 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს"16.30 „ისტორიანი"16.55 მულტსერიალი17.20 დოკ. ფილმი „ევროპის ახალი სახე"18.00 ვესტნიკი18.20 სერიალი „კარიბის გული"19.00 „იმღერე რამე"19.40 ბასტი-ბუბუ21.05 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება"22.00 „აუდიტორია"00.00 მხ. ფილმი „ლადა„(U)

19.00 სერიალი „უშიშრები" 19.50 მულტსერიალი20.15 „იმღერე რამე"20.45 ბასტი-ბუბუ21.00 დოკ. სერიალი21.50 აფხაზეთის ტელევიზია22.20 მხ. ფილმი„სპირალი„ (U) მე-4ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეტიპუცები"10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები"11.00 „ვის უნდა 50 ათასი"12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.45 კურიერი12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი „ორნი ქალაქში"15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი"16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები" 17.25 „ტელეტიპუცები"18.20 „ბავშვები 402-ე ოთახიდან"18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი"19.40 პატრული19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები"22.00 ღამის შოუ 23.00 დოკ. ფილმი 00.00 სერიალი „სამეფო"01.00 მხ. ფილმი „მთიელი-3". მთ. რ-ში: კრისტოფერ ლამბერტი (18).03.05 პატრული

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"07.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური"08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი"08.25 „იმედის" დილა09.20 „დუბლიორი"10.05 სერიალი „ტყუპები"11.15 „არტ-ბულვარი"12.10, 14.40, 03.30 იმედის მელოდიები12.40, 16.25, 03.00 ტვ-მარკეტი13.15 მხ. ფილმი „მშვიდობისმყოფელი" (U) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.50 ქრონიკა15.20 სერიალი „კლონი„ 16.40 დოკ. სერიალი „საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები"17.25 „ვაკაჭი-ნიუსი"18.05 სერიალი „ტყუპები"19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 თოქ-შოუ „რეაქცია"23.00 „საიმედო ლოტო"23.30 თამაში „ათასიდან ერთი შანსი"00.05 მხ. ფილმი „საუკეთესო მეგობარი" (U) (მადონა)01.55 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„09.30 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო"11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა"11.10 სერიალი „ვუჰი"11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი"12.05 „ჰოლივუდი დღეს„13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"14.15 „ფარული კამერა"14.45 „მუსიკა მზეზე"15.00 სერიალი „მარია ემილია"16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები"17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"17.20 „ფარული კამერა"17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„18.20 შემეცნ. გასართობი პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი"19.05 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„21.15 სერიალი „ვუჰი"21.45 ერთი ჟურნალისტის მზერა. თ. ჩიხლაძე. „საფესტივალო დღიურიები ვიოლინოსთვის"22.45 „არჩევანის ზღვარზე„23.45 მხ. ფილმი "რობოკაბი„ (15) (უგო ტონიაცი)

18.00 მინისერიალი „ლიცეუმი" მე-5 ს.19.05 დოკ. ფილმი20.05 კონცერტი22.00 მხ. ფილმი „ჩრდილი კედელზე„ (15) 1-ლი ს.

14.00 ქართული მუსიკა15.00 მხ. ფილმი „ალი-ბაბა და 40 ყაჩაღი" (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა „დღეს"17.20 სერიალი „მილედი"19.20 სპექტრი21.00 მხ. ფილმი „თეთრი კაბა" (U)00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი09.20 მხ. ფილმი „ალმასის კუნძული„10.50 მუსიკა11.00 ისტ. ფილმი „მისიე N" 13.00 დოკ. ფილმი13.10 კომედია „ნაციონალური პოლიტიკის თავისებურებანი"14.30, 17.30, 20.30. 23.30საინფორმაციო გამოშვება14.45 მხ. ფილმი „პარტნიორები" 16.10 მულტფილმი17.45 მხ. ფილმი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა"20.10 კლას. მუსიკის კონცერტი (ფრანგები)21.00 ფანტასტიკა „მთიელი„22.55 დოკ. ფილმი00.00 მხ. ფილმი „კატპელმახერი"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Сериал "МОСКОВСКАЯ САГА". 10.30 Сериал "КЛОН". 11.30 "Кумиры". Ольга Воронец. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Алладин". 13.50 Приключенческий сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО". 15.20 "Фабрика звезд". 15.50 Сериал "СТИЛЕТ-2". 16.50 "Пять вечеров". Сегодня пятница. 18.20 Док. детектив. "Ограбление под заказ". Дело 2002 г. 19.00 "Основной инстинкт". Ток-шоу 19.50 "Поле чудес" 21.00 Время. 21.25 "Фабрика звезд". 22.40 Что? Где? Когда? Финал осенних игр. 00.10 Эштон Катчер в комедии "ГДЕ МОЯ ТАЧКА, ЧУВАК?" 01.40 Дольф Лундгрен в боевике "ПОСЛЕДНИЙ РУБЕЖ".

## შაბათი 30 ოქტომბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე08.15 მხ. ფილმი „ლადა„(U)10.00 იმღერე რამე10.30 საცირკო სანახაობა11.00 მხიარული კარუსელი11.30 საქართველო არის ესე 12.15 მხ. ფილმი „მოუსვენარი ზაფხული"14.00 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე"15.15 მხ. ფილმი „მზიური"17.00 დოკ. ფილმი „კინოს ისტორია"18.00 ვესტნიკი18.45 „იმღერე რამე"19.15 ტელეზღაპარი19.25 „დრო და ადამიანები" 19.40 „ეთნოგრაფიული ჩანახატი"20.35 „ფორტუნა"21.15 დოკ. ფილმი22.00 საღამოს საუბარი22.45 სპექტაკლი „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი"00.15 მხ. ფილმი „ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან" (U)

19.00 სერიალი „უშიშრები"19.50 დოკ. ფილმი20.40 ძველი აფიშა21.10 „იმღერე რამე"21.35 „ეთნოგრაფიული ჩანახატი"21.55 ასე ვცხოვრობთ22.20 მხ. ფილმი „ცარიელი ბინა„ (U)

08.00 კლასიკა08.30 მულტსერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"09.00, 12.00, 15.00 კურიერი09.20 „ჯეტიქსი"11.00 სერიალი „დაკარგული ქალაქის მაძიებლები"12.20 „გაიღიმეთ ფარული კამერაა"12.50 მხ. ფილმი „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა" 15.20 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 17.00 სერიალი „მარკო პოლო"18.00, 21.00, 01.00 კურიერი18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა19.10 მხ. ფილმი „ინკოგნიტო"22.00 „ფსიქო"— „მაგდალინელი დები„ რეჟ. პიტერ მალანი (18)01.20 მხ. ფილმი „ძველი ხოჭოები„ (18) (დენ მორისონი)

09.00 ანიმაციური ფილმი „რობინ ჰუდის ახალი თავგადასავალი" 1-26.10.00 მხ. ფილმი „ციური მერცხლები" (U) 1-ლი ს.11.10, 12.40, 02.30 ტვ-მარკეტი11.30 „იმედითა შენითა"11.45 „კლიპ-ლოტო"13.00, 15.45, 17.00, 19.00, 22.00, 23.15 ქრონიკა13.15 მხ. ფილმი „საუკეთესო მეგობარი" (U) 15.00 ფეხბურთი. „დინამო" (თბილისი) - „ტორპედო" (ქუთაისი)16.45, 03.00 იმედის მელოდიები17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ„18.05 „პირველი ნაბიჯი"19.30 ვაკაჭი-ნიუსი20.05 მხ. ფილმი „სიესტა" (U) (ე. ბირკინი)22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი00.20 „ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად„01.35 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 მუსიკა მზეზე09.30 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა"10.00 საბ. სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" 10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„11.30 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე ყველაზე"12.30 შემეცნებით-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია"13.00 სერიალი „კარაბინერები"14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"14.15 მხ. ფილმი "ჭექა-ქუხილი„ (U) 16.15 მუსიკა მზეზე16.30 „ფარული კამერა"17.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„17.50 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე ყველაზე"18.50 მუსიკა მზეზე19.00 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„20.30 სერიალი „კარაბინერები"21.30 კრიმ. დრამა „ტაქსის მძღოლი"22.30 მხ. ფილმი „მილიონი წელი ჩვენ წელთაღრიცხვამდე„ (U)

18.00 მინისერიალი „ლიცეუმი" მე-6 ს.19.40 დოკ. ფილმი20.30 სილუეტი21.30 დოკ. ფილმი22.20 მხ. ფილმი „ჩრდილი კედელზე„ (15) მე-2 ს.

14.00, 17.00 ქართული მუსიკა15.00 მხ. ფილმი „თეთრი კაბა" (U)19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"19.20 „ცნობილი ადამიანების უცნობი წლები"19.40 „სანინდარი"21.00 მხ. ფილმი „თეთრი კაბა-2" (U)00.30 ქართული მუსიკა

09.00 მუსიკა09.20 მხ. ფილმი „პინოკიო"11.10 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი"12.45 „მოგზაურის საოცრებანი„12.55 მხ. ფილმი „დაუვიწყებელი სიყვარული"14.30, 17.30, 20.30. 23.30 საინფორმაციო გამოშვება14.45 მხ. ფილმი „კრიმინალური საკითხავი" 17.15 „გიტარის სამყაროში" 17.45 კომედია „სასწაულებრივი გარდასახვა" 19.30 დოკ. ფილმი21.00 თრილერი „მზის ცრემლები„23.00 „ერთი გვარის ისტორია"00.00 დრამა „ტკბილ-მწარე სიყვარული"

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Динозавры Стивена Спилберга в фильме "Земля до начала времен-I". 06.30 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 08.20 Играй, гармонь любимая! 09.00 Слово пастыря. 09.10 Здоровье. 10.20 "Смак" 10.30 "Любовные истории". Лолита Милявская. 11.10 Спецрасследование. "Королевы красоты". 12.10 "История с географией". "Прирожденные охотники". 13.10 "Савелий Крамаров. Джентльмен удачи". 15.00 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". 15.20 "Николай Караченцов. Человек, который всегда опаздывает". 16.10 Галина Польских в комедии "БЕЛЫЕ РОСЫ" 17.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. 18.10 Криминальная Россия. "По следу сибирского зверя". 2-я серия. 18.40 "Кто хочет стать миллионером?" 19.40 "Кривое зеркало". Лучшее. 21.00 Время. 21.20 "Последний герой". Суперигра. 22.30 "Золотой граммофон". 23.30 Николас Кейдж в боевике "УГНАТЬ ЗА 60 СЕКУНД"

## კვირა 31 ოქტომბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.20 მოამბე08.15 მხ. ფილმი „ფრაგმენტები ქალაქის ცხოვრებიდან" (U)10.00 იმღერე რამე10.30 მოგზაურობა სასიტყვეთში11.00 მრავალჟამიერ11.30 სპა12.15 მხ. ფილმი „მე მოვედი"13.55 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე"14.00 კალათბურთი. „სტუ„ — რუსთავის „თუჯი". შესვენებისას „მოამბე"15.35 სპექტაკლი17.00 დოკ. ფილმი 18.00 „ქართული ფოლკლორის ფესტივალი"18.15 დოკ. ფილმი „პროვანსი და ადამიანები"18.55 „იმღერე რამე"19.25 „მთავარ როლში"20.35 „ჩემი მშვენიერი ლედი"20.55 საბ. კინოდარბაზი22.00 ტვ-ლოტო22.45 „ამბობენ"23.15 კონცერტი00.30 მხ. ფილმი „ლოლიტა„ (U)

19.00 მხიარული კარუსელი19.30 მოგზაურობა სასიტყვეთში20.00 მუს. ოქტაგონი21.00 დრო და ადამიანები21.15 „სპა"21.40 „მთავარ როლში„22.20 მხ. ფილმი „ძახილი" (U)

08.00 კლასიკა08.30 მულტსერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"09.00, 12.00, 15.00, 00.10 კურიერი09.20 „ჯეტიქსი"11.00 სერიალი „დაკარგული ქალაქის მაძიებლები"12.20 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი)12.50 მხ. ფილმი „100 ათასი დოლარი მზეზე"15.20 მხ. ფილმი „ჩემი მშვენიერი და ნაზი მხეცი"17.00 სერიალი „მარკო პოლო"18.00, 21.00, 00.40 კურიერი18.20 პატრული — დაიჯესტი19.00 მხ. ფილმი „ბურბუნდიელთა სასახლის კარის საიდუმლოებანი„ მთ. რ-ში: ჟან მარე (18)22.00 „გაიღიმეთ ფარული კამერაა"22.40 „ჯეისელის კინოკლუბი" - „ამერიკელი სამურაი„ 877 45-79-25 დევიდ რედლი, მარკ დაკასკოსი (18), „ბაჟაველა სამბორიდან„ 877 45-79-26 რუტგერ ჰაუერი, იოანა ნაკულა (18) „სისხლიანი კრუიზი" 877 45-79-27 იურგენ პროხნოვი(18).01.00 მხ. ფილმი „გზააბნეული როუზი„ (18) (ლორა დერნი)

09.00 ანიმაციური ფილმი „მელანი" 1-26.09.55 მხ. ფილმი „ციური მერცხლები" მე-2ს.12.30 12 პლიუსი11.45 „დილის ფოსტა"12.40, 13.15, 01.15 ტვ-მარკეტი13.00, 15.00, 17.00, 19.00, 23.15 ქრონიკა13.30 მხ. ფილმი „ლიფტის მარცხენივ" (U) 15.15 „ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად„16.30 სპ. პროგრამა „ასი"17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ„ 18.05 „ერთხელ ჰოლივუდში"18.20 „არტ-ბულვარი"19.45 ქართ. ფილმი „დათა თუთაშხია" მე-3 ს.21.00 „დროება"22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.00.20 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"01.45 იმედის მელოდიები

09.00მუსიკა მზეზე09.30 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა"10.00 საბ. სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია"10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„11.30 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე ყველაზე"12.30 შემეცნებით-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია"13.00 სერიალი „კარაბინერები"14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა"14.15 მხ. ფილმი „მილიონი წელი ჩვენ წელთაღრიცხვამდე„ (U)16.15 მუსიკა მზეზე16.30 „ფარული კამერა"17.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„17.50 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე ყველაზე"18.50 მუსიკა მზეზე19.00 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„20.30 სერიალი „კარაბინერები"21.30 ფეხბურთი. პრემიერ დივიზიონი23.30 მხ. ფილმი „კომიქსების მონადირენი„ (15) (კური ელვესი)

18.00 მხ. ფილმი „პატარა მამაკაცი" (U)20.00 დოკ. ფილმი21.00 კონცერტი22.30 მხ. ფილმი „ომის შემდეგ„ (U)

14.00მხ. ფილმი „თეთრი კაბა-2" (U)17.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 18.00 ქართული მუსიკა19.00 საბ. გადაცემა „ინკოგნიტო"20.00 ინდ. მხ. ფილმი „სიყვარული და ღალატი"23.00 „ჯაზ-პარნასი"23.30 მუსიკა

09.00მუსიკა09.20 მხ. ფილმი „102 დალმატინელი"10.55 მუსიკა11.15 „მისტერ ბინი"12.40 ბოევიკი „ინგლისელი"14.05 მუსიკა14.30, 17.30, 20.30. 23.30 საინფორმაციო გამოშვება14.45 მხ. ფილმი „მუდამ კალანი"16.30 მულტფილმი17.45 კომედია „ჩარლის ანგელოზები"19.30 დოკ. ფილმი21.00 დრამა „ინგლისელი პაციენტი"00.00 ფანტასტიკა „ნაზინდის ვარსკვლავური გზა"

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Полнометражный мультфильм "Земля до начала времен-II". 06.40 Владимир Басов в комедии "НЕЙЛОН 100%" 08.20 Армейский магазин. 08.50 Дисней-клуб: "Мики, Дональд и Гуффи-спортсмен". 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" с Дм. Крыловым. 10.30 Пока все дома. 11.10 Тайны века. "Москва бандитская". 12.20 Роуэн Аткинсон в комедии "МИСТЕР БИН". 14.00 Док. фильм "Камикадзе". 14.50 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". 15.20 "КВН - 2004". Высшая лига. Летний кубок. 17.30 Мы делаем "Ералаш". 18.00 Времена. 19.00 "Смешные люди". Программа Лиона Измайлова. 21.00 Время 21.45 Ума Турман в боевике "УБИТЬ БИЛЛА" 23.40 Шедевр Годфри Реджио "Накойкаци". 01.20 Бокс. Рикки Хаттон - Майкл Стюарт. 02.00 Тьерри Лермитт в детективе "ЧАСТНОЕ ДЕЛО" 04.00 Лорен Холли в мелодраме "НЕ ОГЛЯДЫВАЙСЯ НАЗАД".

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**შესაძლებელია თუ არა ზრდასრულ ადამიანს გაუსწორდეს სიელმე?**

***ირინა კეჟერაძე***

უმჯობესია, სიელმეს ბავშვობაში ვუმკურნალოთ. ასეთ შემთხვევაში ოპერაციის შედეგი საკმაოდ კარგია. თუმცა, ზოგჯერ 30 და 40 წლის ასაკშიც უკეთდებათ ოპერაცია, მაგრამ მოზრდილი ადამიანის თვალის ქსოვილების ელასტიკურობა დაქვეითებულია და ამიტომ ოპერაციის სიზუსტის ალბათობაც ნაკლებია. ზოგჯერ ოპერაციის შემდეგ თვალი სხვა მიმართულებით დაელმდება ხოლმე. ბავშვებში კი ასეთი რამ იშვიათია. ამიტომ იდეალური შედეგის მისაღებად უმჯობესია ოპერაცია 7-9 წლის ასაკში ჩატარდეს. ბავშვები ოპერაციას უფრო იოლადაც იტანენ.

**მართალია თუ თუ არა, რომ ყავა აღარ ითვლება დოპინგად? ეს სასმელი ხომ საკმაოდ აღაგზნებს ორგანიზმს. ვარ სპორტის მოყვარული და ძალიან მაინტერესებს პასუხი ამ კითხვაზე.**

***პატივისცემით, იორამ ბუკია***

უწინ კოფეინი მართლაც ითვლებოდა დოპინგად, მაგრამ საერთაშორისო ანტიდოპინგური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამ საკითხში კორექტივები იქნა შეტანილი — დღეისათვის იგი ნებადართულია სპორტსმენებისათვის (ნორმის ზედა ზღვრად მიჩნეულია 12 მილიგრამი ლიტრზე) ამჟამად სპორტსმენები აქტიურად სვამენ ყავას, კოკა-კოლას, პეპსი-კოლას. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამ გზით შეუძლებელია სისხლში კოფეინის დადგენილი ნორმის გადაჭარბება (თუნდაც ძალიან მაგარი ყავის მიღების შემთხვევაშიც კი). ამიტომ კომიტეტმა მიიჩნია, რომ საჭირო აღარ არის მასზე კონტროლის დაწესება.

ყავა მართლაც აღაგზნებს ორგანიზმს, არის სტიმულატორი, მაგრამ სპორტში ეს არაეფექტიანია.

**როგორ უნდა მოვიქცე იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს კრუნჩხვა დაეწყება და როგორ უნდა განვასხვავო კრუნჩხვა ეპილეფსიისაგან?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

ფებროლური კრუნჩხვის ეპიზოდებს მშობლები ხშირად ეპილეფსიად მიიჩნევენ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა კრუნჩხვა ეპილეფსია არ არის. ფებროლური კრუნჩხვა 3 თვიდან 5 წლამდე ბავშვებში ვითარდება ცხელების (მაღალი ტემპერატურის) დროს. როდესაც მშობელი პირველად ხედავს ასეთ შეტევას, იბნევა. ფებროლური კრუნჩხვის განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს მინერალების (კალციუმის, მაგნიუმის) ნაკლებობა, შაქრის დონის დაქვეითება სისხლში (დიაბეტიან ბავშვებში), მოწამვლა, ელექტროტრავმა, მზის დაკვრა. ასეთი კრუნჩხვები უფრო ხშირად ერთჯერადია ან საკმაოდ დიდი შუალედებით ვლინდება და არ ვითარდება, თუ მაპროვოცირებელი ფაქტორი არ არსებობს.

შემთხვევათა 2-5%-ში შესაძლებელია ფებროლური კრუნჩხვების ეპილეფსიად გარდაქმნა. ამიტომ მშობელი ყურადღებით უნდა იყოს.

ფებროლური კრუნჩხვის განმეორებითი შეტევის ალბათობა საკმაოდ დიდია და მისი რეციდივის აბსოლუტური გამორიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

თუმცა შეტევას ყველაზე ხშირად მაღალი ტემპერატურა იწვევს, უნდა მოვერიდოთ ბავშვის ორგანიზმის მეტისმეტად გადაცივებასაც. კლინიკურმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ცივ აბაზანებს, სპირტით დაზელვას, ვენტილატორების გამოყენებას უარყოფითი ეფექტი აქვს, ზოგჯერ დისკომფორტს იწვევს და ცუდად მოქმედებს კრუნჩხვის მიმდინარეობაზე. ტემპერატურის მკვეთრი დაქვეითება ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს, რასაც ტემპერატურული რეაქციის მეორე ტალღა მოსდევს ხოლმე. მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებზე აუცილებლად ბავშვის მკურნალ ექიმს (პედიატრს) უნდა გაესაუბროთ. იგი გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა რაიმე პრეპარატის დანიშვნა და მის დოზასაც შეგირჩევთ. საერთოდ კი, ბავშვი აუცილებლად გაასინჯეთ ნევროლოგსაც.

## კარაბადინი

**რამდენიმე წლის წინ გამიჩნდა ფეხის ფრჩხილის სოკო. ფრჩხილებმა დაკარგა ფორმა და ირიბად მეზრდებოდა, გამიმაგრდა, გამიუხეშდა და მათი დაჭრაც კი შეუძლებელი გახდა. კანის ექიმმა მითხრა, სოკო გაქვთო და დამინიშნა ძვირად ღირებული წამლები, რომელთა ყიდვა ჩემთვის შეუძლებელი იყო. ამიტომ დავიწყე ხალხურ მედიცინაში სოკოს საწინააღმდეგო საშუალებების ძებნა. მივაგენი კიდეც და არაჩვეულებრივი შედეგიც მომცა.**

**მკურნალობისთვის გამოვიყენე შაბიამანი და ხახვი. თავდაპირველად, ათი დღის განმავლობაში, ძილის წინ ფრჩხილებზე ვიზელდი შაბიამნის ხსნარს (ხსნარი მუქი ცისფერი უნდა იყოს). შემდეგი ათი დღის განმავლობაში ძილის წინ ფრჩხილებზე ვიდებდი გახეხილი ხახვის ფაფას და ვიჩერებდი 12 საათის განმავლობაში. ოცდღიანი კურსის შემდეგ ფრჩხილები დამირბილდა, ფორმაც აღიდგინა. ახლა მათ იოლად ვიჭრი მაკრატლით.**

**ვიცი, ფრჩხილის სოკო ბევრ ადამიანს აწუხებს და ამიტომაც გადავწყვიტე ამ წერილის მოწერა. სცადეთ, იქნებ თქვენც მოგიხდეთ.**

***ღრმა პატივისცემით, ლ. ბეგაშვილი***

ექიმის კომენტარი: აღნიშნული რეცეპტის ეფექტიანობა, როგორც ჩანს, დაკავშირებულია მისი კომპონენტების ანტისეპტიკურ, ანტიანთებით და ქსოვილთა რეგენერაციულ თვისებებზე. თუმცა გირჩევთ, მისი გამოყენებისას სიფრთხილე გამოიჩინოთ. ეცადეთ, ხსნარი ფრჩხილის ირგვლივ კანზე არ მოიხვედროთ, რადგან რეგულარულმა გამაღიზიანებელმა მოქმედებამ შეიძლება მისი ანთება გამოიწვიოს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

**თუ თქვენ ან თქვენი ბავშვი ხართ ალერგიული და გინდათ უსაფრთხოდ და საიმედოდ ჩაიტაროთ აცრები გრიპისა და სხვა ინფექციების თავიდან ასაცილებლად, მოგვმართეთ მისამართზე:**

თსსუ ცენტრალური კლინიკა, ასთმის, ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი, VI სართ. ოთახი 660.
ტელ: 39-56-81; 39-58-59, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29
(ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო)

## ყველაზე, ყველაზე სასარგებლო პროდუქტი



რძეს ანუ „სიცოცხლის წვენს“, როგორც მას ძველი ბერძნები უწოდებდნენ, ცნობილი არაბი ექიმი ავიცენა თვლიდა კვების არა მარტო ყველაზე მნიშვნელოვან პროდუქტად, არამედ დღეგრძელობის ელექსირად და სულიერ სუბსტანციადაც კი.

რძე არის იოგების მთავარი საკვები. გვირჩევენ, მივიღოთ ის ან გვიან საღამოს, დამშვიდების მიზნით, ან დილით ადრე — ძალების მოსაკრებად და ინტელექტუალური პოტენციალის სტიმულირებისათვის. ეს პროდუქტი შეიცავს უამრავ სასარგებლო ნივთიერებას, მათ შორის, ჩვენთვის ყველა ცნობილ თუ უცნობ ამინომჟავებს, ცილებს (კაზეინი, ლაქტოალბუმინი), ფერმენტებს, ცხიმებს და ცხიმიან მჟავებს, ნახშირწყლებს (რომელთაგან მნიშვნელოვანია ლაქტოზა), მინერალურ ნივთიერებებს, ვიტამინებს: A, E, $B_1$, $B_2$, $B_6$, PP, H, C, კაროტინს. ლაქტოზა — რძის შაქარი — ენერგიის შეუცვლელი წყაროა, რომელიც აუცილებელია გულის, ღვიძლის, თირკმლების მუშაობისათვის. ხელს უწყობს კალციუმის საუკეთესოდ შეთვისებას. რძის ცილები, თავისი კვებითი თვისებებით, არ ჩამოუვარდება ხორცის, კვერცხისა და თევზის ცილებს. რძის ძირითადი ცილა შეიცავს შეუცვლელ ამინომჟავას (მეტიონინს), რომელიც განსაკუთრებით სასარგებლოა ღვიძლისა და თირკმლებისათვის. ორი სხვა ცილა — ტრიფტოფანი და ლიზინი — საჭიროა ზრდისა და ორგანიზმის განვითარებისათვის.

რძე ძალიან მდიდარია A ვიტამინით, რომელიც აუცილებელია მხედველობისათვის. ამ ვიტამინის დეფიციტი ბავშვებში იწვევს ზრდის შეფერხებას. ყოველდღიურად თუ 500-700 მლ რძეს დალევთ, ორგანიზმი მიიღებს ყველა აუცილებელ საკვებ ნივთიერებას. მაგრამ ამ სასარგებლო ელემენტებს შეიცავს მხოლოდ აუდუღარი რძე.

აუდუღარი რძე ოთახის ტემპერატურაზე მალე ფუჭდება.

მხოლოდ აუდუღარი რძით მკურნალობენ საჭმლის მონელების ორგანოებს, ღვიძლს, ნივთიერებათა ცვლის დარღვევას და კუჭის მაღალმჟავიანობას. ის უნდა სვათ პატარა ყლუპებით...

რძიდან ვიღებთ კალციუმის ლომის წილს. ამიტომ ის ძალიან სასარგებლოა ბავშვებისათვის. კალციუმის შეთვისების გასაძლიერებლად აუცილებელია რძის D ვიტამინთან ერთად მიღება. ამ ვიტამინს, ძირითადად, შეიცავს თევზის ცხიმიანი სახეობები. რძე და თაფლი შესანიშნავი საშუალებაა უძილობის წინააღმდეგ.

თხის რძე შესანიშნავად მოქმედებს კუჭის ლორწოვან გარსზე, ახვევს მას თხელ დამცავ აპკში. ძალიან სასარგებლოა რძის დამატება კენკროვან დესერტებზე (ხენდრო, მარწყვი), ეს ამცირებს ალერგიული რეაქტივების წარმოქმნის შესაძლებლობას.

რძე და გამთბარი კონიაკი გამოიყენება ბრონქიტის და ხანგრძლივი ხველის სამკურნალოდ.

***ჯენტე***

## სასარგებლოა მხოლოდ მწიფე მსხალი



მსხალი უძველესი დროიდან სამკურნალო ხილად ითვლება. ღვიძლით, ქოლეცისტიტით, გასტრიტით დაავადებულები თუ დილით (ნასაუზმევს) შეჭამენ ორ მსხალს, აღარც ტკივილი და გულძმარვა შეაწუხებთ და აღარც ნაწლავებში უსიამოვნო შეგრძნება. კალიუმის, პექტინებისა და სხვა ნივთიერებების შემცველობის წყალობით ეს წვნიანი და გემრიელი ნაყოფი ამშვიდებს გახშირებულ გულისცემას. მსხალი მდიდარია მიკროელემენტებით, განსაკუთრებით — იოდით. რაც უფრო სურნელოვანია ნაყოფი, მით სასარგებლოა გულისთვის. მსხლის ჩირის ნახარში კარგი შარდმდენია და დეზინფექციას უკეთებს თირკმლებს, თაფლით შეზავებული შემწვარი მსხალი სასარგებლოა ხველებისა და ბრონქიტის დროს.

არ შეიძლება მსხლის ჭამა ხორციანი კერძების მირთმევამდე, უზმოზე, ასევე არ შეიძლება წყლის დაყოლება.

ძალიან სასარგებლოა კუჭ-ნაწლავისთვის მსხლისა და შვრიის ფაფა: 5-6 ს/კ შვრიას დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი რძე, დაუმატეთ 3-4 ც ნიგვზის ლებანი და 1 ც დაჭრილი მსხალი.

***ოჯდოხნი! №42***

## შევებრძოლოთ პიგმენტურ ლაქებს

ქალს ლაქები შეიძლება გაუჩნდეს 30 წლის შემდეგ, თუმცა უფრო ხშირად გაცილებით გვიან ასაკში იცის. ჯერ ხელის მტევანზე, შემდეგ სახესა და მკერდზე ჩნდება ჭორფლისებრი ყავისფერი ლაქები... პიგმენტური ლაქები არ არის საშიში ჯანმრთელობისთვის, სამაგიეროდ, გარეგნობას ვნებს, ამიტომ უსათუოდ უნდა შევებრძოლოთ. მით უფრო, რომ იკურნება. თუმცა ერთი ხელის დაკვრით არა.

ამისათვის ლაქებიან კანზე ყოველდღე უნდა წავისვათ E ვიტამინით მდიდარი ზეთი, რომელიც შეანელებს კანის დაბერების პროცესს და შეამცირებს პიგმენტური ლაქების რაოდენობას. E ვიტამინიანი ზეთი შესანიშნავად მოქმედებს კანზე, უნარჩუნებს მას სირბილესა და სიმკვრივეს. დღეში ერთხელ დალიეთ E ვიტამინის კაფსულა.

გახსოვდეთ, რომ მზის სხივები ზრდის პიგმენტური ლაქების რაოდენობას, აჩქარებს კანის დაბერებას, ამიტომ მოერიდეთ მზეს და სოლარიუმს.

***ჟენსკიე სეკრეტი №10***

## გემრიელი, მაგრამ...

თავის ტკივილის გამოწვევა თურმე შეუძლია საკვებსაც. ზოგი პროდუქტი, ორგანიზმში მოხვედრისას, დაბლა სწევს სეროტონინის დონეს, რაც იწვევს თავის ტკივილს. გირჩევთ, მენიუში შეამციროთ:

1. ყველეული, განსაკუთრებით ცხიმიანი;
2. შებოლილი ხორცი და თევზი;
3. შავი შოკოლადი;
4. ციტრუსები;
5. ყავა;
6. ალკოჰოლური სასმელები, განსაკუთრებით წითელი ღვინო და მუქი ლუდი.

თუ რომელიმე მათგანზე უარს ვერ ამბობთ, უსიამოვნო შედეგების თავიდან ასაცილებლად წინასწარ მიიღეთ მედიკამენტი, რომელიც შეგიჩერებთ თავის ტკივილს.



***ტაიმი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

# მიირთვით ღვინო



საზოგადოდ მიღებულია ხორციან კერძებზე შავი ღვინის დაყოლება, სამწვადეც შავ ღვინოში უნდა დავალბოთ... გურმანების ეს ახირება ყურძნის წვენის ბიოლოგიურ თვისებებზეა დამყარებული — ის ცხოველურ ცხიმებს შთანთქავს. მაგრამ ამ სასმელმა რომ გარგოთ, აუცილებლად უშაქრო უნდა იყოს.

ღვინო აძლიერებს მადას. თუ ერთ ჭიქა მშრალ შავ ღვინოს მწვადს ან ტორტის ნაჭერს მიაყოლებთ, გახდომის იმედი არ უნდა გქონდეთ. იმისათვის, რომ ამ სასმლის ჯადოსნური თვისებებით ისარგებლოთ და არც გასუქდეთ, მიირთვით ბერძნული წესით: 1 წილ ღვინოს დაუმატეთ 2 წილი უგაზო მინერალური წყალი. ასეთი ნაზავი საუცხოოდ მოქმედებს ნერვიულ სისტემაზე და დაგეხმარებათ წონის შენარჩუნებაში.

***მეგაპოლისის ექსპრესი №41***


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

**შეიძინეთ!!!**

- **აპარატები**
- **ტესტ-ჩხირები**
- **ერთჯერადი ნემსები**
- **ავტომატური საჩხვლეტი**
- **კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი**





შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



**homeopaTia**

დაავადებათა ჰომეოპათიური მკურნალობა გარანტიით, იაფად.

**აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. №3 14–17სთ. (სპორტის სასახლის უკან)**



**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35



**ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება:**

სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტები, კიფოზი, ნევროზი, შიშები, შაკიკი, პოსტინსულტური დამბლა, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t=37,2°C), სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება.





**კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა.**
**მის: მ. „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18**
**ანატოლი შავიძე ☎ 61-65-03; 893-20-68-21**



N19
ოჯახის
მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი ფასი 70 თ.

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



**სწრაფად და შესანიშნავი შედეგებით!**
**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა**



**ინკურნება ეს პათოლოგიები ცნობილ მანუალურ თერაპევტ — ექიმ სოსო ფირცხალაიშვილთან: მანუალური თერაპიის მოდერნიზებული მეთოდი. სარტყელი „სწორდი“ — მოდუნებული კუნთების ტონუსში მოყვანა, ტანის გასწორება. „უნივერსალური ტახტი“ — ტოტალური და მიმართული (სეგმენტური) გაჭიმვა. სპეც.ტრენაჟორი „ვესტიბულარული აპარატის“, მოძრაობის კოორდინაციის აღსადგენად და სხვ. კონსულტაცია უფასოა!!!**

მობრძანდით კერძო კლინიკაში 10-20 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: მარჯანიშვილის მოედანი, აღმაშენებლის 90/84 I სად, II სართ. ბინა 2. ტელ: 95-47-67; 899-26-51-08 75-06-14 (საღამოს)



**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ცოფის შესახებ**

***ა. ლაცაბიძე***

# რა უნდა ვიცოდეთ ცოფის შესახებ

ცოფი ვირუსული ინფექციური დაავადებაა. ის მიმდინარეობს თავისა და ზურგის ტვინის ანთებით (ენცეფალომიელიტით) და სიკვდილით მთავრდება.

დაავადებას იწვევს ნერვული ქსოვილისადმი მიდრეკილი ვირუსი, რომლის წყაროს წარმოადგენს დაავადებული ძაღლი, კატა, გარეული ცხოველებიდან — მგელი, ტურა, მელა და სხვა, ასევე ღამურა. ავადმყოფი ადამიანისგან დაავადება სხვა ადამიანს პრაქტიკულად არ გადაედება.

ცხოველებს ადამიანის დასნებოვნების უნარი კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე 3-10 დღით ადრე უვითარდებათ. ამ უნარს ისინი დაავადების მთელი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებენ. ადამიანის დასნებოვნება ხდება კბენით, ცოფიანი ცხოველის ნერწყვის მეშვეობით. ნერწყვში არსებული ცოფის ვირუსი იჭრება ჭრილობაში, აქედან კი პერიფერიული ნერვების საშუალებით ცენტრალურ ნერვულ სისტემას — თავისა და ზურგის ტვინს აღწევს. დაინფიცირება შეიძლება მოხდეს ცხოველის ვირუსებით დაბინძურებულ ტყავთან შეხებისას, ასევე ჰაერწვეთოვანი გზით — ღამურებით დასახლებულ ადგილებში.

დაავადების ფარული პერიოდი (პირველი კლინიკური სიმპტომების გამოვლენამდე) გრძელდება 10 დღიდან 2 თვემდე, თუმცა იგი ზოგჯერ 5 დღემდე მცირდება, ან 1 წლამდე იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ დაავადებისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები შეიძლება დასნებოვნების შემდეგ სხვადასხვა ინტერვალით გამოვლინდეს. ფარული პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ნაკბენი ადგილის ლოკალიზაციაზე (რაც უფრო ახლოა ნაკბენი თავის ტვინთან, მით მოკლეა ინკუბაციური პერიოდი).

დაავადების პირველი ნიშნები თავდაპირველად კბენის ადგილებში აღინიშნება. ესენია — ქავილი, ტკივილი, რომელიც ნევრალგიური ხასიათისაა და მოიცავს ნაკბენი ადგილის მიმდებარე ნერვულ ქსოვილს. ავადმყოფი განიცდის უმიზეზო, უსაფუძვლო შიშს, იპყრობს განგაშის შეგრძნება, ზოგჯერ სევდა, აღენიშნება მომატებული მგრძნობელობა ბგერით და სინათლით გაღიზიანებაზე, ტემპერატურა 37-38⁰-მდე მატულობს.

ეს სიმპტომები შეესაბამება ე.წ. დაავადების მომასწავებელ სტადიას, რომელიც 1-3 დღე გრძელდება. ამის შემდეგ დგება დაავადების განვითარების სტადია, რომელიც ჰიდროფობიის (წყლის შიში) შეტევებით ხასიათდება. ავადმყოფს წყლის დალევის მცდელობაზე ან გამდინარე წყლის ხმაურზე ეწყება სახის კუნთების მტკივნეული კრუნჩხვა, უვითარდება ხორხის სპაზმი, ყოველივე ამას თან ერთვის ვისტოფობია (სინათლის შიში), ხმაურის შიში და ა.შ.

ავადმყოფების უმრავლესობა ამ სტადიაზე იღუპება სუნთქვისა და სისხლძარღვთა მამოძრავებელი ცენტრების უცაბედად განვითარებული დამბლით. თუ ადამიანი არ დაიღუპა, დაავადების მე-2 სტადია 1-3 დღის შემდეგ გადადის მე-3-ში (საბოლოო სტადიაში), რომელსაც პარალიტიკურს უწოდებენ. ეს უკანასკნელიც ავადმყოფის სიკვდილით მთავრდება.

მკურნალობის ეფექტიანი მეთოდი არ არსებობს.

*პროფილაქტიკური ღონისძიებები:*

— უპირველესად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოფის პროფილაქტიკას ცხოველებში. პროფილაქტიკური იმუნიზაცია უტარდებათ რისკ-ჯგუფის წარმომადგენლებს, ვეტერინარებს, მონადირეებს და სხვა.

— ადამიანის დაკბენის შემთხვევაში ცხოველი სპეციალურმა ბრიგადამ უნდა აიყვანოს დაკვირვება-კონტროლზე 10 დღის განმავლობაში.

— დაკბენილს უნდა გაეწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება.

— ნაკბენი თუ ნაკაწრი ჭრილობა კარგად უნდა გაიბანოს გამდინარე წყლით (უმჯობესია ნერწყვით დაბინძურებული ადგილების საპნიანი წყლით დაბანა — ვირუსი სწრაფად ინაქტივირდება სხვადასხვა ტუტე და მჟავა ხსნარების ზემოქმედებით).

— ჭრილობის კიდეები უნდა დამუშავდეს სპირტის ან იოდის ხსნარით, დაედოს სტერილური ნახვევი (სასურველი არ არის ჭრილობის გაკერვა, კიდეების მოკვეთა ან სხვა ქირურგიული მანიპულაციები).

— ავადმყოფს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სპეციალური ანტირაბიული ვაქცინაცია ცოფის წინააღმდეგ, ასევე ტეტანუსის — გაშეშების საწინააღმდეგო ექსტრემალური აცრა.

***მაია მუხიგული***

# გარეთ ატლასი, შიგნით ათასი...

ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ბიბლიური აკრძალული ნაყოფი ვაშლი კი არა, ბროწეული იყო...

ლათინურად მისი სახელი granatus ნიშნავს, „მარცვლოვანს“. ძველად, იმის გამო, რომ ერთი ნაყოფი შეიცავს საშუალოდ 400-700 მარცვალს, მიიჩნევდნენ ქორწინებისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ. მაგალითად, საბერძნეთში ქორწილის დროს პატარძალს მის მარცვლებს აყლაპებდნენ — რათა მას ბევრი შვილი ჰყოლოდა...

ბროწეული შეიცავს 14%-მდე ასკორბინის მჟავას, ხილის მჟავებს, C ვიტამინს, 90% შაქარსა და ტანინს. მისგან ამზადებენ წვენს, ღვინოს, პუნშს.



ყველაზე სასარგებლოა ხელით (და არა საწურში) ახალგამოწურული წვენი: მწიფე ბროწეული კანზე დაწოლით დაარბილეთ, შემდეგ მოაჭერით გვირგვინი და ხელითვე გამოწურეთ წვენი, ისე როგორც მწიფე ლიმონიდან.

ბროწეულის წვენი აუმჯობესებს ძარღვების ტონუსს, გარდაქმნის „ცუდ“ ქოლესტერინს „კარგ“ ქოლესტერინად, ამდიდრებს სისხლს ჟანგბადით, რითაც უწყობს ხელს ჰემოგლობინის დონის აწევას, აუმჯობესებს კანის, ღვიძლის, თირკმლების, ფილტვების, ელენთის, ფარისებრი და წინამდებარე ჯირკვლების რეგენარაციის პროცესს.

ტკბილი ჯიშის ბროწეულის წვენი სასარგებლოა ოპერაციისა და ინფექციური დაავადებების შემდეგ, კუჭ-ნაწლავის აშლილობისას (ფაღარათის), თირკმლების ქვალის (ჩხვლეტის) დროს.

მჟავე ბროწეული კარგია დიაბეტის დროს, თუკი ავადმყოფს არ აქვს რაიმე სპეციალური რეკომენდაცია, შეუძლია მიიღოს დღეში 3-ჯერ 1 ჭიქა, რომელსაც უნდა დაემატოს 1 ს/კ თაფლი.

საერთოდ, უმჯობესია წვენს დაამატოთ წყალი, ან დალიოთ კოქტეილის ჩხირით, რადგან მჟავე წვენი აღიზიანებს კუჭის ლორწოვანას და შლის კბილის ემალს.

*დაიხსომეთ!* ბროწეულის წვენი არ შეიძლება მიიღოთ კუჭის წყლულის, გასტრიტის (მაღალი მჟავიანობის) დროს. არანაკლებ სასარგებლოა ბროწეულის ქერქი, რომელიც შეიცავს ნახშირწყლებს, სტერეოიდებს, ფისს, ალკალოიდებს, ფენოლკარბოლმჟავებს, თრიმლავ ნივთიერებებს და ა.შ.

ბროწეულის ყველა პრეპარატს აქვს ზოგადგამაჯანსაღებელი, მასტიმულირებელი, კუჭის აშლილობისა და ანთებსაწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, სისხლდენის შემაჩერებელი, სიცხის დამწევი და ჭრილობების სწრაფად შეხორცების უნარი.

ქერქის ნახარში უნდა მიიღოთ ღვიძლის, თირკმლების, პირის ღრუს, სახსრების ტკივილის, მოტეხილობის, საშვილოსნოდან და ღრძილებიდან სისხლდენის, ფაღარათის, კოლიტისა და დიზენტერიის დროს.

*ნახარში ასე მზადდება:* აიღეთ 2 ჩ/კ ბროწეულის დაქუცმაცებული ქერქი, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 30 წუთი ადუღეთ წყლის ორთქლზე, გაწურეთ 2-3 ფენა მარლაში, დაამატეთ იმდენი მდუღარე წყალი, რამდენიც თავიდან იყო. მიიღეთ 1/4 ჭიქა ნახარში 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე.

ბროწეულის ქერქის ფხვნილს იყენებენ კანის ეპითელიის მთლიანობის დარღვევის დროს როგორც ზოგადგამაჯანსაღებელ საშუალებას, ახალი ნაყოფი ეფექტურია მიიღოთ ხველების, გაცივებისა და მალარიის დროს.

*დაიხსომეთ!* სანამ დაიწყებთ ბროწეულით მკურნალობას, საჭიროა ჩაატაროთ სამედიცინო გამოკვლევა და მიიღოთ ექიმის დანიშნულების მიხედვით. უკონტროლოდ მისმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა, სისუსტე, მხედველობის გაუარესება და ბევრი სხვა უსიამოვნება.

***ლიზა №40***

# ბანაობა – ნიშნავს მკურნალობას

აბაზანის მიღება ყოველდღე არ შეიძლება, რადგან კანი თბილ წყალში კარგავს ბევრ ცხიმს, შრება, განსაკუთრებით ზამთარში. ამიტომ სჯობს 2-3 დღეში ერთხელ მივიღოთ, თანაც ჭამამდე ან ჭამიდან 1,5-2 საათის შემდეგ, მხოლოდ 20-25 წუთით, წინააღმდეგ შემთხვევაში გული გადაიტვირთება. სჯობს თუ წყალი არ დაფარავს გულმკერდს. სამაგიეროდ, ძალიან სასარგებლოა წყალში მოძრაობა, ტანის ფრთხილად დაზელვა.

წყლის ტემპერატურა უნდა იყოს 37-38⁰. აბაზანა ეხმარება ორგანიზმს გაუმკლავდეს დაღლილობას, დეპრესიას, სხვადასხვა უძლურებას. თბილი აბაზანა, თუ სწორად შევარჩევთ დანამატს, უხდება სახსრების დაავადებებს, ნერვებს, აჩქარებს მძიმე ავადმყოფობის და ტრავმების შემდეგ გამოჯანმრთელებას.

მარილებით, ზეთით და მცენარეული დანამატებით გაჯერებული აბაზანის პროცედურები არა მარტო სასარგებლო, სასიამოვნოცაა. მარილის აბაზანები რგებს ნევრალგიით, ეგზემით, ფსორიაზით, სახსრებით დაავადებულებს, კარგია ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას.

ქრონიკულ და სწრაფ დაღლილობას შველის თბილ წყალში ჩამატებული 5-6 წვეთი ჩაის ხის ზეთი. ვარდის ზეთი ეხმარება ჭრილობის შეხორცებას, ხსნის ნერვიულ დაძაბულობას; ცელულიტის შემთხვევაში წყალს დაუმატეთ 3-5 წვეთი გრეიპფრუტის ან წითელი ფორთოხლის ზეთი, თუ მშრალი კანი გაქვთ, იხმარეთ ვარდის, ბრონქიტის და გაცივებისას როზმარინის და ლავანდის ზეთი. მთავარია, ზედმეტი არ მოგივიდეთ, 2-6 წვეთი საკმარისია.

ვინც ალერგიისკენაა მიდრეკილი, აწუხებს კანის დაავადება, ეგზემა ან დერმატიტი, სჯობს იხმაროს აფთიაქის გვირილა. ანთებითი პროცესების დროს კარგია არყის კვირტები. დამამშვიდებლად მოქმედებს ბარამბო, ხსნის დაღლილობას, დაძაბულობას, წიწვის ექსტრატი აუმჯობესებს ძილს.

***მეგაპოლისის ნოვოსტი №39***

## ევროპელები ბუშის წინააღმდეგ

საპრეზიდენტო არჩევნებისწინა ორთაბრძოლას, კერისა და ბუშის გუნდებს შორის, არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ ევროპაშიც ინტერესით ადევნებენ თვალყურს. ექსპერტთა შეფასებით, ევროპელებს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა რომ შეეძლოთ, ჯორჯ ბუშის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა, მაგრამ მათ ამის საშუალება არ აქვთ და ამიტომ გადაწყვიტეს, ბუშის დასამარცხებლად ამერიკელ ამომრჩეველზე „ვირტუალურად იმოქმედონ". აქ საგანგებო საიტიც კი გაიხსნა, სადაც ყოველდღიურად სამასზე მეტი



ევროპელი აქვეყნებს წერილებს. ისინი ასაბუთებენ, რომ სწორედ ბუშის „დამსახურებაა", რომ მსოფლიო ნაკლებად უსაფრთხო გახდა. საიტზე ვირტუალური არჩევნების ყუთიც კი „დგას", რომელსაც ყოველ ოთხ დღეში ერთხელ ხსნიან და შედეგებს აქვეყნებენ. ჯერჯერობით ბუშისადმი კეთილგანწყობილი ევროპელთა მხოლოდ 15%-ია. არავინ იცის, იმოქმედებს თუ არა ამ საიტის (და საერთოდ ევროპელთა) ანტიბუშური განწყობილება ამერიკელ ამომრჩეველზე, მაგრამ თუკი ბუში გაიმარჯვებს, კარგად ეცოდინება, რომ ბებერ ევროპას ის თვალში არ მოსდის.

*შტერნი*

## „ეტა" სულს ლაფავს?!

მარტში მადრიდის სარკინიგზო სადგურში მომხდარი ტერაქტი თავდაპირველად ბასკურ ტერორისტულ ორგანიზაცია „ეტას" დაჰბრალდა. იმ დღიდან არც ისე დიდი დროა გასული, მაგრამ ეს პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ ორგანიზაციისთვის თვით ბასკებსაც კი მტრულად შეეხედათ. ნაწილობრივ ეს იმ ტერაქტმაც განაპირობა, რომელიც „ეტამ" ბასკურ ქალაქ ირენში განახორციელა. მაშინ ტერორისტებმა ელექტროსადგური ააფეთქეს და ორი კვირით ქალაქი ელექტრობის გარეშე დატოვეს. ირენელებმა ყველა თანამოქალაქე, ვინც „ეტასთან" თანამშრომლობაში იყო შემჩნეული, სასტიკად სცემეს და ქალაქი დაატოვებინეს. ექსპერტების ვარაუდით, ერთ დროს ძლევამოსილი ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ბასკეთის ესპანეთისაგან გამიჯვნას ისახავდა და ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ ტერაქტებს აღიარებდა, სულ უფრო სუსტდება და მომხრეებსაც კარგავს. ბასკთა ინტელექტუალური ლიდერი, პაბლო სეტიენიც კი აცხადებს, — „ეტა" იმ ყოფილ მოკრივეს მოგვაგონებს, რომელსაც ძველი წარმატებებით თავბრუ აქვს დახვეული და მხოლოდ უხილავ მტერს ულერებს მუშტებსო.

*ნიუზუიქი*

სამშაბათს ღია
ლექციას თემაზე
«ეროვნული ცნობიერების
საფუძვლები»
გამართავს ბ-ნ თემურ ქორიძე,
დასაწყისი 14[00]
მის: გ. ფანჯიკიძის ქ. №1[ბ]
(ყოფ. ბუდაპეშტის ქ. )
☎ 37-18-29; 29-40-70 Fax: 38-40-72

## ლუკაშენკოს ერის მამობა სურს

სულ რამდენიმე დღის წინ ბელორუსიის პრეზიდენტს მხოლოდ ორი წელი რჩებოდა ვადის დამთავრებამდე, ახლა კი რამდენ ხანსაც სურს, იმდენ ხანს იპრეზიდენტებს. რეფერენდუმზე ამომრჩეველთა უდიდესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტობის ვადის შეუზღუდაობას. ასე რომ, „ბატკა" კიდევ კარგა ხანს აუშლის ბევრს ნერვებს, დასავლეთს რუსეთთან კავშირით დაემუქრება, რუსეთს — დასავლეთთან დამეგობრებით, არც ერთ სერიოზულ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს (მაგალითად, ერთიან ეკონომიკურ სივრცეზე), დროდადრო კრემლს წაეჩხუბება, თუმცა მალევე დაუტკბება — რუსები და ბელორუსები ძმები ვართ, ჩვენი კინკლაობა რა სათქმელიაო!

დასავლეთი ლუკაშენკოს აუცილებლად მონათლავს უზურპატორად, შემოიღებს სანქციებს ბელორუსიის წინააღმდეგ და ეს რუსეთის ხელისუფლებას დიდ მორალურ, შესაძლოა მატერიალურ ზარალსაც მიაყენებს. თუმცა კრემლმა, ჩანს, მაინც ლუკაშენკოს პრეზიდენტობა ამჯობინა. თანაც რუსეთს ახლა ბელორუსიისათვის ნაკლებად სცალია — საფიქ-



რალია კავკასია, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები, რეფორმები... ამასთან, რუსეთის გაზი ევროპაში „ბატკას" გავლით მიდის. მაშ, რატომ ეჩხუბოს ბელორუსებს, თუ უნდათ, ჰყავდეთ თავიანთი ლუკაშენკო.

საბჭოთა ტრადიციებზე აღზრდილი პრეზიდენტები კი უკვე ერის მამობას იჩემებენ.

*კომსომოლსკაია პრავდა*

## მოკლეს „ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერი

ისრაელის არმიამ გაანადგურა „ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერი, 37 წლის ადნან ალ-გული და მისი მოადგილე იმად აბასი. სპეცსამსახურები კარგა ხანია ეძებდნენ ალ-გულის, მეტსახელად „მექანიკოსს". იგი, აბასთან ერთად, „ყასამის" რაკეტების წარმოებას ხელმძღვანელობდა. ამ რაკეტებს პალესტინელი რადიკალები ღაზის სექტორიდან ისრაელისკენ ისროდნენ. ალ-გული და იმად აბასი „ჰამასის" შეიარაღებულ აქციებშიც მონაწილეობდნენ.

პალესტინის მთავრობამ გააკიცხა ისრაელი „ჰამასის" ლიდერის მკვლელობისათვის — ეტყობა, ისრაელი კონფლიქტის გადაჭრას მხოლოდ სამხედრო მეთოდებით აპირებსო.

რამდენიმე დღით ადრე პალესტინელმა მებრძოლებმა ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით გაუშვეს რაკეტა „ნასერ-3". ისრაელის ოფიციალური პირების თქმით, რაკეტა დაუსახლებელ ტერიტორიაზე ჩამოვარდა და არავინ დაზარალებულა.

დანაკარგი არ ამცირებს დაჯგუფება „ჰამასის" საბრძოლო შემართებას. სხვათა შორის, მოძრაობის ხელმძღვანელობამ ახლახან კონკურსი გამოაცხადა პალესტინის ავტონომიის ჰიმნის მუსიკისა და ტექსტის შესაქმნელად.

## არაფატი ცუდადაა...



ეგვიპტელ ექიმთა ჯგუფი პალესტინის ლიდერის, იასირ არაფატისთვის დახმარების აღმოსაჩენად რამალაში ჩავიდა. 15 ოქტომბრიდან მოყოლებული, არაფატი იმდენად ცუდად გრძნობს თავს, რომ რამადანის დაწყებასთან დაკავშირებით დალოცვის მისაღებად მისული დელეგაციაც კი ვერ მიიღო.

ისრაელის საინფორმაციო საშუალებებს არ სჯერა იასირ არაფატის ავადმყოფობის ამბავი: არასასურველი შეხვედრებისთვის თავის ასარიდებლად პალესტინის ლიდერს წარსულში არაერთხელ მოუმიზეზებია უქეიფობა. ზოგჯერ მას ავადმყოფად იმიტომ აცხადებენ, რომ მოხუცი სნეულის მიმართ საზოგადოების თანაგრძნობა გამოიწვიონო.

ექსპერტების აზრით, ამჯერად არაფატმა ავადმყოფობა ისრაელზე ევროკავშირის ზეგავლენის გასაძლიერებლად გამოიყენა. საქმე ის არის, რომ ევროპელები ისრაელის მთავრობას სთხოვენ, დაიწყოს პალესტინის ლიდერთან მოლაპარაკებები. ამის სანაცვლოდ, ევროკავშირს სურს, არაფატმა უფლებამოსილების ნაწილი დაუთმოს ავტონომიის პრემიერ-მინისტრს, აჰმედ ყურეის.

სხვა მოსაზრებით, ღაზის სექტორში ერთმანეთს შეეჯახა პალესტინელთა ორი შეიარაღებული დაჯგუფება. ისრაელის საინფორმაციო საშუალებები წერენ ავტონომიის ხელმძღვანელობაში არსებულ უთანხმოებაზე და ვარაუდობენ, თუ რა მოხდება ღაზის სექტორში იქიდან ისრაელის ჯარის გამოყვანის შემდეგ.

არაფატი კი ამ დროს ცუდად არის...

შესაძლოა, პალესტინელ „მაგარ" ბიჭებს კიდეც მისცენ ქუჩის შეჯახებაში მონაწილეობის უფლება, მერე კი იასირ არაფატი გამოჯანმრთელდეს და სიტუაცია განმუხტოს.

აი, მაშინ კი დაინახავს მსოფლიო, ვინ არის პალესტინაში მთავარი!

*ნიუს რუ*

## ინდოელი რობინ ჰუდი

ამ ულვაშა კაცს, რომელიც ძალიან ჰგავს ეკრანულ ყაჩაღს, ინდოეთის ხელისუფლება თითქმის 30 წელი ეძებდა. მუნისვამი ვირაპაპანა რობინ ჰუდივით ვერაფრით მოიხელთეს, მას ადგილობრივი მოსახლეობა მალავდა, მაგრამ არც „ჯუნგლების პატრონი" რჩებოდა ვალში — ნაძარცვს უნაწილებდა მათ. თუმცა, ბოლოს და ბოლოს მოუხელთებლებსაც იჭერენ. ტამილნადის შტატის ხელისუფლება, რომელმაც ბანდიტზე ნადირობას ამ წლების განმავლობაში 30 მლნ დოლარზე მეტი დაახარჯა, როგორც იქნა, კვალში ჩაუდგა



მუნისვამის, რომელსაც თანამოაზრეებიც ახლდა. პოლიცია ტყეში დაადგა თავს ყაჩაღებს და დანებება შესთავაზა, მაგრამ მათ ცეცხლი გაუხსნეს. 20-წუთიანი შეტაკების შემდეგ ლეგენდარული ბანდიტი მოკლეს.

ვირაპაპანას 2000-ზე მეტი სპილო ჰყავს მოკლული. სპილოს ძვლითა და სანდალოზის ხის ვაჭრობით საარაკო ქონება შეიძინა. კონტრაბანდის გარდა, მას 120 კაცის, ძირითადად, პოლიციელებისა და მეტყევეების მკვლელობაში ადანაშაულებენ.

მსოფლიო მასმედიის ყურადღება ინდოელმა განგსტერმა უკანასკნელად 4 წლის წინ მიიქცია, როცა ინდური კინოს ვარსკვლავი, 73 წლის რაჯ კუმარი მოიტაცა და გამოსასყიდი — 1 მლნ დოლარი მოითხოვა. 3-თვიანი მოლაპარაკებების შემდეგ კუმარი გაათავისუფლეს, ყაჩაღმა კი 1 მლნ მიიღო. მეორე ტყვეს, შტატის სახელმწიფო მინისტრ კარნატაკს, არ გაუმართლა — გათავისუფლებამდე გარდაიცვალა.

არავინ იცის, მიიღებენ თუ არა ვირაპაპანას ლიკვიდაციის მონაწილეები შეპირებულ 5 მლნ რუპიას, სამაგიეროდ, კინემატოგრაფს მშვენიერი მასალა მიეცა ინდოელ რობინ ჰუდზე ფილმის გადასაღებად.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი*

## მოკლედ

**იაპონიაში** ტაიფუნმა „ტოკგემ" 44 კაცის სიცოცხლე შეიწირა, 200 — დაშავდა. საპორტო ქალაქ ფუსიკის ახლოს ჩაიძირა რუსეთის თბომავალი. გემმა ვერ მოასწრო ზღვაში გასვლა, ქარიშხალმა იგი ნაპირს მიახეთქა. გემზე მყოფნი გადარჩნენ. კაგავას, კიოტოს, ოკაიამას და ოკინავას პრეფექტურებში მეწყერმა წალეკა სახლები, ზოგან მცხოვრებლებმა იქაურობის დატოვება ვერ მოასწრეს. წყნარი ოკეანის თითქმის მთელ სანაპიროს ასკდება 10-12 მ სიმაღლის ტალღები, იკარგებიან ხნიერი ადამიანები, რომლებიც შესაძლოა ან ქარიშხალმა წააქცია, ან კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარეებმა გაიტაცა.

**აშშ-ში** 97 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე პოლ ნიტცე. ის იყო ავტორი თეთრი სახლის საიდუმლო რეზოლუციისა, რომელმაც საფუძველი დაუდო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცივ ომს. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის განცხადებაში ნათქვამია: — პოლ ნიტცე იყო ამერიკის საშინაო და თავდაცვის პოლიტიკის გიგანტი.

**მინსკში** მოკლეს ცნობილი ბელორუსი ჟურნალისტი ვერონიკა ჩერკასოვა, რომელიც ქვეყანაში სექტების საქმიანობას იკვლევდა.

**ჯორჯ ბუშმა** ხელი მოაწერა კანონს, რომლის თანახმად, ჩრდილოკორეელ პოლიტიკურ ემიგრანტებს მნიშვნელოვანი დახმარება გაეწევათ. სამართალდამცავ ორგანიზაციებს, რომლებიც მათ უფლებებს დაიცავენ, წელიწადში 24 მლნ დოლარით დააფინანსებენ. თეთრი სახლი ირწმუნება, — ეს კანონი ჩრდილოეთ კორეაში ადამიანის თავისუფლების იდეის დასანერგად მივიღეთო. ფხენიანი კი აცხადებს, — ეს არის ბუშის ადმინისტრაციის მტრული პოლიტიკის მორიგი ეტაპი, რომლის მიზანი კორეის კომუნისტური წყობის დამხობააო.

**ერაყელმა** ამბოხებულებმა კვლავ დაარტყეს ნავთობის ინფრასტრუქტურას, ამჯერად ქალაქ კირკუკის მახლობლად ააფეთქეს ნავთობსადენი. ნავთობსადენებს და გადასაქაჩ კვანძებს ათასობით პოლიციელი იცავს, მაგრამ მეამბოხეები არ ცხრებიან და, კვირა არ გავა, რომ ნავთობის ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვანი ზიანი არ მიაყენონ.

**ჩინეთის** ერთ-ერთი ცენტრალური რაიონის ქვანახშირის შახტში გაზის აფეთქებას 56 კაცი ემსხვერპლა, დაკარგულია 96 ადამიანი. ჩინეთში ქვანახშირზე იმდენად დიდი მოთხოვნილებაა, რომ ფეთქებადსაშიშ შახტებშიც აგრძელებენ მის მოპოვებას. აფეთქების მომენტში მაღაროში 400-ზე მეტი კაცი იმყოფებოდა.

**78 წლის ფიდელ კასტრო,** ქალაქ სანტა-კლარაში, ცნობილი რევოლუციონერი-ინტერნაციონალისტის, ერნესტო ჩე გევარას საფლავთან გამართულ მიტინგზე, სცენიდან ჩამოსვლის დროს წაიქცა და ფეხი იტკინა. იგი კლინიკაში წაიყვანეს. კასტროს პირადმა ექიმმა განაცხადა, — აშშ-ის გაზეთები ცრუობენ, ფიდელი თავს ცუდად გრძნობს. ის ჯანმრთელადაა და ამაოა იმაზე ლაპარაკი, თითქოს მისი ერა მალე დამთავრდებაო.

ფიდელ კასტრო კუბას 1959 წლიდან მართავს, რევოლუციის შემდეგ, რომელმაც დიქტატორი ბატისტა დაამხო.

**იუგოსლავიის** ყოფილმა პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა ჰააგის ტრიბუნალის სააპელაციო კომისიას სასამართლოში საკუთარი თავის დაცვის უფლება სთხოვა. მილოშევიჩს ბრალი ედება იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991-95 წლებში ჩადენილ სამხედრო დანაშაულში, ის კი ნატოს ადანაშაულებს — ალიანსმა ეს პროცესი საკუთარი დანაშაულის მისაჩქმალავად წამოიწყოო.

**აშშ-ის** ყოფილ პრეზიდენტს ბილ კლინტონს გაეროს გენერალური მდივნობა სურს. ამჟამინდელი გენერალური მდივნის კოფი ანანის მუშაობის ვადა ერთ წელიწადში იწურება, მაგრამ მისი სავარძლისათვის ბრძოლა უკვე დაიწყო. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ბილ კლინტონი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას პრესტიჟს შემატებს და გაზრდის მის ავტორიტეტს.

**გაერომ** უარი უთხრა ერაყის დროებით მთავრობას სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესის ჩატარებაში დახმარებაზე, იმ საბაბით, რომ ერაყში სიკვდილით დასჯა გაუქმებული არ არის.

შარშან გაერომ დახურა თავისი მისია ბაღდადში ტერაქტის შემდეგ, რომლის შედეგადაც დაიღუპა თანამშრომლები. რამდენიმე ხანში მუშაობა განაახლა, მაგრამ ძალიან შეამცირა თანამშრომელთა რაოდენობა.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

„ტრანსერვისის" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტელ. 966-779

შპს „გეოქორი"
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად

მის: აკურის ქ. №8
(საბურთალოს სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი"
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
უმაღლესი
ხარისხის
პროფილით
სხვადასხვა
ფერები და
საკეტები
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი"-ს უკან)

# ვის და როგორ აზარალებს ფალსიფიკაციის პრობლემა



პროდუქციის ხარისხის კონტროლის ერთ-ერთი ქართველი ექსპერტი ამას წინათ აღტაცებული მიამბობდა ერთ შემთხვევას, რომელსაც უცხოეთში თავად შეესწრო. თურმე საკვები პროდუქტების მწარმოებელ კომპანიაში მუშამ შესვენების დროს ხელი სახეზე მოისვა და ისე, რომ სადეზინფექციო სითხე არ გადაუვლია ხელებზე, საქმე გულარხეინად განაგრძო. ამის გამო იგი სამსახურიდან დაითხოვეს. მსგავს შემთხვევაში საქართველოში, სადაც ბაზარი ფალსიფიცირებულ და ეკოლოგიურად უვარგის პროდუქციას მიაქვს, ჰიგიენური წესების იგნორირებისათვის მუშას საყვედურსაც არავინ ეტყვის. საქართველოში მომრავლებულ ე. წ. „ცეხების" მფლობელებს წარმოებული პროდუქციის ხარისხი და მომხმარებლის ჯანმრთელობა კი არა, მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელება აინტერესებთ, ისიც როგორ — ქურდულად. ცნობილი კომპანიების სახელს ამოფარებულები სახელმწიფოსაც აზარალებენ, მომხმარებელსაც და პატიოსანი მწარმოებლის ბიზნესსაც ძირს უთხრიან. ასე გრძელდება უკვე წლების განმავლობაში და გაყალბებულ, ათასგვარი მაქინაციით დამზადებულ პროდუქტს მგონი ისე მიგვაჩვიეს, რომ უკვე ხარისხის გარჩევისა და კარგი გემოს შეგრძნების უნარიც დავკარგეთ და აღარც პროტესტის გრძნობა გვიჩნდება. მომხმარებლისგან განსხვავებით კი პროტესტი დღითი დღე მწიფდება ცნობილ ქართულ კომპანიებში.

ძნელი სათქმელია, საქართველოში მომრავლებულ საპროტესტო აქციებს დაემატება თუ არა ცნობილი ქართული კომპანიების საპროტესტო აქციები ფალსიფიკაციის პრობლემის გამო, მაგრამ ამის „ჩანასახი" რომ უკვე არსებობს, ფაქტია. კომპანია „გრების" გენერალური დირექტორის მოადგილის, გიორგი კუტალაძის განცხადებით, ძნელია განსაზღვრო, როგორ უნდა მოგვარდეს გლობალურად ფალსიფიკაციის პრობლემა. მაგრამ სანამ პანაცეა მოიძებნება, ისევ ლიცენზირებული პროდუქციის მწარმოებელმა უნდა იზრუნოს, რომ მისი საქონელი გაყალბებისაგან სხვადასხვა მეთოდით მყარად იქნეს დაცული. თუმცა „გრებიც" და სხვა ცნობილი ქართული კომპანიებიც ერთსულოვნად მიიჩნევენ, რომ თუ სახელმწიფომ არ ითამაშა გადამწყვეტი როლი, თითოეული კომპანიისათვის ცალ-ცალკე მთელი ქვეყნის მასშტაბით ფალსიფიკაციასთან ბრძოლა ძნელი და, ფაქტობრივად, ქარის წისქვილებთან შერკინების ტოლფასია.

ქართული მინისა და მინერალური წყლების კომპანიის დირექტორი **ბადრი ჯაფარიძე:**

— რუსეთში იმდენად ეფექტიანად წარიმართა ფალსიფიკაციასთან ბრძოლა, რომ „ბორჯომის" ექსპორტიორებს დღეს პრობლემა აღარ გვაქვს. უკვე თითქმის ვეღარსად წააწყდებით გაყალბებულ „ბორჯომს". ფალსიფიკაციის პრობლემა სხვა ცნობილ კომპანიებსაც, მათ შორის „ნესტლეს", „ნესკაფეს", „ჟილეტსა" და „პროქტერ ენდ გემბელსაც" აწუხებდათ. ამიტომ ყველანი გავერთიანდით და რუსეთში (საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაშიც) შევქმენით „სახელის დაცვის ჯგუფი", რომლის ძალისხმევით რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. გავმართეთ სარეკლამო კამპანია — თუ რა ზიანი მოაქვს ფალსიფიცირებულ პროდუქციას. შედეგი საინტერესო აღმოჩნდა. იმავე ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი საქართველოშიც. ცნობილი სახელების ფალსიფიცირების შემთხვევაში სადამსჯელო სანქციები უნდა გამკაცრდეს. ფალსიფიცირებული პროდუქცია უნდა განადგურდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვისაც.

კომპანია „კოდას" გენერალური დირექტორი **თამაზ კალანდაძე:**

— თუ სახელმწიფო ამ პრობლემას კომპლექსურად და სისტემურად არ მიუდგა, რაც უნდა ძლიერი იყოს ესა თუ ის კომპანია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებენ ფალსიფიცირებული პროდუქციის დარტყმისაგან თავის დაღწევას. ჩვენ რა რესურსები გვაქვს? — შეიძლება ვაწარმოოთ პიარკამპანია, რითაც მყიდველზე განსაზღვრულ იდეოლოგიურ ზეგავლენას მოვახდენთ, მაგრამ ეს ძალზე ძვირი სიამოვნებაა ჩვენს სინამდვილეში. ბრძოლის მთელი სიმძიმე მხოლოდ ჩვენზე, კომპანიებზე გადმოდის. ხარისხიან პროდუქციას, რომლის წარმოებაც საკმაოდ ძვირი გვიჯდება, თვითღირებულების ფასთან შედარებით იაფად ვყიდით და ამით მოგების მნიშვნელოვან ნაწილზე უარს ვამბობთ. ელემენტარული მოგების პირობებში კი სარეკლამო კამპანიის ფართოდ წარმოება ჩვენთვის პერსპექტიულ პროცესს აღარ წარმოადგენს. ამიტომ, თუ სახელმწიფოსგან დაცული ვიქნებით მთელი რიგი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ბერკეტებით, ადგილობრივი წარმოება მნიშვნელოვნად განვითარდება და ეს მარტო ჩვენს კი არა, უპირველესად სახელმწიფოს წისქვილზე დაასხამს წყალს...

...სანამ სინათლის სხივი გამოჩნდება და საქმეს ეშველება, კომპანიებიც და მომხმარებელიც ორი სახის ფალსიფიკაციის „მსხვერპლი" ხდება. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს წმინდა წყლის ფალსიფიკაციასთან, როცა დავუშვათ, „საფერავის" ნაცვლად უხარისხო ღვინო შეგრჩებათ ხელთ. მეორე შემთხვევაში კი შეიძლება იყიდოთ ბორჯომის საბადოდან ჩამოსხმული, მაგრამ უკანონოდ და ჰიგიენური და სანიტარული წესების დაუცველად მოპოვებული წყალი, რომელიც ბევრად იაფი ღირს ლიცენზირებულ „ბორჯომთან" შედარებით.

კომპანია „გრები", **გიორგი კუტალაძე:**

— ჩვენ მიერ გამოშვებული პროდუქციის ატრიბუტიკა რომ ვერ გამოიყენონ ფალსიფიკატორებმა, გამოშვებული პროდუქციის თითოეულ ქილას ხუფზე სპეციალური აპარატის საშუალებით თარიღის მარკირებას ვუკეთებთ. ეტიკეტზე დატანილი გვაქვს დამცავი საშუალება, რომლის დანახვაც შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია. მინიშნებული გვაქვს შტრიხკოდი, ჩვენი ფირმის სამარკო ნიშანი, ცალკეულ პროდუქტს კი ვათავსებთ ლითოგრაფირებულ თუნუქის ქილებში, რომელთა ფალსიფიკაცია ძნელია. ამით მოვახერხეთ მინიმუმამდე დაგვეყვანა ფალსიფიკატორების მიერ ჩვენი სამარკო ნიშნის გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ ბაზარზე არსებობს მეორე სერიოზული პრობლემა. საკმაოდ მრავლად გამოჩნდნენ ფალსიფიკატორები, რომლებმაც ე.წ. „ცეხებში" დაიწყეს კუსტარული მეთოდით ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოშვება და ასაღებენ როგორც ირანიდან, თურქეთიდან ან სხვა ქვეყნებიდან შემოტანილს. მათ მიერ ყოველგვარი ტექნოლოგიური ნორმების გათვალისწინების გარეშე მზადდება მდარე ხარისხის (ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობისათვის საშიშიც კი) ტომატპასტები. ბუნებრივია, კუსტარულ წარმოებას არა აქვს არავითარი შესაძლებლობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შესამოწმებლად. ფალსიფიცირებული პროდუქცია ხშირ შემთხვევაში იყიდება დაბალ ფასად. გული გვწყდება, რომ მოსახლეობის ნაწილი იმას ყიდულობს, რასაც ახლოსაც არ უნდა ეკარებოდეს.

— **ამას ალბათ უხარისხო პროდუქციის დაბალი ფასები განაპირობებს.**

— ფართო მასების დაბალი მსყიდველობითუნარიანობაც გათვალისწინებული გვაქვს. ამიტომაც ჩვენი პროდუქციის საბითუმო ფასი ადგილობრივ ბაზარზე მაღალი არ არის, მაგრამ სამომხმარებლო ბაზარზე გასაყიდი ფასი შემაშფოთებლად გაზრდილია. კონკრეტული მაღაზიები თვითნებურად ზრდიან ფასებს. ამიტომაც გადავწყვიტეთ, მომხმარებელს, მათივე ინტერესების დასაცავად, ჩვენი პროდუქციის სარეალიზაციო ფასი პრესის საშუალებით გავაცნოთ. ავამუშავებთ „ცხელ ხაზს" და მომხმარებელს მუდმივად ექნება საშუალება, ნებისმიერი ინფორმაცია მიიღოს ჩვენ მიერ წარმოებულ პროდუქტზე.

ფალსიფიცირებული პროდუქციის დაბალი ფასები მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ქართული ღვინის მწარმოებელ ცნობილ კომპანიებს და, რაც მთავარია, ქართულ ღვინოს უტეხს სახელს. სამწუხაროდ, ერთი და ორი ბახუსის მოყვარული არ მინახავს უხარისხო, ფალსიფიცირებული ღვინისაგან მოწამლული, მკერდზე მჯიღს რომ იბაგუნებდა და გაიძახოდა, ამა და ამ (ცნობილი) კომპანიის ღვინოს აღარ გავეკარებიო. არადა, ოდნავი დაკვირვებაც საკმარისი იყო, რომ მყისვე შეემჩნიათ მომწამვლელი ღვინის ბოთლზე მიკრული ნაჩალიჩარი „ეტიკეტი", რომელიც ვერც სახელს ამართლებდა და ვერც ხარისხს.

კომპანია „თბილღვინოს" აღმასრულებელი დირექტორი **ზურა მარგველაშვილი:**

— კონკრეტული მწარმოებლის ეტიკეტით ხშირად ნახმარ ბოთლებშიც ასხამენ დაბალი ხარისხის ღვინოს, სტამბაში ბეჭდავენ ჩვენსას მიმსგავსებულ ეტიკეტებს. განსაკუთრებით სავალალო სიტუაციაა რუსეთში, ვაიქართველ ღვინის მწარმოებლებს გათვლილი აქვთ, რომ დაბალი მსყიდველობითუნარიანი რუსი მომხმარებლისთვის მთავარია ბოთლს ცნობილი ქართული ღვინის ეტიკეტი ჰქონდეს და შიგ რა ესხმება, არც მყიდველს ანაღვლებს და არც გამყიდველს. ეს ქართულ მეღვინეობას უთხრის ძირს. მაშინ, როცა ჩვენ და რამდენიმე ცნობილი კომპანია ერთი კგ საფერავის მაღალხარისხოვან ყურძენში 2 ლარამდე ვიხდით (საიდანაც მხოლოდ ნახევარი ლიტრი მაღალხარისხოვანი მასალა მიიღება), ვაიმეღვინეები 50-60 თეთრად ჰიბრიდულ ყურძენს ყიდულობენ და მისგან დაყენებულ უხარისხო ღვინოს „საფერავს" უწოდებენ. ახლაც თაროზე მიდევს „თბილღვინოს" „საფერავიც" და თვითმარქვია „საფერავიც" და სასაცილო თუ სატირალია, რომ ორივეს საფერავი ჰქვია.

— **ქართული ღვინის ფალსიფიკაცია წლების განმავლობაში ტრიუმფით მიდის, ნუთუ ვერ მოიძებნა მექანიზმი, რომელიც თუ საბოლოოდ არა, გარკვეულწილად მაინც დაარეგულირებს ამ პრობლემას?**

— უნდა ამოქმედდეს კონტროლის მკაცრი მექანიზმი და ყურძენი კონკრეტული ღვინის მარკისთვის შესაფერისი უნდა იყოს, როგორც კანონი ითვალისწინებს. ამის გაკონტროლება იოლი არ არის, მაგრამ მაინც გვაქვს იმედი, რომ რახან ქვეყნის ხელისუფლება დაინტერესდა, პრობლემები მოგვარდება. ვაიმეღვინეებს კი სინდისმა უნდა შეაწუხოს, თორემ ვერავინ დაუშლის მათ დაბალხარისხოვანი და იაფი ღვინოების წარმოებას. იყიდოს იაფი ყურძენი, გააკეთოს იაფი ღვინო და დაარქვას მას თავისი სახელი და ნუ დაარქმევს „ქინძმარაულს", „საფერავს"... თუ დაუჯდება წარმოება ლარზე ნაკლები, გაყიდის იაფად, ოღონდ ნუ იტყვის, რომ მისი ღვინო ნამდვილია. იმის მითვისებას ნუ დაიწყებს, რაც მას არ ეკუთვნის. თუ ბაზარზე დამკვიდრდება, მაგაშიც ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ქართულ მეღვინეობას ნუ უთხრის ძირს. რაც შეეხება ღვინის ხარისხს, ჩემი აზრით, ეს მიუკერძოებელმა, პროფესიონალმა სპეციალისტებმა უნდა გააკონტროლონ, მუდმივად უნდა ხდებოდეს ბოთლებში ჩამოსხმული ღვინის შემოწმება როგორც კომპანიების საწარმოებში, ისე სარეალიზაციო ქსელებში და აღარც ბიუჯეტი დარჩება ძირგამოთხრილი და ქართული ღვინის ფალსიფიკაციასაც ერთხელ და სამუდამოდ დაესმება წერტილი.

ქართული მინისა და მინერალური წყლების კომპანია, **ბადრი ჯაფარიძე:**

— თუ საზოგადოების მიდგომაც არ შეიცვალა, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ჩიხში ყოფნა. ხშირად გამიგია ფალსიფიკატორების და კონტრაბანდისტების გამამართლებელი „არგუმენტები", უჭირთ და, აბა, რა ქნანო, ეს რა გამართლებაა? მაშინ კერძო ქონების დატაცებაც ასე უნდა გაამართლო. არც მე მგონია, კაცი რომ სხვის სახლში საქურდლად მიდის, მას ულხინდეს. გაიძახიან, როცა ყველაფერი დალაგდება, ქვეყანაც აყვავდება და ფალსიფიკაცია და კონტრაბანდაც აღარ იარსებებსო. ქვეყანა ვერასოდეს აყვავდება, თუ ყველგან კანონის უზენაესობა არ დამყარდა. ფალსიფიკატორების გამოსავლენად ფინანსურ პოლიციასთან ერთად ვატარებთ ხოლმე აქციებს, ამის შემდეგ „ცეხავიკები" ქარხანას გვიბლოკავენ ან სხვაგვარად ახორციელებენ საბოტაჟს ჩვენი წარმოების მიმართ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ გამკითხავი არავინ არის...

ქართველი მწარმოებლების გულისტკივილს საზღვარი არ აქვს. მათ დაუსრულებლად შეუძლიათ საუბარი იმ უამრავი პრობლემის შესახებ, რომელიც არა მარტო მათ, არამედ ჩვენც გვაყენებს დარტყმას.

P. S. ერთი სასიამოვნო ნიშანი შევამჩნიე ყველა მეწარმეს საუბარში — სირთულეების მიუხედავად, ოპტიმიზმი და მომავლის იმედი არ ტოვებთ, რაც მეც იმედს მაძლევს, რომ დღეს თუ არა ხვალ ყოველგვარი ეჭვისა და შიშის გარეშე ვიყიდით ხარისხიან ქართულ პროდუქტს.

*ეკა ლომიძე*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 23 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8450 |
| ევრო | 2,3299 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3730 |
| რუსული რუბლი | 0,0636 |
| თურქული ლირა **(1.000.000)** | 1,2479 |



# ცხოვრებისეული კურიოზები



## 1. ხათრიანი მილიციელის ამბავი

ჩვენი ხუმარა ძმაკაცი შალიკო გვიყვება (ადრე მილიციაში მუშაობდა):

— ერთხელაც, მორიგი დავალების შესრულების შემდეგ მოვდივარ ღიღინ-ღიღინით ჩემი მოტოციკლით. საგიჟეთს რომ მივუახლოვდი, ვხედავ, რკინის ღობის იქით ყელგამოწვდილი დგას ერთი კაცი (ჰგავს და არც ჰგავს გიჟს) და რაღაცას მანიშნებს. გავაჩერე მოტოციკლი და ახლოს მივედი. მითხრა:

— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, მე ნამდვილი გიჟი ვარ, ქენი სიკეთე და ეს წერილი ჩემებს გადაეცი, აქ მთელი თვეა მაშიმშილებენო.

შემეცოდა, ხომ იცით, ჩემი ხათრიანი თავის ამბავი, გამოვართვი წერილი და ის არის, უნდა გამოვტრიალდე, რომ ისევ შემეხვეწა: — ასეთი კაი კაცი ყოფილხარ, მოდი, უნდა მოგეხვიოო.

მეც ავდექი და მექანიკურად მივედი. კი გამიგია, გიჟები ძალიან ღონივრები არიანო და მართალი ყოფილა, კაცო! მივუახლოვდი თუ არა, ცალი ხელი კისერში ჩამავლო, ცხვირით გისოსებს მიმაჭყლიტა, მაგრამ ამას ვინ ჩივის, თურმე მეორე ხელში უჭირავს საღებავიანი ჯაგრისი (იქვე, მუშები ღობეს ღებავდნენ), მისვამს სახეზე და მეუბნება: — ძალიან მიყვარს მილიცია, უნდა გაგალამაზოო...

როგორც იქნა, თავი დავაღწიე „მღებავს“, მოვახტი ჩემს მოტოციკლს და განყოფილებამდე გიჟივით მივაქროლებდი.

თანამშრომლებმა რომ დამინახეს, ჯერ ვერ მიცნეს, სულ ერთიანად ყვითლად ვიყავი მოთხვრილი, ქალები ლამის შესალოცები გახდნენ... მერე ბევრი იცინეს... საღებავის მოსაშორებლად მოტოციკლეტიდან ბენზინი გადმოვასხი და თანამშრომლებიც დიდხანს მიბრუნებდნენ ბუნებრივ ფერს...

***თ.ა., თბილისი***

## 2. ხაბედისწერო გოგრა



ეს ამბავი მოგონილი არ გეგონოთ, მეგობარმა მიამბო და ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ცხოვრებაში ზოგჯერ მეორდება კურიოზული სიტუაციები, რომელიც შემდეგ ანეკდოტად იქცევა ხოლმე.

რეზო ზედსიძედ იყო მეუღლის ოჯახში. ყველას უყვარდა ყურადღებიანი, ხელმარჯვე და სიკეთით სავსე სიძე. სიდედრსაც მზე და მთვარე ამოსდიოდა მასზე.

მოკლედ, ააყვავა რეზომ ოჯახი, განსაკუთრებით მეგრული ჯიშის გოგრა გაახარა და მიწაზე რომ არ დაეტია, მაღლარზე აუშვა.

ერთი უზარმაზარი გოგრა საეჭვოდ გადმოჰყურებდა ეზოს ლეღვის ტოტიდან. ერთ დილასაც სიძემ მშვენიერი „სტოიკა“ (სპეციალური ჯოხებით დაამაგრა) გაუკეთა გოგრას და სამუშაოდ წავიდა. უყურა იქვე ჩამომჯდარმა სიდედრმა სიძის საქმიანობას, ბოლოს წამოდგა, „სტოიკას“ ხელი ჩასჭიდა და სიმაგრე მოუსინჯა... ჰოი, უბედურებავ! უზარმაზარი გოგრა თავაწყვეტილი წამოვიდა, სიდედრს თავზე დაეცა და... სული გააფრთხობინა.

პანიკაში ჩავარდნილმა რეზომ თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ მეზობლებმა უშველეს.

და აი, გასვენების დღეც დადგა... სამძიმარზე მისულმა, ასევე ჩასიძებულმა ბათუმ განზე გაიხმო რეზო და ეკითხება ტრაგედიის მიზეზს.

— გოგრამ დამღუპა, ჩემო ბათუ, გოგრამ!.. — მოთქმით უპასუხა რეზომ.

— თუ კაცი ხარ, მაგ გოგრის თესლი მომეცი, გავამრავლებ, ხომ იცი, როგორ უყვარს ჩემს სიდედრს გოგრა... — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა ბათუმ...

***გუჯა ლელაძე, თბილისი***

## 3. ფესვები

ერთი სვანი მეგობარი მყავს. მის გოგონას, პატარა ლიზიკოს სკოლაში ქოთნის ყვავილის ყლორტი მისცეს და გახარება დაავალეს. გავიდა დრო.

— ჩემმა ყვავილმა ფესვები არ გამოიღო, — აწუწუნდა თვალცრემლიანი ლიზიკო.

— საიდან იცი, რომ არ გამოიღო? — დაეკითხნენ.

— კი, ნამდვილად ვიცი, ყოველ დილა-საღამოს ქოთნიდან ვაძრობ, ფესვები კი არ ჩანს!.. — იყო პასუხი.

***კარლო ხარატიშვილი, ხაშური***



## 4. „პატარა მობანავე“



უძრაობის წლებია. მოგეხსენებათ, იმ დროს დიდი გასავალი ჰქონდა ჩინ-მედლებს და მაშინდელი გენმდივნის, ბრეჟნევის მსგავსად, ვისაც კი რამე გააჩნდა მედლის მსგავსი, ყველაფერი მკერდზე ეკიდა.

ჰოდა, ჩვენი გმირებიც — მილიციის „პუსტა-პუსტა“ თანამშრომლები შალიკო და ნოვრუზა — გვიანი შემოდგომის არცთუ თბილ დღეს, თავისი „კალიასკიანი“ მოტოციკლით იმყოფებოდნენ ე. წ. შემოვლაზე და თან მორიგ მედალზეც ოცნებობდნენ.

მეტეხის ხიდთან რომ მივიდნენ, შეამჩნიეს, ხალხი მტკვარში იყურებოდა.

— ალბათ ვიღაც იხრჩობა, — გაიფიქრა შალიკომ და მართლაც დაინახა, წყალს მოაქვს ახალგაზრდა ქალი.

რადგან მედლის აღების შანსიც გაჩნდა, შალიკოს ბევრი აღარ უფიქრია და შინელიან-ჩექმებიანად გადახტა წყალში საშველად. ჯერ ისედაც „ისე რა“ მოცურავე იყო შალიკო, ახლა კი ჩექმები რომ წყლით გაევსო და შინელიც გაიჟღინთა, გაუჭირდა თავის შემაგრება და... ნელ-ნელა დაიწყო ჩაძირვა. „წყალწაღებულმა“ ქალმა რომ დაინახა შალიკოს გასაჭირი, სასწრაფოდ მიეჭრა...

მოკლედ, ერთობ საინტერესო „სანახაობის“ მოწმენი გახდნენ ხიდიდან მაცქერალნი: ქალი, რომელიც წეღან წყალს „მოჰქონდა“, ახლა შინელიან შალიკოს ჩაფრენოდა და ძლივძლივობით მოათრევდა ნაპირისკენ.

ამასობაში ნოვრუზას იქვე მშენებლობიდან აუღია 4-5-მეტრიანი ჯოხი (რეიკა) და ნაპირთან მშვიდად დგას. როგორც კი მაშველი და წყალწაღებული (თუმცა, რომელი რომელი იყო, ვერავის გაერკვია) მიუახლოვდნენ ნაპირს, ნოვრუზამ აიღო ეს ჯოხი და მთელი ძალით მოუქნია ქალს. კიდევ კარგი, დროზე გამოჰგლიჯეს ხელიდან.

ნირწამხდარი ნოვრუზა ხელებს შლიდა და გაკვირვებული ამბობდა: „ათ პრეთკოვ ზნაიუ, ჩტო სნაჩალა ნადა ათრუბით, ა ფათომ ვითაშით!..“ ეტყობა, ნოვრუზას წინაპრები ძველი მეთევზეები იყვნენ...

მოგვიანებით გაირკვა, რომ ოქტომბერში მტკვარში მობანავე ქალი თბილისობაზე სტუმრად ჩამოსული ბალტიისპირელი იყო, რომელსაც ძალიან ჰყვარებია ცურვა (და თბილისი). მიუხედავად არცთუ ისე ხელსაყრელი საბანაო ამინდისა, მაინც გადაეწყვიტა მტკვარზე ბანაობა, რომელიც შალიკომ და ნოვრუზამ ჩაუშალეს.

შალიკომ და ნოვრუზამ კი, საოცნებო მედლების მიღების ნაცვლად, გვარიანი შიში ჭამეს... სამსახურიდან დათხოვნას გადაურჩნენ, მაგრამ სასტიკი საყვედურები კი აიკიდეს!

***თ. არჯაკელი, თბილისი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 27 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 28 ოქტომბრის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №43**

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

**5.** მიხო მინიმარკეტში შევიდა:

— პური გააქ?
— მაქვს!
— კალბასი?
— კი, ბატონო!
— ყველი?
— მაქვს!
— კახური ღვინო?
— არა!
— მა, დანარჩენი რა ჩემ ფეხებათ მინდა!

***ვახტანგ მიქაუტაძე, გურჯაანი***





**6.** სვანი ბაქანზე ჩამომდგარ მატარებელს ხან აუვლის, ხან ჩაუვლის და თანაც ვაგონებს მსუბუქად ბწკენს!

— რას შვრები? — შეეკითხა ერთ-ერთი ვაგონის გამცილებელი.

— რა ვიცი, ბილეთზე აწერია რბილი ვაგონიო და მეც ვეძებ!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## მილოცვა



**ჩვენო საყვარელო ნანი ბებო!**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ და ხალისიან ცხოვრებას. იხარე შენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

გკოცნით მაგრად.

*ოთო და ნიკუშა ხელაიები*

## მადლობა

მადლობა მინდა გამოვხატო იმ სასწავლებლის, იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უჩუმრად იღვწიან მომავალი თაობის აღსაზრდელად. ჩემი ქალიშვილი, სახელოვანი წინაპრის – ექვთიმე თაყაიშვილის სახ. კულტურის უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსებზე დადიოდა. კურსების ხელმძღვანელი – ქალბატონი **ნათელა შინჯიკაშვილი** და ყველა პედაგოგი თავდაუზოგავად შრომობდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა: მისაღებ გამოცდებზე საჭირო ქულები დააგროვა და დღეს უკვე უფასო განყოფილების სტუდენტია.

მადლობა, მისაღები გამოცდების პროფესორ-მასწავლებლებს იმ ობიექტურობისთვის, რაც მათ გამოიჩინეს გამოცდების მსვლელობის დროს.

კიდევ მრავალი წელი გეშრომოთ მუხლჩაუხრელად, მომავალი თაობისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

*პატივისცემით, ნინო თეთრუაშვილი-ბუთხაშვილისა*

დიდ მადლობას ვუხდი ბატონ **კობა კილაძეს** – რუსული სამხედრო ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების გამგეს, გულისხმიერ, კეთილშობილ დასტაქარს, ვისთვისაც მართლაც მთავარია ადამიანი, მის ჯანმრთელობაზე ზრუნვა...

ბატონო კობა, თქვენს მარჯვენას ბევრი უხსნია, ბევრისთვის დაუბრუნებია სიცოცხლის ხალისი, იმედი. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

*პატივისცემით – მადლიერი პაციენტი ლაურა ადამია-ციციშვილი*

მადლობას ვუხდი სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" ზარალებისა და პრეტენზიების დეპარტამენტის მენეჯერს **გიორგი კახიძეს, მაია კუპრაშვილს,** „ალდაგი-ფოთის" სააგენტოს თანამშრომლებს: **ირაკლი და ვახტანგ კაკულიებს, ნინო ჩაჩიბაიას, მანანა კიზირიას** იმ თანადგომისა და გულისხმიერებისათვის, რაც ჩემი, როგორც ავადმყოფი პაციენტისადმი გამოიჩინეს. ღმერთმა ამრავლოს ასეთი ადამიანები.

*პატივისცემით, ენგური იობაძე*

## ბინები

იყიდება სოფ. დიღომში, ძალიან დიდი, 3-სართულიანი, ახალაშენებული სახლი (მიყვანილია პარკეტამდე). აქვს ლიმონათისა და შამპანურის ცეხი, ეზო – 2500 კვმ. მუდმივი წყლით, მუდმივი გაზით, კანალიზაციით. ტელ: 893 20-87-07; 61-53-18. ნანა

იყიდება ძალიან იაფად! სოფ. დიღომში, ძალიან დიდი, 2-სართულიანი სახლი პარკეტით, გათბობით, ავტოფარეხით, 2000 კვმ მიწის ხეხილიანი ბაღით, რკინის კარით, გაზით, წყლით, აუზით, 3000 კვმ აივნებით. ეზო შემოღობილია დიდი, არაჩვეულებრივი გალავნით. ტელ: 893 20-87-07. ნანა; 61-14-98 ლილი; 61-53-18. ნანა

იყიდება სასწრაფოდ! ბათუმში, ცენტრალურ გზაზე სახლი, ზღვის ხედით, მიწის ნაკვეთით – 3500 კვმ, ავტოსადგომითა და ავტოფარეხით. ტელ: 899 73-46-26. გოჩა

სასწრაფოდ! ქირავდება 2-ოთახიანი, არასტანდარტული, გარემონტებული ბინა, სამზარეულო ავეჯით, ლოჯიით (ლოჯიაში ჩაშენებული კარადებით), ორი აივნით, გარაჟით, ყველანაირი პირობით (მ/დენით და ბ/აირით), ტელეფონით, მე-2 სართულზე, მ. „სამედიცინო ინსტიტუტის" მიმდებარე ტერიტორიაზე (ვაჟა-ფშაველას გამზირზე). ტელ: 67-55-35; 899 26-87-29

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიღუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ამერიკა-საფრანგეთის ერთობლივი კომპანია გთავაზობთ საოფისე სამსახურს მაღალი ანაზღაურებით, ყოველდღიური გამომუშავებით, თვეში – $150-300. აუცილებელია უმაღლესი განათლება და რუსულის ცოდნა. მის: მ. „რუსთაველი", ჭოველიძის (ბელინსკის) ქ. №2, IV სართ, ოთახი 415. ტელ: 93-38-46; 66-54-95; 893 92-72-37. ბატონი მალხაზი

საქართველოში, მ/წ სექტემბრიდან, კიდევ უფრო გააფართოვა თავის არეალი და შესაძლებლობები მსოფლიოში უძლიერესმა ფინანსურმა ჩინურმა კორპორაციამ. ის 170 ქვეყანაში ფუნქციონირებს. გიწვევთ უ/განათლების მქონე, 25-55 წლამდე პირებს თავისუფალი გრაფიკით. ვისაც გსურთ მყარი, ყოველთვიური, სოლიდური ხელფასი, გამოგვეხმაურეთ: 34-63-64; 899 17-69-24. ომარი (17 სთ-ის შემდეგ)

უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირებს, ვისაც არ სურთ და არ არიან მიჩვეულნი, იმუშაონ სამსახურის განაწესის მკაცრ ჩარჩოებში და ამავე დროს, სამომავლოდ სურვილი აქვთ, მიაღწიონ თავიანთ დამოუკიდებელ ფინანსურ წარმატებებსა და სამუშაო გრაფიკს, შეუძლიათ მოგვმართონ: 95-29-76 (11-16 სთ); 893 26-47-63 (ნებისმიერ დროს)

## მომსახურება

ნებისმიერი სირთულის ტექსტის (ქართულად, რუსულად, ინგლისურად) აკრეფა, ამობეჭდვა, სტილი, კორექტურა, სწრაფად, ხარისხიანად! ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

კომპიუტერი, პოლიგრაფია, დიზაინი, პროგრამირება: პროგრამირების ჩაწერა კომპიუტერში, CD-ზე, ტექსტის აკრეფა, ამობეჭდვა, სარეკლამო პლაკატები, ბუკლეტები, ლოგოტიპები, ეტიკეტები, მონაცემთა ბაზები, სკანირება, ინტერნეტი, Web-საიტი; არქიტექტურა: პროექტირება, მშენებლობა, ინტერიერის მოწყობა, ავეჯის პროექტირება. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა" და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას: სამეულებზე, მატრასებზე, სკამებზე, ტახტებზე, ნაჭრის შეცვლა, დარბილება. ტელ: 76-01-33. გია (საღამოს)

დავამონტაჟებ ელექტროგაყვანილობას საცხოვრებელ სახლებში, ოფისებში, სხვადასხვა შენობაში. დავაყენებ „ავტომატს", ბრებს, ჭაღებს. შევცვლი დაზიანებულ წერტილებს. ტელ: 38-92-71; 893 98-23-80. მერაბი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, ყოველგვარი დაზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით (1 სთ – 6 ლარი). ყველანაირი კოსმეტიკური მომსახურება. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე, მ. „300 არაგველი", „არამანცის" საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტელის ქ. №15. მიღება წინასწარ ჩაწერით. ტელ: 77-86-27

გთავაზობთ სიმაღლეში ზრდის ვიტამინებს, 2-25 წლამდე ადამიანებისათვის, ერთთვიანი კურსით 4-5 სმ-ის მომატებით; ასევე გახდომას, 7-20 კგ-ის დაკლებით, შიმშილის და ვარჯიშის გარეშე. მის: მ. „რუსთაველი", ჭოველიძის 2, IV სართ. ოთ. 415. კონსულტანტი ელისო. ტელ: 93-38-46; 893 17-20-14

ეკოლოგიურად სუფთა, მცენარეული მალამოები; სახის გაწმენდა, ლაქების მოშორება, მუწუკების გაქრობა, ნაოჭების გასწორება, მუწუკებისაგან გამოწვეული ნაიარევების მოშორება, ფორების დაპატარავება, კანის ელასტიკურობის საბოლოო აღდგენა და საერთო გაახალგაზრდავება 10 წლით, 100%-იანი გარანტიით. კონსულტანტი ქ-ნი მანანა. ტელ: 98-86-19 (10-18 სთ); 899 90-54-78

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

წამალი „მთაწმინდა" კურნავს თმის დაავადებებს: ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. ვმკურნალობ ფრჩხილის სოკოს გარანტიით. გვაქვს თმის მცენარეული საპნები, ნატურალური კოსმეტიკური მალამოები; ვაკეთებ მასაჟს (ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი). მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2 (ჩაის სახლთან), სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 893 918-917. წამალი „მთაწმინდა" შეგიძლიათ შეიძინოთ PSP აფთიაქებშიც.

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ხმაურის, ყურის ანთების, ტკივილის მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტისთვის. ვმკურნალობ აგრეთვე სხვა დაავადებებს. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი (სამების ეკლესიის უკან), თ. აბულაძის №8. სამუშაო საათები: 9-13 სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42. ლევან სეხნიაშვილი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 20-19-66

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც) და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, თვალის დაავადებები, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატები, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია, დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი), მკურნალობა უახლესი აპარატურით. მის: ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღ. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 ბინა (10-15 სთ)

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, რევმატიული პოლიართრიტი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! გასინჯვა-კონსულტაციები უფასოა. მიღება რკინიგზის პოლიკლინიკაში. ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 61-02-97; 899 57-16-99

ალკოჰოლიზმისგან განკურნება კრემლის ლაბორატორიის მცენარეული, ლიცენზირებული, უსაფრთხო პრეპარატებით (შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად). გარდა ამისა, ვმკურნალობ: ნევროზებს, აგრესიულობას, შარდის შეუკავებლობას (ენურეზს), ფსორიაზს, ღვიძლის დაავადებებს, ბრონქიტებს, ასთმას. შესაძლებელია ბავშვებში სიმაღლეში მომატებაც. ტელ: 893 35-45-35; 99-75-90 (12-17 სთ). მაკა

ვმკურნალობთ პარადონტოზს, ართრიტებს, ღვიძლისა და სისხლძარღვთა დაავადებებს, უახლესი ტექნოლოგიების საშუალებით, უძველესი ჩინური ტიბეტური მედიცინის საფუძველზე მიღებული სამკურნალო საშუალებებით; ფარულად მიმდინარე ქლამიდიური ინფექციის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ტელ: 22-11-47. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თამარი

ფსიქოთერაპიული ცენტრი „არსი" (ხელმძღვანელი პროფ. გივი მერაბიშვილი) კურნავს ფსიქიატრიულ აშლილობას (ნევროზი, ფსიქოზი, ნარკომანია, ეპილეფსია, შიშები, სექსუალური პრობლემები). ამზადებს უმაღლესი დონის ფსიქოთერაპევტებს. მის: ბესიკის 1. ტელ: 93-11-05; 57-37-13. ყოველ 26 რიცხვში კონსულტაციები უფასოა

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

შეგასწავლით საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

შევასწავლით კომპიუტერზე მუშაობას საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail. საგამომცემლო: Pagemaker, Photoshop, CorelDRAW, QuarkXpress. არქიტექტურა, დიზაინი, ანიმაცია: ArchiCAD, AutoCAD, 3-d MAX, ვებ-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა" და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

სიახლე! ერუდირებული და მონდომებული მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დამწყებიდან პროფესიონალამდე". ჩაწერა ყოველდღე, 12.00-15.00 სთ. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web-დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოყენებით. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა" და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: დ. აღმაშენებლის 115 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

წარმოებს მოსწავლეთა მიღება კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება: სახის კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ნიღბები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. შეღავათები ეხება სტუდენტებს, მრავალშვილიან, ობოლ და ლტოლვილთა ოჯახებს. მის: დადიანის №26 ან აღმაშენებლის №90, მ. „ვაგზლის მოედანი" ან მ. „მარჯანიშვილი". ტელ: 66-53-56; 69-09-19; 95-47-67; 893 33-09-66

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მის. ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-40; 899 14-14-84

უცხო ენების ფირმა „ელიტა-სკ" იწვევს 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში სასწავლებლად, აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის: ქავთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20

## იყიდება

ძალიან იაფად! დიღმის ტრასაზე, „ტოიოტასა" და სასტუმრო „უშბას" შორის, 2000 კვმ მიწის სასახლკარე ადგილი, სასტუმროსათვის ან ნებისმიერი საქმიანობისათვის, დენით, მუდმივი გაზით, კანალიზაციით. ყველაფერი ნაკვეთშია. ფასი: 1 კვმ – $15. ტელ: 893 20-87-07; 61-53-18

დიღმის მასივში, კარგ ადგილზე, ცალკე მდგომი კაპიტალურად ნაგები შენობა, მოქმედი სასადილოთი და პურის საცხობით (თონე, ფურნე), 300 კვმ-მდე მიშენება-დაშენების კარგი პერსპექტივით. ტელ: 52-68-51 (20 სთ-დან); 899 55-67-67

96 ატეესის ტელეფონი, პლეხანოვზე. ტელ: 32-82-69

ნოუთბუქი: AMD 2200 XP, memory 512 MB, monitor 17, CD/CDRW, motherboard Compaq – $1800; პერსონალური კომპიუტერი + Laser Printer HP 1100-700$; Walk man „GPX" CD/CDR – $100; ფოტოაპარატი „OLIMPUS" IS So – 250$. ტელ: 899 73-09-72; 72-17-98

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

ნახმარ საჭიდაო ხალიჩას ან ტატამს. ტელ: 64-28-64; 899 51-85-24

## სხვადასხვა

საქართველოს „აიკიდოს" ფედერაცია იწვევს მსურველებს საინსტრუქტორო მოსამზადებელ ვარჯიშებზე. მომავალში დაგეხმარებით რეგიონალური კლუბის გახსნაში. ტ: 64-28-64; 899 51-85-24









### აზა მთივლიშვილის მონატრება

18 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, ძვირფასო დედა! ტკივილითა და ცრემლით სავსე 6 თვე გავიდა და ასე გვგონია, საუკუნე გავიდა.

უშენოდ ირგვლივ სიცარიელეა, დედიკო!

უშენოდ არაფერს აქვს გემო და ლაზათი. ძალიან გვიყვარხარ და ძალიან გვაკლიხარ. როგორ გვენატრება შენი თბილი გამოხედვა, შენი სანდომიანი ხმა და შენი იმედიანი სიტყვა. დრო მკურნალიაო – დაუჯერებელია. პირიქით, რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები. ყველგან შენ გხედავთ. დღე და ღამე შენთან საუბარსა და ტირილში იწყება და მთავრდება. უფრო მეტად რატომ არ გაგიფრთხილდით, დედა?! უფრო მეტად უნდა მოგფერებოდით. უზომოდ კეთილი იყავი, ყველა გეცოდებოდა, შენი დარდით არავის შეაწუხებდი, ყველანაირ წყენას და გულისტკივილს გულში იკლავდი და არავის უმხელდი.

შენი ფასი ამქვეყნად არაფერი ყოფილა. შენ შეუცვლელი ხარ, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, დედა.

*ნეტავი რა სჭირს სიკვდილსა, ვერ მისწვდა ჩვენი გონება*
*შივ ამოარჩევს რჩეულსა, რომელიც მოეწონება.*

*შენი უზომოდ მონატრებული შვილები: მანანა, ლეილა, ვაჟა*

### ჩემო დადუნა!



შენ შემოგევლოს შენი დედიკო, ჩემო თვალებბრიალა, ლამაზო, ჭკვიანო ფერიავ, გილოცავ დაბადების დღეს! დღეს ხომ 16 წლის გახდი. მე აქედან გილოცავ, იქ მამიკო, ბებიკო, შენი დაიკო ხათო და შენი მამიდაშვილი აჩიც მოგილოცავენ. ძალიან მიჭირს და მიმძიმს, ვერ ვეგუები შენი სიცილის გარეშე ყოფნას. გაუსაძლისია ყოველი დღე, წამი და წუთი უშენოდ. სიგიჟემდე მენატრები. ცრემლივით იღვრება სულსა და გულში ეს მონატრება, მაგრამ რა ვქნა, დადუკა, შვილო, უძლური ვარ. მენატრები და მიყვარხარ. მარტო ლოცვაა ჩემი ნუგეში.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო დადუნა.

*შენი გულმოკლული დედა – ნანა კვანტალიანი*



### ხათუნა ხაინდრავას ხსოვნას!

დაბადების დღეს გილოცავთ, დედა, მე და თამაზი. იმ ბედნიერ დღეებს ვიგონებთ, როცა ყველანი ერთად გილოცავდით. ახლა მანდ შენი საყვარელი შვილიშვილები მოგილოცავენ.

გვენატრები და გვიყვარხარ.

*შვილები: ნანა, თამაზ კვანტალიანები*

### გივი მონასელიძის მონატრება



მეოთხე წელი გავიდა უშენოდ. რა სამწუხაროა, უკვე მოგონებად იქეცი. წახვედი მოულოდნელად. შენი სახელი გაუნათებს შენს შვილებს გზას.

ჩემო ძვირფასო მეუღლევ, ჩემო გივი, უაზროდ თენდება და ღამდება ჩემთვის. მხოლოდ შენთან მალე შეხვედრის იმედით გამყავს დრო. შენ ხომ კაცური კაცის სახელით იცხოვრე ამქვეყნად და ასეთადაც დარჩები.

მენატრები, ძალიან მენატრები. შენი მშფოთვარე სული ყოველ ჩვენგანშია. ამიტომაც გვაფორიაქებს მუდმივად. ვერც შენი გადიდებული სურათი და ვერც შენი სამარე ვერ გვაჯერებს, რომ ცოცხალი აღარ ხარ. უშენოდ სიცოცხლე ჩვენთვის სასჯელია.

მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

*შენი მეუღლე, დედა, შვილები, შვილიშვილები, რძლები*



### ქეთინო მათიაშვილის ხსოვნას!

ჩემო ქეთინო, ჩემო დაიკო! როგორ უცებ გაირბინა უშენობით დამძიმებულმა ამ ორმოცმა დღემ! ყველაფერი ძველებურადაა, ამ ყველაფერს შენ აკლიხარ მხოლოდ!.. რომ იცოდე, როგორ მიჭირს უშენობა, როგორ მეიმედებოდი, შენი უსაზღვროდ დიდი და თბილი გულით, მოსმენის ნიჭითა და თანაგრძნობის საოცარი უნარით!

გვაპატიე, საკუთარ პრობლემებში ჩაფლულებმა თუ ყურადღება მოგაკელით, ვერ შეგიმსუბუქეთ ტკივილი... თუმცა... რა არის გარდაცვალება?! რაც შენ წახვედი, დღე არ გასულა ჩემთვის უშენოდ... ცოცხალ ხატებად დამყვები, გესაუბრები, რჩევას გთხოვ, განცდებს გიზიარებ. ასევე დარჩები შენი მეგობრების გულებში – მარად დაუვიწყარო, ჩვენო სათნო და კეთილო, ცისფერთვალება მეგობარო!

*თანაკურსელთა სახელით, მანანა სიმონიშვილი*

### ზოია ჭყოიძე-მიქაბერიძის გახსენება



*„ჩვენს ნატრულ ძმებთან წახვედი,*
*დაიკოც გითქვამს, შვილოცა...*
*ჩემო კეთილო ზოიკო,*
*60 წლისთავს გილოცავ!“*

*შენი თვალცრემლიანი და იზა*

### მიხეილ (მიშა) ანთელავას!

22 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, ჩვენო ლამაზო, თბილო და უსაყვარლესო, სიკეთით სავსე მიშა. დაუჯერებელია, შენ რომ აღარ ხარ, მაგრამ ვაი, რომ ეს სიმართლეა.

მუდამ მოღიმარი, თავმდაბალი, საოცრად თბილი, ერთგული და მოსიყვარულე იყავი... შენთან ყოველი შეხვედრა და საუბარი, შენებური ხალასი იუმორით იყო გაჯერებული. გვენატრები და ათჯერ მეტად გვიყვარხარ, მიშა. არც შენს უნივერსიტეტს დაავიწყდები არასოდეს. შენი სული აქ ტრიალებს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისთვის, რათა ნათელი გედგას სამუდამო სასუფეველში.

*ნატო, მანანა, მაკა*

### მარინა პაპიძის გახსენება



25 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, ჩვენო საყვარელო მარინა, მაგრამ ვაი, რომ უშენოდ ვხვდებით ამ დღეს. შენი უდროოდ წასვლით მწარე მოგონება დაგვიტოვე. გვაკლიხარ და ძალიან გვენატრები შენს დედმამიშვილებს. ნუთუ მხოლოდ 46 წელი იკმარე სიცოცხლისთვის... შენ სხვანაირი გულისა და სითბოს ქალი იყავი და ამიტომაც არჩია შენმა საყვარელმა ძმისშვილმა მარიკამ შენთან წამოსვლა – ისიც შენსავით თბილი და ყველას მოსიყვარულე ბავშვი იყო.

ყველასგან გამორჩეულო, ამბობენ, უფალსაც რჩეულები მიჰყავსო. ვინ თქვა, – დრო მკურნალია და მიწა გრილიაო?! ჩვენ ისევ ისე გვტკივა გული, როგორც იმ ავადსახსენებელ დღეს, რომელმაც შენ ლამაზი სიცოცხლე შეიწირა.

გვიყვარხარ ყველას, არ გვავიწყდები. ჩვენ დღესაც ისევ შენით ვამაყობთ. შენ ჩვენთან ხარ. უკვდავებაში გადაინაცვლე, დაგრჩა ქალობის კარგი სახელი.

უშენობა ძალიან უჭირთ შენს დატანჯულ მშობლებსა და ახლობლებს.

იძინე ტკბილად, კეთილო და სიკეთის მთესველო ქალო. ყვავილები, წმინდა სანთელი და ჩვენი ლოცვა არასოდეს მოაკლდება შენს საფლავს. შენ ჩვენთან იქნები მარადის.

*შენი ოჯახი და ახლობლები*

### გენადი ოდიშარიას მონატრება



ჩემო საყვარელო შვილო! ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც უშენოდ არის შენი უბედური დედა და ოჯახი.

მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება – ბედის უკუღმართობამ ორ დღეში წაგართვა სიცოცხლე. 50 წელი ერთი დღეც არ ვყოფილვარ უშენოდ. მეხი დამეცა და ჯოჯოხეთი მომევლინა. ძალას ვატან თავს, ვზივარ შენს სურათებთან, ვანთებ სანთელს და „გენო, შვილოს“ გეძახი. ჩემს თვალებს ცრემლი არ შორდება, მაგრამ ამაოდ. შენ იყავი უფროსი ვაჟიშვილი, რომელსაც ჩემი კუბო უნდა აგეწია – საოცარი, თბილი შვილი. მეუბნებოდი: მარტოს არასოდეს დაგტოვებო და ასრულებდი კიდევაც.

უსაზღვროდ გიყვარდა მეუღლე ლალი, შვილი ვახტანგი, რომელთაც შენი სითბო და სიყვარული დააკლდათ.

ნატრული იყავი შორს წასული დების – რუსუდანისა და ნატოსი, რომლების გაზრდაშიც დიდი წვლილი მიგიძღვის. ისინი გულდამწვარი დასტირიან შენს საფლავს და ყველაფერს აკეთებენ შენი სულის ასამაღლებლად.

სიძეები – სოსო და თემური, დისშვილები – პეტო, თამრიკო და მიშიკო უსაზღვრო მწუხარებაში არიან; ასევე შენი ბიძა შახი, რომელსაც შენი დიდი იმედი ჰქონდა.

დიდი მწუხარება დაუტოვე შენს ახლო ნათესავებს, რომლებიც არ გივიწყებენ. ხშირად მიდიან შენს საფლავთან და ცხარე ცრემლით დაგტირიან.

შენმა უეცარმა სიკვდილმა გული ატკინა შენს კოლექტივს, მეგობრებს, რომლებსაც იუმორით ახალისებდი. შენ – სოხუმში დაბადებულს, გაზრდილსა და დავაჟკაცებულს, გული გტკიოდა მისი დაკარგვით. ამან დიდი გავლენა მოახდინა შენს ჯანმრთელობაზე. ელოდი სოხუმის დაბრუნებას, შენს ოჯახში ჩასვლას, მაგრამ ვერ მოესწარი.

ასევე გიყვარდა შენი სოფელი ნოსირი, იქაური ნათესაობა და მეგობრები.

შენ, ჩემო განათლებულო, ჭკვიანო, სულით მდიდარო, სხვათა შემბრალებელო, თანადგომის ნიჭით აღსავსევ, სანატრელო და საფიცარო შვილო გენო, ვერ ვეგუებით უშენობას, ძალიან გვიჭირს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*დედა – ლილი, ოჯახით*

### ჯამბულ თაბაგარის მონატრება



31 ოქტომბერი შენი გარდაცვალების დღეა. ერთი წელია, რაც ულმობელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. შენ იმიერში გადასახლდი, ჩვენ კი დავრჩით უიმედოდ და უნუგეშოდ. ძალიან გვიჭირს უშენობა. გვიყვარხარ, გვენატრები. ვერაფერი შეავსებს იმ სიცარიელეს, რასაც შენი მოგონება ჰქვია.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*„შენზე ფიქრებში ვათენებ ღამეს,*
*ხშირად ცრემლები ბალიშს მისველებს!*
*სიზმარში მაინც მითხარი რამე...*
*ალბათ მემდური, რომ ვერ გიშველე!“*

*მეუღლე ჟუჟუნა, შვილები – თამილა და ვაჟა*

### ზაირა გელენიძის გახსენება



სამი წელი სრულდება 25 ოქტომბერს, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. დაგვიტოვე საშინელი სევდა და მწუხარება. შენს მეგობრებს კარგად გვახსოვს ადამიანებთან ურთიერთობის შენი საოცარი უნარი. ყველას მიმართ გულისხმიერი, სხვისი გაჭირვებით შეწუხებული, ყურადღებიანი, ყველაზე მზრუნველი და ყველას მოყვარული იყავი, ჩვენო ზაირა.

სიტყვები უძლურია შენს სიკეთესა და სითბოზე სასაუბროდ. ძალიან გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. როგორ გვინდა, რომ ისევ ჩვენ გვერდით იყო.

ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან სანთლებით, ყვავილებით და ბევრი ვილოცოთ შენთვის.

იძინე ტკბილად, ჩვენო კეთილო მეგობარო. შენს სახელს ჩვენგან დავიწყება არ უწერია.

*შენი თანამშრომლები*



### კობა კევლიშვილის მონატრება

გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი 40 დღე. წახვედი და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი. რაც დრო გადის, მით უფრო გაუსაძლისი და მძიმეა უშენობა. დრო მკურნალიაო, – მაგრამ ვერანაირი დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რომელიც შენმა იმ ქვეყნად წასვლამ მოგვაყენა.

ძალიან გვაკლიხარ, ძალიან გვიყვარხარ, ძალიან გვენატრები.

ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

*ტკივილიანი მონატრებით, შენი ოჯახი*

### მოგელ გეგეჭკორის ტკივილიანი მონატრება



ერთი ტკივილიანი წელია, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ, ძვირფასო მოგელ.

29 ოქტომბერი მუხანათური აღმოჩნდა შენთვის და წამიერმა ტრაგიკულმა შემთხვევამ, დაუნდობლად შეწყვიტა შენი ლამაზი სიცოცხლე.

სრულიად უდანაშაულოდ, შემთხვევით დაიღუპე, მაგრამ შემთხვევით არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე.

შენს ლამაზ გენს სიკვდილი არ უწერია, იგი გრძელდება შენს შვილებში, რომლებიც შენგან დაწყებულ სიცოცხლეს, სახელოვნად გააგრძელებენ.

ჩვენ გვჯერა, რომ უფალი შენნაირ ალალსა და პატიოსან კაცს, ნათელში მიგიჩენს მარადიულ სასუფეველს.

მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური ზუგდიდის მიწა, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ალალმართალი სული.

*ბიძია – მამია გეგეჭკორის ოჯახი*

### გიორგი კიკვილაშვილის გახსენება



პირველ დაბადების დღეს, 28 ოქტომბერს ვხვდებით, გიორგი, უშენოდ, როცა 26 წლის უნდა გამხდარიყავი.

გილოცავ, გიორგი, დაბადების დღეს, ჩვენთვის მოურჩენელო ტკივილო.

ჩვენ ყველა – შენი და-ძმანი, მშობლები, დისშვილები, ძმისშვილები მოვალთ და მოგილოცავთ დაბადების დღეს, ახლა უკვე სასაფლაოზე. აგინთებთ სანთლებს და უფალს ვთხოვთ, ნათელში ყოფილიყოს შენი სული, გიორგი.

### ოთო დემეტრაძის მონატრება

შემოდგომაა თბილისში. ფოთლებს ნელ-ნელა ეცვლება ფერი...



ფერისცვალებაა ჩვენს გულებში. ტკივილი განუზომელი და მონატრების სურვილით გამბარი...

ვაი, იმ დედას, შვილის სიკვდილს რომ ეტყვიან, ვაი იმ მიწას, ასეთ ვაჟკაცებს მიწად რომ აქცევს.

ქართველი დედისთვის შვილის სიკვდილი ხომ საბედისწერო განაჩენია.

26 სექტემბერს გაგვიფრინდა შენი ლამაზი სიცოცხლე, ჩვენო ოთო – ღირსეულად იცავდი სამშობლოს და ვამაყობდით შენით, მაგრამ იმ ტრაგიკულმა შემთხვევამ, რომელიც ბედისწერამ გარგუნა, დაამსხვრია შენი და ჩვენი ოცნებები.

ოთო, შენ ვაჟკაცურად განვლე ცხოვრების ხანმოკლე გზა, ადრე დაიწვა შენი სანთელი, მაგრამ განსაკუთრებული სიკაშკაშით. შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება...

ნეტავ შეგვძლებოდა იმ საბედისწერო დღეს შენთან ერთად ყოფნა. ძალიან გვიჭირს უშენობა. დარდით დაიფერფლნენ დედა, მამა, და – ყველა, ვისაც უყვარდი. განუხორციელებელი დარჩა შენი ყველა ფიქრი და ოცნება. ცხოვრების 22-ე წელიწადს შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. დაოჯახებაც ვერ მოასწარი, რომ შენი მშობლებისა და ახლობლებისათვის პატარა ნუგეში მაინც დაგეტოვებინა.

გვენატრება შენი ლამაზი ღიმილი და მოფერება, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. ერთმა საბედისწერო წუთმა დაამსხვრია ჩვენი ოჯახების ბედნიერება და დაგვრჩა ის დიდი სევდა – უშენობა რომ ჰქვია.

გვენატრები, ოთო, უსაშველოდ გვენატრები.

დაე, ჩვენმა მონატრებამ გაგინათოს გზა სასუფეველში.

*შენი მურთაზ ბიძიას ოჯახი*

### ნიკოლოზ (ნუკრი) ყიფიანის მონატრება



*„ცხოვრება მართლაც ფანდია,*
*ბოლოს გვითხრიან სამარეს.*
*უთქმელი დიდი დარდია,*
*ნათქვამი ჰარი-ჰარალე!“*

მართლაც დიდი დარდია, ჩვენო ნუკრი, შენი გადასახლება მარადისობაში, ის ავბედითი 30 ოქტომბერი, როდესაც დასრულდა საავადმყოფოს სარეცელზე შენი ორთვიანი ტანჯვა, რომელიც შენ დასტაქრის დანით ჩადენილი გამოუსწორებელი შეცდომის გამო გამოიარე.

ორი თვე გამოულევიძებლად იდექი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. და აი, გავიდა ის გაუსაძლისი ერთი წელი, რასაც უშენობა ჰქვია, შენი ტანჯული დედ-მამისა და შენი ლამაზი ოჯახისათვის.

იძინე მშვიდად, კეთილო და სიკეთის მთესველო ჩვენო ნუკრი. წმინდა სანთელი და ჩვენი ლოცვა არასდროს მოაკლდება შენს ლამაზ სულს, ჩვენო მარად მოუშუშებელო, უკურნებელო ტკივილო.

*დარეჯან, შოთა, ირაკლი*

### ქეთო გოგოლაშვილის ხსოვნას!



2004 წლის 1 ნოემბერს 40 დღე გადის უშენოდ, რომელმაც ძალიან მწარე ტკივილები დაგვიტოვა. მძიმე უკურნებელმა სენმა შენს ლამაზ სულს არ დააცალა იმ მიზნების განხორციელება, რაც გინდოდა. გულწრფელად დაგიტირეს მეუღლემ, შვილებმა: ივერიმ, ოკეანის გაღმა – ნანამ და გიამ; აქ – სანათესავომ და ახლობლებმა. ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩემ გვერდით აღარ ხარ. მხოლოდ შენი სურათები და მოგონებები დამიტოვე გასახსენებლად.

შენს საფლავს აქაც და სოფელშიც წმინდა სანთლები არ მოაკლდება, რომელიც გზას გაგინათებს მარადიულ სასუფეველში.

*შენი მეუღლე ნიკო*

### ქეთო გოგოლაშვილის გახსენება



1 ნოემბერს 40 დღე გადის უშენოდ. ჩვენ, პოლიკლინიკის თანამშრომლები ყოველთვის გაგიხსენებთ და არც არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენო საყვარელო ადამიანო. შენ დააკლდი შენს მოსიყვარულე შვილებსა და შვილიშვილებს, განსაკუთრებით კი, ერთგულ მეგობარს – მეუღლე ნიკოს, რომელმაც არაფერი დაიშურა შენს გადასარჩენად. დააკლდი შენს კოლექტივს, სამეზობლოს და სანათესავოს.

გაგიხსენებთ მუდამ დიდი სიყვარულით. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*თერაპიის ეროვნული ცენტრის საკონსულტაციო პოლიკლინიკის თანამშრომლები*



### პაატა (გულივერ) შუბლაძის გახსენება

მეთერთმეტედ ვხვდები შენს დაბადების დღეს უშენოდ. წახვედი და დამიტოვე მოურჩენელი ტკივილი, რომელსაც უშენობა ჰქვია.

რამდენი დამიგროვდა შენთვის სათქმელი. გეჩურჩულები, გიზიარებ ტკივილსა და სიხარულს. ვლოცულობ შენთვის.

*შენი დაიკო ბელა*

### თენგიზ ჭელიძის მონატრება



24 ოქტომბერს სამი ტკივილიანი წელი სრულდება, თენგო, რაც შენ შენს ლამაზ ოჯახს გამოემშვიდობე და მარადისობაში გადაინაცვლე. დატოვე თბილი ოჯახის ულელი ბიჭების იმედად, თვითონ კი ლამაზად განვლილი ცხოვრების 53-ე საფეხურმა გიღალატა და დარჩი მარად ოჯახისა და სიცოცხლის მოტრფიალე.

უშენოდ დარჩენილს ბევრჯერ შიშით დამიღამებია და გამითენებია, რომ ცხოვრებასთან ჭიდილში არაფერი შემშლოდა, რათა ჩვენი შვილებისთვის სწორი გზა ამერჩია. გქონდეს იმედი, თენგო – შენი შვილები სათუთად გაუფრთხილდებიან მამის სახელს, მე კი დარჩენილ სიცოცხლეს შენთან შეხვედრის მოლოდინში გავატარებ.

*შენი ოჯახი*

### მიხეილ ზამბახიძის გახსენება

შენი გარდაცვალებიდან 7 წელი შესრულდა. ყოველი დღე შენი მონატრებით თენდება და ღამდება. წლები გადის და უფრო მძიმე ხდება უშენობით გამოწვეული სევდა. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე. ენატრები ყველას და შენს კაიკაცობაზე ლაპარაკობენ. არასოდეს დაივიწყებენ იმ კაცური კაცის სახელს, რომელსაც მიშა ზამბახიძე ერქვა და რომლითაც ყოველთვის იამაყებენ შენი შთამომავალნი. შენი შვილიშვილები მუდამ შენს თავს იფიცებენ – პატარა მიშიკოც, რომელსაც შენ ვერ მოესწარი, მაგრამ უზომოდ უყვარხარ.

შენს ხსოვნას სათუთად შევინახავთ. ჩვენ მუდამ ვამაყობდით და ვიამაყებთ შენით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*შენი ოჯახი*

ახლო მეგობრები: ნელი ყოლბაია, ლამარა ჩხეიძე, ზოია თორია, ელისო კვირკველია, ნუნუ ბენია, ნონა შონია თანაგრძნობას უცხადებენ *ნიურა შონიას, რძლის*

**თუთანა რიგვავა-შონიას**

გარდაცვალების გამო.



შვილები: ნორა, ჟორა, ზაური, მედიკო, ჟანა, ჯონი, ალინა; რძლები: თინა გოჯაძე, მაური ართმელაძე, მაგული ტაკიძე; სიძე კაკო მისაბიშვილი; შვილიშვილები: ცისანა, ციური მისაბიშვილები, გია, ეკა, ელო, სოსო, მაცო, გოჩა, ცირა, იასონ, ალიკა, მაიკო ხომერიკები, ალეკო, ლია კეჭაყმაძეები, თეა ჭიხვარია; შვილთაშვილები, რძლები, სიძეები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანეტი იასონის ასული ქავჟარაძე-ხომერიკი**

*დაკრძალვა:* 26 ოქტომბერს, 15 საათზე;
*მისამართი:* ოზურგეთის რაიონი, სოფელი ნატანები, დონაური.



მეუღლე ლელა აბულაძე; შვილები: მარინე, ვლადიმერი, ირინე გვრიტიშვილები; და ნათელა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ილარიონ (ილია) ალექსანდრეს ძე გვრიტიშვილი.**

*დასაფლავება:* სამშაბათს, 13 საათზე.
*მისამართი:* ახალგორის რაიონი, სოფელი იკოთი.

# მიყვარხარ და დავბრუნდები...



— სამი წლის წინ ჩემი 12 წლის ბიჭუნა დაუნდობელმა სენმა იმსხვერპლა. მწუხარებამ ისე გამაქვავა, რომ ვერც ტირილი შევძელი და ვერც იმის დაჯერება, რომ ერთადერთი შვილი ცივ სამარეს მივაბარე. ცხოვრებამ აზრი დაკარგა, მეტყველების უნარი და ფეხები ერთბაშად წამერთვა. როგორ არ სცადეს ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა ჩემი ნუგეშისცემა, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს — სიცოცხლე აღარ მინდოდა და სულ თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი. რაკიღა განაზრახს მიმიხვდნენ და დამოუკიდებლად სიარულიც აღარ შემეძლო, ჩემ გვერდით გამუდმებით იყო რომელიმე ნათესავი.

გავიდა რამდენიმე თვე, რომელიც დამამშვიდებელი წამლებით გაჟღენთილმა, თითქმის მთლიანად ძილში გავატარე. ყოველი თვალის დახუჭვის დროს კი გუნებაში გარდაცვლილ შვილს ვემუდარებოდი, დამსიზმრებოდა... ნოემბრის ერთ სუსხიან ღამეს, გარიჟრაჟისას, თითქოს ვიღაცამ შემანჯღრიაო, თვალი გავახილე და ცხადლივ დავინახე ჩემი ბიჭუნას სახე, თავს ოქროსფერი სინათლე დალივლივებდა. ეზოში გამოდი, დედა, — მთხოვა შვილმა, — რამდენი ხანია გეძახი, მაგრამ ვერ გაგაგონეო. აბა, როგორ, ჩემო პატარავ, ფეხები მაქვს წართმეულიმეთქი, — შევჩივლე და პირველად ავტირდი მთელი ამ ხნის განმავლობაში... გამოდი, შენი შველა მჭირდებაო, — ნაღვლიანად მომიგო და კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მისი სახე გაფერმკრთალდა და რამდენიმე წამში გაქრა. სასოწარკვეთისგან ამოვიგმინე, მაგრამ ჩემ გვერდით მძინარე დედამთილს არაფერი გაუგია, ლაპარაკი და მით უმეტეს, ყვირილი კი არ შემეძლო! არ ვიცი, რა ძალამ წამომაყენა ფეხზე, ბორძიკ-ბორძიკით გავემართე კარისკენ. პატარაეზოიან ბარაკის ტიპის სახლში ვცხოვრობთ, რომელსაც ეკვრის ძველი ფარდული, სადაც საზამთრო პროდუქტს ვინახავთ... კარი გავაღე, ფარდულისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და გავშეშდი: ცივ მიწაზე, ღობესა და სათავსს შორის თეთრსამოსიანი პატარა არსება პირქვე იწვა და ძლივს გასაგონად კვნესოდა... თვალებს არ დავუჯერე — რადგან კიდურების ნაცვლად, ორივე მხრის გასწვრივ უღონოდ უთრთოდა ქათქათა ფრთები!

მუხლში მყისვე ძალა მომეცა, გულში — იმედი, ორი ნახტომით მასთან გავჩნდი, ხელები მხრებზე შემოვხვიე და წამოვწიე. მან კვნესა შეწყვიტა, ანგელოზივით მშვენიერი თვალები შემომანათა და წაიჩურჩულა: — მიშველე!.. ვინ ხარ და აქ საიდან გაჩნდი-მეთქი, — ჩურჩულითვე ვკითხე. დედამ მიმატოვა, ფრთები მოტეხილი მაქვსო, — ამოიკვნესა და გონება დაკარგა... ავიტაცე — ძალიან მსუბუქი იყო, „ხელები“ კი მართლაც უსიცოცხლოდ ეკიდა. ფარდულში შევიყვანე, ტახტზე დავაწვინე და იქვე მდგარი ძველი ნავთქურა ავანთე, ცოტა რომ გამთბარიყო. შემდეგ სახლში შევბრუნდი, ქვეშაგები გამოვუტანე და დიდი სიფრთხილით ტახტზევე გავუშალე. არ ვიცი, ეძინა თუ უგონოდ იყო, მაგრამ მიტოვებულ და უპოვარ ბავშვს ჰგავდა, რომელმაც ნავსაყუდელს მიაგნო...

დღედაღამ თავს ვევლებოდი — საუკეთესო კერძებით ვკვებავდი, ვბანდი, სანამ ღრმად არ ჩაეძინებოდა, გვერდით ვეჯექი... ფარდულში შესვლა შინაურებს სასტიკად ავუკრძალე და როცა ჩემს პატარა ანგელოზთან ვიმყოფებოდი, კარს შიგნიდან ვკეტავდი, ხოლო თუ გამოსვლა მიწევდა — გარედან. ოჯახის წევრებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რადგან ამგვარი საქციელი ნევროზულ ახირებად ჩამითვალეს, სიხარულად კი ისიც ჰყოფნიდათ, სიარული და ლაპარაკი რომ დავიწყე.

ამასობაში გაზაფხულდა და საგრძნობლად დათბა. ჩემი პატარა სტუმარიც მოკეთდა და საოცარი, დაუჯერებელი ამბების მოყოლა დაიწყო — იმქვეყნიურ ცხოვრებასა და ძალიან შორს არსებულ ნამდვილ სამშობლოზე, სადაც გარდაცვლილთა სულები სახლობდნენ. სხვას შესაძლოა ავადმყოფის წარმოსახვად აღექვა მისი საუბარი, მაგრამ მე შვილმკვდარი დედა ვიყავი და მისი მჯეროდა...

ერთ საღამოს, ძილის წინ, ის გულში ჩამეკრა და მითხრა: — იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ და აუცილებლად დავბრუნდებიო. წასვლას აპირებ-მეთქი, — გულს შემომეყარა და ავტირდი. არაფერი მიპასუხა, მხოლოდ ცრემლიანი თვალები დამიკოცნა.

მეორე დილით ფარდულში აღარავინ დამხვედრია... ამას ალბათ ვეღარ გადავიტანდი და ვერც ჩემიანებს მოვუყვებოდი, რას ვმალავდი ამდენი თვის განმავლობაში — შეშლილად მომნათლავდნენ, მაგრამ სტუმრის გაუჩინარებიდან ორი თვის თავზე ქმარმა გამომიცხადა — ბავშვი უნდა ვიშვილოთო... სიხარულით ცას ვეწიე, რადგან ასაკის გამო შვილის გაჩენა აღარ შემეძლო.

დღეს ჩვენს ოჯახში წლისა და რვა თვის ლუკა დაბაჯბაჯებს და გაუჩერებლად ტიტინებს: — დედა, დედიკო, დედა!..

***ლეილა გ., თბილისი***

# ვინ არ ყოფილა ახალგაზრდა და ვინ არ შემცდარა...



ახლა ბევრს ვნანობ, მაგრამ რა ვქნა. გატეხილს აღარაფერი გაამრთელებსო, — ამბობენ, თუმც ასე არ არის. მთავარია, გინდოდეს და მოინანიებ.

20-25 წლისა ციმბირში წავედი თანატოლ ბიჭებთან ერთად. მაშინ რუსეთში წასვლა სამუშაოდ ისევე მოდაში იყო, როგორც ახლა ევროპაში. ტყეს ვჭრიდით. ჩვენს ბრიგადირს — ბელორუს იგორას ფულს აძლევდნენ. ის კი ყველას თანაბრად გვინაწილებდა. ასე უნდა ყოფილიყო... თუმცა ერთ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ იგორი გვატყუებდა და ნაწილ ფულს მალავდა. ეს რომ გავიგე, შეურაცხყოფილი დავრჩი. საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა. არ ვიცი, როგორ გავმძვინვარდი ისე, რომ თავს ვეღარ ვაკონტროლებდი. რკინის ნაჭერს წამოვავლე ხელი, იგორს თავში ჩავარტყი და მარჯვენა წარბს ზემოთ შუბლი გავუტეხე.

სისხლმა ბრაზით დაბინდული გონება გამინათა. რკინა დავაგდე და მიმოვიხედე. ბიჭები შეშინებულები შემოგვფანტვოდნენ. მარტო მე და ის ვიყავით ტყეში... აშკარად ციხე მელოდა. მივხვდი, არ უნდა მექნა... ტყიდან გამოვიქეცი. არც ტანსაცმელი წამომიღია, არც ფული. 3-4 წელი შუა აზიაში დავეხეტებოდი. მერე საქართველოში ჩამოვედი. დავოჯახდი და აღარც ციმბირზე მიფიქრია ოდესმე, აღარც იგორზე.

30 წელი გავიდა. ჩემს ერთადერთ ვაჟს შვილი შეეძინა. ჩემი სახელი დაარქვეს — ბიძინა. ჯერ კიდევ ახალშობილი იყო, ექიმმა გაგვიხმო მე და მამამისი და გვითხრა, ბავშვს თანდაყოლილი მანკი აქვს. მარჯვენა წარბს ზემოთ შუბლის ძვალი საერთოდ არ აქვს, თითქოს ვინმეს ამოუჭრიაო და გვასწავლა, როგორც უნდა მოვქცეულიყავით.

მაშინ პირველად ამოტივტივდა მეხსიერებაში იგორი და სინდისის ქენჯნამ საშველი აღარ მომცა. ჯერ კიდევ სამშობიაროში ვნახე შვილიშვილი — შუბლზე თითქოს ნაწიბური ეტყობოდა.

იმ საღამოს ძველი ქაღალდები ამოვაქოთე. ერთი ჩემი ახლობლის მისამართი მოვძებნე. ის ბიჭი მაშინ ციმბირში ჩვენთან ერთად იყო. გამიმართლა — მისამართი არ შეეცვალა. გამომეხმაურა. დიდი წვალებით, მაგრამ მაინც გავბედე და ვკითხე: — იგორისა რა იცი, ცოცხალი თუა-მეთქი.

არ ვიცი, შვეულმფრენით წაიყვანეს საავადმყოფოშიო.

იქნებ, როგორმე დამეხმარო, იგორის ოჯახს მივაგნოთ-მეთქი, — ვთხოვე. მცდელობა არ დააკლო და მიაგნო კიდეც ბელორუსიაში იგორის ოჯახს. მოვჩხრიკე, თუ რამე მებადა, ქართული ნობათი შევკარი და წავედი ჩემი შეცდომის გამოსასწორებლად. ეს ის დღეები იყო, როცა პატარა ბიძინა მოსკოვში გადააფრინეს საოპერაციოდ. ცოლი ატირებული მეუბნებოდა: ბავშვი ასეთ დღეში გყავს, სად მიეხეტებიო. ხომ არ ვეტყოდი, რომ ჩემი ცოდვის გამო დასჯილი პატარას გადარჩენა მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული. ასე მჯეროდა.

ჩავედი მინსკში. იგორს მივადექი კარს. მაშინვე მიცნო. კინაღამ გაგიჟდა 70 წლის ბერიკაცი. ენაჩავარდნილი მისმენდა, პატიებას რომ ვთხოვდი. მარჯვნივ, წარბს ზემოთ, დიდი ნაიარევი აჩნდა, ჩაღრმავებულიც ჰქონდა, — დაფშვნილი ძვლები ქირურგებს ამოუღიათ. დავუტოვე ნობათი და წამოვედი. მოსკოვში ჩავფრინდი თუ არა, ეკლესიაში მივედი, აღსარება ვთქვი. მერეღა დავრეკე საავადმყოფოში. გადავრჩითო, — მითხრა ჩემმა ვაჟმა...

***ბიძინა ქ., თბილისი***

**„საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები**

I. მაწონი

II. 1-ლი და მე-6 სახლები

III. **აბა, გამოიცანი**

1) — გ); 2) — ბ); 3) — ბ); 4) — ბ); 5) — გ).

# „უარესისგან დამიფარე, ღმერთო!..“

საბურთალოზე, ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში, მაღაზიის წინ, ლამის ათ წელზე მეტია, აფხაზეთიდან ლტოლვილი, შავით მოსილი შუახნის სანდომიანი ქალბატონი მუშაობს, ჯიხურში გაზეთებს ყიდის. მყიდველს ყოველთვის თავაზიანად ემსახურება და ისინიც ცდილობენ ყურადღება არ მოაკლონ. მისი ცხოვრების უმძიმესი ეპიზოდების შესახებაც ვიცოდით — აფხაზეთში ცხოვრობდა, 1984 წელს 23 წლის ვაჟიშვილი ტრაგიკულად დაეღუპა, მოგვიანებით კი ძლივს გადაურჩა სოხუმის მძიმე დღეებს...

6 თვის წინ, დილით, რამდენიმე ჩვენთვის უცნობმა ადამიანმა მოაკითხა სამუშაოზე ახალგამოსულს და წაიყვანეს... იმ დღესვე გავიგეთ ძალზე სამწუხარო ამბავი — მოსკოვში მცხოვრები მისი 32 წლის ქალიშვილი, ორი მცირეწლოვანი შვილის დედა მოულოდნელად გარდაცვლილა...

სამუშაოზე სამი თვის შემდეგ დაბრუნდა, შეცვლილი, განახევრებული, კიდევ უფრო დამძიმებული. მთელმა უბანმა გულწრფელი თანაგრძნობა გამოუცხადა. გაზეთის მყიდველებიც უფრო მეტხანს ვრჩებოდით მასთან... ერთხელ ვკითხე, რომელ ეკლესიაში დადიხართ-მეთქი და ასეთი რამ მიამბო:

— ჩვენი თაობის ადამიანების უმეტესობა ათეისტებად ვიზრდებოდით. საყდარშიც იშვიათად შევდიოდით. მე და ჩემმა მეუღლემ სიყვარულით ვიქორწინეთ. კარგა ხანს შვილი არ გვყავდა. ერთხელ, უჩვეულო სიზმარი ვნახე — მესიზმრა აყვავებული, ზღაპრული მინდორი, რომლის შუაგულშიც ვიდექი. უცებ ხმაური მომესმა, მოვიხედე და დავინახე თეთრი, ულამაზესი ქალი გაშლილი თმით. შიშმა შემიპყრო და გავიქეცი. ამ დროს ღრმა, უზარმაზარ ორმოში ჩავვარდი. იქიდან ამოსვლა შეუძლებელი იყო, თუმცა გამიხარდა კიდეც, რომ „მდევარს“ თავი დავაღწიე. მაგრამ ის ქალიც ჩემ წინ აღმოჩნდა... რაღაც ძალამ ორმოდან ამომტყორცნა, კვლავ გავიქეცი. ის ქალი კი კვლავ ჩემ წინ გაჩნდა. ღიმილით მითხრა, რატომ ფიქრობ, რომ ორმოდან თვითონ ამოხვედი, რატომ არ გინდა ჩემი ირწმუნოო?

უცებ გონება გამინათდა და ვიფიქრე, ვინ იცის, იქნებ ჩემი მფარველი ანგელოზია-მეთქი, ძალა მოვიკრიბე, დავიჩოქე და სათხოვარი მაქვს-მეთქი, გავბედე.

— ნუ მთხოვო, — მიპასუხა.

— არა, უნდა დამეხმარო, შვილები უნდა მაჩუქო-მეთქი! — მივმართე ჯიუტად...

— კარგიო, — თავი დამიქნია და გაქრა...

მალე მართლაც შეგვეძინა ორი შვილი...

ახლა კი, როცა არც ერთი აღარ მყავს, ვგრძნობ, რომ რაღაც ისე ვერ გავაკეთე, როგორც ამას ჩემი მფარველი ანგელოზი მირჩევდა...

ახლა ჩემი ეკლესია გულით დამაქვს. უფალს პატიებას ვთხოვ და მადლს ვწირავ... აჭარაში თურმე უბედურების ჟამს ამბობენ: — მადლობა, ღმერთო და უარესისგან დამიფარეო! მეც ასე მინდა მივმართო უფალს და ჩემი შვილიშვილებისთვის ვილოცო...

***ცირა ნიკოლაიშვილი***

# დავუჯერო სიზმარს?

ჩემი ქალიშვილი 1976 წელს გათხოვდა. თითქმის ნახევარი წელი არ დაფეხმძიმებულა. ეს დიდი დრო არ არის და არც შევშფოთებულვართ... ერთხელ ლამაზი, კოხტად ჩაცმული ქალი მესიზმრა, რომელმაც მითხრა, თუ გინდა შენი შვილი დაფეხმძიმდეს, წაიყვანე სასაფლაოზე (მაშინ ქარელში ვცხოვრობდით), იქ მიწაში სანახევროდ ჩაფლულ ქალის საფლავის ქვას ნახავთ, გაასწოროს და ყველაფერი კარგად იქნებაო. გულში გავიფიქრე: ეს სუსტი გოგო იმხელა ლოდს როგორ გაასწორებს-მეთქი. თითქოს მიმიხვდა და მითხრა, — ქვა პატარააო!.. დილით სიზმარი მეუღლეს მოვუყევი. ახლავე წადით მამა-შვილი და ის საფლავის ქვა მოძებნეთო, — მთხოვა. სამსახურში მეჩქარებოდა და უარი ვუთხარი, მაგრამ შემიჩნდა და მე და ჩემი შვილი ცოტა ხანში უკვე იმ უცნობი ქალის საფლავის ქვას ვეძებდით. მალევე ვიპოვეთ. ქვა დაახლოებით 60 სმ-მდე სიგრძისა იყო. ნიჩბით ისე შემოვთხარე, რომ ჩემმა გოგონამ სულ ადვილად შეძლო მისი გასწორება. გავასუფთავეთ წარწერა და ამოვიკითხეთ, დაბადების წელი გადაშლილი იყო...

ჩემი ქალიშვილი მალე დაფეხმძიმდა, გოგონა შეეძინა, ნატო დავარქვით (იმ ქალის სახელიც ეს იყო)...

სულ ვფიქრობ, რაღა მაინცდამაინც მე და ჩემს შვილს დაგვავალა სიზმარში იმ ქალმა ქვის გასწორება-მეთქი. ალბათ ამით უნდოდა ჩემთვის, მაშინ ურწმუნოსთვის, დაემტკიცებინა, რომ იმ ქვეყნადაც არსებობს სიცოცხლე...

***ნოდარ ფ., პენსიონერი, თბილისი***

# ჩინელები უარს ამბობენ კოცნაზე

ევროპაში, აშშ-სა და კანადაში კოცნა სიყვარულის ნიშანია. პლანეტის მოსახლეობის ერთი მესამედი კი კოცნას არ ცნობს, ანდა საერთოდ არ იცის, რა არის ეს.

ბევრი კულტურა და რელიგია კოცნას უხამსობად მიიჩნევს. მაგალითად, იაპონელებისთვის ის უზნეობაა, ტაილანდში, ქუჩაში კოცნისთვის აჯარიმებენ და ციხეშიც კი სვამენ. აფრიკელების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ კოცნის დროს შეიძლება სულის მოპარვა, რაც ჩინელების აზრით, მავნეა ჯანმრთელობისთვის, ინდოეთში კოცნას საზიზღრობად თვლიან.

*მეგაპოლის-ექსპრესი №41*

# ოქროს ფსკერი



ქარიშხალი „ივანი“ და „ფრენსისი“, რომლებიც მთელი სექტემბრის მანძილზე აშფოთებდნენ ფლორიდის და მისი შემოგარენის მცხოვრებლებს, ყველასათვის მოულოდნელად არქეოლოგიურ აღმოჩენებად იქცნენ. აშშ-ის ოკეანის სანაპიროზე წყალმა გამორიყა ოქროს და ვერცხლის უამრავი მონეტა. არქეოლოგთა მტკიცებით, ეს ფული ესპანური ხომალდიდანაა, რომელიც ფლორიდის სანაპიროს ახლოს ჩაიძირა 1715 წელს. ამ მონეტების ფასმა, ნომინალთან შედარებით, ჩვენს დროში რამდენიმე ასეულით მოიმატა. მონეტები სანაპირო ზოლზე 5 კმ-ის სიგრძეზეა მიმობნეული. ამჟამად იქაურები ეძებენ პლაჟზე გაფანტულ ძვირფას განძს. ამერიკული გაზეთები იუწყებიან, რომ განძის მაძიებელთაგან ზოგიერთი მეტალოდეტექტორითაც არის აღჭურვილი.

*ტაიმი*

# „JEWEL EYE“ – მოდის მიმდევართათვის

უკანასკნელ ხანს გაიზარდა მოდის მიმდევართა ინტერესი თვალის მოსართავებისადმი, რასაც „Jewel eye“ ჰქვია. ყველაზე პოპულარულია გულის, ვარსკვლავის, ფიფქის, ნახევარმთვარის ან ჩინური იეროგლიფის მქონე ფიგურა.

ქირურგი, რომელიც ოპერაციას ადგილობრივი ანესთეზიით ატარებს, 15-20 წუთში გადანერგავს თვალის შემაერთებელ გარსში მოსართავს.

ამსტერდამის თვალის ქირურგიის დირექტორის, გერიტ მელესის თქმით, მოსართავი თვალს არ აზიანებს. თუ პაციენტს მოჰბეზრდება სამკაული, შეუძლია მისი ამოღება ან შეცვლა.

*ექსპრეს-გაზეთა №40*

# კატების დივიზია ომში ჩაერთო



მექსიკის ჩიხუახუას შტატის მაღალმთიან სოფელ ატასკადეროსოს ვირთაგვები შეესივნენ. შტატის ხელისუფლებამ სასწრაფოდ გამოაცხადა კატების... საყოველთაო მობილიზაცია. კატების „წვევამდელთა პუნქტში“ ქალაქ ჩიხუახუას მოსახლეობას მიჰყავს არა მარტო სადარბაზოებსა და ქუჩებში მოწანწალე კატები, არამედ შინაური ფისოებიც.

„წვევამდელებს“ ვეტერინარები ამოწმებენ, უტარებენ ცოფის საწინააღმდეგო აცრებს. მებრძოლ მჩხავანათა პირველი ნაკადი უკვე გაიგზავნა „ფრონტზე“ — 150 კატა სოფლის მოსახლეობას დაურიგეს; მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან მთებიდან დაძრულ მილიონობით ვირთაგვას ვერ ერევა ფისოების „დივიზია“ — ატასკადეროსოელები ყოველდღე რეკავენ ქალაქში და კატებს ითხოვენ.

*ნიუ ზუიქი*

# ვინ იქნება ამერიკის მორიგი პრეზიდენტი?

ამერიკელებისთვის ეგზომ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლიათ... სტალონეს დედის, ჟაკლინის ჯუჯა პინჩერებს.

ჟაკლინ სტალონე ირწმუნება, რომ მისი ძაღლები გულთმისნები არიან, ინფორმაციას „ტელეპათიური არხებით“ პატრონს გადასცემენ, ის კი მას ახმოვანებს.

პინჩერები ყველაზე კარგად პოლიტიკურ პროგნოზებს „სვამენ“. მაგალითად, 2000 წლის ივლისში იწინასწარმეტყველეს, რომ ჯორჯ ბუში ალან გორს მხოლოდ რამდენიმე ასეული ხმით მოუგებდა. შარშან აგვისტოშიც გამართლდა მათი ვარაუდი — შვარცენეგერი კალიფორნიის გუბერნატორად ხმათა უმრავლესობით აირჩიეს.

რაღა თქმა უნდა, ძაღლებმა წლევანდელი ნოემბრის არჩევნებიც არ დატოვეს უყურადღებოდ. ისინი გამარჯვებას თეთრი სახლის ახლანდელ ბინადარს უწინასწარმეტყველებენ. ოთხფეხა პოლიტოლოგების აზრით, ჯორჯ ბუში მეტოქეზე 15%-ით მეტ ხმას მოაგროვებს.

საზღვარგარეთ დაბადებული ამერიკელების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პინჩერების ერთმა პროგნოზმა. ძაღლებმა იწინასწარმეტყველეს, რომ აშშ-ის კონსტიტუციაში შეტანილი იქნება შესწორება, რომლის თანახმადაც, ქვეყნის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას არაამერიკული წარმოშობის მოქალაქეც. 2008 წელს ამ შესწორებით შვარცენეგერი ისარგებლებს.

*მირ ნოვოსტეი №42*

# პირველი კოსმეტოლოგები



მალე ეგვიპტის სტუმარს საშუალება მიეცემა იხილოს, რა კოსმეტიკურ საშუალებებს იყენებდნენ ფარაონის დროინდელი ლამაზმანები. ამისათვის საკურორტო ქალაქ შარმ-ელშეიხს უნდა ეწვიოთ. სწორედ აქ იგეგმება ფარაონთა ეპოქის დროინდელი კოსმეტიკის მუზეუმის შექმნა. ექსპოზიციაში შეიტანენ დაახლოებით 160 ექსპონატს, მათ შორის იქნება ზეთები, სუნამოები, პომადები და სხვა საშუალებები სახისა და სხეულის მოსავლელად. ეგვიპტელები კოსმეტიკური საშუალებების გამოგონებაშიც პირველები აღმოჩნდნენ — დაწყებული ქუთუთოს კოსმეტიკური ჩრდილით (სურმა), დამთავრებული ამჟამად მოდური კრიოთერაპიით.

*სანი*

# მაიმუნი – ადამიანის მეგობარი



ჩინეთის ქალაქ უხანში, უნივერსიტეტის წინ, ძეგლი დაუდგეს ლაბორატორიის საცდელ მაიმუნებს, რომლებიც დაიღუპნენ პნევმონიის საწინააღმდეგო ვაქცინის ძიების პროცესში. ძეგლის წარწერა იუწყება: „ეძღვნება 38 მაიმუნის ხსოვნას“. ამ პრიმატების დახმარებით უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გამოიგონეს ატიპური პნევმონიის საწინააღმდეგო ეფექტიანი ვაქცინა. პრეპარატი წარმატებით გამოიცადა მოხალისეთა ჯგუფზე. როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ცდებისას დაღუპულმა მაიმუნებმა კაცობრიობის თითქმის ნახევარი იხსნეს სიკვდილისაგან. „პრიმატებზე ჩატარებული ცდების შედეგად მედიკოსებმა ზუსტად განსაზღვრეს, რომ მომაკვდინებელი სენის გამომწვევი ე.წ. კორანოვირუსია და სწორედ მისი საწინააღმდეგო ვაქცინაა საჭირო“, — განმარტეს უნივერსიტეტის პროფესორებმა.

*ოგონიოკი №41*

# ჯექსონს დიდ ჟიურის გადასცემენ

პოპმუსიკის მეგავარსკვლავს, მაიკლ ჯექსონს, როგორც ჩანს, მოუწევს პასუხი გასცეს ბრალდებებს, რომლებსაც მცირეწლოვანთა მიმართ „უხამსი ქმედებების“ გამო უყენებენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კალიფორნიის პროკურატურამ მოიწვია დიდი ჟიური.

ამერიკის კანონმდებლობის თანახმად, პიროვნების სასამართლოზე გადაცემის საკითხი (იმ შემთხვევაში, თუკი პროკურატურა ბრალდებას წარმოადგენს) გადაიჭრება წინასწარი ღია მოსმენით ან დიდი ჟიურის მეშვეობით.

თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ჯექსონის საქმეს მოსმენებზე განიხილავდნენ, რაც ა.წ. 16 იანვარს კიდეც დაიწყო. მაგრამ შემდეგ პროკურორმა გადაწყვიტა, მოეწვია დიდი ჟიური. ეს კი ნიშნავს, რომ ჯექსონის სასამართლოზე გადაცემის საკითხს დახურულ სხდომაზე განიხილავდნენ. პროკურატურაც და დაცვაც უარს ამბობენ აღნიშნული სიტუაციის კომენტირებაზე, მაგრამ ცნობილია, რომ დიდი ჟიური მხოლოდ სერიოზულ საქმეებს განიხილავს.

მოწმეები, რომლებიც 1993 წელს გამოვიდნენ ჯექსონის წინააღმდეგ, კვლავ წარდგებიან დიდი ჟიურის წინაშე, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა „პოპმუსიკის მეფის“ სასამართლოსთვის გადაცემის საფუძველი.

10-წლიანი გამოძიების პროცესში დაიკითხა 400-მდე მოწმე. საქმე მაშინ შეწყდა, როცა ერთ-ერთი დაზარალებული ბიჭუნას მშობლები დათანხმდნენ ჯექსონს, დიდი ფულის სანაცვლოდ უარი ეთქვათ ჩვენების მიცემაზე. ვარაუდობენ, რომ სასამართლოზე ამ ყმაწვილსაც გამოიძახებენ. დიდი ჟიურის წინაშე წარდგება ის ყმაწვილიც, რომლის გამოც აღიძრა ჯექსონზე სისხლის სამართლის საქმე. პროკურატურას სურს, მომღერალმაც მისცეს ჩვენება, თუმცა პოპვარსკვლავს უარის თქმის უფლება აქვს.

ჟიურის 19-მა წევრმა 90 დღის მანძილზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ჯექსონის ბრალდებები 9 პუნქტისაგან შედგება, მათ შორისაა არასრულწლოვანთა (14 წელზე ნაკლები ასაკის) მიმართ უზნეო ქმედებების ჩადენა, სპირტიანი სასმელებით გამასპინძლება. იმ შემთხვევაში, თუ დიდი ჟიური ჯექსონს დამნაშავედ ცნობს, მას გაასამართლებენ. შესაძლებელია 2-დან 12 წლამდე პატიმრობაც კი მიესაჯოს.

*ეხო პლანეტი №13*

# დე ნირო ყოფილ ცოლზე დაქორწინდა

ხუთ წელიწადში რობერტ დე ნირომ არაერთი სატრფო გამოიცვალა — ნაომი კემპბელი, ეშლი ჯადი, უმა თურმანი... მაგრამ ამ მშვენიერ ქალთაგან 61 წლის ვარსკვლავს ვერც ერთმა ვერ დაავიწყა ყოფილი მეუღლე, მსახიობი გრეის ჰაიტაუერი და... შეურიგდა კიდეც.

მათი პირველი ქორწინება უიღბლო გამოდგა. გაყრისას დე ნირომ ჟურნალისტებს განუცხადა, — ცოლმა ისე მცემა, რომ ნეკნი გამიტეხაო, ხოლო გრეისმა ქმარს ლოთობა დასწამა და დაუმატა, — ჩვენს ვაჟს, ელიოტს, ღირსეულ მამობას ვერ უწევდაო. საინტერესოა, რა მოჰყვება მათ ხელმეორედ დაქორწინებას...

*ტაიმი*



# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ალეკ ბოლდუინის სიტყვებს ამოიკითხავთ.**



**დ.** რა ერქვა საქართველოს მეფის, გიორგი ბრწყინვალის მამას; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ი.** ფულის ერთეული ჩინეთში; **ს.** პოლკოვნიკი, რომელიც სისხლს უშრობდა გრაფ სეგედისა და მუშნი ზარანდიას; **ვ.** რა გვარია რომის ამჟამინდელი პაპი; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **თ.** წვრილი ღვედი; **ჩ.** ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად; **ვ.** თბილისის საკალათბურთო გუნდი; **ე.** განსწავლული ადამიანი; **ნ.** ფრენსის ფორდ კოპოლას გახმაურებული ფილმი; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ა.** რა ცხოველი იყო რედიარდ კიპლინგის „მაუგლის“ პერსონაჟი ბაგირა; **ნ.** საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული ყმაწვილი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც უიმედოდ უყვარდა ნიმფა ექოს; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **რ.** რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **თ.** ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **დ.** ნადირობის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დისპუტი; **ა.** ანანია; **ი.** იუანი; **ს.** სოკრატე; **ვ.** ვუალი; **ე.** ერშოვი; **ნ.** ნევადა; **ე.** ეტიკეტი; **პ.** პილატე; **ა.** ათინათი; **ლ.** ლეჩაქი; **ი.** იკებანა; **ტ.** ტემზა; **რ.** რეისი; **ი.** იუმორი; **ს.** სკოტი; **ფ.** ფიწალი; **ე.** ელარჯი; **რ.** რეფერი; **ე.** ელეგია; **ბ.** ბეირუთი; **შ.** შაყირი; **ი.** იპონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: სააკაშვილი ჩემი მოწაფე იყო.**

# როდემდე ვეძახოთ შემდუღებელს „სვარშიკი“

ჩვენებური გზებისა და ბენზინგასამართი სადგურების მიერ მოწოდებული „კეთილშობილი სითხის“ გადამკიდე, საქართველოში ძნელი საპოვნელია ერთი მძღოლი მაინც, პერიოდულად რომ არ უხდებოდეს „პროფილაქტიკებში“ სტუმრობა.

„ჟეშტიანჩიკი“, „მატორისტი“, „ელექტრიკი“, „ხადავიკი“, „კარდანის“ მოხსნა, „კალოტკების“ გამოცვლა... ასეთ ნარნერებს თბილისის თითქმის ყველა ავტოშემკეთებელ სახელოსნოში წააწყდებით. ხელოსნებსა და მძღოლებს შორის საუბარიც, უმეტესწილად ამ ენაზე მიმდინარეობს, თანაც ისე, რომ ზემოთ აღნიშნული სიტყვების ქართული მნიშ-









ვნელობა, ხშირ შემთხვევაში, ორივე მხარისთვის უცნობია.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს დედაქალაქში ავტომობილების რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა. თითქოს „პროფილაქტიკებსაც“ უნდა მომატებოდა კლიენტი, მაგრამ...

— ახალი და ძვირად ღირებული ავტომანქანების მფლობელები ჩვენთან არ მოდიან, ძველი მანქანების მძღოლებს კი ფული არ აქვთ — შემოგვჩივლა სავალი ნაწილების („ხადავოი“) შემკეთებელმა *ნუგზარ ჩიხრაძემ*, — 15 წელია, რაც ამ ხელობას დავეუფლე. ქვეყანა რომ აირია, სხვა სამუშაო ვერაფერი ვნახე და...

**— და ამასობაში, შეგიყვარდათ კიდეც ეს საქმე...**

— ჯერ სხვების მუშაობას ვაკვირდებოდი, თანდათანობით, მეც გავიწაფე ხელი და ეს რაჭველი კაცი პურის ფულს დღემდე ამ გზით ვშოულობ. რა თქმა უნდა, მთლად კმაყოფილი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ მომავალს იმედის თვალით ვუყურებ — ხალხი წელში გაიმართება, ქვეყანასაც ეშველება და ჩვენც...

**— ქართულ საქმეს თითოეულმა ჩვენგანმაც უნდა შეაშველოს ხელი. როდემდე ვეძახოთ შემდუღებელს „სვარშიკი“? ადექით და „ჟეშტიანჩიკის“ ნაცვლად მეთუნუქე დაწერეთ, ძნელი საქმეა?**

— თანდათანობით, ასეც იქნება. ძველი დროიდან გამოვიყოლეთ და გადაჩვევა არც ისე იოლია. ბევრმა ნაწილების ქართული სახელები არც იცის — ერთს ვაბარებ, მეორე მოაქვთ...

**— უცნაურ სიტუაციაში ხშირად აღმოჩენილხართ?**

— გასახსენებელი მართლაც ბევრია, კურიოზებიც ყოფილა, „მხედრიონის“ დროს ერთი-ორჯერ ავტომატის ჯერიც „მომიშვეს“ — მანქანა შეაკეთეო. ერთმა, არ ვიცი, გაბრუებული იყო, თუ რა სჭირდა, რომ ვუთხარი არ მცალია-მეთქი, ლამის ცხვირი მომაჭამა, ნაჭრილობევი ახლაც მეტყობა...

...რაჭველის შემდეგ, კახური „პროფილაქტიკის“ ჯერი მოვიდა. კახელმა ხელოსნებმა ჩვეული უშუალობით მიმიღეს და მკითხეს — აბა, რაში დავჭირდით „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტსო...

*დათო გოჩიაშვილი* (მეთუნუქე): — ოც წელზე მეტია ამ საქმეს მივყვები. საკმაოდ რთული სამუშაოა, მაგრამ თავიდანვე ძალიან მაინტერესებდა და დღემდე ვერ შეველიე. როცა ხალხს უჭირს, ხელოსანსაც უჭირს, მანქანებმა იმატა, ბევრიც ზიანდება, მაგრამ ყველა ვერ ახერხებს ხელოსანთან მისვლას, ამის მიუხედავად ვცდილობ, ოჯახიც ვარჩინოთ და ხალხსაც ვემსახუროთ...

**— თქვენს სახელოსნოს გარედან არაფერი აწერია, როგორ გავიგოთ — მეთუნუქე ხარ თუ „ჟეშტიანჩიკი?“**

— სხვათა შორის, მუშაობა კარგა ხნის დაწყებული მქონდა, როცა პირველად გავიგე ამ სიტყვის ქართული მნიშვნელობა. ბევრი სიტყვა რუსულად უფრო ადვილი სათქმელია, თანაც კომუნისტების დროს რუსული ყველაფერი „კარგი“ იყო და ხალხიც მიეჩვია. ჩემი აზრით, ჟურნალ-გაზეთებმა უნდა დაიწყონ მუშაობა ამ კუთხით, ახალგაზრდობა მიეჩვევა ავტონაწილების ქართულ დასახელებებს და სიტუაცია შეიცვლება.

**— კლიენტურა ხომ არ შეიცვალა, უფრო პრეტენზიულები ხომ არ არიან?**

— დიდად არაფერი შეცვლილა, ქართველები ერთმანეთს ყოველთვის გავუგებთ. უკმაყოფილო ჩვენგან ჯერ არავინ წასულა და გარწმუნებთ, არც არასდროს წავა...

# „BOXSTER“-ი პირადი მცველის როლში



კომპანია „PORSHE“-მ ახალი თაობის ავტომობილი წარმოადგინა. ორადგილიანი, ღია „BOXSTER“-ი ახლა უფრო მძლავრი და უსაფრთხოა. დიდმა, მრგვალმა ფარებმა, რომლებიც „911“ მოდელისას წააგავს და უკანა ბორბლების წინ განლაგებულმა ჰაერშემკრებებმა მოდელი უფრო ეფექტური გახადა.

სიახლეა როდსტერის ძრავებშიც. 2,7ლ მოცულობის ძრავის სიმძლავრე 240 ცხ.ძ-მდე გაიზარდა, ხოლო „BOXSTER S“-ი ახლა უკვე 280 ცხ.ძ-ის მქონე მოტორით იქნება აღჭურვილი. ასე რომ, ავტომანქანას 100კმ/სთ-ის „აკრეფა“ 5,5წმ-ში შეეძლება, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 268კმ/სთ-ია.

ტექნიკურ სიახლეებს შორის, ასევე აღსანიშნავია გადაცემათა ექვსსაფეხურიანი, მექანიკური კოლოფი. გარკვეული თანხის დამატების შემთხვევაში, მყიდველს შეუძლია შეუკვეთოს ავტომატური კოლოფი „Tiptronic S“-ი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მძღოლს სიჩქარეების გადართვა ხელითაც მოახდინოს.

და რაც მთავარია, ახალ „BOXSTER“-ს „პირადი მცველის“ ფუნქციებიც დაემატა. მანქანა ექვსი „Air Bag“-ითაა აღჭურვილი და პირველი როდსტერია მსოფლიოში, რომელსაც მძღოლისა და მგზავრების თავის დამცავი ბალიშები გააჩნია. ისინი საზურგეებშია ჩამონტაჟებული და გვერდითა „Air Bag“-ებთან ერთად დაცვის უმაღლეს დონეს უზრუნველყოფს.

# კომფორტი ნებისმიერ ამინდში




ათი წლის წინ, საავტომობილო ბაზარზე პირველი თაობის „AUDI A8“ გამოჩნდა. თუმცა მან ვერაფრით მოახერხა მყიდველთა დაინტერესება — ვერც ნატიფი დიზაინით, ვერც შთამბეჭდავი ინტერიერით და ვერც მძლავრი მოტორით. აი, ახალმა „A8“-მ კი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება გააერთიანა და უმოკლეს ხანში, იქცა ერთ-ერთ ყველაზე სასურველ ავტომანქანად. ესაა უნიკალური ქმნილება, რომელშიც პრესტიჟული სედანის ელეგანტურობა, განსაცვიფრებელი დიზაინი და სპორტული ავტომანქანის დინამიკაა შერწყმული.

ახალი „AUDI A8“ შექმნილია ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგია „AUDI SPEACE FRAME“-ს მეშვეობით. მისი სრულყოფილი ძარა უფრო მტკიცე და საიმედოა, ვიდრე ოდესმე. შემცირებული წონა თავისთავად ნიშნავს გაუმჯობესებულ დინამიკას და საწვავის ხარჯის შემცირებას, თითოეული სისტემა კი ისეა შემუშავებული, რომ მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს. მაგალითად, დამცავი ბალიშები ამოქმედდებიან უსწრაფესად და სწორედ იმ რეჟიმში, როგორსაც სიტუაცია მოითხოვს. გარდა ამისა, „A8“-ში მძღოლის მხრიდან დამონტაჟებულია კიდევ ერთი ბალიში, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურად იცავს მძღოლს საჭესთან შეჯახებისგან.

ახალი „AUDI“-ს V8 3.7 მოცულობის ძრავი 280ცხ.ძ-ს ავითარებს. უფრო მძლავრია V8 4,2 (335ცხ.ძ), რომელსაც ადგილიდან 100კმ/სთ-ის „აკრეფა“ 6,1 წმ-ში შეუძლია. გადაცემათა ახალი, ექვსსაფეხურიანი კოლოფი კი მართვის არაჩვეულებრივ სირბილეს უზრუნველყოფს.

ბუნებრივია, მგზავრთა კომფორტისთვის ყველა პირობაა შექმნილი. დავიწყოთ იქიდან, რომ კარები თითქმის სწორ კუთხემდე იღება, სკამისა და საზურგის თავებში ჩამონტაჟებულია ორი, თხევადკრისტალური მონიტორი, რომლებიც ტელევიზორის რეჟიმში მუშაობს. სერვისული ფუნქციების მართვა უკან მჯდომ მგზავრს დისტანციური პულტის მეშვეობით შეუძლია.

V8-ს გარდა, „AUDI“-სთვის გვთავაზობენ 12-ცილინდრიან ძრავსაც. ამასთან, თვით ფლაგმან W12-ზე მიდის ტრანსმისია 4X4 და შესაბამისად „A8“ თავისუფლად გრძნობს თავს როგორც საზაფხულო ტრასაზე, ასევე დათოვლილ გზატკეცილზეც...

*რუბრიკა მოამზადა რატი შელეგიამ*

# „ფოკუსები“ ახალ „FOCUS“-ში



პირველი სერიის „FORD FOCUS“-ი, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი, ექვსწლიანი წარმოების მანძილზე 4.000000 ეგზემპლარი გაიყიდა. ახლახან კი კომპანიამ ბესტსელერის მეორე თაობა წარმოადგინა. მოდელის საერთო სტილი არ შეცვლილა და „FOCUS II“-ს აშკარად ეტყობა, ვისი „მემკვიდრეცაა“, თუმცა, დებიუტანტს შედარებით გამოკვეთილი ფორმები გამოარჩევს.

სიახლეებია ინტერიერშიც. სალონი უფრო ტევადი გახდა — განსაკუთრებით უკანა ნაწილში და ტანმაღალ მგზავრებს აღარ მოუწევთ მუხლებით წინა საზურგის „შეწუხება“. 10%-ით გაიზარდა საბარგულის მოცულობაც. ბუნებრივია, კომპანიამ ძრავების რამდენიმე სახეობაც წარმოადგინა ახალი მოდელისთვის. დიზელის გარდა, სამია ბენზინის ძრავი — 1,4ლ მოცულობის (80ცხ.ძ), 1,6ლ(100ცხ.ძ) და 2.0 (145ცხ.ძ). თითოეულმა მათგანმა მიიღო გაზგანაწილების ფაზათა ცვლილების უახლესი სისტემა „Ti-VCT“, რომელიც უზრუნველყოფს კარგ „გაწევას“ მცირე მანძილებზე და დაახლოებით 5%-ით ზრდის ეკონომიურობას. რაც შეეხება სიჩქარეთა კოლოფს, „FOCUS“-ისთვის გათვალისწინებულია მექანიკური, ხუთ და ექვსსიჩქარიანი, ასევე ავტომატურ გადაცემათა კოლოფი.

„Ford“-ის ინჟინრებმა ახალი „FOCUS“-ი ისეთი მოწყობილობებით აღჭურვეს, რომლებიც არათუ მის წინამორბედს არ გააჩნდა, არამედ, გოლფ-კლასშიც იშვიათად გვხვდება. აი, რამდენიმე მათგანი:

KEYFREE SYSTEM. ამ სისტემის მეშვეობით მძღოლს უკვე აღარ სჭირდება გასაღები ძრავის ასამუშავებლად, მის მაგივრობას სპეციალური ბარათი გასწევს.

SOLAR REFLECT WINDSHIELD. წინა საქარე მინა, რომელიც დაახლოებით ხუთჯერ უფრო ეფექტურად შთანთქავს მზის სხივებს, ვიდრე ჩვეულებრივი შუშა და ხელს უწყობს კლიმატ-კონტროლის მუშაობას.

ADAPTIVE FRONT LIGHTING SISTEM. სისტემა, რომელიც წინა ფარებს ბორბლების მოძრაობის მიმართულებით აბრუნებს.

VOICE CONTROL. მობილური ტელეფონის, კლიმატ-ხელსაწყოს და „მუსიკის“ მართვა მძღოლს საკუთარი ხმის მეშვეობით შეუძლია. პირველად, კორპორაცია „FORD“-მა ასეთი სისტემა ძვირად ღირებულ „იაგუარში“ გამოიყენა, ახლა კი, იგი უკვე გოლფ-კლასის ჰეჩბეკებშიც დანერგეს.

განსხვავებული ჟურნალი

ნატო ონიანმა უკომპლექსო ქმარი იპოვა — „იმდენ შვილს გავაჩენ, რამდენსაც ღმერთი მომცემს“

რამ შეაშინა პრეზიდენტის უმცროსი ძმა

ვინ არის ნიკა ტაბატაძის ახალი მეუღლე

100 გახმაურებული დანაშაული საქართველოში გრიფით „საიდუმლო“ — დაკავებულია ზესტაფონელი მანიაკი — „ღამურა“



ორშაბათობით!

# „არა მგონია, ჩემმა კონკურენტებმა იკადრონ აკრძალული წესებით ბრძოლა“

## „შესაძლოა, გარეშე ძალამ სიტუაცია დაძაბოს“

საქართველოს კრივის ფედერაციაში პრეზიდენტის არჩევნებისათვის ემზადებიან. 29 ოქტომბრის ყრილობა ნათლად გამოაჩენს — კმაყოფილია თუ არა საკრივო სამყარო ფედერაციის ამჟამინდელი თავკაცის — გიორგი კანდელაკის მუშაობით. მის გარდა, პრეზიდენტის სავარძლისათვის კიდევ ორი პრეტენდენტი — კანდელაკივით მოქმედი მოკრივე, ამერიკამოვლილი რამაზ ფალიანი და ვეტერანი მწვრთნელი — გიორგი ჩიხრაძე „იბრძვიან“. ბუნებრივია, თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი პროგრამა და ამბიცია, რომ კონკურენტებზე უკეთ გაართმევს თავს ამ თანამდებობას. თუმცა, როდესაც მოქმედ პრეზიდენტს მის საარჩევნო პროგრამაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, მხოლოდ ის გვითხრა — ჩემი პროგრამა ჩემ მიერ დღემდე შესრულებული საქმეებია და ხელმეორედ არჩევის შემთხვევაშიც, უპირველესად იმას შევეცდები, ქართულ კრივში, რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია მოვიზიდოო.

ვინ როგორ „იმუშავა“ და პრეზიდენტობის რომელ კანდიდატს უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ამას 29 ოქტომბერი გვიჩვენებს. მანამდე კი **გიორგი კანდელაკს** გავესაუბრეთ, რომელიც თურმე სამ ფრონტზე ერთდროულად იბრძვის.

— როგორც იცით, ვერის ბაღში მიმდინარეობს კრივის დარბაზის მშენებლობა, ვემზადებით 29 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის და გარდა ამისა, ველით სასამართლოს დასრულებას, რომელიც ლონდონში მიმდინარეობს ჩემს კონტრაქტთან დაკავშირებით და რომელმაც ამჟამინდელი პრომოუტერის „კლანჭებისაგან“ უნდა გამათავისუფლოს...

საქმე ის არის, რომ ჩემი ინგლისელი პრომოუტერი — ფრენკ უორენი ძალიან „პასიურობს“. თითქმის ერთი წელია, ბრძოლა რაა, ისიც ვერ გავმართე. არც სხვაგან მიშვებს, თორემ შემოთავაზებები მქონდა სხვა მენეჯერებისაგან.



რამდენჯერმე ტყუილადაც მოვემზადე ბრძოლისათვის, მაგრამ... ამ დაპირებებში თითქმის ერთი წელი გამიცდა და ახლა ვცდილობ, სასამართლოს ძალით გავთავისუფლდე კონტრაქტისაგან. ამის შემდეგ ახალ პრომოუტერს ავიყვან და ალბათ ბრძოლასაც მალე გავმართავ. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**— ამ კვირის მთავარი მოვლენა, ალბათ, მაინც ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია...**

— ყრილობას ყველა ის მწვრთნელი და მსაჯი დაესწრება, რომელიც საქართველოს კრივის კავშირის წევრია. თითოეულ მათგანს ეძლევა შესაძლებლობა, სასურველ კანდიდატს მისცეს ხმა.

**— კენჭისყრა ღია იქნება, თუ ფარული?**

— ჩემი სურვილია, ხმის მიცემა ღიად მოხდეს. ამით მითქმა-მოთქმასაც ავიცილებთ თავიდან და იმასაც დავინახავთ, ვის რომელი კანდიდატი მოსდის თვალში. სპორტსმენები ვართ, „თამაში“ არ შეგვფერის — ერთს უთხრა ხმა მოგეციო და ამ დროს, მეორის სასარგებლოდ გააკეთო არჩევანი...

**— თქვენს კონკურენტებზე რას იტყვით, ხმა დაირხა, რომ ერთმანეთთან არცთუ თბილი დამოკიდებულება გაქვთ...**

— ეს მორიგი ჭორია, ბატონ გიორგი ჩიხრაძეს ქართული კრივისთვის უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული. ასაკოვანი ბრძანდება და თითქმის მთელი ცხოვრება სპორტის ამ სახეობას მიუძღვნა. საჩხუბარი რა მაქვს მასთან? ძალიან დიდ პატივს ვცემ, ვთვლი, რომ მისი ამაგი ჯეროვნად უნდა დაფასდეს.

იმავეს თქმა შემიძლია მეორე კანდიდატზე — რამაზ ფალიანზეც. მეგობრობის გარდა, ერთმანეთთან ნათელმირონობაც გვაკავშირებს. ძალიან კარგი მოკრივე და ადამიანია, ჩამოვიდა, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა და ჩვენ შორის ჯანსაღი კონკურენცია იქნება.

**— არჩევნებს ყოველთვის ახლავს ინტრიგა, ფარული, აკრძალული ხერხებით ბრძოლა. ამ მხრივ როგორ არის საქმე?**

— მე არავის ვებრძვი! არც ის მგონია, ჩემმა კონკურენტებმა იკადრონ აკრძალული წესებით ბრძოლა. ისე კი, ყველაფრისათვის მზად ვარ. შესაძლოა, სხვა, გარეშე ძალა შეეცადოს სიტუაციის დაძაბვას, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და თუ 29-ში ყრილობას დაესწრებით, თავად დარწმუნდებით, ვის აირჩევენ და როგორ...

**— აღნიშნეთ, ერთი, საკრივო ოჯახი ვართო. გამარჯვების შემთხვევაში, ფალიანსა და ჩიხრაძეს გვერდში თუ დაიყენებთ?**

— რა თქმა უნდა. კრივში დასაკარგი ხალხი არ გვყავს. თითოეული პროფესიონალის საუკეთესო თვისებები ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ. იმიტომ ვარ ღია კენჭისყრის მომხრე, რომ დავინახავთ, ვინ რისი მომხრეა და როგორ უნდა კრივის განვითარება. არც კენჭისყრის შედეგები იმოქმედებს ამ ადამიანებთან ურთიერთობაზე. ასე რომ, არანაირი დაპირისპირება არ არის და დარწმუნებული ვარ, არც 29 ოქტომბრის შემდეგ იქნება...

**— მგონი, დროა, გიორგი კანდელაკიც ვიხილოთ რინგზე...**

— სიმართლე გითხრათ, მართლაც მომენატრა რინგზე გასვლა. ყოველდღიურად ვვარჯიშობ, მოუთმენლად ველი სასამართლოს დასრულებას და თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე მინდა, ახალ პრომოუტერთან კონტრაქტის გაფორმებისთანავე „შევუდგები საქმეს“. მძიმეწონოსანი მოკრივის „ოქროს ხანა“ 31-36 წელია, სწორედ ამ პერიოდში ვარ და მინდა, სერიოზულ წარმატებას მივაღწიო...

***რატი შელეგია***

# მარცხი, რომელმაც გამარჯვება უნდა გვასწავლოს

## ამ ეტაპზე გულწრფელი ოვაციებიც უკვე წარმატებაა




უეფას თასის ჯგუფური ეტაპი თბილისის „დინამომ“ მარცხიანად დაიწყო. ფრანგული „სოშო“ უფრო ჯერკეტი კაკალი გამოდგა, ვიდრე „სლავია“ და „ვისლა“, მაგრამ მისი დამარცხებაც შეიძლებოდა. „დინამოს“ წარმატებაში რამდენიმე ფაქტორმა შეუშალა ხელი, თუმცა ეს ფაქტორები მწვანე მინდორს კი არა, უფრო თამაშის წინა პერიპეტიებს გასდევდა უჩინარლანდად იმ წუთიდან, როდესაც ცნობილი გახდა თბილისელთა მეტოქე 21 ოქტომბრის მატჩში.

„სოშო“ ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ არის, ეს ქართველებმა კი არა, ფრანგული ფეხბურთის ისეთმა გრანდებმაც მშვენივრად უწყიან, როგორებიცაა „მონაკო“, „ლიონი“, პსჟ თუ „ბორდო“. „სოშო“ ის გუნდია, ვინც ვარსკვლავებით გაძეძგილ, ზემოთ ჩამოთვლილ კლუბებს პირდაპირ სისხლის უშრობს შინ და გარეთ. ეს ყველაფერი კი იმის მაუწყებელია, რომ „დინამოს“ დაუპირისპირდა უზარმაზარი გამოცდილების, მაღალი კლასისა და ევროპული ფეხბურთის ნიუანსების კარგად მცოდნე გუნდი, რომელიც არად დაგიდევთ არა მარტო „დინამოსავით“ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ კლუბებს, არამედ გაცილებით დიდ ავტორიტეტებსაც. აქედან გამომდინარე, მათთან თითქმის თანაბარ ბრძოლაში მარცხი ჩვენთვის სირცხვილად კი არა, გაკვეთილად უნდა იქცეს. გაკვეთილად, რომელიც კვალიფიციურმა პედაგოგმა ჩაგვიტარა და მიღებული ცოდნა (თუკი ბეჯითად ვისწავლით) მომავალში აუცილებლად დადებითად წაგვადგება.

იმ დღიდან, რაც „სოშოსთან“ მზადება დაიწყო გეგუჩაძის კრებულმა, არ შეწყვეტილა ლაპარაკი, რომ ფრანგები დაცვით სტილს მისდევდნენ და მათი უმთავრესი კოზირი კონტრშეტევაზე თამაშია. ყველა მწვრთნელს ინდივიდუალური მზადების სტილი გააჩნია და ეჭვიც არ გვეპარება, რომ გეგუჩაძე ტაქტიკური სქემების შემუშავებისას სხვა ვარიანტებსაც დაამუშავებდა, მაგრამ ფრანგთა „ყბადაღებული“ კონტრშეტევების თემამ რომ მნიშვნელოვნად გადაწყვიტა „დინამოს“ სადებიუტო მონახაზი, ეს აშკარა იყო. სწორედ ამიტომაც ჩაგვივარდა პირველი ტაიმი და საწყის 45 წუთში უკულმა შეტრიალებული მატჩის ბედი ვეღარაფრით შემოვაბრუნეთ. „დინამო“ თავიდან მაინც მეტოქის დაზვერვასა და შესწავლას მოუნდა, პირველი ტაიმის შუა მონაკვეთიდან კი „სოშოს“ კარზე ფართომასშტაბიანი შეტევების ნიშანი უნდა მიეცა გეგუჩაძეს. ყოველ შემთხვევაში, „დინამო“ სადებიუტო ურთიერთობის გარკვევის შემდეგ მეტოქის საჯარიმოს უნდა გაშინაურებოდა. ალბათ ასეც იქნებოდა, რომ არა ქართველთა ის საბედისწერო დანაკლისი, რაც კანკავასა და კვირკველიას არყოფნაში გამოიხატა. თბილისელთა გეგმაში უსიამოვნო კორექტივები „სოშოს“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ილანმა სწორედ მაშინ შეიტანა, როდესაც „დინამოს“ საიდუმლო იარაღი უნდა ამოქმედებულიყო. ბევრმა ინატრა მაშინ კანკავა და კვირკველია. პირველი მათგანი ალბათ ფეხს „დაატოვებინებდა“ და არაფრით არ მისცემდა ილანს ოთხი მცველის მოტყუების და საჯარიმოში შეღწევის შესაძლებლობას, მეორე კი ზუსტად იქ დააზღვევდა პარტნიორებს, საიდანაც ასე იოლად შეინავარდა ბრაზილიელმა. ასე იყო თუ ისე, „სოშო“ სწორედ მაშინ დაწინაურდა, როცა „დინამოს“ თამაში უნდა წაეყვანა. მოვლენების ასეთმა განვითარებამ გეგუჩაძის სცენარი, როგორც ჩანს, გვარიანად არია და ვიდრე გუნდი ახალი ტაქტიკურ ვარიანტებზე გადაეწყო, მეორე გოლიც მივიღეთ, ამჯერად სტანდარტული სიტუაციიდან. კუთხურიდან მიღებული ბურთიც იმის ბრალი იყო, რომ კვირკველიას ადგილზე გამ-



წესებული რომერო ვერ აუდიოდა მარცხენა ფლანგის კონტროლს. მთლიანობაში დაცვას ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ კანკავა და კვირკველია ტყუილად არ გვიხსენებია, ერთი, რომ მათი არყოფნით მოედნის ცენტრი ფრანგებმა დაიპყრეს და მეორეც, ქართული ფეხბურთის უმთავრესი იარაღი — ფლანგური გარღვევები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ ავამოქმედეთ.

ის, რომ „დინამომ“ მეორე ნახევარში საგოლე მომენტები შექმნა და მატჩის გადარჩენის იმედი ჩაგვისახა, გარკვეულწილად „სოშოს“ მოდუნებითაც იყო განპირობებული. ორბურთიანი ფორა მათთვის საკმარისი საბუთი იყო ძალების დასაზოგად, მაგრამ მათ ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს — „დინამოს“ ახალგაზრდული ჟინი და ბრძოლისუნარიანობა. არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელებს შექმნილი საგოლე მომენტებიდან რომელიმე რომ გამოეყენებინათ. თუნდაც ამ მონაკვეთებში იგრძნობოდა, რომ „დინამო“ დიდი ფეხბურთის კონტურებს კვეთდა მწვანე მინდორზე და დადებითი შედეგების მისაღებად თუ რაიმე აკლდა, ეს საფეხბურთო სიბრძნე და თუნდაც „სოშოსნაირ“ გუნდებთან თამაშის გამოცდილება იყო. ცალკეულ ეპიზოდებში ჩვენმა გუნდმა მართლაც ქრესტომათიული, მრავალსვლიანი კომბინაციები გაითამაშა ბურთის შეუჩერებლად და მოედნის ცენტრის ელვისებური გადაკვეთით. ეს უკვე დიდი ფეხბურთის კარიბჭეებთან თამამი „მიკაკუნებაა“ და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: თუკი „დინამოს“ თავკაცობას ეყო მოთმინება და ეს თვითმყოფადი გუნდი საგაისოდ შეინარჩუნა, ჭაბუკი ფეხბურთელებისთვის წლევანდელი დასანანი დამარცხებები ხვალ უეჭველად დიდ წარმატებად გადაიქცევა. ასე იწყებდა აღმასვლას პოსტსაბჭოთა ქვეყნების რამდენიმე ფლაგმანი, მათ შორის კიევის „დინამო“. უკრაინელებიც აგებდნენ „სოშოსნაირ“ გუნდებთან, მაგრამ წლების მანძილზე ძირითადი ბირთვი არ დაუშლიათ და ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ მრისხანე „ბარსელონა“ მათსავე სტადიონზე გაანადგურეს 4:0 და განა მარტო „ბარსელონა“? ევროპის სახელმოხვეჭილი გრანდებისთვის



თავსატეხად იქცნენ. დღევანდელი დონეცკის „შახტიორი“ აიღეთ, მაშინ, როცა ჩვენი „დინამო“ „სოშოსთან“ აგებდა, უკრაინელებმა „სელტიკს“ აწყევლინეს თავ-ბედი, უკრაინის კიდევ ერთმა გუნდმა „დნიპრომ“ კი ბელგიური „ბრიუგე“ დაიფრინა. ეს მაგალითები იმიტომ მოგვყავს, რომ სამომავლოდ გავითვალისწინოთ და „სოშოს“ და მისნაირ კლუბებს აღარ ვათქმევინოთ, — თბილისში უეჭველად მოსაგებად ჩამოვედითო...

4 ნოემბერს „დინამო“ ჯგუფის ფავორიტს, ინგლისის „ნიუკასლს“ უნდა ესტუმროს. ერთი შეხედვით ურთულესი მატჩია, მაგრამ ამ ეტაპზე სასურველი და აუცილებელი. მე თუ მკითხავთ, „ნიუკასლთან“ უფრო შეიძლება ლაღი და ტექნიკური თამაშის ჩვენება, ვიდრე „სოშოსთან“. ინგლისური კლუბები თავადაც ცდილობენ ფეხბურთის თამაშს და სხვასაც აძლევენ ამის საშუალებას. აქ უადგილოდ მეჩვენება იმის მტკიცება, რომ ქართველებს ტრადიციულად გვიადვილდებოდა ბრიტანულ გუნდებთან ტექნიკური და კომბინაციური ბურთის გორება. უადგილოდ, იმიტომ, რომ ეს ყიფიანს, გუცაევს, ჩივაძეს, მაჩაიძეს და იმ დროის ვარსკვლავთკრებულს უადვილდებოდათ ნებისმიერ გუნდთან თამაში, მაგრამ ვიდრე ისინი თუნდაც „ლივერპულსა“ და „ვესტ-ჰემს“ საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით „არბენინებდნენ“ მწვანე მინდორზე, ხუთწლიანი მომქანცველი შრომისა და ურთიერთშეთამაშების პროცესი დაძლიეს. ბრიტანული იყო „ტოტენჰემიც“, მაგრამ დღევანდელზე გაცილებით ძლიერ „დინამოს“ 5:1 მოუგო. ალბათ, ეს მარცხიც საჭირო იყო გამოცდილების დასაგროვებლად. იმ წაგებიდან სულ ცოტა ხანში კი ისეთი „დინამო“ შეიქმნა, რომელსაც ქედს უხრიდნენ „რეალი“, „ბაიერნი“ და „ინტერი“...

ჩავა თბილისის „დინამო“ ინგლისში 4 ნოემბერს და თუკი მუხლების კანკალით არ გავა მინდორზე შირერის, ბელამისა და კლუივერტის წინააღმდეგ, თუკი ქართულ, ცეცხლოვან ფეხბურთს ლაღად ითამაშებს, მრავლისმნახველი ინგლისელი გულშემატკივარი მათთვის არ დაიშურებს ისეთ ოვაციებს, როგორითაც ძველ „დინამოს“ აცილებდნენ ნისლიანი ალბიონიდან. ამ ეტაპზე ამ ოვაციების დამსახურება ჩვენთვის გამარჯვების ტოლფასია. ეს იმას ნიშნავს, რომ თაობა მოდის, რომელმაც საკუთარ მხრებზე უნდა იტვირთოს ქართული ფეხბურთის მძიმე ჯვარი. მთავარია, „დინამოს“ დირექტორატმა ცდუნებას გაუძლოს და ევროპელი სელექციონერების არეალში უკვე მოქცეული ახალგაზრდა „დინამოელები“ საშუალო და უფრო დაბალი დონის კლუბებში არ მიყიდ-მოყიდოს. თუ ამ გუნდის შენარჩუნება და გაძლიერება მოხერხდა, ხვალ და ზეგ კანკავაზე, კვირკველიაზე, ალადაშვილზე, კაკალაძესა და სხვებზე უკვე თუნდაც „ნიუკასლი“ განაცხადებს შეძენის პრეტენზიას და ათმაგად მოგებული დარჩება „დინამოც“ და ქართული ფეხბურთიც.

ბოლო დროს რაღაც გაორებული გრძნობა გვაწუხებს ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს. უკანასკნელი მატჩები ნაკრებმაც წააგო და „დინამომაც“, მაგრამ ხელი არავის ჩაუქნევია. ეს უკვე წინსვლისა და იმედის საწინდარია. ახლა სწორედ იმედის დაბრუნებაა მთავარი, რადგან იმედი, თუნდაც უსაფუძვლო, ათასწილად სჯობს დიდად საფუძვლიან უიმედობას(!).

***ზვიად სეხნიაშვილი***

## №42 (420) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 530 რესპონდენტი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 206-მა ქალმა და 316-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„თავისუფალ დროს რა სახის ლიტერატურის წაკითხვას ისურვებდით?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობა „მოცალეობის ჟამს“ საკითხავად ისტორიულ რომანს მიაშურებდა — რესპონდენტთა 34%-მა შეაფასა ეს გრაფა მაქსიმალური ქულით, მინიმალური — 1 ქულა კი მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,6%) დაუწერა.

**6.47** საშუალო ქულით ისტორიული რომანი პირველ ადგილზეა. მკითხველებში საკმაო პოპულარობით რომ სარგებლობს დეტექტივი, ეს „არახალია, ძველია“ და კარგად ჩანს ჩვენი გამოკითხვებიდანაც (მკითხველის პრემიებიდან). მაქსიმალური ქულა მას 28,5%-მა მიაკუთვნა. 6,42 საშუალო ქულით დეტექტივი მეორე ადგილზეა.

საინტერესოა, რომ 50-წლამდე ასაკის მკითხველებს ისტორიულ რომანს დეტექტივი ურჩევნიათ, რაოდენ გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, ასეთივე ლიტერატურული გემოვნება ჰქონიათ ქალბატონებსაც — მათთანაც დეტექტივი პირველ ადგილზეა. მამაკაცები კი უპირატესობას ისტორიულ რომანს ანიჭებენ.

თავისუფალ დროს მკითხველთა 23% ყველაზე მეტად იუმორისტული მოთხრობების წაკითხვას ისურვებდა — იუმორს მოკლებული ყოველდღიურობის იუმორით შევსებას ასე შეეცდებოდა.

საინტერესოა, რომ ყველა ასაკის მკითხველის პასუხებში პოეზია მეოთხე ადგილზეა, გამონაკლისი მხოლოდ 30 წლამდე ასაკობრივი ჯგუფია, სადაც პოეზიას ბულვარულმა რომანმა გაასწრო. როგორც ვხედავთ, ლექსები ნაკლებად ხიბლავთ ახალგაზრდებს და მისი წაკითხვის სურვილიც დღეს ათასში ერთს თუ გაუჩნდება.

50 წელს გადაცილებულ მკითხველთა პასუხებში კი საინტერესო ტენდენცია დაფიქსირდა — მათ ზღაპრები ურჩევნიათ პიესებს და ფანტასტიკა — ბულვარულ რომანებს. როგორც ჩანს, ადამიანებს ასაკის მატებასთან ერთად ბავშვობის „ნოსტალგია“ უფრო მეტად ეძალება და სიკეთის გამარჯვებაზე, სასწაულებზე, ჯადოსნურ სამყაროზე წაკითხვის მოთხოვნილება უჩნდებათ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორები არიან თბილისელები — 59 წლის **ვაჟა ტაბატაძე,** 51 წლის **ირაკლი მღვდლიაშვილი** და 31 წლის **კახაბერ ფირცხალაიშვილი.**

მათ, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „პიესას“ ორის ნაცვლად — ერთი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნეს, ხოლო „ზღაპრებს“ — პირიქით — ერთის ნაცვლად — ორი (მეშვიდე ადგილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII–VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII–VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI–V ადგილებს), და ა. შ. 7-8-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არის ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ა.შ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №43 (421) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიაში».**

**№43 (421) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 27 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 28 ოქტომბრის 13 საათამდე.**

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №43(421) — საამაყო სპორტსმენი

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე საამაყო თანამედროვე ქართველი სპორტსმენი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№43(421) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| N | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) | |
| 2 | კახა კალაძე (ფეხბურთი) | |
| 3 | ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) | |
| 4 | გიორგი კანდელაკი (კრივი) | |
| 5 | ზაზა ფაჩულია (კალათბურთი) | |
| 6 | შოთა არველაძე (ფეხბურთი) | |
| 7 | გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) | |
| 8 | ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) | |

**დამატებითი კითხვა**

**„თბილისობის“ რომელი ფორმა უფრო მოგწონთ?**

| ადრინდელი | ახლანდელი | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ______________ ტელეფონი ______________

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**დამატებითი კითხვის შედეგები**

## აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რომელი კანდიდატის გამარჯვება იქნება საქართველოსთვის უფრო სასარგებლო?






***დამატებით კითხვას 425-მა რესპონდენტმა უპასუხა***

## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— ჩემს ცნობას რად უნდა ბევრი ბაზარი...

„კვირის პალიტრის“ წინა ნომრის „ფოტოანტიკვარის“ მინიშნებამ, „თბილისობაზე“ სომბრეროს დახურვას ნამდვილად არ ვაპირებ“, მკითხველთა 30% აშკარად დააბნია. მათ „თბილისობა“, პირველ ყოვლისა, თბილისის მერს დაუკავშირეს და შესაბამისად, ზურაბ ჭიაბერაშვილი დაასახელეს. ზუსტად ამდენივე მკითხველმა სწორი არჩევანი გააკეთა — ამ სომბრეროიან ბიჭში დედაქალაქის დღევანდელი საკრებულოს თავმჯდომარე **ზაზა ბეგაშვილი** ამოიცნო.

ვფიქრობთ, გასაგებია იმ მკითხველთა განწყობა, რომელთაც უცნობი (გია გაჩეჩილაძე) დაასახელეს, რადგანაც მისთვის ჩვეული ამპლუაა „ქუდების ცვლა“; მაგრამ ვერაფრით დავადგინეთ, რა „მოტივით“ აღმოჩნდნენ დასახელებულთა შორის მაია ნადირაძე, თენგიზ არჩვაძე და იმედა კახიანი...





ზაზა ბეგაშვილი, 4 წლის

*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*

## ფოტო განწყობისთვის



— მიშველეთ, ვიხრჩობიი...

*** წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე ასეთი წესი ყოფილა: ქორწინების წინ სასიძო მთელი ღამის განმავლობაში ცალ ფეხზე უნდა იდგეს „შეყვარებულთა კლდეზე“, რომელიც ოკეანის თავზე 250 მ-ზეა ალმართული. ოდნავი შერხევა და „ნეფე“ შეიძლება უფსკრულში გადაიჩეხოს. ამიტომაც კუნძულზე ქორწინება ძალიან იშვიათი მოვლენაა.

*** საბერძნეთში, გათხრების დროს, აღმოჩენილ იქნა ბამბის ქსოვილის ნაშთები. მისი ასაკი რადიონახშირბადული მეთოდით დადგინდა — იგი 8 000 წლისა აღმოჩნდა. აქამდე უძველესად ითვლებოდა პაკისტანში ნაპოვნი ქსოვილის ნიმუში, რომელიც ჩვენს ერამდე 3000 წელს მიეკუთვნება.

28/X

სავსე მთვარე

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. მეტრიკა; 4. სატურნი; 6. ვინტი; 7. ამირა; 8. ალაგე; 9. იპონი; 10. აგამია; 13. შაპიტო; 16. კაირო; 18. მაუზერი; 19. კრედიტი; 20. ოტავა; 22. იდილია; 23. მასაჟი; 25. პიტნა; 27. ლორწო; 28. მატლი; 29. კადრი; 30. ისტორია; 31. ალბიონი.

**შვეულად:** 1. მაქინაცია; 2. ავლაბარი; 3. ინდიკატორი; 4. სიგარეტი; 5. ინკოგნიტო; 11. ამური; 12. იმედი; 14. არენა; 15. იზიდა; 16. კიო; 17. ოკა; 21. ანტარქტიდა; 22. ინტერიერი; 24. ინტერპოლი; 25. პოლემიკა; 26. აბოლიცია.








**თარაზულად:** 1. „ამომავალი მზის ქვეყანა“; 4. მსხვილი და მოკლე სოსისი; 6. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 7. გერმანული ავტომობილი; 8. შექსპირის ტრაგედია; 9. იგივეა, რაც ზამბახი; 10. შხამიანი გველი; 13. ალბანეთის დედაქალაქი; 16. რბილი ტყავი; 18. ადგილი, სადაც არის ბუნებრივი პირობები მკურნალობისა და დასვენებისთვის; 19. ჩანთოსანი ცხოველი; 20. ძველი საბერძნეთი; 22. ჰომეროსის პოემა; 23. ზღვრული ნორმა; 25. სპირტიანი სასმელი; 27. ხუროთმოძღვრების ძეგლი აღმოსავლეთ საქართველოში; 28. ოპტიკური მინა; 29. ზარმაცი, ნელი, აუჩქარებელი; 30. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 31. მძარცველი, ყაჩაღი.

**შვეულად:** 1. წარმოთქმის მანერა, რომელიც მთქმელის გრძნობას გამოხატავს; 2. ძვ. საბერძნეთის ქალაქების ცენტრალური გამაგრებული ნაწილი; 3. საჰაერო-საბაგირო გზის სახელწოდება საფრანგეთში; 4. ლურჯი ან იისფერი ძვირფასი ქვა; 5. იუმორით გამსჭვალული პატარა მოთხრობა; 11. დიდი ბაღი; 12. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 14. ამერიკელთა მეტსახელი; 15. კუზიანი კურდღელი; 16. ძველი ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული; 17. მწერალი... მორჩილაძე; 21. „ილიადას“ პერსონაჟი მიკენის მეფე, ბერძენთა მთავარსარდალი ტროას ომში; 22. ფასიანი ქაღალდი; 24. ყველა იმ ნივთის ერთობლიობა, რაც რომელიმე დაწესებულების ქონებას შეადგენს; 25. ღვთის მოციქული; 26. მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა.

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

## გირი ცხენმა გადმოაგდო?



მარცხით დამთავრდა ჰოლივუდის ვარსკვლავის, რიჩარდ გირის ცხენით გასეირნება თავისი მამულის, ვესტჩესტერის ახლოს. „ის-ის იყო, მამულს გავცდი, რომ ცხენმა ფეხი რაღაცას წამოჰკრა და ბორძიკი დაიწყო. სანამ წაიქცეოდა, უნაგირიდან გადმოვხტი, რადგან შეიძლებოდა ცხენს ქვეშ მოვყოლოდი“, — იხსენებს მსახიობი.

დაცემისას გირმა ქვას დაარტყა თავი და გრძნობა დაკარგა. „გონს რომ მოვედი, ხელი საშინლად მტკიოდა. მობილური ტელეფონი თან არ მქონდა, ცოლის რჩევით, შინ დავტოვე“.

მსახიობმა დიდი გაჭირვებით მიაღწია მამულამდე. „გზა საოცრად გაგრძელდა. ტკივილისგან გული მიწუხდა. ჭიშკარს მივაღწიე და მკვდარივით გავიშოტე კიდეც. დაცვამ შემამჩნია და მომეშველა“, — სიმწრით ჰყვება ვარსკვლავი.

## ელტონ ჯონი მილიონებს არიგებს

სერ ელტონ ჯონმა რამდენიმე დღის წინ მიიღო გადაწყვეტილება, თუ როგორ უნდა გაანაწილოს თავისი უძრავ-მოძრავი ქონება. ვინაიდან მუსიკოსს შვილები არ ჰყავს, 351 მილიონი დოლარი, რომელიც მომღერალმა თავისი მოღვაწეობის მანძილზე იშოვა, შეხვდება მის ნათლულებს. დღესდღეობით სერ ჯონს 10 ნათლული ჰყავს, მათ შორის არიან ფეხბურთელ ბექჰემის ვაჟი ბრუკლინი, შონ ლენონი და ელიზაბეტ ჰარლის ვაჟი — დამიანი.



რა თქმა უნდა, ელტონ ჯონის არც ერთი ნათლული არ არის ღარიბი ოჯახის შვილი, მაგრამ რაც არ უნდა მდიდარი იყოს კაცი, 30 მილიონზე, ცხადია, უარს მაინც ვერ იტყვის.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (43) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ:სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№43 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 28 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

**„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი ©1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.